თავი XXIX. ალტერნატიული სასწავლო გეგმა

მძიმე და მრავლობითი გონებრივი დარღვევების მქონე მოსწავლეებისათვის

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 8 აგვისტოს ბრძანება №164/ნ - ვებგვერდი, 14.08.2019წ.

ქართული ენისა და ლიტერატურის ალტერნატიული სტანდარტი

მძიმე და მრავლობითი გონებრივი განვითარების დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის

შესავალი

ფუნქციური უნარები წარმოადგენს იმ ფუნდამენტურ უნარებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რომლებიც ეხმარება მოსწავლეს მიიღოს მაქსიმუმი სწავლის პროცესისგან, შეძლოს სხვა საგნების სწავლა და ქართული ენის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენება. ფუნქციური უნარები უმნიშვნელოვანესია გონებრივი განვითარების მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის, რათა მათ შეძლონ კომუნიკაცია, ჯგუფური მუშაობა, სასწავლო პროცესში მონაწილეობა და პრობლემების გადაჭრა. ფუნქციური უნარები ის ბაზისია, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი ხდება მოსწავლის შემდგომი კოგნიტური განვითარება და მაქსიმალური ინტეგრაცია სასწავლო პროცესში. „ფუნქციური უნარები“ - გაგებული უნდა იქნეს ძალიან ფართო კონტექსტში, რომელიც მოსწავლეს უზრუნველყოფს უნარით, აქტიურად იყოს ჩართული სწავლაში, სოციუმსა და ყოველდღიურ აქტივობებში.

ქართულის ალტერნატიული სტანდარტი გონებრივი განვითარების მძიმე და ღრმა დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

ა) გონებრივი განვითარების მძიმე დამრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;

ბ) ქართულის ალტერნატიული სტანდარტის შედეგები და შინაარსი;

გ) მეთოდიკური ორიენტირები;

დ) შეფასება.

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

პიროვნების საერთო კულტურა, საკომუნიკაციო და პროფესიული უნარ-ჩვევები სწორედ მშობლიური ენის საფუძველზე ყალიბდება. ის ქმნის იმ ძირითად ბაზისს, რომელსაც ეფუძნება ადამიანის თავისუფალი განვითარების მთელი შემდგომი პროცესი. სწორედ ამის გათვალისწინებით განისაზღვრება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ძირითადი მიზნები:

განუვითაროს მოზარდს ძირითადი საკომუნიკაციო უნარები (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა);

გამოუმუშაოს წერითი და ზეპირი მეტყველების საბაზისო უნარ-ჩვევები;

განუვითაროს საკუთარი აზრის ლოგიკური თანამიმდევრობით გამოთქმის უნარი;

ჩამოუყალიბოს სხვადასხვა დანიშნულების წერილობითი ტექსტის შექმნის უნარი;

გამოუმუშაოს თანამშრომლობისა და ორგანიზებულობის უნარ-ჩვევები;

შეაყვაროს კითხვა; გამოუმუშაოს ლიტერატურის, როგორც სიტყვის ხელოვნებისა და კულტურის ფაქტის, აღქმისა და გაცნობიერების უნარი;

დაწყებით საფეხურზე მშობლიური ენის სწავლება ემსახურება თვითგამოხატვისათვის აუცილებელი ენობრივი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის მიმართულებით. ამავე დროს, ეს პროცესი გულისხმობს იმ მინიმალური ლინგვისტური კომპეტენციის ფორმირებას, რომელიც ენის პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით არის აქტუალური და შეესაბამება მოსწავლის ინტელექტუალურ შესაძლებლობებსა და ინტერესებს. სკოლის ეს პერიოდი მოითხოვს სწავლების ამოცანების წარმოდგენას ინტეგრირებული, კოორდინირებული სახით. ამდენად, ამ შემთხვევაში წამყვანი პრინციპია საგნის შინაარსობრივი ერთიანობა.

მძიმე და მრავლობითი გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის ქართულის სწავლების მიზნები და ამოცანები სრულად ემთხვევა იმ მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც მათი ტიპური განვითარების მქონე თანატოლებისთვის არის განსაზღვრული, მაგრამ გასათვალისწინებელია ერთი ძალიან მნიშვნელოვანი თავისებურება - ყველა ამოცანა და მიზანი კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად იგეგმება და ასევე ისახება მიზნის მისაღწევი ინდივიდუალური გზები. შესაბამისად, ფუნქციური ქართული ენის სწავლება ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანების გადაჭრას - მძიმე და ძალიან მძიმე გონებრივი დარღვევების მქონე მოსწავლეებმა შეძლონ ქართული ენის ფუნქციური გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებასა და სწავლის პროცესში.

მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება მძიმე და მრავლობითი გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის დაწყებით საფეხურზე ეფუძნება მრავალ სავარჯიშოს, სხვადასხვა ადაპტირებულ მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებს.

ფუნქციური ქართული ენის მიმართულებების აღწერა

ქართული ენის ალტერნატიული სტანდარტი სამი ძირითადი მიმართულების – ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის უნარ-ჩვევების განვითარებას ისახავს მიზნად:

ზეპირმეტყველება (მოსმენა, ლაპარაკი)

ეს მიმართულება ორ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ სამეტყველო ქცევას აერთიანებს, ესენია: მოსმენა და ლაპარაკი. ზეპირმეტყველება მოიცავს ეფექტური კომუნიკაციის ფუნქციურ უნარებს. მოსწავლეებს დაწყებით საფეხურზე შესაძლებლობა ექნებათ ივარჯიშონ ზეპირმეტყველებასა და ეფექტურ კომუნიკაციაში. ეს ის უნარებია, რომლებიც დიდწილად შეუწყობს ხელს მათ შემდგომ სწავლებასა და სწავლას; მათი სოციალური უნარების განვითარებას, დამოუკიდებლად ცხოვრებისა და ფუნქციონირების შესაძლებლობას და ასევე საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურ განვითარებას.

ზეპირმეტყველებისა და კომუნიკაციის მიმართულება მოიცავს შემდეგ ქვემიმართულებებს:

1. საწყისი მეტყველების განვითარება;

2. ლექსიკონი;

3. მოსმენა;

4. ზეპირმეტყველება;

5. კითხვა-პასუხი;

6. მეტყველების პრაგმატული ასპექტები;

7. კომუნიკაციის დამხმარე საშუალებები.

კითხვა. კითხვის უნარის განვითარება წიგნიერების საფუძველია, რაც სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ფუნქციური კითხვის უნარი გულისხმობს გარემოში არსებული დაბეჭდილი სიმბოლოების გაგებისა და გამოყენების უნარს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეს, იყოს შეძლებისდაგვარად დამოუკიდებელი ყოველდღიურ ცხოვრებაში.

კითხვის მიმართულება მოიცავს შემდეგ ქვემიმართულებებს:

1. კითხვის წინარე უნარები;

2. ფონოლოგიური ცნობიერება;

3. ადრეული კითხვის უნარი;

4. ფუნქციური კითხვის უნარი.

წერა. ინფორმაციისა და საკუთარი აზრის წერილობით გადმოცემა, წერის კულტურის ჩამოყალიბება პიროვნების ინტელექტუალური შესაძლებლობების რეალიზაციის აუცილებელი პირობაა. წერის მიმართულების მისაღწევი შედეგები გულისხმობს წერის ფუნქციური უნარის განვითარებას: აზრებისა და მეტყველების გამოხატვას წერილობითი ფორმით. მძიმე და მრავლობუითი დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის ფუნქციური წერის სწავლებისთვის აუცილებელია სასწავლო გეგმა მოიცავდეს ყოველდღიური ცხოვრების ბევრ რეალურ გამოცდილებას (მაგალითს), სადაც წერა კომუნიკაციის საუკეთესო საშუალებაა.

წერის მიმართულება ორ ქვემიმართულებას მოიცავს:

1. ფიზიკური/მოტორული წერის უნარი;

2. ფუნქციური წერის უნარი.

ბ) ქართულის ალტერნატიული სტანდარტის შედეგები და შინაარსი

VI კლასის ბოლოს მისაღწევი შედეგები

სტანდარტის შინაარსი განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას, რა უნდა შეეძლოს ინტელექტუალური განვითარების მძიმე და ღრმა დარღვევების მქონე მოსწავლეს ქართულ ენასა დალიტერატურაში დაწყებითი საფეხურის ბოლოს. შინაარსი აღიწერება ცნებებისა და საგნობრივი საკითხების სახით.

ინდექსების განმარტება

დაწყებითი საფეხურის ალტერნატიულ სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., ალტ.ქართ.დაწყ.1

,,ალტ“ – მიუთითებს ალტერნატიულ ეროვნულ სასწავლო გეგმას;

„ქართ.“ – მიუთითებს საგანს „ქართული ენა და ლიტერატურა“;

„დაწყ.” – მიუთითებს I-VI კლასების სტანდარტს;

„1“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

ქართული ენისა და ლიტერატურის ალტერნატიული სტანდარტი	
	მიმართულება: ზეპირმეტყველება
შედეგების ინდექსი	სტანდარტის შედეგები
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
ალტ.ქართ.დაწყ.1	მეტყველების გამოყენება კომუნიკაციის მიზნით (საწყისი მეტყველების განვითარება);
ალტ.ქართ.დაწყ.2	მარტივი სიტყვების მოსმენა, ამოცნობა და ადეკვატურად აღქმა; სწორად რეაგირება ნაცნობ სამეტყველო სიტუაციებში (ლექსიკონი);
ალტ.ქართ.დაწყ.3	ნაცნობ თემატიკაზე შექმნილი მცირე ზომის ტექსტების მოსმენა, გაგება და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (მოსმენა);
ალტ.ქართ.დაწყ.4	საკუთარი სურვილების, მოთხოვნილებების მეტყველებით გამოხატვა და მართლმეტყველების ელემენტარული წესების დაცვა (ლაპარაკი)
ალტ.ქართ.დაწყ.5	მარტივ კითხვებზე პასუხის გაცემა და ადეკვატური შეკითხვების დასმა (კითხვა-პასუხი)
ალტ.ქართ.დაწყ.6	საკუთარი ემოციების, სურვილებისა და მოთხოვნილებების გამოხატვა და სხვათა გაგება (მეტყველების პრაგმატული ასპექტები)
ალტ. ქართ.დაწყ.7	კომუნიკაციის დამხმარე საშუალებების გამოყენება
	მიმართულება: კითხვა
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
ალტ.ქართ.დაწყ.8	ფორმალური ნიშნების მიხედვით (მაგ., ილუსტრაციების, მსხვილი შრიფტისა და ა. შ. მეშვეობით) საბავშვო წიგნის ამოცნობა, ტექსტის სიტყვიერი და არასიტყვიერი ნაწილების ერთმანეთისაგან გარჩევა (კითხვის წინარე უნარები);
ალტ.ქართ.დაწყ.9.	ფონოლოგიური უნარ-ჩვევების გამომუშავება (ფონოლოგიური ცნობიერება);

ალტ.ქართ.დაწყ.10.	ანბანური პრინციპის გაგება და გამოყენება (ადრეული კითხვის უნარი)
ალტ.ქართ.დაწყ.11.	პრაგმატული ხასიათის მარტივი ტექსტის (მაგ., ინსტრუქციის, მენიუს, საყიდლების სიის, აბრისა და ა.შ.) წაკითხვა და გაგება (ფუნქციური კითხვის უნარი)
	მიმართულება: წერა
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
ალტ.ქართ.დაწყ.12	სხვადასხვა მარტივი მოტორული აქტივობების ხელით შესრულება და ანბანის ყველა ასოს გამოწერა (ფიზიკური/მოტორული წერის უნარი)
ალტ.ქართ.დაწყ.13	სხვადასხვა სახის მარტივი ტექსტების (მოსაწვევი ბარათის, დღის რეჟიმის, სხვადასხვა ტიპის სიებისა და სხვ.) შედგენა და გაფორმება კომპოზიციური მახასიათებლების დაცვით (ფუნქციური წერის უნარი).

ცნებები: ბგერები, მარცვალი; ასო-ხმოვანი/თანხმოვანი; სიტყვა, წინადადება, ტექსტი.

ტექსტის ტიპები: მხატვრული – თხრობითი ტექსტები: მოთხრობა, ზღაპარი, იგავი, პერსონაჟი);

პრაგმატული/არამხატვრული ტექსტები – ინსტრუქცია, მისალოცი.მოსაწვევი ბარათი, მენიუ, დღის რეჟიმი, საინფორმაციო ბუკლეტი, ფლაერი;

მულტიმედიური ტექსტი – მულტფილმი, ვიდეორგოლი, ანიმაცია;

ტექსტის კომპოზიცია: აბზაცი, ტექსტის დასაწყისი, დასასრული (მაგ., მისალოცი/მოსაწვევი ბარათი – მიმართვა, ძირითადი ტექსტი, ხელმოწერა);

წიგნის კომპონენტები – ყდა, ილუსტრაცია, გარეკანი, ტექსტი, ავტორი, სათაური)

ლექსიკა და სტილი: ეტიკეტური მეტყველების ფორმები; სინონიმები და ანტონიმები;

საკომუნიკაციო სიტუაცია: მსმენელი, მოსაუბრე.

მკვიდრი წარმოდგენები:

სიტყვებში არის მარცვლები და ბგერები;

სიტყვებში არის ხმოვნები და თანხმოვნები

სიტყვები შეიძლება დაიწეროს/დაიბეჭდოს;

სიტყვებს აქვს შინაარსი;

გარემოში არსებობს სხვადასხვა ხმა (მაგ., ცხოველის, ადამიანის, მანქანის), რომლებიც შეიძლება გავიგონოთ/დავწეროთ;

მოსმენა აუცილებელია სიტყვების მნიშვნელობის/ინსტრუქციის გასაგებად;

მისალმებისას/მიმართვისას ვიყენებთ სათანადო სიტყვებს;

საგნებს/სიტყვებს აქვთ თავიანთი სახელები;

სიტყვებს შეიძლება ჰქონდეს ერთნაირი ან განსხვავებული მნიშვნელობები;

დაწერილ/დაბეჭდილი სიტყვებს ვკითხულობთ, ვგებულობთ;

სიტყვებით გადმოვცემთ ინფორმაციას, გამოვხატავთ ჩვენს სურვილებს, ემოციებს;

წინადადება შედგება სიტყვებისაგან და მას შინაარსი აქვს;

ტექსტში სიტყვები ერთმანეთსაგან გამიჯნულია (მათ შორის ინტერვალია);

სიტყვებით შეიძლება ჩავწეროთ/დავბეჭდოთ ჩვენი აზრები;

სიტყვებით შეიძლება შევქმნათ სხვადასხვა ტიპის ტექსტი;

ტექსტი შეიძლება იყოს ამბავი, რომელსაც მოვუსმენთ, შინაარსი აქვს;

ტექსტები-მოთხრობები, ამბები წერია წიგნში;

წიგნს თავისი კომპონენტები აქვს, რომელიც მიხედვითაც მისი ამოცნობა შეიძლება;

ტექსტში არის პერსონაჟები;

მოსმენილ/წაკითხულ/ნანახ ტექსტში/მულტიმედიურ რესურსში არის სხვადასხვა პერსონაჟი;

პერსონაჟები ჰგვანან ან განსხვავდებიან ერთმანეთისგან სხვადასხვა ნიშნით

მოსმენილი/წაკითხული ტექსტის შესახებ აზრს გამოვხატავთ ზეპირად/წერილობით, ჟესტებით;

ადამიანებს სჭირდებათ სხვებთან კომუნიკაცია/კონტაქტი;

კომუნიკაცია ადამიანებს შორის შესაძლებელია ვერბალურად და სხეულის ენით;

სკოლაში/გაკვეთილზე ვიცავთ წესებს;

გაკვეთილზე შესწავლილ ცნებებს/საკითხებს ვიყენებთ სხვაგანაც.

გ) მეთოდიკური ორიენტირები

აღსანიშნავია, რომ ფუნქციური ქართული ენის სწავლება მასწავლებლისგან მოითხოვს საგნის შინაარსებისა და სასწავლო მასალის სისტემატურ, გამეორებად წარდგენას მრავალ განსხვავებულ სოციალურ კონტექსტში ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რადგან სოციალური ნორმების, მოთხოვნებისა და ქცევის წესების ათვისება ხანგრძლივ გამოცდილებასა და ცოდნას მოითხოვს.

ყველა ბავშვი ენის სწავლისა და განვითარების ერთსა და იმავე გზას (საფეხურს) გაივლის, ოღონდ ყველა ინდივიდუალური ტემპითა და თავისებურებით. კარგი სწავლება მოიცავს თამაშსა და სამყაროს შემეცნების თავისუფალ, არაფორმალურ, მხიარულ შესაძლებლობებს (მაგ. სიტყვების სიმღერით და რითმებით დასწავლა). თამაში და განსხვავებულ სოციალურ კონტექსტში სასწავლო მასალის წარდგენა ეხმარება მოსწავლეს გაუჩნდეს ნაცნობობის განცდა, შეძლოს განსხვავებული ბგერებისა და სიტყვების მარტივად წარმოთქმა. სისტემატურ და ხშირად განმეორებად ყოველდღიურ სიტუაციებში საგნების დასახელება, აღწერა შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეს, დროთა განმავლობაში ჩამოუყალიბდეს მჭიდრო ასოციაციები გარკვეულ სიტყვებსა და ცნებებს შორის. მოსწავლის მიერ ცნებებისა და სიტყვების დამახსოვრებას აუცილებლად სჭირდება მათი სისტემატური და ხშირი გამეორება სხვადასხვა სოციალურ თუ სასწავლო კონტექსტში. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს ენის სწავლას სოციალურ კონტექსტში, მის ინტერიორიზაციასა და შემდგომში განზოგადებას.

ფუნქციური აკადემიური უნარების განვითარება მოითხოვს გაშუალებულ სასწავლო გამოცდილებას, რაც სწავლა-სწავლებაში სამი ძირითადი პრინციპის დაცვას მოითხოვს, კერძოდ:

1. მასწავლებელმა იცის, რომ ყველა მოსწავლე, მიუხედავად გონებრივი განვიტარების დარღვევების სიმძიმისა, სწავლობს საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში და რომ სისტემატური, თანმიმდევრული განვითარების სტიმულირებისა და სწავლების გზით შესაძლებელია ახალი ცოდნის შეძენა და ყოველდღიურ ცხოვრებაში მისი გამოყენება; აუცილებელია, რომ სასწავლო სიტუაციები და მასალა მოსწავლისთვის მიწოდებულ იქნეს მისთვის მარტივად აღსაქმელი, საინტერესო ხერხით მრავალ განსხვავებულ სოციალურ კონტექსტში.

2. სასწავლო სიტუაციებისა და კონტექსტის მუდმივი გაფართოება და გამდიდრება, რადგან მოსწავლისთვის კონკრეტული საგნის უშუალო სასწავლო მიზნების მიღწევაზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი გარესამყაროსთან ადაპტაციის უნარების განვითარება და ნასწავლი ცნებებისა თუ უნარების სათანადო კონტექსტში გამოყენებაა;

3. აზრისა და შინაარსის მედიაცია, რაც გულისხმობს ბავშვის ცნობისმოყვარეობის სტიმულირებასა და მოტივირებას ისეთ კითხვებზე პასუხის გაცემით, როგორებიცაა: როდის, სად, როგორ, რა, რამდენი, ვის მიერ და ასე შემდეგ.

თვალსაჩინოების გამოყენება:

გონებრივი განვითარების მძიმე და მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის კონკრეტული საბაზისო ცოდნა-უნარების დასაუფლებლად ძალზე მნიშვნელოვანია თვალსაჩინოებების გამოყენება. ხშირ შემთხვევაში ვიზუალური მასალა ერთადერთი გზაა მასწავლებლისთვის იმის გასარკვევად, რამდენად სწორად გაიგო მოსწავლემ ესა თუ ის ცნება, საკითხი. მასწავლებელს შეუძლია თვალსაჩინოებად გამოიყენოს სურათები, კონკრეტული საგნები/ნივთები, სასწავლო რესურსები, რომლებიც მოსწავლეთათვის ნაცნობია. მასწავლებელს თვალსაჩინოების გამოყენება ეხმარება მოსწავლეთა შეფასების პროგრესის შეფასაბაშიც.

კეთებით სწავლა:

სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის სწავლა-სწავლების პროცესში ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს აგრეთვე კეთება. წერის საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების შესრულება, რომლებიც შეგრძნების ორგანოსთან - შეხებასთანაა დაკავშირებული (კალმის/ფანქრის სწორად დაჭერა ხატვის, წერის დროს, ძერწვა, გამოჭრა, გაფერადება და სხვა.) ამ მეთოდი შეძენილი ცოდნის გამოყენება მყარია, მოსწავლე შეძლებს მის გამოყენებას ყოველდღურ ცხოვრებაში. ამასთანავე, კეთებით სწავლა ხელს უწყობს მოსწავლეებში თანამშრომლობის, ორგანიზებულობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული მეთოდოლოგია:

ეს მეთოდოლოგია გულისხმობს იმას, რომ მოსწავლე შეისწავლის ახალ მასალას კონკრეტული ამოცანის გადაჭრის კონტექსტში. ამგვარი სწავლების უპირატესობა ის არის, რომ მოსწავლე თავად ხედავს ნასწავლის პრაქტიკულად გამოყენების გზებს. ამ შემთხვევაში მისი ცოდნა განყენებული და ზოგადი კი არ არის, არამედ მის პირად გამოცდილებას ეყრდნობა, შესწავლილის პრაქტიკული გამოყენებაა.

საგანთაშორისი ინტეგრირება

საგანთა ინტეგრირება მნიშნელოვანროლს ასრულებს ინტელექტუალური განვითარების მძიმე და ღრმა დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლა-სწავლების პროცესში, რადგან მასწავლებელს

საშუალებას აძლევს, მოსწავლეებს გაამთლიანებინოს სხვადასხვა საგანში შეძენილი ცოდნა. ქართული ენისა და ლიტერატურის, როგორც საგნისა და სწავლების ენის ფუნქცია ამ მხრივ განსაკუთრებულია, რადგან სწორედ ამ ენაზე ხდება მოსწავლეთა მიერ სამყაროს გაცნობა და საკუთარი თავის, როგორც სამყაროს ნაწილად აღქმა.

დ) შეფასება

იმისათვის, რომ შედეგი ჩაითვალოს მიღწეულად, მასწავლებელი უნდა დააკვირდეს და შეაფასოს მოსწავლეთა მიერ გამომუშავებული უნარები, ხშირად მისცეს განმეორების და სხვადასხვა სიტუაციაში გამოყენების საშუალება, რათა დარწმუნდეს უნარ-ჩვევის გენერალიზაციის დონეზე განმტკიცებაში. მასწავლებელი სარეკომენდაციოდ მოცემულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით (რომელთა რაოდენობა არაა შეზღუდული და შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს საჭიროების მიხედვით) ქმნის შეფასების რუბრიკას. ის აკვირდება მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებას, მოსწავლის მიერ მიღწეულ შედეგებს ადარებს მოკლევადიან მიზნებთან და შემუშავებულ რუბრიკაზე დაყრდნობით აძლევს განმავითარებელ შეფასებას.

შეიძლება შეფასდეს შემდეგი ცოდნა და უნარ-ჩვევები:

ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის საბაზისო უნარ-ჩვევები;

ადეკვატური ქცევა საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით;

საკუთარი აზრის გამოთქმა წაკითხული/მოსმენილი ტექსტის შესახებ;

საგნებისა და ობიექტების მარტივი კლასიფიკაცია;

საგანთა და მათი ფუნქციის დასახელება;

მარტივ დიალოგში მონაწილეობა;

არჩევანის გაკეთება და საკუთარი არჩევანის ახსნა;

მართლწერისა და მართლმეტყველების ელემენტარული ცოდნა;

პრაქტიკულ საქმიანობაში თანამონაწილეობა და ორგანიზებულობა.

მათემატიკა

ალტერნატიული სტანდარტი

მძიმე და მრავლობითი გონებრივი განვითარების დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის

შესავალი

თანამედროვე ეპოქაში მათემატიკა ჩვენი ცხოვრების განუყრელი ნაწილია. იგი მონაწილეობს ადამიანის არსებობის და ფუნქციონირების ყველა სფეროში: მედიცინაში, ეკონომიკაში, ყოველდღიურ ყოფით და სოციალურ პროცესებში. ძნელია მოიძებნოს ადამიანის საქმიანობის სფერო, რომელიც გაჯერებული არ არის "მათემატიკური ობიექტებით". ელემენტარული მათემატიკური განათლების გარეშე ძნელია საზოგადოების სრულფასოვან წევრად იგრძნო თავი. მათემატიკის საბაზისო (ყველაზე არსებითი) ცნებების ცოდნა და გამოყენების უნარები განუზომლად დიდ მნიშვნელობას იძენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. მათი ინტეგრირება საზოგადოებაში, სრულფასოვანი და ღირსეული ფუნქციონირება წარმოუდგენელია ზემოაღნიშნული უნარების ფლობის გარეშე. შესაბამისად, მათემატიკის საბაზისო ცნებების და უნარების განვითარება მოსწავლეებისთვის შესაძლებელია განხილულ იქნას, როგორც ინკლუზიური საზოგადოების განვითარების წინაპირობა. განათლების სისტემის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა აღჭურვა იმ ცოდნითა და უნარ-ჩვევებით, რაც გაუადვილებს მათ ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრას, დაეხმარება მომავლის დაგეგმვასა და საზოგადოების სრულფასოვან წევრად ფორმირებაში.

მათემატიკის ალტერნატიული სტანდარტით დადგენილია ელემენტარული, ყველაზე არსებითი მათემატიკური ცნებებისა და პროცედურების ჩამონათვალი, რომელიც არსებითია რეალური, ყოველდღიური პრობლემების გადაჭრისას; აგრეთვე, სტანდარტით დგინდება მათემატიკური კომუნიკაციის უნარის ზღვრული, საბაზისო დონე, რომელიც საჭიროა ინფორმაციის მისაღებად და გადასაცემად მათემატიკური ენის ყველაზე ელემენტარული კომპონენტების გამოყენებით.

მათემატიკის სტანდარტი მძიმე და მრავლობითი გონებრივი განვითარების დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;

ბ) მათემატიკის ალტერნატიული სტანდარტის შედეგები და შინაარსი;

გ) მეთოდიკური ორიენტირები;

დ) შეფასება.

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

მძიმე და მრავლობითი გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის მათემატიკის სწავლების მიზნები და ამოცანები სრულად ემთხვევა იმ მიზნებსა და ამოცანებს, რაც მათი ტიპიური განვითარების მქონე თანატოლებისთვის არის განსაზღვრული, კერძოდ, ის ამზადებს მოსწავლეს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, ერთი ძალიან მნიშვნელოვანი თავისებურების გათვალისწინებით, – ყველა ამოცანა და მიზანი კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად იგეგმება. მათემატიკის სწავლების მიზნებში მძიმე და მრავლობითი გონებრივი დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის შექმნილ კურიკულუმში ნაგულისხმევია უნარები, რომლებიც მოსწავლეს ესაჭიროება დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, თვითმოვლისა და

გადაწყვეტილებების მიღების უნარ-ჩვევების გამომუშვებისათვის. ფუნქციური უნარები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს ეხმარება ისეთი გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორებიცაა: სად უნდა იცხოვრონ, როგორ გამოიმუშავონ და რაში გამოიყენონ ფული, რა აკეთონ თავისუფალ დროს. ამ ყველაფრისთვის კი მათ აუცილებლად დასჭირდებათ ფულის დათვლა, საათის ცნობა, ავტობუსების განრიგის წაკითხვა, გარკვეულ ინსტრუქციების გაცემა და შესრულება და ა.შ.

შესაბამისად, მათემატიკის სწავლების ძირითადი მიზნები ყალიბდება ამგვარად:

მოსწავლე დაეუფლოს მათემატიკის ენის ყველაზე არსებით ელემენტებს;

მოსწავლემ შეძლოს უმარტივეს, მათემატიკური შინაარსის ობიექტებსა და პროცესებში მსგავსებისა და განსხვავების დანახვა და გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში;

მოსწავლემ შეძლოს, რეალური ვითარებიდან მომდინარე, უმარტივესი (მისი ფუნქციონირებისთვის არსებითი) პრობლემების გადაჭრა მათემატიკური ინსტრუმენტების გამოყენებით.

ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი

სტანდარტის შედეგები საგნის სწავლა-სწავლების მიზნებიდან გამომდინარეობს. ისინი პასუხობს შეკითხვას: რა უნდა შეეძლოს ინტელექტუალური განვითარების მძიმე და ღრმა დარღვევების მქონე მოსწავლეს მათემატიკაში დაწყებითი საფეხურის ბოლოს.

შედეგები ჯგუფდება სამ მიმართულებად:

მათემატიკური ენა (კომუნიკაცია) – გულისხმობს მათემატიკური ობიექტების (მაგ., რიცხვები, გეომეტრიული ფიგურები) სახელწოდებების ცოდნას, ცალკეული, ყველაზე არსებითი ტერმინის, აღნიშვნისა და სიმბოლოს კორექტულად გამოყენებას, მათემატიკური შინაარსის უმარტივესი ინფორმაციის წარმოდგენის ხერხის ფლობასა და გამოყენებას.

ელემენტარული მსჯელობისა და აზროვნების საწყისები - გულისხმობს ჩვეულ გარემოში, ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებულ უმარტივეს ობიექტებსა და პროცესებს შორის ცალკეული მიმართებების, ასევე მსგავსებისა და განსხვავების აღმოჩენას და გამოყენებას.

პრობლემების გადაჭრა – გულისხმობს ყოველდღიური ცხოვრებიდან მომდინარე უმარტივესი (ერთმოქმედებიანი) ამოცანების ამოხსნას მათემატიკური ინსტრუმენტების გამოყენებით.

სტანდარტის შინაარსი განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალდებულო ცნებების, თემატური ჩარჩოს, საგნობრივი საკითხების სახით.

მათემატიკის ალტერნატიული სტანდარტის შედეგები	
შედეგების ინდექსი	მიმართულება: მათემატიკური ენა (კომუნიკაცია)
მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
ალტერნატიული მათ.1.	მათემატიკური ობიექტების სახელწოდებების სწორად ჩამოყალიბება; ყველაზე არსებითი ტერმინის, აღნიშვნისა და სიმბოლოს კორექტულად გამოყენება.

ალტერნატიული მათ.2.	მათემატიკური შინაარსის უმარტივესი ინფორმაციის წარმოდგენა მათემატიკური აღნიშვნების გამოყენებით.
ალტერნატიული მათ.3.	გრაფიკულად გადმოცემული (მაგ., უმარტივესი ნახაზი, დიაგრამა) მათემატიკური შინაარსის ინფორმაციის წაკითხვა.
მიმართულება: ელემენტარული მსჯელობის და აზროვნების საწყისები	
მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
ალტერნატიული მათ.4.	საგანთა შორის მსგავსებისა და განსხვავების შემჩნევა (ფერის, ფორმის, ზომის, სიდიდის და რაოდენობის, როგორც განმასხვავებელი ნიშნების გააზრება).
ალტერნატიული მათ.5.	გარემომცველი საგნების დაჯგუფება მითითებული კონკრეტული ნიშნით.
ალტერნატიული მათ.6.	საგანთა ან პროცესთა უმარტივეს თანმიმდევრობაში კანონზომიერების შემჩნევა და გავრცობა.
მიმართულება: პრობლემების გადაჭრა	
მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
ალტერნატიული მათ.7.	რეალურ ვითარებასთან დაკავშირებული უმარტივესი (ერთმოქმედებიანი) ამოცანის ტექსტის გაგება-გააზრება (უმარტივესი პრობლემის იდენტიფიკაცია)
ალტერნატიული მათ.8.	რეალურ ვითარებასთან დაკავშირებული უმარტივესი (ერთმოქმედებიანი) ამოცანის (პრობლემის) ამოხსნა (გადაჭრა)

მოსწავლეებში აღნიშნული უნარების ჩამოყალიბება და განვითარება შესაძლებელია მათემატიკის პროგრამის შინაარსის მეშვეობით, რომლის ძირითადი სფეროებია: რიცხვები; გეომეტრია და სივრცის აღქმა; სიდიდეები და ზომის ერთეულები; მონაცემთა ანალიზი.

რიცხვები

მკვიდრი წარმოდგენები:

საგანთა ყველა კონკრეტულ რაოდენობას შეესაბამება კონკრეტული რიცხვი;

რიცხვი იწერება ციფრების მეშვეობით;

განსხვავებულ რიცხვებს აქვთ განსხვავებული სახელები და განსხვავებული აღნიშვნები;

ორი სხვადასხვა რიცხვიდან ერთერთი აუცილებლად მეტია მეორეზე;

ჯამი (შეკრების შედეგი) ყოველთვის მეტია თავდაპირველად აღებულ რიცხვებზე (შესაკრებებზე); სხვაობა (გამოკლების შედეგი) ყოველთვის ნაკლებია თავდაპირველად აღებულ რიცხვზე.

ცნებები და საკითხები:

რაოდენობა, რიცხვი და ციფრი;

რიცხვები 0-დან 100-მდე, რიცხვების რიგი;

არითმეტიკული მოქმედებები რიცხვებზე – შეკრება და გამოკლება;

ფულის ნომინალები.

პროცედურები:

საგანთა გროვაში საგნების რაოდენობის განსაზღვრა (დათვლა);

0-დან 100-მდე რიცხვების ჩაწერა და წაკითხვა;

რიცხვების ამოცნობა და დასახელება ფულის ერთეულებზე (ბანკნოტებსა და მონეტებზე), ფასის აღმნიშვნელ ეტიკეტებზე, წამლების ყუთებზე, ტელეფონის ნომრებში და ა.შ.

0-დან 100-მდე რიცხვების შედარება (მაგ., ორი პროდუქტის ფასის შედარება);

რიცხვების შეკრება და გამოკლება (100-ის ფარგლებში) ზეპირად (მარტივ შემთხვევებში) და წერითი ალგორითმის ან კალკულატორის გამოყენებით (მაგ., 2 ან 3 პროდუქტის შეძენისას საერთო დანახარჯის გაგება);

გამოთვლებთან დაკავშირებული უმარტივესი საყოფაცხოვრებო ამოცანების ამოხსნა (მაგ., კონკრეტული პროდუქტის შეძენის შემდეგ რა თანხა რჩება საწყისი თანხიდან);

რიგობითი რიცხვითი სახელების გამოყენება ყოფით ვითარებაში მოვლენების ან საგნების თანმიმდევრობის აღწერისას (მაგ., ამგვარი ინსტრუქციის გაგება – შაქარი დევს მეორე თაროზე; წამლის მიღების უმარტივეს გეგმაში რიგობითი რიცხვების – პირველი, მეორე, მესამე – ადეკვატურად გაგება).

გეომეტრია და სივრცის აღქმა

მკვიდრი წარმოდგენები:

გეომეტრიული ფიგურების შემჩნევა შეიძლება ჩვენ გარშემო არსებულ უამრავ საგანში, მათ შორის იმ საგნებში, რომელთაც ადამიანები ყოველდღე ეხებიან და მოიხმარენ;

გეომეტრიული ფიგურების მეშვეობით შესაძლებელია ჩვენი გარემომცველი საგნების აღწერა და დახასიათება.

უმარტივესი სქემები (წირებით შეერთებული წერტილები) რაიმე ნაგებობის ან საგნის მდებარეობის აღსაწერად გამოიყენება.

ცნებები და საკითხები:

ბრტყელი ფიგურები: სამკუთხედი, ოთხკუთხედი, ხუთკუთხედი, ექვსკუთხედი, წრე;

სივრცული ფიგურები: კუბი, სფერო; სივრცული ფიგურების მოდელები;

ორიენტირება სიბრტყეზე და სივრცეში: ზემოთ, ქვემოთ, შიგნით, გარეთ;

მარტივი სქემები სიბრტყეზე (მაგალითად, წირებით შეერთებული წერტილები).

პროცედურები:

ყოფითი დანიშნულების საგნებში უმარტივესი გეომეტრიული ფიგურების ამოცნობა; გარემომცველი საგნების აღწერა („მრგვალი ნივთი თუ ოთხკუთხედის ფორმის ნივთი“.

უმარტივესი გეომეტრიული ფიგურების მოდელის შექმნა (დახატვა, აპლიკაციის გამოჭრა);

გარემომცველი ყოფითი დანიშნულების საგნების მდებარეობის შესახებ შეკითხვებზე პასუხის სწორად გაცემა;

სიტყვების - მარჯვნივ/მარცხნივ, ზემოთ/ქვემოთ, წინ/უკან - სწორად გამოყენება;

ყოფითი დანიშნულების საგნების მითითებული წესის მიხედვით განლაგება;

მოძრაობის ორიენტაციის შემცველი მითითებების სწორად გაცემა და შესრულება (მაგ, „სახლში რომ მივიდე, ჯერ პირდაპირ უნდა წავიდე და მერე შევუხვიო მარჯვნივ“.

სიდიდეები და ზომის ერთეულები

მკვიდრი წარმოდგენები

საგნები განსხვავდებიან ერთმანეთისგან ფორმით, ზომით, მასით.

სიგრძეც და მასაც (წონა) შეიძლება გაიზომოს.

სხვადასხვა მოვლენა (მაგ., სკოლაში წასვლა, სადილობა, მულტფილმის ყურება) დღის სხვადასხვა მონაკვეთში ხდება.

დროის ერთეულები ერთმანეთთანაა დაკავშირებული.

ცნებები და საკითხები:

სიგრძე, დრო, მასა;

სიგრძის ერთეულები: მეტრი, სანტიმეტრი;

სახაზავი;

დროის ერთეულები: წელი, თვე, კვირა, დღე, საათი, წუთი.

საათი;

მასის ერთეულები: კილოგრამი, გრამი;

სასწორი.

პროცედურები:

სიგრძის ერთეულების – მეტრი და სანტიმეტრი - ცოდნა და ადეკვატურად გამოყენება;

სიგრძის საზომი ხელსაწყოს - სახაზავის - გამოყენება;

რეალური ობიექტის (მაგალითად, სასადილო ოთახის, კარადის) წრფივი ზომის (სიგრძის, სიგანის ან სიმაღლის) დადგენა (მხოლოდ ერთ ერთეულში, მაგ., მხოლოდ მეტრებში).

დროის ერთეულების – წელი, თვე, კვირა, დღე, საათი, წუთი – ცოდნა და ერთმანეთთან დაკავშირება (მაგ., კვირაში 7 დღეა, წელიწადში 12 თვეა და ა.შ., თვეების და კვირის დღეების სახელწოდებების ცოდნა);

საათის (ელექტრონული ან მექანიკური) ცნობა;

მითითებული აქტივობის მითითებულ დროს შესრულება (მაგ., წამლის დალევა კონკრეტულ დროს (მხოლოდ მთელი საათები (2 სთ, 4 სთ და ა.შ.);

კალენდრის გამოყენება („რამდენი დღის მერე იქნება შაბათი“, „ხვალ რა დღეა“ და ა.შ.).

მასის ერთეულების – კილოგრამი და გრამი - ცოდნა და ერთმანეთთან დაკავშირება;

რომელიმე საკვები პროდუქტის ეტიკეტზე საგნის მასის ამოკითხვა;

საგნის მასის დადგენა (უმარტივესი ხელსაწყოს გამოყენებით);

მითითებული მასის პროდუქტის გამოყოფა საერთო მასიდან („3 კოვზი შაქარი“, „2 ჭიქა ფქვილი“, „ერთი კილოგრამი კარტოფილი“).

მონაცემთა ანალიზი

მკვიდრი წარმოდგენები

ყველა საგანი, მოვლენა, ადამიანი ხასიათდება რაღაც მონაცემებით – მაგ., ადამიანს აქვს სახელი, გვარი, ასაკი, მისამართი და ა.შ.; შაქარი ტკბილია, თოვლი თეთრია;

ზოგიერთ საგანს (მაგალითად, მაღაზიაში) თვითონვე აწერია რაღაც მონაცემი – სახელწოდება, ვარგისია თუ არა, რამდენს იწონის და ა.შ.

მონაცემების მოპოვების გასამარტივებლად მათ ხშირად წარმოადგენენ ცხრილის სახით.

ცნებები და საკითხები:

მონაცემები;

მონაცემთა შეგროვების საშუალებები: დაკვირვება, მონაცემთა ამოკრება მონაცემთა სიიდან და ცხრილიდან.

პროცედურები:

შეკითხვის ფორმულირება სასურველი ინფორმაციის მისაღებად (მაგ., „რა ღირს კარაქი“?);

მარტივი (2 -სვეტიანი) ცხრილიდან ინფორმაციის ამოკრეფა;

ზოგიერთი, არსებითად საჭირო ინფორმაციის წყაროს (მაგ. ამინდის ბიუროს, პოლიციის, სასწრაფო დახმარების, ცნობათა ბიუროს) ტელეფონის ნომრის დამახსოვრება და გამოყენება.

გ) მეთოდიკური ორიენტირები

თვალსაჩინოების გამოყენება:

მათემატიკის ადრეულ ასაკში სწავლების არსებითი პრინციპია ცნებების გათვალსაჩინოება, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისათვის, რომელთა აღქმის ძირითადი წყარო ვიზუალური გარემოა. სასურველია, მათემატიკური ცნებები დაკავშირებული იყოს ბავშვის ყოველდღიურობაში არსებულ, ნაცნობ

საგნებთან. სასწავლო პროცესში აუცილებელია იმ რეალური საგნების, სასკოლო ნივთების და სათამაშოების გამოყენება, რომლებსაც მოსწავლეები ხედავენ და ეხებიან. ამგვარი „ცოცხალი“ აქტივობები უნდა იკავებდეს საგაკვეთილო პროცესის დიდ ნაწილს.

კეთებით სწავლა:

მასალის აღქმის კიდევ ერთ ეფექტიან ფორმას წარმოადგენს კეთება: გაფერადება, გამოჭრა მოდელის მიხედვით, პლასტილინით გამოძერწვა და ა.შ. ამგვარი აქტივობების დროს შესწავლილი მასალა უფრო მყარია. ამას გარდა, კეთებით სწავლის დროს მოსწავლეები ივითარებენ სოციალურ უნარებს, ეჩვევიან ჯგუფურ მუშაობას, ეხმარებიან ერთმანეთს, ხდებიან უფრო აკურატულები. სასურველია, მოსწავლეების მიერ შექმნილი ნამუშევრების განთავსება საკლასო ოთახში და მათი სხვა, მომდევნო აქტივობების დროს გამოყენება.

პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული მეთოდოლოგია:

ეს მეთოდოლოგია გულისხმობს იმას, რომ მოსწავლე შეისწავლის ახალ მასალას კონკრეტული ამოცანის გადაჭრის კონტექსტში. ამგვარი სწავლების უპირატესობა ისაა, რომ მოსწავლე ხედავს რა პრაქტიკული გამოყენება აქვს იმას, რასაც ის შეისწავლის. ანუ, მის მიერ შეძენილი ცოდნა აღარ არის განყენებული და დაცილებული მისი პირადი გამოცდილებიდან.

საგანთაშორისი ინტეგრირება

განათლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა თანამედროვე ცხოვრებისთვის ბავშვის მომზადება, მისთვის აუცილებელი კომპეტენციების ფორმირება და ამის ერთ-ერთი გზა სასწავლო დისციპლინების ინტეგრაციაა. ბავშვის აღქმები იმ პერიოდში, როცა ის სკოლაში სწავლას იწყებს, მთლიანობით ხასიათს ატარებს და მოკლებულია შინაგან დანაწევრებულობას, ცალკეულ გაკვეთილებზე ფრაგმენტულად, განცალკევებულად მიწოდებული ცოდნა, ინფორმაცია ვერ შეუწყობს მას ხელს სამყაროზე მთლიანობითი წარმოდგენის შექმნაში. სხვადასხვა საგნის არსებითი ცნებების ინტეგრირებული სწავლების პროცესში პედაგოგს შეუძლია დაანახოს ბავშვს, რომ ცალკეული სასწავლო საგნები სხვა არაფერია, თუ არა განსხვავებული თვალსაზრისები რეალურად არსებულ შესასწავლ ობიექტებზე. პედაგოგიკის ამოცანაა, რომ ბავშვის აღქმაში გააერთიანოს, დააკავშიროს ცალკეულ საგნებში მიღებული ცოდნა, დაეხმაროს მას, შეიქმნას ერთიანი, მთლიანი, ფართო წარმოდგენა სამყაროზე, ბუნებაზე, საზოგადოებაზე და საკუთარ ადგილზე ამ სამყაროში.

დ) შეფასება მათემატიკაში

სტანდარტის მოთხოვნათა დასაფარად, მოსწავლეთა შეფასებისას რეკომენდებულია მათემატიკურ დავალებათა მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება. დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს ამგვარი:

უმარტივესი მათემატიკური შინაარსის ტექსტის წაკითხვა და საკუთარი სიტყვებით გადმოცემა (შეძლებისდაგვარად);

უმარტივესი რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობის გამოთვლა;

უმარტივესი განტოლების ამოხსნა,

მონაცემების მითითებული თანმიმდევრობით დალაგება;

გეომეტრიული ამოცანა, რომელშიც მოსწავლეს მოეთხოვება ფიგურის ამოცნობა, დასახელება და გამოსახვა.

დაწყებით კლასებში მოსწავლეთა შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა შემდეგ უნარ-ჩვევებს:

რიცხვების ჩაწერა და დასახელება;

არითმეტიკული მოქმედებების შესრულება და სიტყვიერი აღწერა;

გეომეტრიული ფიგურების ამოცნობა და მათი აღწერა;

ფიგურების კონსტრუირება (მაგ., ასანთის ღერების და პლასტილინის მეშვეობით);

მანძილის გაზომვისა და განსაზღვრის ხერხების / საშუალებების ცოდნა და გამოყენება;

მიმართულების, გადაადგილებისა და მარშრუტის სიტყვიერი აღწერა და სქემატური გამოსახვა;

ტერმინების: "ყველა", ზოგიერთი", "ერთ-ერთი", "არცერთი", "ერთადერთი" გამოყენება;

მონაცემთა დალაგება, დაჯგუფება და კლასიფიკაცია მითითებული კრიტერიუმების მიხედვით;

საზომი ერთეულების (მანძილის, დროის, ფულის ერთეულების) და მათ შორის მიმართებების ცოდნა და გამოყენება.

ბუნებისმეტყველების ალტერნატიული სტანდარტი

მძიმე და მრავლობითი გონებრივი განვითარების დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის

შესავალი

ბუნებისმეტყველების ალტერნატიული სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

ა) ინტელექტუალური განვითარების მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეების სწავლა-სწავლების მიზნები;

ბ) ბუნებისმეტყველების ალტერნატიული სტანდარტის შედეგები და შინაარსი;

გ) მეთოდიკური ორიენტირები;

დ) შეფასება.

ბუნებისმეტყველების ალტერნატიული სტანდარტით სწავლა-სწავლება გულისხმობს მოსწავლეთა მიერ უშუალო გარემოს შეცნობას, ინტერესის და ცნობისმოყვარეობის გაჩენას/გაღვივებას, ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირებული მარტივი პრობლემების გადაჭრის გზების დასწავლას, მოვლენებს შორის არსებული მიზეზშედეგობრივი კავშირების შესწავლასა და შეძენილი გამოცდილების ცხოვრებაში გამოყენებას.

საგნის სწავლა-სწავლებისას მოსწავლე ჩართული იქნება აქტივობებში, რომლებიც მას ცოდნის შექმნასა და ამ ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაში დაეხმარება.

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

ალტერნატიული ბუნებისმეტყველების სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს:

მოსწავლეს გაუჩნდეს დადებითი დამოკიდებულება ცოცხალი სამყაროს მიმართ;

მოსწავლეს გამოუმუშავდეს უმარტივესი კვლევითი უნარ-ჩვევები;

მოსწავლეს ჩამოუყალიბდეს გარესამყაროს მიმართ მზრუნველი დამოკიდებულება;

მოსწავლეს შეასწავლოს თავის მოვლა და ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრების საფუძვლები;

მოსწავლეს შესძინოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები.

ამ მიზნებზე მუშაობით ალტერნატიული ბუნებისმეტყველება თავის წვლილს შეიტანს ინტელექტუალური განვითარების მძიმე და ღრმა დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის უნარებისა და ღირებულებების განვითარება/ჩამოყალიბებაში.

ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი

სტანდარტის შედეგები განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას: რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს დაწყებითი საფეხურის ბოლოს.

შედეგები ჯგუფდება ექვს მიმართულებად:

კვლევა-ძიება – გულისხმობს მოსწავლის ჩართვას უმარტივეს ექსპერიმენტებში. მოსწავლე სწავლობს დაკვირვებას, უმარტივესად აღწერას (ვერბალურად/არავერბალურად), ნამუშევრის

თანაკლასელებისათვის წარდგენას/ცხოვრებაში გამოყენებას (მაგ., რამდენი კოვზი შაქარი ჩაყაროს ჩაის ჭიქაში, მისთვის მისაღები სიტკბო რომ იყოს; საჭმელს რამდენი მარილი დაუმატოს, რომ არ გამლაშდეს; სიბნელის რომ არ შეეშინდეს, სინათლე აანთოს; გათბობის/გაგრილების მიზნით რა გააკეთოს და ა.შ.).

ცოცხალი სამყარო – გულისხმობს მოსწავლისათვის ცოცხალი სამყაროს მრავალფეროვნების გაცნობას, მისთვის მნიშვნელოვანი კანონზომიერებების გაცნობიერებას, გარემოს დაცვის, ცოცხალ სამყაროზე ზრუნვის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და მისი დაცვის უნარ-ჩვევების განვითარებას.

სხეულები და მოვლენები – გულისხმობს რეალურ სიტუაციებში და ყოველდღიურ ცხოვრებისეულ საქმიანობაში გამოყენების მიზნით, საკუთარი დაკვირვებებისა და მარტივი აქტივობების საფუძველზე, გამოცდილების მიღებას (მაგ., საჭიროების მიხედვით, ჩაბნელებული გარემოს განათება და პირიქით).

დედამიწა და გარესამყარო – გულისხმობს დროსა და სივრცეში ორიენტირების უნარის გამომუშავებასა და ბუნებრივი მოვლენების მიმართ დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

ჯანმრთელობა და გარემო – გულისხმობს მოსწავლის მიერ საკუთარ გარემოში უსაფრთხოდ ორიენტირებას, პირად ჰიგიენაზე ზრუნვის და გარემოს მოვლის უნარ-ჩვევის განვითარებას, გარემოსადმი მზრუნველობითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

ტექნოლოგიები და უსაფრთხოება – გულისხმობს მოსწავლის მიერ მარტივი ტექნოლოგიების დანიშნულების გაცნობიერებას და მისი უსაფრთხოდ გამოყენების უნარ-ჩვევის განვითარებას (მალფუჭებადი პროდუქტების მაცივარში შენახვა, საკვების უსაფრთხოდ გათბობა).

სტანდარტის შინაარსი განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს და რა უნდა შეძლოს მოსწავლეს. შინაარსი აღიწერება ცნებების, თემებისა და საგნობრივი საკითხების სახით.

ცნებები, რომელსაც შესაძლებლობის შესაბამისად უნდა დაეუფლოს მოსწავლე, უნდა დამუშავდეს მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებში.

შერჩეულია სარეკომენდაციო თემები, რომელთა დამუშავების დროს ინტეგრირებულად მოხდება მოსწავლისათვის კომპლექსური ცოდნის მიწოდება, უნარ-ჩვევების განვითარება და დამოკიდებულების ჩამოყალიბება.

შეფასების ინდიკატორები კი განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს კონკრეტულ თემაში (თითოეულ ინდიკატორთან მითითებულია მასთან დაკავშირებული შედეგის/შედეგების ინდექსი).

ინდექსების განმარტება

დაწყებით საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს ვისთვის არის განკუთვნილი სტანდარტი, მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს. მაგ., ალტ. ბუნ. დაწყ. 1.:

„ალტ.“ – მიუთითებს, რომ სტანდარტი არის ალტერნატიული და განკუთვნილია ინტელექტუალური განვითარების მძიმე და ღრმა დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის

„ბუნ.“ – მიუთითებს საგანს - ბუნებისმეტყველებას

„დაწყ.“ – მიუთითებს დაწყებით საფეხურს

1, 2, 3, 4 ... – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს

ბუნებისმეტყველების ალტერნატიული სტანდარტი (I-VI კლასები)	
შედეგების ინდექსი	სტანდარტის შედეგი
მიმართულება: კვლევა-ძიება მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
ალტ. ბუნ.დაწყ. 1.	პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და დაკვირვების შედეგების გამოყენება
ალტ. ბუნ.დაწყ. 2.	მარტივი მიზეზშედეგობრივი კავშირების დამყარება/აღმოჩენა
მიმართულება: ცოცხალი სამყარო მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
ალტ.ბუნ.დაწყ. 3.	ცოცხალი სამყაროს მიმართ მზრუნველობითი დამოკიდებულების გამოვლენა
ალტ. ბუნ.დაწყ. 4.	შეგრძნების ორგანოების სათანადოდ გამოყენება
მიმართულება: სხეულები და მოვლენები მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
ალტ.ბუნ.დაწყ.5.	სხეულების, ნივთიერებებისა და მოვლენების შესახებ მიღებული გამოცდილების ყოველდღიურობაში გამოყენება
მიმართულება: დედამიწა და გარესამყარო მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
ალტ.ბუნ.დაწყ. 6.	დროის და სივრცის აღქმა
ალტ. ბუნ.დაწყ. 7.	ბუნებრივი მოვლენების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოვლენა
მიმართულება: ჯანმრთელობა და გარემო მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
ალტ.ბუნ.დაწყ. 8.	საკუთარ ჯანმრთელობასა და გარემოს მოწესრიგებაზე ზრუნვა

ალტ.ბუნ.დაწყ. 9.	ბუნებისა და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულების გაცნობიერება (მაგ., ძროხა გვაძლევს რძეს, ხე გვაძლევს ნაყოფს, ნაგვის დაყრა აზიანებს მცენარეებს და ა.შ.)
მიმართულება: ტექნოლოგიები და უსაფრთხოება მოსწავლემ უნდა შეძლოს:.	
ალტ. ბუნ.დაწყ. 10.	შესაბამისი ტექნიკის სათანადო დანიშნულებით გამოყენება

ცნებები და საკითხები:

ცოცხალი და არაცოცხალი, მცენარეები (მორწყვა, მოვლა), შინაური და გარეული ცხოველები (საბინადროები, დიდი, პატარა, ცხოველებზე ზრუნვა), საძინებელი, სახლის მოვლა-დასუფთავება, ტანსაცმელი (სუფთა, ჭუჭყიანი), ჩაცმა-გახდა, სამზარეულო (დაკვირვება, ცივი, ცხელი, თხევადი, მყარი, სხეული, მძიმე, მსუბუქი, დიდი, პატარა, კვება, საკვების მომზადება, შენახვა, სუფრის გაწყობა, საზომი ერთეულები, საკუთარი თავის მოვლა-დასუფთავება, სხეულის ნაწილები, სითბო, სინათლე, ხმაური, ტრანსპორტი, მოძრაობა, (შუქნიშნები, მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან, ზევით, ქვევით), ამინდი (თოვლი, წვიმა, მზე, ღრუბელი, ქარი), კალენდარი, ტემპერატურა, ოჯახის წევრები (საკუთარი მისამართი, ტელეფონის ნომერი), მეგობრები, სპორტული აქტივობები, ფიზიკური აქტიურობა, თამაში, მავნე ჩვევა, შეგრძნების ორგანოები, სოციალიზაცია, უსაფრთხოება, ტექნოლოგიების უსაფრთხოდ გამოყენება), ტუალეტი, პირადი ჰიგიენა, გარემოზე ზრუნვა.

მკვიდრი წარმოდგენები:

ცხოველებსა და მცენარეებს ესაჭიროებათ: საკვები, წყალი, ჰაერი, სითბო, სინათლე, თავშესაფარი;

ცხოველები და მცენარეები იზრდებიან (არიან – დიდები და პატარები);

ადამიანებსა და ცხოველებს ჰყავთ შვილები;

ცხოველებიც და მცენარეებიც არიან განსხვავებული (მრავალფეროვანია);

ადამიანები უვლიან მცენარეებსა და ცხოველებს;

ადამიანები ერთად ცხოვრობენ და ზრუნავენ ერთმანეთზე (ოჯახის წევრები/ახლობლები და სხვ.);

ადამიანი სხეულის სხვადასხვა ნაწილს სხვადასხვა დანიშნულებით იყენებს (მაგ., ფეხებს – გადასაადგილებლად, ხელებს – დასახატად/დასაწერად, საკვების დასამზადებლად, დასასუფთავებლად, გარემოს მოსაწესრიგებლად, ტელეფონზე დასარეკად და ა.შ);

ადამიანს ცალკეული ორგანოები (შეგრძნების ორგანოები) ეხმარება სითბოს, სიცივის, გემოს, ხმაურის, სუნის შეგრძნებაში, ასევე გარესამყაროს ობიექტების დანახვაში;

სითბოს და სინათლეს გვაძლევს მზე;

ადამიანს, თავადაც შეუძლია სითბოს და სინათლის „შექმნა“;

ხმაურს და ბგერებს აქვს გამომწვევი მიზეზები;

ადამიანს თავად შეუძლია იხმაუროს ან შეინარჩუნოს სიჩუმე/სიმშვიდე;

წელიწადის სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირი ამინდია, ტემპერატურაც განსხვავებულია;

ადამიანი ამინდის შესაბამისად იცვლის ტანსაცმელს;

სპორტული აქტივობები საჭიროა ჯანმრთელობისათვის;

სახლში არსებული ობიექტები გვეხმარება ყოველდღიურ ცხოვრებაში;

ადამიანები (დიდებიც და პატარებიც) იცავენ ჰიგიენის წესებს, იყენებენ ტუალეტს;

ყველა უვლის საკუთარ თავს, ამზადებს მარტივ საკვებს;

ქუჩაში სიარულის დროს იცავენ მოძრაობის წესებს;

გარემოს გასანათებლად ანთებენ შუქს;

სიმშვიდისა და სიწყნარისათვის დაბალ ხმაზე უსმენენ მუსიკას და საუბრობენ ხმადაბლა;

ტრანსპორტით სარგებლობის დროს იცავენ უსაფრთხოების წესებს;

ბავშვები ეხმარებიან უფროსებს, ასევე, მათგანაც ღებულობენ დახმარებასა და მითითებებს;

ადამიანი უვლის და აწესრიგებს სახლს, ოთახებს, ტანსაცმელს და სხვ.;

ადამიანები ზრუნავენ ერთმანეთზე და გარემოზე;

ადამიანები ერთად მუშაობენ, სწავლობენ, ერთმანეთს თავაზიანად ექცევიან;

ბავშვები სვამენ კითხვებს და ღებულობენ პასუხებს;

ადამიანები აკვირდებიან მოვლენებს/პროცესებს, დაკვირვების შედეგად ღებულობენ გამოცდილებას და იყენებენ ცხოვრებაში;

ადამიანებს აქვთ სახელი, გვარი, ასაკი, მისამართი და სხვ.

მძიმე და მრავლობითი გონებრივი განვითარების დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის დაწყებით საფეხურზე ელემენტარული ცოდნის გადაცემა და სასიცოცხლო უნარ-ჩვევის ჩამოყალიბება უნდა განხორციელდეს ინტეგრირებული თემების კონტექსტში. შესაბამისად, სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ცნებები და საკითხები შეძლებისდაგვარად, თემების ფარგლებში უნდა დამუშავდეს.

გ) მეთოდიკური ორიენტირები

სტანდარტის ამ ნაწილში განსაზღვრულია, თუ როგორ და რა პრინციპების საფუძველზე უნდა წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი. ასევე, მოცემულია ინსტრუქციები, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს კონკრეტული სასწავლო ერთეულის – თემის სწავლა-სწავლება და მოცემულ კონტექსტში მოსწავლისათვის მნიშვნელოვანი სასიცოცხლო უნარ-ჩვევების განვითარება.

გონებრივი განვითარების მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის კონკრეტული ცოდნის შეძენა და მისი გამოყენების უნარის გამომუშავება ხდება შესაბამისი მეთოდოლოგიით და სქემით.

გონებრივი განვითარების მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლემ დაწყებით საფეხურზე უნდა შეიძინოს შესაძლებლობის შესაბამისი მინიმალური კომპეტენციები, რისთვისაც

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როგორც სრულფასოვანი ვიზუალური გარემოს შექმნას, ასევე, აუდიალური მოდალობის გააქტიურებას. სასურველია, სწავლის პროცესში აქტიურად იყოს ჩართული კინესთეტიკური მოდალობაც – შეხებით და შეგრძნებით სწავლა. ჩამოთვლილი სამი მოდალობიდან, ერთ-ერთი აუცილებლად იქნება მოსწავლისათვის წამყვანი და ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მინიმალური კომპეტენციების შეძენას. ცნებების შესწავლის პროცესი დაკავშირებული უნდა იყოს ბავშვის ყოველდღიურობაში არსებულ და მისთვის კარგად ნაცნობ საგნებთან.

სასწავლო პროცესში აუცილებელია იმ რეალური საგნების, სასკოლო ნივთების, სურათების/ვიდეოების და სათამაშოების გამოყენება, რომლებსაც მოსწავლეები ხედავენ, ეხებიან ან უსმენენ. ამგვარი აქტივობები უნდა იკავებდეს სასწავლო პროცესის დიდ ნაწილს.

სწავლების პროცესი არ უნდა იყოს ტრადიციული. მოსწავლეს უნდა მიეცეს საშუალება, თავისუფლად გადაადგილდეს ოთახში. სასწავლო რესურსების, სათამაშოების, თვალსაჩინოების ან სურათების დასათვალიერებლად უნდა მოთავსდეს მისთვის მოხერხებულ ადგილას, მოსახერხებელი ფორმით. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელმა უნდა გაიყვანოს სკოლის ეზოში, ბუნებაში და ა.შ.

თვალსაჩინოების გამოყენება:

სწავლებისა და შეფასების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თვალსჩინოების გამოყენებას. დავალების შესრულების ხარისხი (კონკრეტული უნარის გამოვლენა) გამოვლინდება სურათებიდან, სათამაშოებიდან, მანიპულატივებიდან და სხვა სასწავლო რესურსიდან კონკრეტული საგნის ან მოვლენის ამოცნობით (ამ ჯგუფში შედიან ის მოსწავლეებიც, რომელთაც უჭირთ საუბარი). მნიშვნელოვანია, როგორ აღიქვამს მოსწავლე ამა თუ იმ მოვლენას, საგანს და როგორ მოახერხებს მიღებული ცოდნის/გამოცდილების გამოყენებას ყოველდღიურობაში.

კეთებით სწავლა:

მგონებრივი განვითარების მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვის ეფექტიან ფორმას წარმოადგენს კეთება. ასეთ მოსწავლეს მუდმივად სჭირდება ნატიფი მოტორიკის განვითარებაზე მუშაობა (გაფერადება, გამოჭრა, გამოძერწვა ან უბრალოდ შეხება). ამ ფორმით სწავლა-სწავლების დროს ერთვება შეგრძნების ორგანო (შეხება), რომელიც ხშირად წამყვანია ინტელექტუალური განვითარების მძიმე და ღრმა დარღვევების მქონე მოსწავლეებისათვის (მათთვის ხშირად წამყვანია კინესთეტიკური მოდალობა). ამგვარი აქტივობებით შესწავლილი მასალა მყარია და მოსწავლე ადვილად ახერხებს მის გამოყენებას ყოველდღიურ ცხოვრებაში.

კეთებით სწავლის დროს, როდესაც ერთობლივ პროდუქტს ქმნიან (ნახატი, ცოცხალი კუთხე და სხვ.) მოსწავლეები ივითარებენ სოციალურ უნარებს, ეჩვევიან ჯგუფში მუშაობას, ინაწილებენ საქმეს, ეხმარებიან ერთმანეთს, ხდებიან მზუნველები და პასუხისმგებლიანები.

მოსწავლეების მიერ შექმნილი ნამუშევრების სათანადოდ შენახვა და მომდევნო აქტივობების დროს თავლსაჩინოებად გამოყენება საკმაოდ ეფექტურია, როგორც მოსწავლეთათვის მოტივაციის ამაღლების, ასევე, მათი ჩართულობის მიზნით.

საგანთაშორისი ინტეგრირება და ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება:

ეს მეთოდოლოგია მნიშვნელოვან როლს თამაშობს გონებრივი განვითარების მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლის ცხოვრებისათვის მომზადების პროცესში. ინიციატივების

გამოვლენისა და ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების კვალდაკვალ ის მთლიანობაში აღიქვამს მის უშუალო გარემოს/სამყაროს და მისთვის აღარ გამოდის საკითხები/თემები დანაწევრებული საგნების მიხედვით. აქედან გამომდინარე, ხორციელდება მისთვის აუცილებელი კომპეტენციების ფორმირება, ექმნება ერთიანი წარმოდგენა ბუნებაზე, მის უშუალო გარემოზე და საკუთარ ადგილზე ამ გარემოში.

პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული მეთოდოლოგია:

ეს მეთოდოლოგია გულისხმობს მოსწავლის მიერ პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული პრობლემის ამოცნობას და რეაგირებას (ჰიგიენის ნორმების დაცვა, ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება) კონკრეტული ამოცანის გადაჭრის კონტექსტში. ამგვარი სწავლების უპირატესობა ისაა, რომ მოსწავლის მიერ შეძენილი ცოდნა აღარ არის განყენებული, დაცილებული პირად გამოცდილებას, არამედ მოსწავლე ხედავს შესწავლილის პრაქტიკულ გამოყენებას.

კრიტიკულ აზროვნებაზე ორიენტირებული მეთოდოლოგია: გულისხმობს მარტივი შეკითხვების დასმას და კითხვაზე პასუხის გაცემას, მარტივ მსჯელობას (აზრის გამოთქმას). იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს მარტივი მსჯელობა და საკუთარი მოსაზრებების გამოხატვა სიტყვიერად არ შეუძლია, მარტივად უნდა მოვახერხებინოთ არჩევანის გაკეთება მიწოდებულ ვარიანტებს შორის (ნახატი, საგანი, მოვლენის სურათი, ფიგურა და სხვა).

სტანდარტის დანართში მოცემულია სარეკომენდაციო აქტივობები, რომლებიც დაეხმარება პედაგოგს. სარეკომენდაციო შინაარსი და აქტივობები მაქსიმალურად იძლევა მოსწავლის შესაძლებლობის გამოვლენის საშუალებას. მოცემულ კონტექსტში მოსწავლის მიერ კონკრეტული ცოდნის ასაგებად და უნარ-ჩვევის გამოსამუშავებლად მოსწავლესთან მუდმივი და თანმიმდევრული მუშაობაა საჭირო.

ალტერნატიული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზანია მოსწავლეს განუვითაროს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

პრობლემების გადაჭრა	პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული პრობლემის ამოცნობა და რეაგირება (ჰიგიენის ნორმების დაცვა, ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება).
კრიტიკული აზროვნება	მარტივი შეკითხვების დასმა და კითხვაზე პასუხის მოძიება; მარტივი მსჯელობა, საკუთარი მოსაზრებების გამოხატვა და არჩევანის გაკეთება (მიწოდებულ ვარიანტებს შორის).
თანამშრომლობა	დაკისრებული როლის შესრულება მცირე ჯგუფებში მუშაობის დროს; მცირე ჯგუფებში რესურსების გაზიარება.
კომუნიკაცია	განცდილისა და სურვილის/მოთხოვნილების მიტანა მსმენელამდე; სურვილის გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ვერბალური და არავერბალური საშუალებების გამოყენებით; მოკლე, ერთსაფეხურიანი ინსტრუქციის გაგების უნარი.

ეთიკა	სხვისი ემოციების ამოცნობის/გაგების უნარი; საკუთარ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრება.
ინიციატივების გამოვლენა	ცნობისმოყვარეობის გამოვლენა (გამოხატვა).
პასუხისმგებლობა	სასკოლო საქმიანობებში (სასკოლო ცხოვრებაში) დასწავლილი ვალდებულების შესრულება.
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება	ტელეფონზე პასუხი, დასწავლილი ნომრის აკრეფა.
წიგნიერება	ზეპირი და წერითი მეტყველების გზით დასწავლილი ინფორმაციის მიღება (მარტივი ტექსტის, აბრების, მიმანიშნებლების, თავისი წამლის ამოცნობა).
დროში და სივრცეში ორიენტირება	დროისა და სივრცის აღქმა

დ) შეფასება:

იმისათვის, რომ შედეგი ჩაითვალოს მიღწეულად, მასწავლებელი უნდა დააკვირდეს და შეაფასოს მოსწავლეთა მიერ გამომუშავებული უნარები, ხშირად მისცეს განმეორებისა და სხვადასხვა სიტუაციაში გამოყენების საშუალება, რათა დარწმუნდეს უნარ-ჩვევის გენერალიზაციის დონეზე გამოყენებაში/განმტკიცებაში. მასწავლებელი სარეკომენდაციოდ მოცემულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით ქმნის შეფასების რუბრიკას. ის აკვირდება მოსწავლის მიერ დავალების შესრულების პროცესს, მოსწავლის მიერ მიღწეულ შედეგებს ადარებს მოკლევადიან მიზნებთან და შემუშავებულ რუბრიკაზე დაყრდნობით აძლევს განმავითარებელ შეფასებას.

მაგალითისათვის მოყვანილია ცოცხალ ორგანიზმთა კატეგორიზაციის უნარის შესაფასებელი რუბრიკა, რომელიც შემუშავებულია შეფასების სარეკომენდაციო კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

შეფასების კრიტერიუმი	არ არის განვითარებული	დამაკმაყოფილებელია	განვითარებულია
ჩამოთვლის ნაცნობ მცენარეებს	ვერ ასახელებს მცენარეს	ჩამოთვლის მინიმუმ 2 ნაცნობ მცენარეს	ჩამოთვლის მინიმუმ 5 ნაცნობ მცენარეს
ჩამოთვლის ნაცნობ ცხოველებს	ვერ ასახელებს ცხოველს	ჩამოთვლის მინიმუმ 2 ნაცნობ ცხოველს	ჩამოთვლის 5 ნაცნობ ცხოველს
ამოიცნობს სურათებში/ბუნებაში მცენარეებს და ახასიათებს	ვერ ამოიცნობს	ამოიცნობს სურათებში/ბუნებაში მცენარეებს, მაგრამ ვერ ახასიათებს	ამოიცნობს სურათებში მინიმუმ 5 მცენარეს და ახასიათებს

ამოიცნობს სურათებში ცხოველებს და ახასიათებს	ვერ ამოიცნობს	ამოიცნობს სურათებში ცხოველებს, მაგრამ ვერ ახასიათებს	ამოიცნობს სურათებში მინიმუმ 5 ცხოველს და ახასიათებს
განაცალკევებს მცენარეებისა და ცხოველების სურათებს ორ ჯგუფად	ვერ განაცალკევებს	განაცალკევებს მცენარეებისა და ცხოველების სურათებს, თუმცა შეცდომით	განაცალკევებს მცენარეებისა და ცხოველების სურათებს უშეცდომოდ
ჩამოთვლის ცხოველების სიცოცხლისათვის აუცილებელ პირობებს	ვერ ასახელებს	ჩამოთვლის ცხოველების სიცოცხლისათვის აუცილებელ მინიმუმ 2 პირობას	ჩამოთვლის ცხოველების სიცოცხლისათვის აუცილებელ პირობებს - მინიმუმ სამ მახასიათებელს
ჩამოთვლის მცენარეების არსებობისათვის აუცილებელ პირობებს	ვერ ასახელებს	ჩამოთვლის მცენარეების სიცოცხლისათვის აუცილებელ მინიმუმ 2 პირობას	ჩამოთვლის მცენარეების არსებობისათვის აუცილებელ პირობებს - მინიმუმ სამ მახასიათებელს

მაგალითისათვის მოყვანილია კონტეინერში ბაღის მოდელის გაშენების შესაფასებელი რუბრიკა, რომელიც შემუშავებულია შეფასების სარეკომენდაციო კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

შეფასების კრიტერიუმი	არ არის განვითარებული	დამაკმაყოფილებელია	განვითარებულია
უვლის და ხელს უწყობს ჯეჯილის ზრდას	ვერ ახერხებს ჯეჯილის ზრდის ხელის შეწყობას	ჯეჯილს რწყავს, მაგრამ ხანდახან ავიწყდება. ცდილობს სინათლეში იყოს, მაგრამ სითბოც რომ სჭირდება, ყოველთვის არ ახსენდება	განათავსებს ფანჯარასთან, სითბოში, საჭიროების მიხედვით რწყავს
ირჩევს საკლასო ოთახში ჯეჯილის ზრდისათვის საუკეთესო ადგილს	ვერ ირჩევს საკლასო ოთახში ჯეჯილის ზრდისათვის ადგილს	მასწავლებლის დახმარებით ამოირჩევს საკლასო ოთახში ჯეჯილის ზრდისათვის საუკეთესო ადგილს	დამოუკიდებლად ამოირჩევს საკლასო ოთახში ჯეჯილის ზრდისათვის საუკეთესო ადგილს

ჩამოთვლის/ამოიცნობს მცენარის ზრდისთვის აუცილებელ პირობებს (წყალი, ჰაერი, მზის სინათლე, ტემპერატურა)	ვერ ამოიცნობს მცენარის ზრდისთვის აუცილებელ პირობებს	ამოიცნობს მცენარის ზრდისთვის აუცილებელი პირობებიდან მინიმუმ სამს (მაგ., წყალი, ჰაერი, მზის სინათლე, ტემპერატურა)	ჩამოთვლის / ამოიცნობს მცენარის ზრდისთვის აუცილებელ ყველა პირობას - წყალი, ჰაერი, მზის სინათლე, ტემპერატურა
თესავს კონტეინერებში სტაფილოს, კარტოფილს და ა.შ. დაკვირვების შედეგებს წარმოადგენს ხელსაყრელი ფორმით	ვერ ახერხებს კონტეინერებში სტაფილოს, კარტოფილს და ა.შ. ჩათესვას.	მასწავლებლის დახმარებით ჩათესავს კონტეინერებში სტაფილოს, კარტოფილს და დაკვირვების შედეგებს წარმოადგენს სასურველი ფორმით.	დამოუკიდებლად ჩათესავს კონტეინერებში სტაფილოს, კარტოფილს ან სხვას და დაკვირვების შედეგებს წარმოადგენს ხელსაყრელი ფორმით (ნახატი, ჩანიშნული მონაცემები და სხვ.)
რგავს ნერგს და უვლის (დროდადრო წყლის დასხმა, მიწის გაფხვიერება)	ვერ ახერხებს ნერგის დარგვას.	რგავს ნერგს მასწავლებლის დახმრებით და ინსტრუქციის მიხედვით უვლის	დამოუკიდებად რგავს ნერგს და უვლის- დროდადრო ასხამს წყალს, უფხვიერებს მიწას და სხვა.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ალტერნატიული სტანდარტი

გონებრივი განვითარების მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეებისათვის

შესავალი

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ალტერნატიული სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

ა) გონებრივი განვითარების მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;

ბ) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ალტერნატიული სტანდარტის შედეგები და შინაარსი;

გ) მეთოდიკური ორიენტირები;

დ) შეფასება.

საგან „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების“ ფარგლებში ინტელექტუალური განვითარების მძიმე და ღრმა დარღვევების მქონე მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ შემოქმედებით პროცესში, ეუფლებიან პრაქტიკულ და შრომით უნარებს. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ ისწავლონ თამაშით, კეთებით. დააკვირდნენ მათ უშუალო გარემოს და მიღებულ შთაბეჭდილებები, ემოციები გადმოსცენ/ ასახონ ნამუშევრებში, გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულება, აზრი. გამოსცადონ და გამოიყენონ სხვადასხვა მასალა, ტექნიკა, იარაღი, პროცედურა.

ა) გონებრივი განვითარების მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის საგნის სწავლა-სწავლების მიზნები:

მოსწავლის ჩაბმა შემოქმედებით საქმიანობაში;

სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენა;

შემოქმედებითი საქმიანობის ელემენტარულ ტექნიკურ საშუალებათა დაუფლება;

სამუშაო გარემოს მოწესრიგებისა და მოვლის, შრომითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება;

სივრცითი წარმოდგენების, დაკვირვების უნარის, მხედველობითი მეხსიერებისა და ნატიფი მოტორიკის განვითარება;

მარტივი მსჯელობის, დამოკიდებულების გამოხატვის, წარდგენის უნარის განვითარება;

საკომუნიკაციო უნარების განვითარება.

ამ მიზნებზე მუშაობით ალტერნატიული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება თავის წვლილს შეიტანს ინტელექტუალური განვითარების მძიმე და ღრმა დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

ბ) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ალტერნატიული სტანდარტის შედეგები და შინაარსი

სტანდარტის შედეგები განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას, რა უნდა შეეძლოს ინტელექტუალური განვითარების მძიმე და ღრმა დარღვევების მქონე მოსწავლეს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ფარგლებში დაწყებითი საფეხურის ბოლოს.

სტანდარტის შედეგები ჯგუფდება სამ მიმართულებად:

შემოქმედებითობა და პრაქტიკა – გულისხმობს მოსწავლეების ჩართვას/მონაწილეობას შემოქმედებით საქმიანობაში, გარემოზე დაკვირვებასა და შთაბეჭდილებების, ემოციების გადმოცემას/ასახვას ნამუშევარში, ელემენტარული გამომსახველობითი საშუალებების და ხერხების (ელემენტების, პრინციპების) გამოყენებას, სხვადასხვა ტექნიკის, მასალისა, იარაღის, პროცედურის გაცნობას და გამოყენებას. ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გაღვივებას პრაქტიკული და შემოქმედებითი პროცესის/საქმიანობის მიმართ. აღჭურვილობის მოტანა-მოწესრიგების, დროის ლიმიტის, კლასში მოქცევის, ჰიგიენისა და უსაფრთხოების წესების დაცვის, სამუშაო ადგილის, საკლასო ოთახის მოწესრიგების უნარების გამომუშავებას; ელემენტარულ შრომით საქმიანობაში მონაწილეობას (მაგ., მონაწილეობა საკლასო ოთახის მოწესრიგებაში, გაფორმებაში, ეზოს დასუფთავება-გალამაზებაში და სხვ.).

კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია – გულისხმობს საკუთარი/სხვის ნამუშევრის, ხელოვნების ნიმუშის შესახებ საკუთარი აზრის, დამოკიდებულების გამოხატვას, ელემენტარული ტერმინების ადეკვატურად გამოყენებას, ან მათზე რეაგირებას, რჩევისა და მითითების გაგებასა და შესრულებას, სხვისი აზრის მოსმენას, ერთობლივ (წყვილში, ჯგუფში, გუნდში) და დამოუკიდებელ მუშაობას და თანამშრომლობას. მონაწილეობას ექსკურსიაში, საკლასო და სასკოლო გამოფენებში, სპექტაკლებში, ზეიმებსა და სხვა ღონისძიებებში.

ხელოვნების აღქმა კონტექსტში – გულისხმობს ხელოვნებისა სხვადასხვა გამოვლინების (მაგ., ქანდაკება, ნახატი, არქიტექტურული ნაგებობა, დეკორატიული ხელოვნების ნიმუში, წიგნის ილუსტრაცია, ანიმაციური ფილმი და სხვ.) აღქმას მის უშუალო გარემოში, დაკავშირებას ყოველდღიურ ცხოვრებასთან და საკუთარ გამოცდილებასთან, ურთიერთობას ხელოვნების ნიმუშებთან (თვალიერება, ნაცნობი შინაარსის, სიუჟეტის ამოცნობა, გაფრთხილება და სხვ.).

სტანდარტის შინაარსი განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს და რა უნდა შეძლოს მოსწავლემ. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ალტერნატიული სტანდარტის შინაარსი აღიწერება ცნებებისა და სარეკომენდაციო თემების სახით.

ცნებები, რომელსაც შესაძლებლობის შესაბამისად უნდა დაეუფლოს მოსწავლე, უნდა დამუშავდეს მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებში.

შერჩეულია სარეკომენდაციო თემები, რომელთა დამუშავების დროს ინტეგრირებულად მოხდება მოსწავლისათვის კომპლექსური ცოდნის მიწოდება, უნარ-ჩვევის განვითარება და დამოკიდებულების ჩამოყალიბება.

შეფასების ინდიკატორები განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს კონკრეტულ თემაში (თითოეულ ინდიკატორთან მითითებულია მასთან დაკავშირებული შედეგის /შედეგების ინდექსი).

ინდექსების განმარტება

დაწყებითი საფეხურის სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., ალტ.ს.გ.დაწყ.1.:

,,ალტ“ - მიუთითებს ალტერნატიული ეროვნულ სასწავლო გეგმას;

„ს.გ.“ - მიუთითებს საგანს „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“;

„დაწყ“ - მიუთითებს დაწყებით საფეხურს;

„1,2,3...“ - მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ალტერნატიული სტანდარტი	
შედეგების ინდექსები	სტანდარტის შედეგები
	მიმართულება: შემოქმედებითობა და პრაქტიკა
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
ალტ.ს.გ.დაწყ.1.	საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით გუნება-განწყობილების (ემოციების) და/ან გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების მარტივად გადმოცემა/ასახვა ნამუშევარში სახვითი ხელოვნების რამდენიმე ძირითადი ელემენ-ტისა და პრინციპის გამოყენებით.
ალტ.ს.გ.დაწყ.2.	სხვადასხვა მასალის, ტექნიკის, იარაღის შერჩევა და უსაფრთხოდ გამოყენება.
	მიმართულება: კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
ალტ.ს.გ.დაწყ.3.	სამუშაოს შესრულება თანაკლასელებთან თანამშრომლობით (წყვილში, გუნდში).
ალტ.ს.გ.დაწყ.4.	ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის შესახებ აზრის, შთაბეჭდილებების გაზიარება ელემენტარული ტერმინოლოგიის გამოყენებით.
	მიმართულება: ხელოვნების აღქმა კონტექსტში
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
ალტ.ს.გ.დაწყ.5.	ხელოვნების აღქმა გარემოში და საკუთარი დამოკიდებულებისა და შთაბეჭდილების გამოხატვა.
ალტ.ს.გ.დაწყ.6.	ნამუშევრის/ ხელოვნების ნიმუშის შინაარსის დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან, საკუთარ გამოცდილებასთან.

ცნებები

სახვითი ხელოვნების ელემენტები: ხაზი (მაგ., სქელი, წვრილი, გრძელი, მოკლე; კონტური და სხვ.); ფაქტურა; ფერი (მაგ., ყვითელი, წითელი, ლურჯი, ნარინჯისფერი, მწვანე, იისფერი, ცისფერი, ვარდისფერი, ყავისფერი, თეთრი, შავი, ნაცრისფერი და სხვ., ცისარტყელა); ფორმა (მაგ., სამკუთხედი, ოთხკუთხედი, წრე და სხვ., ბრტყელი და მოცულობითი);

სახვითი ხელოვნების პრინციპები: მაგ., რიტმი, საგანთა თანაფარდობა (მაგ., შედარებით დიდი და შედარებით პატარა), სასურათე სიბრტყეზე/ფორმატზე გამოსახულების განაწილება.

ტექნიკა და პროცედურა: მაგ., ფერწერა, გრაფიკა, ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი, მოზაიკა, ანაბეჭდი, ქაღალდის პლასტიკა და სხვ.

სარეკომენდაციო მასალა და იარაღი: მაგ., ფანქარი, პასტელი, ფლომასტერი, გუაში, აკვარელი, ნახშირი, ფერადი ცარცები, ფერადი ქაღალდი, მუყაო, ქსოვილი, პლასტილინი, თიხა, სხვა მასალა (ტრადიციული და არატრადიციული, ბუნებრივი და ხელოვნური), ფუნჯი, მაკრატელი, წებო და სხვ.

მკვიდრი წარმოდგენები

გარემოზე დაკვირვების შედეგები შეიძლება ნამუშევარში გამოვიყენოთ/ ავსახოთ;

გარემოში შეგვიძლია ამოვიცნოთ ხაზები, ფორმები, ფერები, რიტმი;

ხაზების, ფორმების, ფერების, რიტმის გამოყენებით შეიძლება ნამუშევარი შევქმნათ;

გარემოში/ხელოვნების ნიმუშში/ნამუშევარში შეგვიძლია ამოვიცნოთ შედარებით დიდი და შედარებით პატარა გამოსახულებები, საგნები;

ნამუშევარში შეიძლება გადმოვცეთ საგანთა თანაფარდობა (დიდი-პატარა, მოკლე-გრძელი და სხვ.);

ხაზებით, ფერებით, ფორმებით, სხვადასხვა მასალით შესაძლებელია ნებისმიერი რამ გამოვსახოთ - გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები, ემოციები, ჩანაფიქრი, დამოკიდებულება;

შეცდომა ყოველთვის შეიძლება ნამუშევრის ნაწილად ვაქციოთ;

შეგვიძლია დავხატოთ, გამოვძერწოთ, გავაკეთოთ აპლიკაცია, კოლაჟი, ანაბეჭდი და სხვ. სხვადასხვა მასალის გამოყენებით;

ნამუშევარი შეიძლება შევქმნა როგორც სხვადასხვა მასალით და იარაღით (მაგ., ფუნჯით, ფანქრით, მაკრატლით), ისე თითებით, ხელებით (მაგ., გავაფერადო ან დავხატო საღებავიანი თითით, ხელისგულით, ხელის ანაბეჭდით და სხვ.);

შეიძლება გამოვცადოთ სხვადასხვა ნაცნობი და უცნობი მასალა, იარაღი და მიღებული გამოცდილება გამოვიყენოთ ნამუშევრის შექმნისას;

თანამედროვე ტექნოლოგიები (მაგ., ციფრული სახატავი პროგრამა, კომპიუტერი, პლანშეტი, მობილური ტელეფონი, ციფრული კამერა და სხვ.) შეიძლება სხვადასხვაგვარად გამოვიყენოთ – ნამუშევრის შექმნისას, ხელოვნების გაკვეთილებზე, მუზეუმში, გალერეაში და სხვ.;

გარემოში შეიძლება ამოვიცნოთ ხელოვნების ნიმუშები;

საკუთარ/სხვის ნამუშევარში/ხელოვნების ნიმუშებში შეიძლება ამოვიცნოთ ნაცნობი გამოსახულებები, საგნები, სიუჟეტი და სხვ.;

ნამუშევარი შეიძლება შევქმნათ მარტო და სხვებთან ერთად;

საკუთარ და სხვის ნამუშევრებს, ხელოვნების ნიმუშებს ვუფრთხილდებით, არ ვაზიანებთ;

ნამუშევრის შექმნის დროს სხვებთან თანამშრომლობით ბევრი რამის სწავლა, საინტერესო გამოცდილების მიღება შეიძლება;

ხელოვნების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნა და გამოცდილება შეიძლება სხვაგან გამოვიყენოთ (სხვა გაკვეთილზე, ქუჩაში, სახლში და სხვ.).

გონებრივი განვითარების მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის დაწყებით საფეხურზე ელემენტარული ცოდნის გადაცემა და სასიცოცხლო უნარ-ჩვევის ჩამოყალიბება უნდა განხორციელდეს ინტეგრირებული თემების კონტექსტში. შესაბამისად, სტანდარტით განსაზღვრული შედეგები და ცნებები შეძლებისდაგვარად თემების ფარგლებში უნდა დამუშავდეს.

გ) მეთოდიკური ორიენტირები

თვალსაჩინოების გამოყენება:

სახვით და გამოყენებით ხელოვნების გაკვეთილებზე განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება თვალსაჩინოების გამოყენებას. თვალსაჩინოების როლი (როგორც შთაბეჭდილების წყარო) შეიძლება შეასრულოს უშუალო გარემომ (მაგ., საკლასო ოთახი, სკოლა, ეზო, ქუჩა, სახლი, ადამიანები, მოვლენები, ტრანსპორტი, ცხოველები და სხვ.). ვიზუალური რესურსები (მაგ., პლაკატი, ნახატი, ფოტო, რეპროდუქცია; საგნები, ნივთები, ბუნებრივი და ხელოვნური მასალა, ნაკეთობები და სხვ.) რომლებიც სხვადასხვა შეგრძნების ორგანოებით აღქმისთვისაა განკუთვნილი უბიძგებს მოსწავლეებს უფრო კარგად აღიქვან, ინტერესი გამოხატონ, გამოსცადონ და თვითონაც გაუჩნდეთ ნამუშევრის შექმნის სურვილი. მოსწავლეთა ნამუშევრების მომდევნო აქტივობების დროს თავლსაჩინოებად გამოყენება, საკმაოდ ეფექტურია, როგორც მოსწავლეთათვის მოტივაციის ამაღლების, ასევე, მათი ჩართულობის მიზნით. მათი სასკოლო სივრცეში (კლასი, დერეფანი, ფოიე და ა.შ.) გამოფენა კი წამახალისებელი და სტიმულის მომცემი იქნება როგორც თავად მოსწავლეებისთვის, ისე მასწავლებლებისა და მშობლებისთვის; ხელს შეუწყობს სკოლის გარემოში ხალისიანი, მიმზიდველი ატმოსფეროს შექმნას. შეძლებისდაგვარად ყველა მოსწავლეს უნდა ქონდეს გამოფენაში მონაწილოების, ნამუშევრის წარდგენის საშუალება, რადგან ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მათ, იამაყონ იმით რაც გააკეთეს/შექმნეს, გაუზიარონ, აჩვენონ, წარუდგინონ სხვებს.

კეთებით სწავლა:

სახვით და გამოყენებით ხელოვნების გაკვეთილებზე წამყვნი ადგილი კეთებით სწავლებას ენიჭება. ინტელექტუალური განვითარების მძიმე და ღრმა დარღვევების მქონე მოსწავლეების სასწავლო პროცესში ჩართვის ეფექტიან ფორმას სწორედ კეთება წარმოადგენს. ნატიფი მოტორიკის განვითარებისთვის მოსწავლეებს საშუალება უნდა მიეცეთ გამოიყენონ, გამოსცადონ სხვადასხვა მასალა, სამუშაო იარაღი, შექმნან ნამუშევრები სხვადასხვა (ტრადიციული და არატრადიციული) ხერხით, მაგ., ხატონ საღებავიანი თითებით, ხელისგულებით და გააკეთონ ანაბეჭდები, გამოიყენონ სხვადასხვა ნივთები, საგნები, გამოძერწონ, გამოჭრან, ამოხიონ, დაკუჭონ და ა.შ. კეთებით სწავლის დროს, როდესაც ერთობლივ ნამუშევარზე მუშაობენ, მოსწავლეები ივითარებენ სოციალურ უნარებს, ეჩვევიან თანამშრომლობას, ჯგუფში მუშაობას, სამუშაოს განაწილებას, ერთმანეთის დახმარებას, მზრუნველობას, პასუხისმგებლობას.

საგანთაშორისი ინტეგრირება და ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება:

ეს მეთოდოლოგია მნიშვნელოვან როლს თამაშობს გონებრივი განვითარების მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლის ცხოვრებისათვის მომზადების პროცესში. სასწავლო დისციპლინების ინტეგრაციაში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მონაწილეობა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე (თვალსაჩინო-სახეობრივი ბუნება, შემოქმედებითი, პრაქტიკული, შრომითი საქმიანობა, მრავალფეროვანი მასალის, იარაღის, ტექნიკის გამოყენება, მოტორული უნარების განვითარების ხელშეწყობა და სხვ.), ხელს უწყობს მოსწავლეს მთლიანობითი წარმოდგენა შეექმნას გარემომცველ სამყაროზე, ასევე, აღიქვას ხელოვნება, როგორც მისი უშუალო გარემოს შემადგენელი განუყოფელი ნაწილი.

პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული მეთოდოლოგია:

გულისხმობს მარტივი პრობლემის გადაჭრას შემოქმედებით-პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისას, ახალი მასალის, ცნების, საკითხების შესწავლისას (და რომელიც მარტივი დავალების სახით შეიძლე იყოს მიწოდებული, მაგ., მოცემული გეომეტრიული ფორმებით/ფიგურებით ან ფერადი ფურცლის ზოლებით/ხაზებით სახლის გამოსახვა და სხვ.); სხვადასხვა სამუშაო იარაღის, მასალის ხმარებისას მათი თავისებურებების ამოცნობას და შესაბამისად გამოყენებას (მაგ., მაკრატლის სწორად დაჭერა, რომ გაჭრას (ქაღალდი, ქსოვილი, ძაფი და ა.შ.), წებოსთვის თავის მოხდა რომ დააწებოს და ა.შ.);

მიღებული გამოცდილების, ცოდნის გამოყენებას მოსწავლისთვის ნაცნობ, საინტერესო, განსხვავებულ კონტექსტებში. შედეგად მოსწავლე ხედავს რა პრაქტიკული გამოყენება აქვს იმას, რასაც ის შეისწავლის. მის მიერ შეძენილი ცოდნა აღარ არის განყენებული და დაცილებული მისი პირადი გამოცდილებიდან.

კრიტიკულ აზროვნებაზე ორიენტირებული მეთოდოლოგია:

გულისხმობს ნამუშევრის შესახებ, მუშაობის პროცესში და ა.შ. მარტივი შეკითხვების დასმას, კითხვაზე პასუხის გაცემას ვერბალურად და არავერბალურად; საკუთარ, სხვის ნამუშევარზე აზრის გამოთქმას, მარტივ მსჯელობას, დამოკიდებულების გამოხატვას (მაგ., მხიარულია, სევდიანია, მომწონს, არ მომწონს, შეძლებისდაგვარად ახსნას, რატომ მოსწონს და სხვ.); მასალის, ტექნიკის, იარაღის, სახვითი ხელოვნების ელემენტების, ნამუშევრის ტიპის, ტექნიკის, მასალის არჩევას მიწოდებულ ვარიანტებს შორის (მაგ., ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია, პლასტილინი, ფანქრები და სხვ.).

დ) შეფასება

სტანდარტის მოთხოვნათა დასაფარად, მოსწავლეთა შეფასებისას, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში რეკომენდებულია სხვადასხვა ტიპის დავალების გამოყენება. დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს ამგვარი:

კონკრეტული მარტივი პრაქტიკული სამუშაოს შესრულება ან მარტივი ნამუშევრის შექმნა გარკვეულ თემაზე;

საკუთარი და სხვისი ნამუშევრების აღწერა/აზრის გამოთქმა მარტივად;

ხელოვნების ნიმუშის შესახებ მარტივი მსჯელობა (მაგ., შინაარსის, სიუჟეტის, ელემენტების, პრინციპების ამოცნობა და ა.შ.);

დაკვირვება გარემოზე (დაკვირვების შედეგებზე მარტივი მსჯელობა ან მარტივად ასახვა ნამუშევარში).

შეიძლება შეფასდეს შემდეგი ცოდნა და უნარ-ჩვევები:

შემოქმედებით-პრაქტიკულ საქმიანობაში მონაწილეობა/ჩართულობა;

მასალის, ტექნიკის, ელემენტების, პრინციპების გამოყენება;

ნამუშევრის შესახებ საუბარი (გამოყენებულ მასალაზე, ტექნიკაზე, ელემენტებზე, პრინციპებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით და სხვ.);

საკუთარი აზრის გამოთქმა;

კითხვებზე ადეკვატური პასუხი;

თანამშრომლობა (მეწყვილესთან, ჯგუფის წევრებთან);

ხელოვნების ნიმუშის ამოცნობა და მარტივი მსჯელობა;

ორგანიზებულობა (დროის ლიმიტის დაცვა, საჭირო მასალის, აღჭურვილობის ქონა, მოვლა).

მუსიკის ალტერნატიული სტანდარტი

გონებრივი განვითარების მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეებისათვის

შესავალი

მუსიკის სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

ა) გონებრივი განვითარების მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;

ბ) მუსიკის ალტერნატიული სტანდარტის შედეგები და შინაარსი;

გ) მეთოდიკური ორიენტირები;

დ) შეფასება.

საგან „მუსიკის“ ფარგლებში გონებრივი განვითარების მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ შემოქმედებით პროცესში: გარე სამყაროს ხმების, მუსიკალური ინტონაციების, რიტმის, მელოდიის ხილულ ანალოგიებთან (საგნებთან, ადამიანთან, ბუნებასთან, ფერებთან) დაკავშირება. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ ისწავლონ თამაშით, კეთებით. დააკვირდნენ მათ უშუალო გარემოს და მიღებულ შთაბეჭდილებები, ემოციები გადმოსცენ/ ასახონ ხმით, ბგერით, რიტმით, ჟესტით, მიმიკით და საცეკვაო ელემენტებით. ბგერების, ხმების, მუსიკალური ფრაგმენტების მოსმენით აღწერონ საგანი (დიდია, პატარა, მძიმე, მსუბუქი და ა.შ.), ბუნებრივი მოვლენა ადამიანი. ბგერით, რიტმით, მიმიკით, მუსიკალური ფრაგმენტებით გადმოსცენ საკუთარი ემოციები, დამოკიდებულება.

ა) გონებრივი განვითარების მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

მოსწავლის ჩაბმა შემოქმედებით საქმიანობაში;

საკუთარი განცდის, ემოციის, განწყობის, დამოკიდებულების სხვადასხვა ხერხებით გამოხატვა;

წარმოსახვითი უნარების განვითარება;

სივრცითი წარმოდგენების, დაკვირვების უნარის, მხედველობითი მეხსიერებისა და ნატიფი მოტორიკის განვითარება;

მარტივი მსჯელობის, დამოკიდებულების გამოხატვის, წარდგენის უნარის განვითარება;

საკომუნიკაციო უნარების განვითარება.

ამ მიზნებზე მუშაობით მუსიკის ალტერნატიული სწავლება თავის წვლილს შეიტანს ინტელექტუალური განვითარების მძიმე და ღრმა დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

ბ) მუსიკის ალტერნატიული სტანდარტის შედეგები და შინაარსი

სტანდარტის შედეგები განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას, რა უნდა შეეძლოს ინტელექტუალური განვითარების მძიმე და ღრმა დარღვევების მქონე მოსწავლეს მუსიკის ფარგლებში დაწყებითი საფეხურის ბოლოს.

სტანდარტის შედეგები ჯგუფდება ორ მიმართულებად:

შემოქმედებითობა და პრაქტიკა - ამ მიმართულების უშუალო მიზანია მოსწავლის შემოქმედებითი უნარების განვითარება. მოსწავლე ეუფლება გარესამყაროში არსებული მოვლენების, სახეების მუსიკალური გამოხატვის სხვადასხვა ფორმას და გამომსახველობით ხერხს; მას უვითარდება შემოქმედებითი უნარები, რაც ხელს უწყობს საკუთარი თავის აღმოჩენაში, გამოხატვასა და განვითარებაში: მხატვრული სახის, განწყობილების, ემოციის გადმოცემისას მოსწავლე იყენებს ხმებს, ხმაურს, მუსიკალურ მელოდიებს და ეუფლება ხელოვნების სხვა დარგების გამომსახველობით საშუალებებსაც - ცეკვას, პანტომიმას, ხატვას, დეკლამაციას.

შემოქმედებითი აქტივობების დროს - სიმღერა, დაკვრა, ცეკვა, სცენის გათამაშება - მოსწავლე წარდგება აუდიტორიის წინაშე, ეჩვევა და უყალიბდება წარდგენის, აუდიტორიასთან ურთიერთობის უნარ-ჩვევა და ეჩვევა საკუთარი ემოციების, ქცევის მართვას.

მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია - მუსიკა, რომელიც აღიარებულია საკომუნიკაციო ენად, მრავალგვარი და მრავალჯერადი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. მოსწავლე მუსიკის შესახებ მიღებულ ინფორმაციას აკავშირებს გარემოსთან, ყოველდღიურ მოვლენებთან და საკუთარ გამოცდილებასთან, სხვა საგნობრივ დისციპლინებთან. აღიქვამს მუსიკას, როგორც სამყაროს ნაწილს, იკვლევს და აკვირდება ხმის წარმოქმნის წყაროებს; ეჩვევა ხმოვან სამყაროსთან, მუსიკასთან კომუნიკაციას - მუსიკის მოსმენას, მუსიკისა და პერფორმანსის შეფასებას, აზრის ნათლად გამოთქმას, დამოკიდებულების გამოხატვას, ელემენტარული ტერმინების ადეკვატურად გამოყენებას, ან მათზე რეაგირებას, რჩევისა და მითითების გაგებასა და შესრულებას, სხვისი აზრის მოსმენას, ერთობლივ (წყვილში, ჯგუფში, გუნდში) და დამოუკიდებელ მუშაობას და თანამშრომლობას. მონაწილეობას ექსკურსიაში, საკლასო და სასკოლო სპექტაკლებში, ზეიმებსა და სხვა ღონისძიებებში.

სტანდარტის შინაარსი განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს და რა უნდა შეძლოს მოსწავლემ. მუსიკის ალტერნატიული სტანდარტის შინაარსი აღიწერება ცნებებისა და სარეკომენდაციო თემების სახით.

ცნებები, რომელსაც შესაძლებლობის შესაბამისად უნდა დაეუფლოს მოსწავლე, უნდა დამუშავდეს მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებში.

შერჩეულია სარეკომენდაციო თემები, რომელთა დამუშავების დროს ინტეგრირებულად მოხდება მოსწავლისათვის კომპლექსური ცოდნის მიწოდება, უნარ-ჩვევის განვითარება და დამოკიდებულების ჩამოყალიბება.

შეფასების ინდიკატორები განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს კონკრეტულ თემაში (თითოეულ ინდიკატორთან მითითებულია მასთან დაკავშირებული შედეგის /შედეგების ინდექსი).

ინდექსების განმარტება

დაწყებითი საფეხურის სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., ალტ.ს.გ.დაწყ.1.:

,,ალტ“ - მიუთითებს ალტერნატიული ეროვნულ სასწავლო გეგმას;

„მუს.“ - მიუთითებს საგანს „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“;

„დაწყ“ - მიუთითებს დაწყებით საფეხურს;

„1,2,3...“ - მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

მუსიკის სტანდარტი (I-IV კლასები)

შედეგების ინდექსი	1. მიმართულება: შემოქმედება და პრაქტიკა
	სტანდარტის შედეგები მოსწავლემ უნდა შეძლოს:
მუს.დაწყ.(I).1.	გარესამყაროში ბუნებრივად არსებული და ხელოვნურად შექმნილი ხმის, ბგერის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) გამოყენება გარკვეული ემოციური მდგომარეობის გადმოსაცემად;
მუს.დაწყ.(I).2.	ხმის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) მეშვეობით გარესამყაროს ასახვა;
	2. მიმართულება: მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
მუს.დაწყ.(I).4.	მოსმენის დროს სახე-ხატების შექმნაში მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) როლის განსაზღვრა;
მუს.დაწყ.(I).5.	ცალკეულ მუსიკალურ ელემენტებს (მაგ.: რიტმს, ტემპს, მელოდიას და ა.შ.), ხმაურსა და ვიზუალურ რიგს შორის ასოციაციური კავშირების გაბმა;

ცნებები

ცნებები და ტერმინები:

საგნის სწავლა-სწავლების პროცესი უნდა წარიმართოს შემდეგი ცნებების დამუშავების საფუძველზე:

მუსიკალური ენის ძირითადი ელემენტები: რიტმი, მელოდია;

მუსიკალური ენის არაძირითადი ელემენტები: ტემპი, რეგისტრი, ტემბრი);

მეტრი: ორწილადი, სამწილადი, ოთხწილადი;

ბუნებრივი და ხელოვნურად შექმნილი ხმები;

ბგერის თვისებები: სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა, ტემბრი;

საკომპოზიციო ხერხები: რიტმული და მელოდიური ოსტინატო, რიტმული და მელოდიური მონაცვლეობა, მუსიკალური კოლაჟი:

მუსიკის სხვადასხვა სიმბოლოებით ჩაწერა:

მკვიდრი წარმოდგენები

ბუნებრივი და ხელოვნურად შექმნილ ხმების (სინთეტური ხმები) მეშვეობით მუსიკალური კომპოზიციის შექმნა შეიძლება;

ხმით, ხმაურით, მელოდიით, რიტმით, ჰარმონიით განწყობა, განცდა, ადამიანის შინაგან მდგომარეობის გადმოცემა შეიძლება;

რიტმით და მელოდიით მოძრაობის გადმოცემა შეიძლება;

ხმის, ხმაურის, მელოდიის, რიტმის მეშვეობით ბუნების მოვლენების, ხმების მიბაძვა შეიძლება;

ხმის, ხმაურის, მელოდიის, რიტმის მეშვეობით ხასიათის გადმოცემა შეიძლება;

ხმის, ხმაურის, მელოდიის, რიტმის მეშვეობით ქცევის მანერის ჩვენება შეიძლება;

ხმის, ხმაურის, მელოდიის, რიტმის მეშვეობით ლიტერატურული პერსონაჟის, კინოგმირის და ა.შ. დახასიათება შეიძლება;

ხმის, ხმაურის, მელოდიის, რიტმის მეშვეობით რაიმე მოვლენის, ცნების, საგანის დახასიათება შეიძლება;

ხმის, ხმაურის, მელოდიის, რიტმის მეშვეობით ამბის „მოყოლა“ შეიძლება;

ხმის, ხმაურის, მელოდიის, რიტმის მეშვეობით სურათის, ადამიანის, ბუნების მოვლენების და სხვ აღწერა შეიძლება.

ინტელექტუალური განვითარების მძიმე და ღრმა დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის დაწყებით საფეხურზე ელემენტარული ცოდნის გადაცემა და სასიცოცხლო უნარ-ჩვევის ჩამოყალიბება უნდა განხორციელდეს ინტეგრირებული თემების კონტექსტში. შესაბამისად, სტანდარტით განსაზღვრული შედეგები და ცნებები შეძლებისდაგვარად თემების ფარგლებში უნდა დამუშავდეს.

გ) მეთოდიკური ორიენტირები

თვალსაჩინოების გამოყენება:

მუსიკის გაკვეთილებზე განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება თვალსაჩინოების გამოყენებას. თვალსაჩინოების როლი (როგორც შთაბეჭდილების წყარო) შეიძლება შეასრულოს უშუალო გარემომ (მაგ., საკლასო ოთახი, სკოლა, ეზო, ქუჩა, სახლი, ადამიანები, მოვლენები, ტრანსპორტი, ცხოველები და სხვ.). ვიზუალური რესურსები (მაგ., პლაკატი, ნახატი, ფოტო, რეპროდუქცია; საგნები, ნივთები, ბუნებრივი და ხელოვნური მასალა, ნაკეთობები და სხვ.) რომლებიც სხვადასხვა შეგრძნების ორგანოებით აღქმისთვისაა განკუთვნილი უადვილებს მოსწავლეებს დაამყარონ ასოციაციური კავშირები მუსიკის აბსტრაქტულს სახეებთან. მოსწავლეთა ნამუშევრების მომდევნო აქტივობების დროს თავლსაჩინოებად გამოყენება, საკმაოდ ეფექტურია, როგორც მოსწავლეთათვის მოტივაციის ამაღლების, ასევე, მათი ჩართულობის მიზნით. მათი სასკოლო სივრცეში (კლასი, დერეფანი, ფოიე და ა.შ.) ხმების, მუსიკალური ფონის შერჩევა კი წამახალისებელი და სტიმულის მომცემი იქნება როგორც თავად მოსწავლეებისთვის, ისე მასწავლებლებისა და მშობლებისთვის; ხელს შეუწყობს სკოლის გარემოში ხალისიანი, მიმზიდველი ატმოსფეროს შექმნას. შეძლებისდაგვარად ყველა მოსწავლეს უნდა ქონდეს სკოლის გარემოს ე.წ. „ხმოვანი დაიზაინის“ შექმნაში მონაწილეობის საშუალება, რადგან ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მათ, იამაყონ იმით რაც გააკეთეს/შექმნეს, გაუზიარონ, აჩვენონ, წარუდგინონ სხვებს.

საგანთაშორისი ინტეგრირება და ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება:

ეს მეთოდოლოგია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინტელექტუალური განვითარების მძიმე და ღრმა დარღვევების მქონე მოსწავლის ცხოვრებისათვის მომზადების პროცესში. სასწავლო დისციპლინების ინტეგრაციაში მუსიკის მონაწილეობა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე (თვალსაჩინო-სახეობრივი ბუნება, სხეულის, ხმის, მიმიკის, ჟესტის გამოყენება, მოტორული უნარების განვითარების ხელშეწყობა და სხვ.), გარემომცველ სამყაროზე მოსწავლის მთლიანობითი წარმოდგენის ჩამოყალიბებას, ასევე, მუსიკის, როგორც მისი უშუალო გარემოს შემადგენელი განუყოფელი

ნაწილად და, რაც მთავარია, მისი, როგორც გარე სამყაროსთან საკომუნიკაციო საშუალებად აღქმაში უწყობს ხელს.

პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული მეთოდოლოგია:

გულისხმობს მარტივი პრობლემის გადაჭრას შემოქმედებით-პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისას, ცნების, საკითხების შესწავლისას (და რომელიც მარტივი დავალების სახით შეიძლე იყოს მიწოდებული, მაგ., მოცემული საგნებით რაიმე ხმისთვის მიბაძვა, ან მარტვი კომიქსის გახმოვანება და სხვ.); სხვადასხვა ხმის, ხმაურის, ბგერების ამოცნობას და მათ მოსწავლისთვის ნაცნობ, საინტერესო, განსხვავებულ კონტექსტებში გამოყენებას. შედეგად მოსწავლე ხედავს რა პრაქტიკული გამოყენება აქვს იმას, რასაც ის შეისწავლის. მის მიერ შეძენილი ცოდნა აღარ არის განყენებული და დაცილებული მისი პირადი გამოცდილებიდან.

კრიტიკულ აზროვნებაზე ორიენტირებული მეთოდოლოგია:

ხმების ხმაურის მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენის პროცესში მარტივი შეკითხვების დასმას, კითხვაზე პასუხის გაცემას ვერბალურად და არავერბალურად; საკუთარ, მარტივ მსჯელობას, დამოკიდებულების გამოხატვას (მაგ., მხიარულია, სევდიანია, მომწონს, არ მომწონს, შეძლებისდაგვარად ახსნას, რატომ მოსწონს და სხვ.); მუსიკალური ენის და დრამის ელემენტების, არჩევას მიწოდებულ ვარიანტებს შორის (მაგ., რიტმი, მელოდია, ჟესტი, მოძრაობა და ა.შ.)

დ) შეფასება

სტანდარტის მოთხოვნათა დასაფარად, მოსწავლეთა შეფასებისას, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში რეკომენდებულია სხვადასხვა ტიპის დავალების გამოყენება. დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს ამგვარი:

მუსიკალური ელემენტების მარტივი ხერხებით გარე სამყაროს გადმოცემა;

საკუთარი და სხვისი წარმოსახვის/ წარმოდგენის მარტივი აღწერა/ახსნა;

ხმების, ხმაურის, მუსიკალური გრაფმენტის შესახებ მარტივი მსჯელობა (მაგ., შინაარსის, სიუჟეტის, მუსიკალური ენის ელემენტების ამოცნობა და ა.შ.);

დაკვირვება გარემოს ხმებზე (დაკვირვების შედეგებზე მარტივი მსჯელობა ან მარტივად ასახვა ხმით, ხმაურით, ჟესტით, საცეკვაო ილეთებით და ა.შ.).

შეიძლება შეფასდეს შემდეგი ცოდნა და უნარ-ჩვევები:

სხვადასხვა ხერხებით გარემოსთან კომუნიკაცია;

შემოქმედებით-პრაქტიკულ საქმიანობაში მონაწილეობა/ჩართულობა;

სხვადასხვა ხმის, დრამის და ცეკვის ელემენტების გამოყენება;

ხმების შესახებ საუბარი (შესაბამისი მუსიკალური ტერმინოლოგიის გამოყენებით);

საკუთარი აზრის გამოთქმა;

კითხვებზე ადეკვატური პასუხი;

თანამშრომლობა (მეწყვილესთან, ჯგუფის წევრებთან);

მუსიკით გადმოცემული მხატვრული სახის ამოცნობა და მარტივი მსჯელობა.

ფიზიკური აღზრდის ალტერნატიული სტანდარტი

გონებრივი განვითარების მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეებისათვის

შესავალი

ფიზიკური აღზრდის ალტერნატიული სტანდარტი გონებრივი განვითარების მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეებისათვის შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

ა) ფიზიკურ და სოციალურ - ემოციური უნარების განვითარების ფსიქიკურ და მოტორულ დარღვევების მქონე მოსწავლეების სწავლა-სწავლების მიზნები;

ბ) ფიზიკური აღზრდის ალტერნატიული სტანდარტის შედეგები და შინაარსი;

გ) მეთოდიკური ორიენტირები;

დ) შეფასება.

საგან ,,ფიზიკური აღზრდის“ ფარგლებში ფიზიკურ და სოციალურ - ემოციური უნარების განვითარების ფსიქიკურ და მოტორულ დარღვევების მქონე მოსწავლეებთან ხდება:

მსხვილი და ნატიფი მოტორიკის; წონასწორობის; მეტყველებისა და კომუნიკაციის; ემოციური რეგულაციების; თანატოლებთან ურთიერთობის; სპორტულ და გუნდურ თამაშებში ჩართულობის გაუმჯობესება.

ა) ფიზიკურ და სოციალურ-ემოციური უნარების განვითარება ფსიქიკური და მოტორული დარღვევების მქონე მოსწავლეების სწავლა-სწავლების მიზნები

ფიზიკური აღზრდის საგნის სწავლების მიზანია შეიქმნას პოზიტიური გარემო მოსწავლის ფიზიკური და სოციალური-ემოციური შესაძლებლობების განვითარების, მისი პირადი და სოციალური კეთილდღეობის ამაღლებისთვის, ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობის გაცნობიერებისა და ისეთი სამოქალაქო უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის, როგორებიცაა: დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება, პასუხისმგებლობა, კონსტრუქციული თანამშრომლობა, შემწყნარებლობა.

დაწყებით საფეხურზე (I-VI კლასები) საგნის სწავლების ამოცანებია:

მოსწავლის ფიზიკურ აქტივობებში ჩაბმა და ამ გზით მისი ფიზიკური განვითარებისათვის ხელის შეწყობა;

მოძრაობითი ჩვევების დაუფლება და ფიზიკური თვისებების განვითარება;

ფიზიკური ვარჯიშობისადმი ინტერესის ამაღლება და სიყვარულის გაღვივება;

ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობის გაცნობიერება;

დამოუკიდებელი მოტორული ქმედებების სტიმულირება და ფორმირება;

ზოგადგანმავითარებელ ვარჯიშთა კომპლექსების შესწავლა და გამოყენება;

სწორი მოძრაობითი უნარ-ჩვევების გამომუშავება.

ამ მიზნებზე მუშაობით ალტერნატიული ფიზიკური აღზრდა თავის წვლილს შეიტანს ფიზიკურ და სოციალურ - ემოციური უნარებისა და ღირებულებების განვითარების ჩამოყალიბებაში ფსიქიკური და მოტორული დარღვევების მქონე მოსწავლეებისათვის

ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი

სტანდარტის შედეგები განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას: რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს დაწყებითი საფეხურის ბოლოს.

შედეგები ჯგუფდება სამ მიმართულებად:

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

ამ მიმართულების ფარგლებში მოსწავლეები ეცნობიან, თუ რა კავშირია ფიზიკურ აქტივობას, ჯანმრთელობასა და ფიზიკურ განვითარებას შორის, ითავისებენ ჯანმრთელი ცხოვრების წესს, უვითარდებათ უსაფრთხოების წესების დაცვის უნარ-ჩვევები. ყურადღება ექცევა უსაფრთხოების წესების სწავლებას ფიზიკური აქტივობისა და თამაშის დროს, უსაფრთხო ქცევის წესებს სპორტულ დარბაზსა და მოედანზე, სპორტულ ინვენტართან და სხვა. მოსწავლე სწავლობს პირადი ჰიგიენისა და უსაფრთხოების ელემენტარულ წესებს, რომელიც კლასიდან კლასში თანდათანობით რთულდება. ყოველ მომდევნო კლასში ყურადღება მახვილდება ცოდნისა და უნარების განვითარება-განმტკიცებაზე.

დასახული მიზნების განსახორციელებლად მასწავლებელი შეარჩევს ისეთ აქტივობებს და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა თამაშით, გამომსახველობით აითვისოს ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ფიზიკური აქტიურობის ძირითადი პრინციპები (მოძრავი თამაშები, ლაშქრობებში მონაწილეობა და სხვ.).

მოძრაობა და მოტორული უნარ-ჩვევები

ამ მიმართულების ფარგლებში გონებრივი განვითარების მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეები სწავლობენ ფიზიკურ აქტივობაში (მოძრავი თამაშები, ტანვარჯიში, მძლეოსნობა და სხვა) მონაწილეობისათვის აუცილებელ მოძრაობით მოქმედებებს, ფიზიკურ ვარჯიშებს და სხეულის მდგომარეობის თავისებურებებს, მოძრავ თამაშებსა და რიტმულ მოძრაობებს. სახალისო, გასართობი მოძრავი თამაშების საშუალებით ივითარებენ ფიზიკურ თვისებებს, ეუფლებიან სხვადასხვა სახის მოტორულ უნარ-ჩვევებს.

გაკვეთილზე მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს ზოგადგანმავითარებელ ვარჯიშებს (სიარული, სირბილი, ხტომა და სხვ.), ვარჯიშებს ტანადობის ჩამოყალიბებისთვის, ტერფის გამაგრებისათვის, ზურგისა და მუცლის კუნთების განვითარებისთვის, ასევე, ვარჯიშებს ტანვარჯიშულ კედელთან. ამ ასაკობრივ ჯგუფში აგრეთვე სასურველია სიუჟეტური მოძრავი თამაშების გამოყენება. მოძრავი თამაშის წესები უნდა იყოს მარტივი, გასაგები და ადვილად აღსაქმელი. მოსწავლემ მასწავლებლის მითითებით სწორად უნდა შეძლოს ფიზიკური აქტივობის (ილეთი, ვარჯიში) შესრულება, ადეკვატურად მოახდინოს რეაგირება მასწავლებლის მითითებაზე, გაიგოს და შეასრულოს ინსტრუქცია.

აქტიური მონაწილეობა

ამ მიმართულების ფარგლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკომუნიკაციო უნარების განვითარებაზე ზრუნვა, თანაკლასელებთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის უნარი, სხვისი ინტერესების გათვალისწინება, მიზნის დასახვა. მოსწავლეებს თანდათან უვითარდებათ წყვილებში, გუნდში თამაშისას ურთიერთთანამშრომლობის, ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების უნარები.

მოსწავლეს შეუძლია დაიცვას თამაშის წესები, შეასრულოს მასწავლებლის მითითებები, ფიზიკურ აქტივობებში (მოძრავი თამაშები, ტანვარჯიში, მძლეოსნობა და სხვა) მონაწილეობისას გამოიყენოს ფიზიკური აღზრდის გაკვეთილზე მიღებული ცოდნა და საჭიროების შემთხვევაში, გაუზიაროს სხვებს. მნიშვნელოვანია მოსწავლეების მონაწილეობა სასკოლო და კლასგარეშე მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში, ლაშქრობებში და სხვა.

ამ მიმართულების ფარგლებში გონებრივი განვითარების მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეები სწავლობენ მოგებასა და წაგებაზე სათანადო რეაგირებას, თანაგუნდელთა ინტერესების გათვალისწინებას, როგორც საკუთარი, ასევე მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშეების პატივისცემას. ეჩვევიან მიზნის დასახვას (მაგ., მინდა ვიყო უფრო სწრაფი და ა.შ.), ეუფლებიან გუნდური მუშაობის მეთოდებს, უვითარდებათ შეფასებისა და თვითშეფასების უნარები, შეუძლიათ შეაფასონ ის ძირითადი ფიზიკური აქტივობები, რომლებიც აუმჯობესებენ მათ ჯანმრთელობას.

გონებრივი განვითარების მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეები ეჩვევიან დისციპლინას, სხვისი აზრის გულისყურით მოსმენას, მონაწილეობენ სხვადასხვა სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებაში, რაც ხელს უწყობს პატიოსანი თამაშის წესებისა და ტოლერანტობის უნარ-ჩვევების დამკვიდრებას და აგრეთვე, შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

სტანდარტის შინაარსი განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს და რა უნდა შეძლოს მოსწავლეს. შინაარსი აღიწერება ცნებების, თემებისა და საგნობრივი საკითხების სახით.

ცნებები, რომელსაც შესაძლებლობის შესაბამისად უნდა დაეუფლოს მოსწავლე, უნდა დამუშავდეს მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებში.

შერჩეულია სარეკომენდაციო თემები, რომელთა დამუშავების დროს ინტეგრირებულად მოხდება მოსწავლისათვის კომპლექსური ცოდნის მიწოდება, უნარ-ჩვევების განვითარება და დამოკიდებულების ჩამოყალიბება.

შეფასების ინდიკატორები კი განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს კონკრეტულ თემაში (თითოეულ ინდიკატორთან მითითებულია მასთან დაკავშირებული შედეგის/შედეგების ინდექსი).

ინდექსების განმარტება

დაწყებით საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., ალტ. ფ.ა.დაწყ.(I). (II).1.:

„ალტ.“ – მიუთითებს, რომ სტანდარტი არის ალტერნატიული და განკუთვნილია ინტელექტუალური განვითარების მძიმე და ღრმა დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის

„ფ.ა.“ – მიუთითებს საგანს „ფიზიკური აღზრდა“;

„დაწყ.“ – მიუთითებს დაწყებით საფეხურს;

„(I)“ – მიუთითებს, რომ სტანდარტი მოიცავს I-IV კლასებს;

„(II)“ – მიუთითებს, რომ სტანდარტი მოიცავს V-VI კლასებს;

„1“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

ფიზიკური აღზრდის სტანდარტი (I-IV კლასები)	
შედეგების ინდექსები	სტანდარტის შედეგები
	მიმართულება: ჯანმრთელობა და უსაფრთხოება
ფ.ა.დაწყ.(I).1.	მოსწავლემ უნდა შეძლოს დაიცვას პირადი ჰიგიენისა და უსაფრთხოების ელემენტარული წესები.
	მიმართულება: მოძრაობა და მოტორული უნარ-ჩვევები
ფ.ა.დაწყ.(I).2.	მოსწავლემ უნდა შეძლოს ფიზიკურ აქტივობაში მონაწილეობისათვის აუცილებელი საბაზისო მოძრაობითი უნარ-ჩვევების წარმოჩენა.
	მიმართულება: აქტიური მონაწილეობა
ფ.ა.დაწყ.(I).3.	მოსწავლემ უნდა შეძლოს მონაწილეობის მიღება ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და გაკაჟებისათვის აუცილებელ ელემენტარულ ფიზიკურ აქტივობებში.
ფ.ა.დაწყ.(I).4.	მოსწავლემ უნდა შეძლოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების გამოვლენა ფიზიკურ აქტივობებში მონაწილეობის საფუძველზე.
ფ.ა.დაწყ.(I).5.	მოსწავლემ უნდა შეძლოს ფიზიკური აქტივობის დაკავშირება სხეულის მდგომარეობასთან.

ფიზიკური აღზრდის სტანდარტი (V-VI კლასები)	
შედეგების ინდექსები	სტანდარტის შედეგები
	მიმართულება: ჯანმრთელობა და უსაფრთხოება
ფ.ა.დაწყ.(II).1.	მოსწავლემ უნდა შეძლოს ჯანმრთელობის, როგორც საზოგადოებაში წარმატებული არსებობის ერთ-ერთი საწინდარის, განსაზღვრა.
ფ.ა.დაწყ.(II).2.	მოსწავლეს განვითარებული უნდა ჰქონდეს საკუთარი და სხვების უსაფრთხოების დაცვისა და კრიტიკული სიტუაციებიდან თავის დაღწევის უნარი.
	მიმართულება: მოძრაობა და მოტორული უნარ-ჩვევები
ფ.ა.დაწყ.(II).3.	მოსწავლემ უნდა შეძლოს ძირითადი და აუცილებელი მოძრაობითი უნარ-ჩვევის წარმოჩენა ფიზიკური აქტივობისას.
	მიმართულება: აქტიური მონაწილეობა
ფ.ა.დაწყ.(II).4.	მოსწავლემ უნდა შეძლოს მონაწილეობის მიღება ფიზიკურ აქტივობებში, რომლებიც მის ჯანმრთელობას აუმჯობესებს.
ფ.ა.დაწყ.(II).5.	მოსწავლემ უნდა შეძლოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების გამოვლენა ფიზიკურ აქტივობებში მონაწილეობის საფუძველზე.

ცნებები და საკითხები:

რბენა, ხტომა, გადახტომა, ჩამოხტომა, ვიწრო საყრდენზე წონასწორობის შენარჩუნება, სხვადასხვა ზომის, ფორმისა და სიმძიმის საგნების დაჭერა, მიზანში ტყორცნა, მანძილის განსაზღვრა. გუნდური თამაშების (ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის) ძირითადი ტექნიკური ელემენტები. წინ და უკან კოტრიალი, ხარიხაზე დაყრდნობით გადახტომა.

მიზნის დასახვა, გადაწყვეტილების მიღება, მიზანდასახული მოქმედება, პრობლემის გადაჭრა, ადამიანებთან ურთიერთობა, გუნდური თამაშის წესების დაცვა.

მავნე ჩვევები, მსუბუქი ტრავმის დროს პირველადი სამედიცინო დახმარების ელემენტარული წესები. ბუნებაში უსაფრთხო გადაადგილებისა და ქცევის წესები.

მკვიდრი წარმოდგენები:

ძალა არის ადამიანის შესაძლებლობა კუნთების მაქსიმალური დაძაბულობით გადალახოს წინააღმდეგობები;

ფიზიკური აქტივობა მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის განმტკიცებისთვის;

ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშები მეხმარება გაჯანსაღებაში და ტრავმისგან თავის არიდებაში;

ჯანსაღი ცხოვრების წესის (ჰიგიენა, ჯანსაღი კვება და სხვა) დაცვა მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის განმტკიცებისთვის;

უსაფრთხოების წესების დაცვა ფიზიკური აქტივობების დროს მეხმარება ტრავმის თავიდან არიდებაში;

თამაშის წესები თამაშის განუყოფელი ნაწილია;

თამაშის დროს მოგებასა და წაგებაზე მეტად მნიშვნელოვანი ფიზიკური განვითარებაა;

გამარჯვების შემთხვევაში ვცდილობ დამარცხებული მოთამაშეების დამშვიდებას; დამარცხების შემთხვევაში გამარჯვებულისთვის მილოცვა ღირსეული საქციელია;

გუნდური წარმატების მისაღწევად აუცილებელია თანაგუნდელებთან შეთანხმებული მოქმედება;

სპორტულ ინვენტარს მოვლა და გაფრთხილება სჭირდება.

ფიზიკურ და სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების ფსიქიკური და მოტორული დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის

დაწყებით საფეხურზე ელემენტარული ცოდნის გადაცემა და სასიცოცხლო უნარ-ჩვევის ჩამოყალიბება უნდა განხორციელდეს ინტეგრირებული თემების კონტექსტში. შესაბამისად, სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ცნებები და საკითხები შეძლებისდაგვარად, თემების ფარგლებში უნდა დამუშავდეს.

გ) მეთოდიკური ორიენტირები

თვალსაჩინოების გამოყენება:

ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებზე განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება თვალსაჩინოების გამოყენებას. თვალსაჩინოების როლი (როგორც შთაბეჭდილების წყარო) შეიძლება შეასრულოს უშუალო გარემომ (მაგ., საკლასო ოთახი, სკოლა, ეზო, ქუჩა, სახლი, ადამიანები, მოვლენები, ტრანსპორტი, ცხოველები და სხვ.). ვიზუალური რესურსები (მაგ., პლაკატი, ნახატი, ფოტო,

რეპროდუქცია; საგნები, ნივთები, ბუნებრივი და ხელოვნური მასალა, ნაკეთობები და სხვ.) რომლებიც სხვადასხვა შეგრძნების ორგანოებით აღქმისთვისაა განკუთვნილი უბიძგებს მოსწავლეებს უფრო კარგად აღიქვან, ინტერესი გამოხატონ, გამოსცადონ და თვითონაც გაუჩნდეთ ნამუშევრის შექმნის სურვილი. მოსწავლეთა ნამუშევრების მომდევნო აქტივობების დროს თავლსაჩინოებად გამოყენება, საკმაოდ ეფექტურია, როგორც მოსწავლეთათვის მოტივაციის ამაღლების, ასევე, მათი ჩართულობის მიზნით. მათი სასკოლო სივრცეში (კლასი, დერეფანი, ფოიე და ა.შ.) გამოფენა კი წამახალისებელი და სტიმულის მომცემი იქნება როგორც თავად მოსწავლეებისთვის, ისე მასწავლებლებისა და მშობლებისთვის; ხელს შეუწყობს სკოლის გარემოში ხალისიანი, მიმზიდველი ატმოსფეროს შექმნას. შეძლებისდაგვარად ყველა მოსწავლეს უნდა ჰქონდეს გამოფენაში მონაწილოების, ნამუშევრის წარდგენის საშუალება, რადგან ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მათ, იამაყონ იმით, რაც გააკეთეს/შექმნეს, გაუზიარონ, აჩვენონ, წარუდგინონ სხვებს.

კეთებით სწავლა:

ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებზე წამყვნი ადგილი კეთებით სწავლებას ენიჭება. ფიზიკურ და სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების ფსიქიკური და მოტორული დარღვევების მქონე მოსწავლეების სასწავლო პროცესში ჩართვის ეფექტიან ფორმას სწორედ კეთება წარმოადგენს. მსხვილი და ნატიფი მოტორიკის განვითარებისთვის მოსწავლეებს საშუალება უნდა მიეცეთ გამოიყენონ, გამოსცადონ სხვადასხვა ინვენტარი, (ტრადიციული და არატრადიციული) მოსწავლეები ივითარებენ სოციალურ უნარებს, ეჩვევიან თანამშრომლობას, ჯგუფში მუშაობას, სამუშაოს განაწილებას, ერთმანეთის დახმარებას, მზრუნველობას, პასუხისმგებლობას.

საგანთაშორისი ინტეგრირება და ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება:

ეს მეთოდოლოგია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფიზიკურ და სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების ფსიქიკური და მოტორული დარღვევების მქონე მოსწავლის დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების პროცესში. სასწავლო დისციპლინების ინტეგრაციაში მოტორული უნარჩვევების გაუმჯობესება, პრაქტიკული, შრომითი საქმიანობა, მრავალფეროვანი მასალის, იარაღის, ტექნიკის გამოყენება, მოტორული უნარების განვითარების ხელშეწყობა და სხვ.) ხელს უწყობს მოსწავლეს სოციალურ გარემოში ინტეგრაციას და მოტორული ფუნქციური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში.

პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული მეთოდოლოგია:

გულისხმობს მარტივი პრობლემის გადაჭრას შემოქმედებით-პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისას, ახალი მასალის, ცნების, საკითხების შესწავლისას (რომელიც მარტივი დავალების სახით შეიძლება იყოს მიწოდებული, მაგ: მარტივიდან რთულისაკენ, მცირე ამპლიტუდიდან ფართო ამპლიტუდის მქონე მოძრაობები, და სხვა.) მიღებული გამოცდილების, ცოდნის გამოყენებას მოსწავლისთვის ნაცნობ, საინტერესო, განსხვავებულ კონტექსტებში. შედეგად მოსწავლე ხედავს რა პრაქტიკული გამოყენება აქვს იმას, რასაც ის შეისწავლის. მის მიერ შეძენილი ცოდნა აღარ არის განყენებული და დაცილებული მისი პირადი გამოცდილებიდან.

კრიტიკულ აზროვნებაზე ორიენტირებული მეთოდოლოგია:

გულისხმობს შედეგს ფიზიკური და სოციალურ-ემოციური უნარების შესახებ, მუშაობის პროცესში და ა.შ. მარტივი შეკითხვების დასმას, კითხვაზე პასუხის გაცემას ვერბალურად და არავერბალურად; საკუთარ აზრის გამოთქმას, მარტივ მსჯელობას, დამოკიდებულების გამოხატვას და სხვ. მასალის, ტექნიკის, ინვენტარის მუშაობის/აქტივობის ტიპის, მასალის არჩევას მიწოდებულ ვარიანტებს შორის (მაგ., სხვდასხვა აქტივობები, თამაშები, ვარჯიშები და სხვ.).

დ) შეფასება

სტანდარტის მოთხოვნათა დასაფარად რეკომენდირებულია შემაჯამებელ დავალებათა მრავალი ფორმის გამოყენება. ფიზიკურ აღზრდაში შესაძლებელია შემდეგი ტიპის შემაჯამებელი დავალებების გამოყენება:

ფიზიკური აქტივობები;

თამაში;

პროექტი;

ექსკურსია, ლაშქრობა.

შეიძლება შეფასდეს შემდეგი ცოდნა, უნარ-ჩვევები და ფიზიკური თვისებები:

ფიზიკური თვისებები (ძალა, სისწრაფე, გამძლეობა, მოქნილობა, სიმარჯვე, კოორდინაცია და სხვ.);

გუნდური თამაშის ძირითადი ტექნიკური ელემენტები;

გუნდური მუშაობის უნარი;

ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობა;

უსაფრთხოების წესების დაცვის უნარი;

ორგანიზებულობა;

სასწავლო აქტივობებში ჩართულობა;

კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა;

საკუთარი აზრის დასაბუთებულად წარმოჩენა;

მსხვილი და ნატიფი მოტორიკა;

წონასწორობა;

ემოციური რეგულაციები;

თანატოლებთან ურთიერთობა;

სპორტულ და გუნდურ თამაშებში ჩართულობა.

სარეკომენდაციო ნაწილი

შესავალი: სარეკომენდაციო დოკუმენტის სტრუქტურა

სარეკომენდაციო ნაწილში მოცემულია აქტივობები, რომელიც ხელს უწყობს გონებრივი განვითარების მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლისათვის აუცილებელი ცნებების მიწოდებას და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას სავალდებულო საკითხების შესწავლის კონტექსტში.

ასევე, მოცემულია შეფასების სარეკომენდაციო კრიტერიუმები, რომელიც შეირჩევა მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე.

საგნობრივი აქტივობები და რეკომენდაციები:

ქართული ენა და ლიტერატურა

სარეკომენდაციო ნაწილის სტრუქტურა

ქართული ენისა და ლიტერატურის ალტერნატიულ სტანდარტს ახლავს სარეკომენდაციო ნაწილი, რომელშიც წარმოდგენილია სავარაუდო აქტივობები, კონკრეტული საკითხები თუ სავარჯიშოები საგნობრივი მიმართულებების მიხედვით. მათზე დაყრდნობით შესაძლებელია სტანდარტში მოცემული შედეგების მიღწევა. სარეკომენდაციო ნაწილში წარმოდგენილია აგრეთვე შეფასების სარეკომენდაციო კრიტერიუმები მიმართულებების მიხედვით. აღნიშნული კრიტერიუმები სხვადასხვა სირთულისაა და მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესაბამისად დასაშვებია მათი დაწყებითი საფეხურის სხვადასხვა ეტაპზე (კლასში) დაფარვა. მასწავლებელი შეფასების კრიტერიუმებს მოსწავლის საჭიროებების მიხედვით შეარჩევს.

ფუნქციური ქართული ენის სარეკომენდაციო ნაწილში სარეკომენდაციო სავარჯიშოების გარდა წარმოდგენილია ადაპტირებული მხატვრული ტექსტის ნიმუში და არამხატვრული ტექსტი სავარჯიშოების გარკვეულ კონტექსტში გაერთიანებისთვის.

სარეკომენდაციო კრიტერიუმები შეფასებისათვის:

მიმართულება: ზეპირმეტყველება	
სტანდარტის შედეგები	შეფასების კრიტერიუმები
ალტ. ქართ.დაწყ.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს მეტყველების გამოყენება კომუნიკაციის მიზნით (საწყისი მეტყველების განვითარება);	მოსწავლე: რეაგირებს მოსაუბრის ხმაზე, ვიზუალურ/აუდიო სტიმულზე; მოსაუბრის უსმენს ყურადღებით, ამყარებს მხედველობით კონტაქტს; ვიზუალურ/აუდიო სტიმულზე რეაგირებს მეტყველებით; იგებს ნაცნობ სიტყვებს; რეაგირებს საკუთარ სახელზე;

	იყენებს ჟესტებს მარტივი ქმედებებისთვის (მაგ. გამარჯობა, ნახვამდის, მშია, დავიღალე, მომეცი, მოდი აქ); იმიტირებს/ბაძავს ბგერებსა და სიტყვებს; აკეთებს არჩევანს საგნებზე/სურათებზე მითითებით; ღიმილზე ღიმილითვე უპასუხებს; წყვეტს არასასურველ ქცევას „არას“ გაგონებაზე ან თავის გაქნევაზე; თავის მოძრაობით გამოხატავს თანხმობას (თავის დაკვრა), უარყოფას (თავის გაქნევა); აგრძელებს სასურველ ქცევას თანხმობისა თუ ნებართვის შემთხვევაში; იგებს და ასრულებს მარტივ ინსტრუქციებს (მაგ. შეხედე, მოდი, დაჯექი, დამელოდე); მიმართავს მოსაუბრის ყურადღებას მისთვის საინტერესო ნივთზე, სურათსა თუ სიტუაციაზე; იყენებს მეტყველებას ან ჟესტებს კომუნიკაციისთვის.
ალტ.ქართ.დაწყ.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს მარტივი სიტყვების მოსმენა, ამოცნობა და ადეკვატურად აღქმა; სწორად რეაგირება ნაცნობ სამეტყველო სიტუაციებში (ლექსიკონი)	მოსწავლე: ცნობს და ასახელებს ნაცნობი საგნების სახელებს (მაგ., ჭიქა, კოვზი, ბურთი, საყვარელი სათამაშო, საყვარელი წიგნი); მოთხოვნისას ასახელებს ნაცნობ არსებით სახელებს/ახდენს მათ კლასიფიკაციას (მაგ., სათამაშოები, საკვები, ტანსაცმელი, თამაშები); ასახელებს სასწავლო პროცესთან/სახლის სიტუაციასთან დაკავშირებულ ადამიანებს და საგნებს; ასახელებს ნაცნობ სათამაშოებს, საკვებს, ტანსაცმელს, ქმედებებსა და აქტივობებს; ასახელებს სხეულის ნაწილებს; არჩევს და ასახელებს საკუთარ და სხვების სქესს; ასახელებს საგნების დანიშნულებასა და ფუნქციას (მაგ., ჭიქა სასმელად გამოიყენება); ახდენს საგნებისა და ობიექტების მარტივ კლასიფიკაციას (მაგ. მანქანები, წიგნები, სათამაშოები, ცხოველები, ფრინველები); ანაწილებს ნაცნობ არსებით სახელებს ორ კატეგორიაში; ასახელებს კატეგორიებს (მაგ., ტრანსპორტი, ავეჯი), თითოეული კატეგორიის შესაბამის ობიექტებს;

	აღწერს, თუ რით არის ერთი კატეგორიის ობიექტები მსგავსი/ განსხვავებული სხვა კატეგორიისაგან (დიდი ხე/პატარა ხე); განარჩევს და ასახელებს ფორმასა და ფერს; აღწერის მიხედვით გამოიცნობს საგანს; ახასიათებს მოცემულ ნივთს (მაგ., ზომა, ფუნქცია, კატეგორია, ფერი) განარჩევს ნაჩვენები სურათის საწინააღმდეგოს (მაგ. სურათზე დიდი ხეა გამოსახული – გვიჩვენებს პატარა ხეს). ზმნები იგებს მოძრაობის ამსახველ სიტყვებს/ასრულებს ზმნით გამოხატულ ქმედებას (მაგ. სიარული, სირბილი, სროლა); ასახელებს ნაჩვენებ ან სურათზე მოცემულ ქმედებას; ასრულებს სიტყვიერ ინსტრუქციას; ასახელებს ან აღწერს საკუთარ/სხვის ქმედებას; განარჩევს ქმედებებს, რომლებსაც გარკვეული ცხოველი/ნივთი ახორციელებს (მაგ.კენგურუ დახტის, თვითმფრინავი დაფრინავს). ზედსართავი სახელები ირჩევს საგანს აღწერის საფუძველზე; უპასუხებს კითხვას საგნის თვისებების შესახებ; აღწერს ნივთს; ამბობს, სწორია თუ მცდარი ნივთის აღწერა; ჩამოთვლის საგნებს გარკვეული მახასიათებლის მიხედვით. სიტყვების ცოდნა ცნობს მსგავს და განსხვავებულ ცნებებს; განარჩევს ემოციების ამსახველ სიტყვებს; ასახელებს მოცემული სურათის/სიტყვის ანტონიმს; ამბობს ნაცნობი სიტყვებისთვის მარტივ განმარტებას.
ალტ. ქართ.დაწყ. 3. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობ თემატიკაზე შექმნილი მცირე ზომის ტექსტების მოსმენა, გაგება და თავისი დამოკიდებულების გამოხატვა (მოსმენა).	მოსწავლე: გამოხატავს მოსმენის შესაბამის ქცევას (მაგ. სკამზე მშვიდად ჯდომა, მხედველობითი კონტაქტი, ყურადღების კონცენტრირება); რეაგირებს საკუთარ სახელზე ყურადღებით მოსმენის მოწოდებისას; იგებს ვერბალურ ინსტრუქციებს (მაგ. მოდი ჩემთან, დაჯექი, მომისმინე, მაჩვენე);

	იგებს აღწერით სიტყვებს (მაგ. ცოტა/ბევრი, დიდი, პატარა, მრგვალი, სუფთა, ჭუჭყიანი); შეარჩევს ნივთს ან სურათს „არა“ ინსტრუქციის შესაბამისად (მაგ. მაჩვენე სურათი, რომელზეც არ არის არცერთი ცხოველი); იგებს თანდებულებს (მაგ. ზემოთ, ქვემოთ, ზე, ში, ქვეშ, შორის); ასრულებს ერთნაბიჯიან /ერთნაბიჯიან+ თანდებულიან ინსტრუქციას; ასრულებს ორნაბიჯიან/ ორნაბიჯიან+ თანდებულიან ინსტრუქციას; ასრულებს მრავალქმედებიან ინსტრუქციას; ასრულებს ინსტრუქციებს, რომლებიც „თუ,“ „მარცხნივ“ „მარჯვნივ“ მითითებებს შეიცავს; ასრულებს ინსტრუქციებს, რომელნიც კონკრეტული ადგილის მითითებას შეიცავს; იგებს და ასახელებს სხვადასხვა ზედსართავ სახელს; იხსენებს ნათქვამი წინადადების, მოსმენილი მოკლე მოთხრობისა თუ დიალოგის დეტალებს.
ალტ.ქართ.დაწყ.4. საკუთარი სურვილების, მოთხოვნილებების მეტყველებით გამოხატვა და მართლმეტყველების ელემენტარული წესების დაცვა (ლაპარაკი)	მოსწავლე: იმიტირებს/იმეორებს ახალ (უცხო სიტყვებს); ასახელებს ოჯახის წევრებს; მოთხოვნისას წარმოთქვამს საკუთარ სახელს; წარმოთქვამს მოსაუბრის სახელს მისალმებისას; ასახელებს მარტივ სიტყვებს საგნების, ნივთების ან ადამიანების იდენტიფიკაციისას; ცხოველების იმიტირებას სურათის ჩვენებისას; ითხოვს საგნებს სახელის წარმოთქმით/ინტონაციის გამოყენებით; განსაზღვრავს ადგილმდებარეობას (მაგ., აქ, იქ, სხვაგან); წარმოთქვამს ორ - სამ სიტყვიან წინადადებებს; წარმოთქვამს ორსიტყვიან ინსტრუქციებს (მაგ. ადი ზემოთ, მომეცი წიგნი); იყენებს უარყოფის გამომხატველ სიტყვებს (არ არის, არ მოვიდა) წარმოთქვამს სამ-, ოთხ-, ხუთსიტყვიან წინადადებებს; იყენებს „და“ კავშირს;

	მარტივად აღწერს ნივთს/აქტივობას; აღწერს წარსულის/მომავლის მოვლენებს; წარმოთქვამს მარტივ რითმებს; გადმოსცემს მოკლე მოთხრობას საკუთარი სიტყვებით; აღწერს მოვლენებს თანმიმდევრულად; გადმოსცემს სხვის მიერ მოყოლილის პერიფრაზს; ● სხვებს უზიარებს გარკვეულ საკითხზე საკუთარ გამოცდილებას.
ალტ.ქართ.დაწყ.5. მარტივ კითხვებზე პასუხის გაცემა და ადეკვატური კითხვების დასმა (კითხვა-პასუხი)	მოსწავლე: უპასუხებს კითხვაზე ვოკალიზაციის ან ჟესტის გამოყენებით; უპასუხებს კითხვებზე, რომელნიც მოსწავლის ბაზისურ საჭიროებებს ეხება (მაგ. დაღლილი ხარ? გშია?); იყენებს „კი“ „არა“ პასუხებს ადეკვატურად და სწორ კონტექსტში; სვამს „კი - არა“ შეკითხვებს სურათის ან სიტუაციის შესახებ; უპასუხებს შეკითხვებს: ვინ, რა, სად, როდის, რატომ; სვამს შეკითხვას „გაქვს“, „არის“ ფორმატში; სვამს შეკითხვას „როგორ“
ქართ.დაწყ.6. საკუთარი ემოციებ-ის, სურვილებისა და მოთხოვნილებების გამოხატვა და სხვათა გაგება (მეტყველების პრაგმატული ასპექტები)	მოსწავლე: იყენებს საბაზისო სოციალურ ლექსიკას ესალმება/უპასუხებს (მაგ. გამარჯობა, ნახვამდის) ჟესტით/ვოკალიზაციით; არის მისალმების ინიციატორი; ელოდება საკუთარ ჯერს საუბარში; მოსაუბრესთან ამყარებს მხედველობით კონტაქტს; იცავს შესაბამის (სოციალურად მიღებულ) დისტანციას სხვებთან საუბრისას, მეტყველებს შესაბამის ხმაზე (არც ძალიან ხმამაღლა და არც ჩურჩულით); ამოიცნობს მოსაუბრის სახის გამომეტყველებას (მაგ. ღიმილი, გაბრაზება, მოწყენილობა, გამხნევება); გამოხატავს საკუთარ ემოციებს შესაბამისი სახის მიმიკით; იყენებს შესაბამის ინტონაციებს საკუთარი ემოციების გამოსახატავად (მაგ. ბედნიერების, გაბრაზების, მოწყენილობის, შიშის, კითხვის დასმისას); ცნობს და ადეკვატურად გამოხატავს ემოციებს სხეულის ენაზე;

	ამბობს: თუ შეიძლება, გმადლობ, არაფრის; არის ჩუმად, როდესაც სხვები საუბრობენ; იხდის ბოდიშს, თუ ვინმეს შეაწყვეტინა საუბარი/შეუსაბამო ქცევისას; წამოიწყებს/წარმართავს მარტივ საუბარს ნაცნობ საკითხზე; სვამს რელევანტურ (შესაბამის) შეკითხვებს საუბრისას; სცემს ადეკვატურ პასუხს კლასში დასმულ შეკითხვას; ითხოვს ახსნა-განმარტებას, როცა ვერ იგებს; ითხოვს სამუშაო მასალას/პასტას/რვეულს, როდესაც არ აქვს; გადასცემს მარტივ შეტყობინებას მესამე პირს; სთხოვს თანაკლასელს დახმარებას /თანამონაწილეობას დავალების შესრულებისას; სხვებს აცნობს, წარუდგენს საკუთარ თავს; ჰყვება სასაცილო ამბავს ან ხუმრობს; არჩევს აშკარა სიცრუესა და სიმართლეს; იგებს გადატანით მნიშვნელობებსა და მარტივ ანდაზებს; ამოიცნობს/განმარტავს/„ასწორებს“ აბსურდს (მაგ. ძროხა ყეფდა მთვარეზე - აბსურდია, ძროხა არ ყეფს); სიტუაციური სურათების მიხედვით „წინასწარმეტყველებს“ რა მოხდება შემდგომში/ მოთხრობის დასასრულის შემდეგ; გამოხატავს დადებით და უარყოფით გრძნობებს ღიმილით ან დაბღვერით შესაბამის სტიმულზე; გამოხატავს სპონტანურ ინტერესს გარკვეული აქტივობის მიმართ; ცვლის საკუთარ აქტივობას/ქცევას, როდესაც მასწავლებლის ტონი ან სახის გამომეტყველება იცვლება; სწორად ახდენს სახეზე გამოხატული ემოციების იდენტიფიკაციას სურათების ჩვენებისას (მაგ. გახარებულია, გაბრაზებულია, ეშინია); ამოიცნობს იმ სიტუაციებს, რომელნიც იწვევენ ბედნიერების, მოწყენილობის, გაბრაზების, შიშის გრძნობებს; ვერბალურად (სიტყვებით) გამოხატავს ემოციებს (მაგ. გაბრაზება, ეჭვიანობა, შიში, განხიბვლა, მოწყენილობა, სიხარული, სიყვარული); იცინის საუბარში ან ტელევიზორით გაგონილ ხუმრობაზე; ადეკვატურად ხუმრობს თანატოლებისა და უფროსების თანდასწრებით;

	აკეთებს არჩევანს, როცა სთხოვენ; შეიმუშავებს წინააღმდეგობის გაწევის სტრატეგიებს (მაგ. თქვას არა, როდესაც არ უნდა რამის გაკეთება, უმკლავდება თანატოლების ზეწოლას ან დაცინვას); შეიმუშავებს მოულოდნელობებსა და ცვლილებებთან შეგუებისა და სტრესთან გამკლავების სტრატეგიებს (მაგ., არ ათამაშებენ, არ მიიღეს ჯგუფში); იღიმის საყვარელი ნივთის ან ადამიანის დანახვისას; იღიმის კარგი ამბის გაგებისას; იღებს სიტუაციის შესაბამისი სახის გამომეტყველებას; სთხოვს უფროსს წაუკითხოს წიგნი; აღკვეთს დესტრუქციულ ქცევას, როდესაც მიუთითებენ; მიმართავს უფროსებს დახმარებისთვის; აქვს ადეკვატური რეაქცია გაჩუმების „სუუ“ ჟესტზე; გამოხატავს თანხმობას თავის დაკვრით ნივთის მიღებასა ან აქტივობის განხორციელებაზე; ზის სუფრასთან მთელი სადილის განმავლობაში; ადეკვატურად უერთდება საუბარს; იგებს სხვადასხვა სხეულის მოძრაობების მნიშვნელობას (მაგ. თავი ერთ მხარეს და მოჭუტული თვალები - ნიშნავს ვერ გაგებას, ჩაფიქრებას ან ყურადღებით მოსმენას).
ალტ.ქართ.დაწყ.7 მოსწავლემ უნდა შეძლოს კომუნიკაციის დამხმარე საშუალებების გამოყენება	მოსწავლე: კლავიატურა/პირადი კომუნიკაციის საშუალებები იყენებს კლავიატურას კომუნიკაციისა და სიტყვების ათვისებისთვის; იყენებს ინდივიდუალური კომუნიკაციის სისტემას საკუთარი საჭიროებების, სურვილების, აზრებისა და ემოციების გამოსახატავად. კომუნიკაციის დაფები შეარჩევს ნახატს ან ფოტოს სასურველი საგნისთვის; შეარჩევს შესაბამის ნახატს საკუთარი სურვილის გამოსახატავად სპეციფიკურ სიტუაციაში; ახდენს სიმბოლოების კლასიფიკაციას კატეგორიებად; ადგენს წინადადებას დაფაზე მოცემული სიმბოლოებით.

	ჟესტური ენა ჟესტით გადმოსცემს ანბანს /რიცხვებს; ჟესტით გადმოსცემს სიტყვებს (საგნებსა და აქტივობებს); მიუთითებს ჟესტურად მიწოდებული სიტყვის შესაბამის სურათზე; ასრულებს ჟესტურ ენაზე გადმოცემულ მარტივ ინსტრუქციას; აერთიანებს ჟესტებს წინადადების ჩამოსაყალიბებლად. წერილობითი კომუნიკაცია ცნობს დაბეჭდილ საკუთარ სახელს; ცნობს სხვადასხვა დაბეჭდილ სიტყვას; ბეჭდავს საკუთარ სახელს; ცნობს და ადეკვატურად იყენებს გარემოში არსებულ წარწერებს, ეტიკეტებს; წერს/ბეჭდავს წინადადებებს სხვებთან კომუნიკაციის მიზნით. სურათების გაცვლით კომუნიკაციის სისტემა (Picture Exchange Communication System PECS) დამოუკიდებლად ასრულებს 10 მოთხოვნას; კომუნიკაციის წიგნიდან დამოუკიდებლად შეარჩევს სასურველი ნივთების სურათებს და გადასცემს მოშორებით მყოფ უფროსს.

საგნობრივი აქტივობები და რეკომენდაციები მიმართულებების მიხედვით

აქტივობები ზეპირმეტყველებისთვის:

ინტერაქცია ნაცნობ ნივთებზე, ალტ. ქართ. დაწყ. 1

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ფოტოებს/სურათებს ან მიუთითებს ნივთებზე/საგნებზე (მაგ., დაფა, ცარცი, მერხი, პასტა, მაკრატელი, მაგიდა...) და ეკითხება, ამ ნივთებიდან რომელი არის სკოლაში, რომელი სახლში. მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით ახარისხებენ სურათებს, განსაზღვრავენ მათ ფუნქციას.

თამაში ემოციების გამოცნობაზე, ალტ. ქართ. დაწყ. 2,6,7

მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს წინასწარ მომზადებულ ფოტოებს ან სურათებს, რომლებზეც სხვადასხვა ემოციაა ასახული (მაგ., მოწონება/არმოწონება, სიხარული, შიში...) და სთხოვს, დაასახელონ სურათზე აღბეჭდილი ემოცია. თუ გაუჭირდებათ, მასწავლებელი დაეხმარება. შესაძლებელია, მოსწავლეებმა თავად განასახიერონ სურათზე აღბეჭდილი ემოცია. მას შემდეგ, რაც მოსწავლეებს აღარ გაუჭირდება ფოტოების ამოცნობა, შესაძლოა სიტყვათა ორთოგრაფიულ ხატზე მუშაობაც.

ნიმუში:

თხრობა ბარათის დახმარებით, ალტ.ქართ. დაწყ. 1

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს მცირე ზომის ორ ბარათს/სურათს, მაგ.: 1. ბავშვი ცურავს, 2. ბავშვი ხატავს.

მასწავლებელმა წინასწარ იცის კესოს დედისგან, თუ როგორ გაატარა მან (კესომ) შაბათ-კვირა. მასწავლებელი კესოს მერხზე უწყობს ორ სურათს/ბარათს (ერთ ბარათზე გამოსახულია ის, რასაც კესო აკეთებდა შაბათ-კვირას, მეორეზე ასახულია სხვა აქტივობა) და ეკითხება: -რას შვრებოდი ამ შაბათ-კვირას? გონებაში ითვლის ხუთამდე; უმეორებს კითხვას და უთითებს სურათებზე. მასწავლებელი კესოს ახლოს მიუწევს ბარათებს, მორიგეობით უთითებს სურათებს და ეკითხება, რა გააკეთა ამ შაბათ-კვირას? მასწავლებელი წინ მიუწევს საჭირო ბარათს და ეუბნება: - შენ ცურავდი (აუზში); შემდეგ მასწავლებელი ეხმარება კესოს ბარათის აღებაში; იგი რვეულში საგანგებოდ შემოხაზულ არეზე მიუთითებს კესოს. აკაკუნებს/თითი უჭირავს იმ არეზე, სადაც კესომ უნდა დადოს სურათი; მასწავლებელი ბარათს ქვეშ მიაწერს „მე ვცურავდი“ და წაუკითხავს ნაწერს კესოს.

(Browder, D.M., Spooner, F. (2006) Teaching Language Arts, Math, & Science to Students with Significant Cognitive Disabilities)

სურათის აღწერა/შედარება, ალტ. ქართ. დაწყ. 1,2,4, 6

მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს ორი ცხოველის სურათს (ან, მიზნიდან გამომდინარე, სხვა ილუსტრაციას) და ჩამოთვლის, რა აქვს/არ აქვს მას; როგორი არის/არ არის იგი (მაგ., კატას აქვს კუდი, კატას აქვს 4 თათი...., ძროხას აქვს რქები, კატას არ აქვს რქები, ორივეს აქვს კუდი... კატა არ არის დიდი, ძროხა არის თეთრი...).

ამკრძალავი ჟესტის მნიშვნელობის გაგება და დამახსოვრება.ალტ. ქართ.დაწყ. 1,2,3.

არასასურველი ქცევის დროს მასწავლებელი მიდის ახლოს მოსწავლესთან და ეუბნება „არა“. ასევე გამოხატავს უარყოფას ჟესტით (თავის ან ხელის მოძრაობით); თუ მოსწავლე კვლავ აგრძელებს არასასურველ ქცევას, მასწავლებელი მას ფრთხილად ჰკიდებს ხელს და კვლავ ეუბნება “არა“; თუ მოსწავლე კვლავ აგრძელებს არასასურველ ქცევას, მასწავლებელი ფრთხილი მოძრაობით ცდილობს შეაჩეროს იგი და სიტყვიერად და ჟესტით კვლავ მიანიშნებს ქცევის შეწყვეტას. მნიშვნელოვანია, რომ მიუხედავად ამკრძალავი ჟესტისა, მოსწავლემ იგრძნოს პედაგოგის და თანაკლასელთა კეთილგანწყობა.

საჭიროების შემთხვევაში მოქმედება შეიძლება გამეორდეს, პროცესში ჩაერთოს რომელიმე თანაკლასელიც და მასწავლებლის მსგავსად იმოქმედოს.

მასწავლებელს შეუძლია გააცნობს რამდენიმე ამკრძალავი სიმბოლოც სათანადო ტექსტით, მაგალითად: ტელეფონით საუბარი/ფოტოგადაღება არ შეიძლება, ყვირილი/ჩხუბი/ლაპარაკი არ შეიძლება და სხვა.

მიამბე ამბავი (საუბარი ნახატის შესახებ/ნახატის დახმარებით) ალტ.ქართ.დაწყ.1,4,6.

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს საინტერესო თემას დასახატად. მაგ: საყვარელი ცხოველი, საყვარელი სათამაშო, ადგილი, საჭმელი, ოჯახი და სხვ.

ხატვის დასრულებულების შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, აღწერონ თავიანთი ნამუშევრები, უამბონ რა დახატეს. საჭიროების შემთხვევაში უსვამს კითხვებს და ეხმარება ორი - სამი წინადადებით აზრების ჩამოყალიბებაში/სურათის აღწერაში. შემდეგ მასწავლებელი იწერს მოსწავლის მონაყოლს დახაზულ ფურცელზე, აკრავს ნახატს და ნაწერს მუყაოს ნაჭერზე; ამ ქმედებით

მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს გააცნობიერონ, რომ ნაწერი ასახავს მათ მონათხრობს; მოსწავლეები პედაგოგის დახმარებით ასათაურებენ ნამუშევრებს და გამოფენენ საკლასო ოთახში თვალსაჩინო ადგილას.

აბსურდის ამოცნობა, ალტ.ქართ.დაწყ.3, 6

მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის ცხოველებთან (ან კონკრეტულ თემასთან) დაკავშირებულ ინფორმაციას-უკითხავს სათითაოდ წინადადებებს (მაგ., ძაღლს აქვს კუდი, კატას აქვს რქები, ცხვარი ყეფს, კატა კნავის...) მოსწავლეებმა უნდა შეაფასონ - მართალია წინადადება თუ ტყუილი.

შესაძლებელია, აქტივობას მიეცეს თამაშის ფორმა: მასწავლებელი ხმამაღლა წარმოთქვამს მცდარ და მართებულ წინადადებებს, ხოლო მოსწავლეები ამოიცნობენ მათ, მიუთითებენ სიტყვების გამოყენებით: კი/არა, სწორია/არასწორია ან ჟესტით (თავის დაკვრა/გაქნევა), ასევე სიმბოლოებით:

ნაცნობი საგნების, სახელწოდებების ცნობა/დასახელება, დანიშნულების განსაზღვრა ქართ.ალტ.დაწყ.1,2,3

მასწავლებელი და მოსწავლეები პატარა ხალიჩაზე ან მერხის გარშემო დასხამენ თოჯინებს; მასწავლებელი აწყობს ჭურჭელს მაგიდაზე/ხალიჩაზე, თან ხმამაღლა ამბობს: - დათუნიას მივცეთ დიდი თეფში, კატას მივცეთ პატარა ჭიქა.... მოსწავლეებიც ერთვებიან პროცესში: ბარბის დავუდგათ პატარა თეფში და მივცეთ ხის კოვზი...

მასწავლებელი ხშირად იმეორებს აქტივობას, რომ მოსწავლეებმა თამაშის დროს, უშუალო შეხებით დაიმახსოვრონ საგნების სახელები.

შენიშვნა: მას შემდეგ, რაც მოსწავლეები აითვისებენ შეთავაზებული ნივთების სახელებს, მასწავლებელმა შეიძლება ყურადღება გაამახვილოს ტანსაცმელზე და სხვა შესასწავლ საგნებზე.

სხეულის ნაწილების დასახელება/დამახსოვრება. ალტ.ქართ.დაწყ.2.

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს თოჯინას და ეუბნება: მაჩვენეთ თოჯინას ხელი. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეებს უჭირთ პასუხის გაცემა, მიუთითებს საკუთარ ხელზე, მაღლა ასწევს და ამბობს - „ხელი“; შემდეგ მიუთითებს რამდენიმე მოსწავლის ხელზე, შეეხება მათ ხელს და გაუმეორებს სხეულის ნაწილის დასახელებას; მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, აჩვენონ ხელი, მიუთითონ ან მაღლა ასწიონ; მასწავლებელი მიუთითებს თოჯინაზე, ასწევს თოჯინას ხელს და სთხოვს მოსწავლეებს, მასთან ერთად წარმოთქვან სხეულის ნაწილის დასახელება; შემდეგ მასწავლებელი მიუთითებს თოჯინას თავზე, ფეხზე, თითზე და ა.შ; იგი ცდილობს, ახალ სიტყვებთან ერთად გაიმეოროს უკვე შესწავლილი საგნების სახელწოდებები, მაგ.: თოჯინას თავზე დავახუროთ ქუდი, ფეხზე ჩავაცვათ ფეხსაცმელი...

საგნის კატეგორიზება ზომა-წონის, ფერისა და მასალის მიხედვით, ვარაუდების გამოთქმა, ალტ.ქართ.დაწყ. 2,5, 6

მასწავლებელს გამზადებული აქვს ცხრილი/განცხადების დაფა, წყლიანი ტაშტი; აგრეთვე სხვადასხვა საგანი (მათგან ნაწილი წყალში იტივტივებს, ნაწილი-ჩაიძირება), ის აჩვენებს მოსწავლეებს თითოეულ საგანს და სთხოვს, გამოთქვან ვარაუდი, ჩაიძირება თუ იტივტივებს საგანი. ჩაწერს მათ მოსაზრებებს ცხრილში; შემდეგ ჩააყრევინებს მოსწავლეებს ნივთებს წყალში და საუბრობს მოსწავლეებთან მათი ვარაუდების შესახებ. სთხოვს მათ, დაახასიათონ საგნები წონის, ზომის, ფორმისა და ფერის მიხედვით; მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით ცხრილში მიუთითებენ საგნის მახასიათებლებს, ჩაიძირა თუ არა საგანი.

ინსტრუქციის მოსმენა, სივრცეში ორიენტირება, ალტ.ქართ.დაწყ. 2, 3.

მასწავლებელი დაფაზე ხაზავს წაგრძელებულ ოთხკუთხედს და ყოფს მას ისე, რომ გამოუვიდეს სამი უჯრა: ზედა, შუა და ქვედა; იგი სთხოვს მოსწავლეს, გამოვიდეს დაფასთან და შეასრულოს მითითება/ინსტრუქცია (რომელიც ემსახურება სივრცეში ორიენტაციის, ინსტრუქციის მოსმენის, ფერებისა და ფორმების გარჩევის უნარის განვითარებას), მაგ.: ა) ზედა უჯრაში მიაკრას წითელი მაგნიტი; ბ) შუა უჯრაში მიაკრას ორი მაგნიტი/ მწვანე მაგნიტი და სხვ.

კატეგორიზაცია ფერის მიხედვით, ალტ.ქართ.დაწყ.2.

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საგნების/ცხოველების სურათებს და სთხოვს დააკვირდნენ და დაახარისხონ ისინი ფერის მიხედვით, მაგალითად, ერთ გროვაში მოათავსონ ყავისფერი ცხოველების სურათები, მეორეში - რუხი და ა. შ.

მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა შეარჩიოს ისეთი ცხოველების სურათები, რომლებსაც უფრო სადა შეფერილობა აქვთ და სიჭრელით არ გამოირჩევიან.

ძირითადი - მეორადი, ალტ.ქართ.დაწყ. 2,3,4,5.

მასწავლებელი მოსწავლეებს უჩვენებს წყლიან გამჭვირვალე ჭიქებს და გამოათქმევინებს ვარაუდებს, თუ რა ფერს მივიღებთ ორი ფერის საღებავის შერევით; მასწავლებელი სამ ერთჯერად ჭიქაში ხსნის აკვარელის საღებავებს: ა) წითელი; ბ) ლურჯი; გ) ყვითელი; იგი უხსნის მოსწავლეებს, რომ ეს სამი ფერი არის ძირითადი და მათგან შესაძლებელია სხვა ფერების მიღება;

მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს, თუ რა ფერი შეიძლება მიიღონ, მაგ.: წითელისა და ყვითლის შერევით; მასწავლებელი სხვა ერთჯერად ჭიქაში შეურევს მოცემულ ორ ფერს. ფერებს ასხამს ნელ-ნელა პიპეტის გამოყენებით, რომ მოსწავლეებმა მოასწრონ ფერის ცვლილების აღქმა; მასწავლებელი ამავე წესით ურევს სხვა ფერებსაც: ლურჯი და ყვითელი; ლურჯი და წითელი.... (შესაძლებელია ინტეგრირება ხელოვნებასთან).

სახალისო ნადირობა, ალტ.ქართ.დაწყ. 2,6.

მასწავლებელი ჭრის ძაფს ან ლენტს სხვადასხვა ზომის ნაჭრებად (8-30 სმ.) და ურიგებს მოსწავლეებს, თან აჩვენებს, თუ როგორ უნდა გაზომონ საგნის სიგრძე ძაფის მეშვეობით; მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაათვალიერონ საკლასო ოთახი და „ინადირონ“, იპოვონ მათი ძაფის/ლენტის შესაბამისი სიგრძის საგანი; მოსწავლეები ზომავენ საგნებს და როდესაც იპოვიან ძაფის შესაბამისი სიგრძის საგანს, მიაქვთ მასწავლებელთან; მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაცვალონ ლენტები და გააგრძელონ საგნებზე ნადირობა.

შენიშვნა: აქტივობის გართულების მიზნით შესაძლოა მასწავლებელმა სთხოვოს მოსწავლეებს ნაპოვნი საგნები გაზომონ სახაზავითაც და მათი სიგრძე ჩაწერონ სანტიმეტრებში (შესაძლებელია ინტეგრირება მათემატიკასთან).

შესაბამისობის დადგენა, ალტ.ქართ.დაწყ.2

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს დიდ მუყაოს ფურცლებსა და პატარა ბარათებზე დაკრულ სხვადასხვა სურათს, რომლებიც შინაარსობრივად მიესადაგება ერთმანეთს, მაგ.: კბილის ჯაგრისი და კბილის პასტა; მანქანა და მანქანის გასაღები და ა.შ. მოსწავლეებმა უნდა შეუსაბამონ ერთმანეთს შინაარსობრივად მსგავსი წყვილი.

ან:

გარემო - დიდ მუყაოს ფურცლებზე გამოსახულია სხვადასხვა გარემო, სამზარეულო, ბაღი, საძინებელი და სხვ. მცირე ზომის ბარათებზე გამოსახულია გარემოს დეტალი. მოსწავლეები დააკვირდებიან პატარა ბარათზე წარმოდგენილ სურათს მაგ.: ჩაიდანს, ტოსტერს და მიუსადაგებენ სამზარეულოს სურათს/ გარემოს, ტყეს თუ საძინებელს.

მოგზაურობა, ალტ.ქართ.დაწყ. 2,4,5

მასწავლებელს წინასწარ გამზადებული აქვს რამდენიმე ადგილის (კუნძული, მთისწვერი, გზა..., ასევე სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალების) ფოტო/ნახატი. დაფაზე მაგნიტებით აკრავს ერთ-ერთ ფოტოს, მაგ.: კუნძულს და სთხოვს მოსწავლეებს წარმოიდგინონ, რომ ამ კუნძულზე მიემგზავრებიან; მოსწავლეები საუბრობენ, გამოთქვამენ ვარაუდებს, რა შეიძლება გააკეთონ კუნძულზე, რისთვის მიდიან, როგორ უნდა მიაღწიონ დანიშნულების ადგილამდე და სხვ.

მასწავლებელი დააწყობს მერხზე/მაგიდაზე ტრრნსპორტის სურათებს და სთხოვს მოსწავლეებს, აირჩიონ ის ტრანსპორტი, რომლითაც შეიძლება მიაღწიონ კუნძულამდე; მასწავლებელი მაგნიტებით მიაკრავს არჩეულ სურათებს კუნძულის ფოტოს თავზე; მასწავლებელი და მოსწავლეები საუბრობენ სატრანსპორტო საშუალებებზე, რომელი ტრანსპორტით შეიძლება კუნძულამდე მიღწევა, რომლით არა და რატომ...

ამბის ბარათები - მოვლენათა თანამიმდევრობა, ალტ.ქართ.დაწყ.3,7

მასწავლებელი წინასწარ ამზადებს 4-5 წინადადებიან მარტივ ტექსტს, ასევე მცირე ზომის ბარათებზე გამოსახულ ტექსტის (თითოეული წინადადების) შესაბამის ილუსტრაციას. შემდეგ მოსწავლეს/მოსწავლეებს წინ (მერხზე) უდებს ბარათებს (არეულად); მასწავლებელი კითხულობს ტექსტის პირველ წინადადებას (მაგ.: ნინომ გაიღვიძა) და სთხოვს ბავშვებს, მიუთითონ წაკითხული წინადადების შესაბამისი ბარათი; მოსწავლე/მოსწავლეები ეძებენ წინადადების შესატყვის ნახატს (მაგ.: საწოლში წამომჯდარი გოგონა და ფანჯარაში მზე) და აჩვენებენ მასწავლებელს; მასწავლებელი კითხულობს ტექსტის მომდევნო მონაკვეთს და მოსწავლეებს ისევ სთხოვს შესაბამისი ილუსტრაციის მოძებნას და ა.შ. ტექსტის დასრულების შემდეგ (ან რამდენიმე წაკითხვის შემდეგ) შესაძლოა მასწავლებელმა სთხოვოს მოსწავლეებს, გაიხსენონ ტექსტში მოთხრობილი ამბავი და ბარათები დააწყონ შესაბამისი თანამიმდევრობით.

ან: ,,ჩემი ფერადი ტექსტი“ - სილუეტური/კონტურული ნახატის გაფერადება მოსმენილი ტექსტის მიხედვით.

მასწავლებელი უკითხავს 4-5 წინადადებიან მარტივ ტექსტს (მაგ., კესო ცხოვრობს პატარა სახლში. სახლს აქვს წითელი სახურავი. ფანჯრები არის ლურჯი. სახლის წინ ყვითელი ყვავილებია. კესოს მოსწონს თავისი სახლი). მოსწავლეები ტექსტის შინაარსის მიხედვით აფერადებენ ნახატს, მასწავლებელი კითხვების საშუალებით ეხმარება ფერების სწორად შერჩევაში. ეს აქტივობა გამოდგება მოსმენის უნარის შესამოწმებლადაც.

ნიმუში:

სარეკომენდაციო შეფასების კრიტერიუმები:

მიმართულება: კითხვა	
სტანდარტის შედეგები	შეფასების კრიტერიუმი
ალტ. ქართ.დაწყ.8. მოსწავლემ უნდა შეძლოს ფორმალური ნიშნების მიხედვით (მაგ., ილუსტრაციების, მსხვილი შრიფტისა და ა. შ. მეშვეობით) საბავშვო წიგნის ამოცნობა, ტექსტის სიტყვიერი და არასიტყვიერი ნაწილების ერთმანეთისაგან გარჩევა (კითხვის წინარე უნარები)	მოსწავლე: მიზანმიმართულად უყურებს წიგნს/ცდილობს წაკითხვას; ავლენს სურვილს, რომ წაუკითხონ/ყურადღებით უსმენს; იცის წიგნების სახელები/ითხოვს საყვარელი წიგნის თავიდან წაკითხვას; ინტერესითა და ყურადღებით ათვალიერებს სურათებს წიგნში, როდესაც უკითხავენ; ცნობს საყვარელ წიგნებს (მაგ. გარეყდით, ფერით, ზომით); უპასუხებს შეკითხვებს წაკითხული მოთხრობის შესახებ; მოითხოვს წიგნს სახლში წასაღებად; ასწრებს უფროსს გარკვეული სიტყვების წარმოთქმას კითხვისას; ხსნის წიგნს დასათვალიერებლად; ასწორებს წიგნს, რომელიც დავდაყირაა/სათითაოდ გადაშლის ფურცლებს მარჯვნიდან-მარცხნივ; „კითხულობს“ ნახატებს ტექსტის გარეშე; აკავშირებს სიტყვასა და სურათს; ერთმანეთისგან ასხვავებს დაბეჭდილ ტექსტსა და სურათებს; აცნობიერებს, რომ დაბეჭდილი ტექსტი ის ამბავია, რომელსაც უკითხავენ; იცის, რას ნიშნავს სათაური, წიგნის ავტორი და ილუსტრატორი; არჩევს პირველ სიტყვას დაბეჭდილ წინადადებაში; არჩევს, რომ ტექსტი იკითხება მარცხნიდან-მარჯვნივ და ზემოდან ქვემოთ; არჩევს ასოებს/სიტყვებს და ცნობს ტექსტში მსგავს ასოებს/სიტყვებს; აცნობიერებს, რომ დაბეჭდილ ტექსტში სიტყვებს შორის მანძილებია; განასხვავებს ასოებს სიტყვებისგან; იყენებს ნახატებს კითხვის იმიტირებისთვის;

	ცდილობს წაკითხვას სურათებისა და ცალკეული ასოების ამოცნობით; აცნობიერებს, რომ სურათებს აქვთ სახელები და რეალურ საგნებს ასახავენ; აცნობიერებს, რომ სურათები ტექსტის პერსონაჟებსა და ქმედებებს ასახავს; საკუთარი სიტყვებით ან სურათების მეშვეობით გადმოსცემს მოსმენილ მოთხრობას; თითით შემოხაზავს ასოს ან სიტყვას მოთხოვნის შემთხვევაში; ცნობს დაბეჭდილ საკუთარ სახელსა და გვარს; იმახსოვრებს მოსმენილი ტექსტის დეტალებს/ მოვლენათა სწორ თანმიმდევრობას.
ალტ.ქართ.დაწყ.9. მოსწავლემ უნდა შეძლოს ფონოლოგიური უნარ-ჩვევების გამომუშავება. (ფონოლოგიური ცნობიერება)	მოსწავლე: არჩევს გარემოში არსებულ ხმაურს; ახდენს თანხმოვნების ასოცირებას სიტყვის დასაწყისსა და ბოლოში; სწორად აკავშირებს ასოებსა და ბგერებს; მოკლე სიტყვებში ამოიცნობს ასოებს; აერთიანებს მარცვლებს სიტყვებად; ამოიცნობს მარტივ რითმებს; რითმავს სიტყვებს; ასახელებს სიტყვებს გარკვეულ ასოზე; აჯგუფებს ნაცნობი სიტყვებს პირველი ასოს მიხედვით.
ალტ.ქართ.დაწყ.10. მოსწავლემ უნდა შეძლოს ანბანური პრინციპის გაგება და გამოყენება (ადრეული კითხვის უნარი)	მოსწავლე: ახდენს მოსმენილისა და დაბეჭდილის იდენტიფიცირებას; ცნობს სიტყვებს კონტექსტის გარეშე; ცნობს/ამოიცნობს სიტყვებს ბგერისა და ასოს კავშირის ცოდნის საფუძველზე; იყენებს ნაცნობ სიტყვებს უცნობი სიტყვების ამოსაცნობად; ამოიცნობს ტექსტში სიტყვებს კონტექსტის გამოყენებით; ხსნის/ასაბუთებს კავშირს ტექსტსა და სურათებს შორის;

	გადმოსცემს ტექსტის ძირითად მახასიათებლებს (მაგ. პერსონაჟები, მოვლენები, მოვლენათა ადგილი/ თანმიმდევრობა, ტექსტის დასასრული); ტექსტიდან იშველიებს ინფორმაციას საკუთარი აზრის, იდეის განსამტკიცებლად; „წინასწარმეტყველებს“ტექსტის შესაძლო განვითარებას; გამოაქვს დასკვნები ტექსტისა და სურათების საფუძველზე; განარჩევს ტექსტიდან მიღებულ ინფორმაციაში მსგავსება-განსხვავებებს; ზუსტად გამოთქვამს თანხმოვნებს; აკავშირებს ასოების სახელებს ასეობის გამოსახულებასთან; ადგენს მარცვლებიდან რთულ სიტყვებს/სიტყვებისგან წინადადებებს; აცნობიერებს კითხვისას პუნქტუაციის დანიშნულებას (მძიმის შემდეგ პაუზა, წერტილით - წინადადების დასრულება); წაკითხვის შემდეგ დაუყოვნებლივ იმეორებს მოკლე ტექსტს; ,,კითხულობს“ საკუთარ დაწერილს ვერბალურად; აცნობიერებს დაბეჭდილი ტექსტის თავისებურებებს (მაგ. ასოები სიტყვებად ერთიანდება, სიტყვებს შორის მანძილებია); აცნობიერებს, რომ დაბეჭდილ ტექსტს სხვადასხვა ფუნქცია აქვს (მაგ. მოთხრობა, წერილი, საყიდლების სია, რეცეპტი); აცნობიერებს, რომ დაბეჭდილი ტექსტი ასახავს მეტყველებას და აქვს მნიშვნელობა (მაგ. სახელები); ცნობს და კითხულობს ფერად ასოებს/ხშირად შემხვედრ სიტყვებს; სწავლობს ახალ სიტყვებს ხმამაღლა საკითხავი სიტყვების კრებულიდან; იცის ცნებები, როგორებიცაა: როდის, სად, ვინ, რა, რატომ და როგორ; იცის ცნებები, როგორებიცაა: ადრე/გვიან; სწრაფი/ჩქარი და ა.შ. კითხულობს და თანმიმდევრულად მიჰყვება დღის განრიგს; ცნობს, კითხულობს და იცის ცნებები: დილა, შუადღე, საღამო/ღამე და ასევე წლის სეზონები; ცნობს, კითხულობს და იცის ცნებები: გუშინ, დღეს, ხვალ. იყენებს ლექსიკონს ინფორმაციის მოსაპოვებლად;

	კითხულობს შესაბამისი გამოთქმით (ინტონაციით) იუმჯობესებს კითხვის სისწრაფეს; განასხვავებს სხვადასხვა ბეჭდურ ტექსტს (წიგნებს, გაზეთებს, ჟურნალებს); წიგნში ჯერ მარცხენა გვერდს კითხულობს, შემდეგ მარჯვენას.
ალტ.ქართ.დაწყ.11. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაგმატული ხასიათის მარტივი ტექსტის (მაგ., ინსტრუქციის, მენიუს, საყიდლების სიის, აბრისა და ა.შ.) წაკითხვა და გაგება (ფუნქციური კითხვის უნარი)	მოსწავლე: ამოიცნობს გარემოში არსებულ ბეჭდურ ტექსტს კონტექსტში (მაგ. მაკდონალდსის წარწერა მაკდონალდთან, აფთიაქი, მარკეტი და ა.შ)/ კონტექსტისგან დამოუკიდებლად; ამოიცნობს ნაცნობ ნიშნებს, ეტიკეტებს, სიმბოლოებს გარემოში ცნობს, კითხულობს და იცის კვირის დღეები, თვე და წელი; იყენებს გრაფიკებს, ცხრილებს, კალენდარს ინფორმაციის მოსაპოვებლად; იყენებს ინტერნეტს/ცნობარს გარკვეული ინფორმაციის მოსაპოვებლად; კითხულობს ტემპერატურის მაჩვენებელს სხვადასხვა თერმომეტრზე; კითხულობს საზომ ერთეულებს ეტკეტებზე; კითხულობს ფლაერს ინფორმაციის მოსაპოვებლად; კითხულობს და ასახელებს ფულის სიმბოლოებს; კითხულობს ბანკომატის ფუნქციებს; კითხულობს ქვითარზე არსებულ ინფორმაციას; კითხულობს მენიუს; ცნობს და კითხულობს უსაფრთხოების ნიშნებს; კითხულობს პროდუქტებზე დატანილ ინფორმაციას (მაგ., წონა, კვებითი ღირებულება და მომზადების წესი); კითხულობს და ავსებს სხვადასხვა განაცხადის ფორმას (საკუთარ სახელს, გვარს, დაბადების თარიღს, ადგილს.); ცნობს კომპიუტერის სხვადასხვა ფუნქციას.

აქტივობები კითხვისათვის:

ბარათები და სიტყვები, ალტ.ქართ.დაწყ.8

მასწავლებელი წინასწარ ამზადებს სიტყვის ბარათებს და ფორმატს, რომელზეც დაწერილია ბარათებზე მოცემული სიტყვებისაგან შედგენილი წინადადება. მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს სიტყვის ბარათს (მაგ.: ცა) და ხმამაღლა უკითხავს სიტყვას; 3-4 გაკვეთილის შემდეგ მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს სიტყვას და ელოდება 5 თვლამდე, რომ მათ წაიკითხონ სიტყვა. თუ მოსწავლეები ვერ წაიკითხავენ სიტყვას, პედაგოგი დაეხმარება მათ და თავად წაუკითხავს; მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დაიმახსოვრებენ სიტყვას, მასწავლებელი სთავაზობს ახალ ბარათს (მაგ.: მზე) და ა.შ. მას შემდეგ, რაც ბავშვები დაიმახსოვრებენ ბარათებზე მოცემულ სიტყვებს (ცა; მზე; ანათებს), მასწავლებელი კედელზე/დაფაზე აკრავს ფორმატს, რომელზეც წარმოდგენილია ამ სიტყვებისგან შედგენილი წინადადება (ცაზე მზე ანათებს) და ხელის გაყოლებით უკითხავს წინადადებას ბავშვებს; მოსწავლეები თვალს მიადევნებენ მასწავლებლის ხელს და იმეორებენ წინადადებას.

ბარათების წყვილები, ალტ.ქართ.დაწყ.8

მასწავლებელი მოსწავლეებს (ინდივიდუალურად ან წყვილში) ურიგებს ბარათების (ფაზლის ტიპის, ერთმანეთში ჩასასმელ მცირე ზომის მუყაოს ბარათებს, რომელთაგან ერთზე გამოსახულია ცხოველი/საგანი, მეორეზე კი წერია დასახელება) დაშლილ წყვილებს და სთხოვს მათ, მოძებნონ ნახატის შესაბამისი წარწერა. მოსწავლეები იწყებენ საგნისა და მისი სახელწოდების დაკავშირებასა და დამახსოვრებას. მასწავლებელი საჭიროების შემთხვევაში ეხმარება მოსწავლეებს.

ბგერების მოსმენა, ალტ.ქართ.დაწყ. 3, 9

მასწავლებელი უკითხავს მოსწავლეებს წიგნს. კითხვისას გამოყოფს კონკრეტულ სიტყვას, მაგ.: „მთვარე“ და ეკითხება მოსწავლეებს, ესმით თუ არა ბგერა „მ“ ამ სიტყვაში; მასწავლებელი ცდილობს მკაფიოდ და გაგრძელებით წარმოთქვას ბგერა „მ“ მმმმმმმთვარე, სთხოვს მოსწავლეებს მოუსმინონ სიტყვას და დაფიქრდნენ, ესმით ბგერა „მ“? მასწავლებელი აგრძელებს კითხვას და შემდეგ გამოყოფს სხვა სიტყვას, რომელშიც არ გვხვდება ასო-ბგერა „მ“. მაგ.: „კატა“ და ეკითხება ბავშვებს, თუ ესმით ამ სიტყვაში ბგერა „მ“; მასწავლებელი კითხვის პროცესში რამდენჯერმე იმეორებს აქტივობას.

(http://www.colorincolorado.org/article/tips-teaching-your-child-about-phonemes)

ბგერების ასოებთან დაკავშირება, ალტ.ქართ.დაწყ. 3,9,10, 12

მასწავლებელი დაფაზე ხატავს მართკუთხედს და ყოფს მას 6 ტოლ ნაწილად; მოსწავლეები მორიგეობით გამოდიან დაფასთან და მითითებულ უჯრაში წერენ მასწავლებლის მიერ დასახელებულ ასოს (მაგ., ზედა მარცხენა უჯრაში ჩაწერე ასო „ა“. ქვედა შუა უჯრაში ჩაწერე ასო „ჭ“). შენიშვნა: ამ აქტივობის შესრულება ასევე შესაძლებელია მაგნიტურ დაფაზე მოძრავი ანბანის გამოყენებით.

სურათის/სიტყვის საწინააღმდეგოს/ანტონიმის ცნობა/დასახელება, ალტ.ქართ. დაწყ.2,8

მასწავლებელი ხატავს, ან ძველი ჟურნალებიდან ჭრის სურათებს; ნახატის ქვეშ წერს სიტყვას; იგი აღწერს ნახატს და კლასთან ერთად განიხილავს საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვებს/ანტონიმებს; შემდეგ მასწავლებელი აწყობს სურათებს იატაკზე და სთხოვს მოსწავლეს, დაათვალიეროს ისინი; მასწავლებელი ხმამაღლა ამბობს საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვას და სთხოვს მოსწავლეს დახტეს შესაბამის ნახატზე ისე, რომ არ შეეხოს სხვას; პედაგოგი წაახალისებს მოსწავლეებს, რომ

აქტივობის შემდეგ აკრიფონ ბარათები და მიუტანონ მას, როდესაც დაიძახებს/ წარმოთქვამს ბარათზე გამოხატულ (ან საპირისპირო) სიტყვას.

მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა გაითვალისწინოს ბარათების განლაგება იატაკზე და შეარჩიოს ისეთი სიტყვები, რომ მოსწავლეების ნახტომი იყოს უსაფრთხო და ადვილად შესასრულებელი.

ან: მასწავლებელი მოსწავლეებს (ინდივიდუალურად ან წყვილში) ურიგებს ბარათების წყვილებს (დაშლილს) და სთხოვს, თითოეულ ბარათს მოუძებნონ შესაბამისი წყვილი. ფაზლის ტიპის, ერთმანეთში ჩასასმელ მცირე ზომის მუყაოს ბარათებზე/წყვილებზე გამოსახულია, მაგ.: 1. საწოლში მძინარე ბიჭი 2. ღამის ცა მთვარე და ვარსკვლავები; 1. სათამაშოებით მოთამაშე ბავშვი 2. ცისფერი ცა და მზე და ა.შ. თითოეულ ნახატს ქვეშ მიწერილი აქვს შესაბამისი ტექსტი. მაგ.: 1. ბიჭს სძინავს; 2. ღამე.

მოსწავლეები აკვირდებიან ბარათებს და ადგენენ წყვილებს, სვამენ ბარათებს ერთმანეთში. შენიშვნა: მნიშვნელოვანია, რომ ბარათი არ იყოს ბევრი. საწყის ეტაპზე საკმარისია 2-3 წყვილი.

ან: მასწავლებელი მოსწავლეებს წყვილებში ან ჯგუფში შესასრულებლად აძლევს არეულ ბარათებს, რომლებზეც გამოსახულია საპირისპირო მნიშვნელობის ცნებები წარწერებით (მაგ.: დიდი ხე/პატარა ხე, გრძელი ფანქარი/მოკლე ფანქარი, დაბალი შენობა/მაღალი შენობა, სუფთა/მაისური/ჭუჭყიანი მაისური...) და სთხოვს ერთმანეთის გვერდით დაალაგონ ბარათები და წაიკითხონ/დაასახელონ საპირისპირო სიტყვები (ანტონიმები).

ნაცნობი არსებითი სახელების ამოცნობა/დასახელება და კლასიფიკაცია, ალტ.ქართ.დაწყ.2, 8)

მასწავლებელი მოსწავლეებს დაყოფს ოთხ ჯგუფად და თითოეულ ჯგუფს ურიგებს ფეხსაცმელების ყუთს, ფერად შესაფუთ ქაღალდებს (ყველა ჯგუფს განსხვავებული ფერისას) და წებოს; მოსწავლეები მასწავლებლის აქტიური დახმარებით დააკრავენ ფურცლებს ყუთებს; მასწავლებელი თითოეულ ყუთს დააწერს შესაბამის სიტყვას: ა) ჭურჭელი; ბ) ტანსაცმელი; გ) სათამაშოები; დ) საჭმელი. მასწავლებელი სათამაშოების საერთო დიდი ყუთიდან იღებს პირველ ნივთს (მაგ.: კოვზი) და დებს წითელ ყუთში, რომელსაც აწერია ჭურჭელი; მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს საერთო ყუთიდან მორიგეობით ამოიღონ ნივთები და გაანაწილონ ყუთებში; ნივთები ყუთებში უნდა გადანაწილდეს ყოველი სასწავლო თამაშის შემდეგ. აქტივობის ხშირი გამეორება დაეხმარება მოსწავლეებს ნაცნობი საგნების კლასიფიკაციაში; გარკვეული ეტაპის შემდეგ სასურველია დაემატოს ახალი ყუთები (მაგ.: წიგნები, კუბები და ა.შ.).

შენიშვნა: მნიშვნელოვანია, ყუთები იყოს განსხვავებული ფერის, რომ მოსწავლეებმა წარწერის წაკითხვის გარეშეც შეძლონ ყუთების იდენტიფიცირება.

დასურათებული ტექსტი, ალტ. ქართ.დაწყ.3, 8,10,11

მასწავლებელს მზად აქვს დიდი ზომის ფორმატზე დაწერილი 3-4 წინადადებიანი მარტივი ტექსტი,რომელშიც ჩართულია 2-3 ნახატი; მცირე ზომის ბარათები იმავე ნახატებით.

მასწავლებელი დაფაზე ან კედელზე აკრავს ფორმატზე დაწერილ ტექსტს, რომელშიც რამდენიმე სიტყვის ნაცვლად წარმოდგენილია ნახატი;

პედაგოგი მოსწავლეს/მოსწავლეებს უკითხავს ამბავს და კითხვის პროცესში ხელს აყოლებს თითოეულ სიტყვას/ სურათს;

მასწავლებელი ტექსტს კითხულობს ყოველ გაკვეთილზე 3-4 დღის მანძილზე;

მოსწავლეები უსმენენ, შესაძლოა აყვნენ, ან გაიმეორონ ცალკეული სიტყვები;

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დაიმახსოვრებენ ტექსტს, მასწავლებელი აღარ აკრავს ფორმატს დაფაზე, არამედ მოსწავლეს/მოსწავლეებს მერხზე უწყობს ტექსტში მოცემული სურათების ანალოგიურ ბარათებს;

მასწავლებელი ფურცლიდან ხმამაღლა კითხულობს ტექსტს, ჩერდება იმ სიტყვებთან, რომლებიც ტექსტში წარმოდგენილი იყო ნახატით და სთხოვს მოწაფეებს, დააკვირდნენ მერხზე გაშლილ ბარათებს და მიუთითონ საჭირო ნახატზე; მოსწავლეები აკვირდებიან ბარათებს, მასწავლებელი გონებაში ითვლის ხუთამდე და თუ მოსწავლე/მოსწავლეები ვერ იპოვიან შესაბამის ნახატს, პედაგოგი თავად აჩვენებს ბარათს და ხმამაღლა წაიკითხავს სიტყვას.

სურათები და სიტყვები, ალტ.ქართ.დაწყ.8,10

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ორ ბარათს. ერთზე გამოსახულია მზე და მეორეზე წერია სიტყვა „მზე“; იგი რამდენჯერმე ხმამაღლა კითხულობს სიტყვას და მიუთითებს ბარათებზე; მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს მასთან ერთად წაიკითხონ ბარათზე დაწერილი სიტყვა;

აქტივობა მეორდება ყოველდღე 5-6 დღის განმავლობაში;

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს მხოლოდ სიტყვის ბარათს და სთხოვს წაიკითხონ სიტყვა; თუ მოსწავლეები ვერ კითხულობენ სიტყვას, მასწავლებელი გონებაში ითვლის ხუთამდე და შემდეგ აჩვენებს ნახატიან ბარათს; თუ მოსწავლეები მაინც ვერ კითხულობენ სიტყვას, თავად წარმოთქვამს სიტყვას და მიუთითებს ბარათებზე. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა დაიწყოს ახალ სიტყვაზე მუშაობა, მხოლოდ მას შემდეგ, როცა წინა სიტყვა უკვე შესწავლილი იქნება.

სიტყვის ბარათები, ალტ.ქარ.დაწყ. 8,10

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს სიტყვის ბარათს და მაშინვე ხმამაღლა უკითხავს სიტყვას; იგი იმეორებს აქტივობას ხუთჯერ; შემდეგ პედაგოგი მოსწავლეებს აჩვენებს იმავე სიტყვის ბარათს, ითვლის გონებაში ოთხამდე და შემდეგ ამბობს სიტყვას; მასწავლებელი ისევ იმეორებს აქტივობას ხუთჯერ;

მასწავლებელი კვლავ აჩვენებს ბარათს მოსწავლეებს და სთხოვს, წაიკითხონ სიტყვა (ამოიცნონ სიტყვები კონტექსტის გარეშე); თუ მოსწავლეები ვერ წაიკითხავენ სიტყვას, პედაგოგი დაეხმარება მათ და თავად წაიკითხავს სიტყვას (time-delay method)(Colins and Grifen1996).

სამიზნე სიტყვები, ალტ.ქართ.დაწყ.8,10

მასწავლებელი დაფაზე წერს მცირე ზომის ტექსტს (ან წინასწარ დიდ ფორმატზე გამზადებული აქვს) მაგ.: ბიჭი სკოლაში მიდის. ის დგას გაჩერებაზე. ავტობუსი მოვიდა. ბიჭი ავტობუსში ზის...

მასწავლებელი ხაზს უსვამს სამიზნე სიტყვებს; მასწავლებელი ბავშვებს რამდენჯერმე ხმამაღლა უკითხავს ტექსტს, სანამ ბავშვები მას არ დაიმახსოვრებენ. კითხვის დროს მასწავლებელი ხელს აყოლებს თითოეულ სიტყვას; შემდეგ პედაგოგი სთხოვს ბავშვებს მასთან ერთად წაიკითხონ ტექსტი;

ერთად კითხვის პროცესში პედაგოგი კვლავ მიუთითებს თითოეულ სიტყვას;

მასწავლებელი მიუთითებს ერთ-ერთ სამიზნე სიტყვას და სთხოვს მოსწავლეებს დამოუკიდებლად ამოიკითხონ ის.

ასოების ტომსიკები, ასოების გაცნობა, ალტ.ქართ.დაწყ.9

მასწავლებელი ორ-სამ ტომსიკას მარკერით აწერს ანბანის სხვადასხვა ასოს. შეარჩევს განსხვავებული ჟღერადობის ბგერებს. შეაგროვებს პატარა საგნებს და სათამაშოებს, რომლებიც ამ ასოებზე იწყება.

მაგ.: „ბ“ ბანანი, ბურთი, ბუ, ბროწეული. „ლ“ ლომი, ლიმონი, ლამფა და ლეღვი; პედაგოგი მოათავსებს ყველაფერს ერთ გროვაში და აჩვენებს მოსწავლეებს განსხვავებულ ტომრებს;

მასწავლებელი გააცნობს მოსწავლეებს ტომსიკაზე გამოსახულ თითოეულ ასოს და მათ ჟღერადობას; პედაგოგი აიღებს გროვიდან თითოეულ საგანს, აღწერეს მას და აძლევს მოსწავლეებს საშუალებას გადაწყვიტონ, რომელ ტომარაში მოათავსონ იგი;

მას შემდეგ, რაც ნივთებს დაახარისხებენ, მოსწავლეები თითოეულ ტომარას ცალ-ცალკე ამოალაგებენ და გადაამოწმებენ, სწორად განათავსეს თუ არა საგნები; მასწავლებელი აკვირდება თუ შეძლებენ მოსწავლეები ახალი საგნების მოფიქრებას, რომლებიც შეიძლება დაემატოს ტომარას.

ყოველი ახალი ასოს გაცნობისას იქმნება ახალი ტომარა, მოსწავლეებს შეუძლიათ გააფორმონ ტომრები.

დამარცვლე სახელი, ალტ.ქართ.დაწყ.9

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ მარცვალი შეიძლება იყოს ერთი ბგერა ან ბგერათა ჯგუფი, მაგალითად: „ბუ“ მხოლოდ ერთი მარცვალია და ამიტომ ერთხელ ვუკრავთ ტაშს, „სა-ა-თი“ სამი მარცვალია და ტაშს ვუკრავთ თითოეულ მარცვალზე ე.ი. სულ სამჯერ;

მოსწავლეები მორიგეობით წარმოთქვამენ საკუთარ სახელებს და მასწავლებელი ტაშით გამოყოფს თითოეულ მარცვალს.

სიმღერა და მარცვლები. რომელიმე ცნობილ საბავშვო მელოდიაზე მასწავლებელი მოიფიქრებს მარტივ სიმღერას მოსწავლეების სახელების გამოყენებით და ტაშით დამარცვლავს მათ.

 მაგ.:

იყო ერთი გოგო

მას ერქვა ანუკა

ა-ნუ-კა (ტაში შემოკარით თითოეული მარცვლის წარმოთქმისას)

ა-ნუ-კა (ტაში შემოკარით თითოეული მარცვლის წარმოთქმისას)

ა-ნუ-კა (ტაში შემოკარით თითოეული მარცვლის წარმოთქმისას)

მას ერქვა ანუკა...

რა გესმის? ალტ.ქართ.დაწყ. 3,9

 მასწავლებელი დაფაზე ან ფორმატზე ხატავს ღია და დახუჭულ თვალს; შემდეგ ეკითხება ბავშვებს, რატომ არის მოსმენა მნიშვნელოვანი უნარი? (აქვე შეგიძლიათ შევახსენოთ სხვა შეგრძნებებიც: ყნოსვა, შეხება, მხედველობა);

პედაგოგი ეკითხება მოსწავლეებს, თუ რა ესმით და ჩამოწერს მათ პასუხებს გახელილი თვალის ნახატის ქვეშ; მასწავლებელი სთხოვეს ერთ-ერთ მოსწავლეს დახუჭოს თვალები ან აუხვევს თვალებს თავსაფრით; მოსწავლე გაჩუმებულია ერთი-ორი წუთის მანძილზე და უსმენს ხმებს;

მასწავლებელი სთხოვს ჯერ კიდევ თვალახვეულ მოსწავლეს დაასახელოს, თუ რა ესმის. ჩამოწერს მის პასუხებს დახუჭული თვალის ნახატის ქვეშ;

მასწავლებელი ადარებს ერთმანეთს ნახატების ქვეშ მოცემული ჩამონათვალს. როდის ესმის მას უკეთ? რატომ ხდება ასე? მასწავლებელი და მოსწავლეები საუბრობენ გარემოში არსებული ხმების მოსმენის მნიშვნელობაზე.

მოხტუნავე მარცვლები, ალტ.ქართ.დაწყ. 3,9

მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს, რა არის მარცვალი (მარცვლავს სიტყვას ტაშის დახმარებით); შემდეგ სთხოვს ბავშვებს, რომ თითოეულ მარცვალზე ახტნენ ჰაერში და თავს ზემოთ ტაში შემოჰკრან; მასწავლებელი ავარჯიშებს მოსწავლეებს კვირის დღეების ან საკუთარი სახელების დამარცვლაში;

მოსწავლეები განიხილავენ კვირის რომელი დღის ან წელიწადის რომელ თვის დამარცლისას მოუწევთ ყველაზე მეტჯერ ახტომა (შესაძლებელია აქტივობის ინტეგრირება მათემატიკასთან).

სარეკომენდაციო შეფასების კრიტერიუმები:

მიმართულება: წერა	
სტანდარტის შედეგები	შეფასების კრიტერიუმები
ალტ. ქართ.დაწყ.12. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა მარტივი მოტორული აქტივობების ხელით შესრულება და ანბანის ყველა ასოს გამოწერა (ფიზიკური/მოტორული წერის უნარი)	მოსწავლე: იღებს და ხელში იჭერს მცირე ზომის საგნებს; იღებს და სწორად იჭერს პასტას; აწყობს მცირე ზომის კუბებით პაზლს/ბრტყელ პაზლს; შლის საგანს (მაგ. სათამაშო მანქანა, პასტა და ა.შ.) შემადგენელ მცირე ნაწილებად; აჯგუფებს მცირე ზომის ერთნაირ საგნებს (მაგ. ხურდა; ლობიოს მარცვლები და ა.შ); აჯგუფებს მცირე ზომის საგნებს სიდიდის/ზომის/ფერის მიხედვით; ათავსებს ფურცელს კონვერტში/ კონვერტს აწებებს; დაფაზე სწორად ათავსებს გამოჭრილ ფიგურებს; აწყობს მცირე ზომის ჩასარჭობი პაზლებით ფიგურებს; ათავსებს მცირე ზომის ნივთებს ყუთებში; ახვევს საგნებს ქაღალდში და ინახავს ყუთში/უჯრაში; კრავს ყუთს „სკოჩით;“ კრავს/ხსნის ელვაშესაკრავს/საკუთარი ფეხსაცმლის თასმებს; ახვევს სხვადასხვა ზომისა და ფორმის საგნებს ქაღალდში და კრავს მათ თასმით; აწებებს კონტეინერებზე, ყუთებზე ეტიკეტებს;

	აჯგუფებს მცირე ზომის საგნებს პინცეტით; იყენებს სტეპლერს/მაკრატელს; ხატავს ფუნჯით; აკვირდება საგნებს, ათვალიერებს მის შემადგენელ მცირე დეტალებს ამოცნობის მიზნით. მსხვილი მოტორული უნარები მოსწავლე: იჭერს კალამს და იყენებს მიზანმიმართული მოძრაობით; კალმით გამოყავს სიმბოლოები ფურცლის დაზიანებისა და კალმის გატეხვის გარეშე; სწორად იკავებს საწერ/სახატავ საშუალებებს და დანიშნულებისამებრ იყენებს მათ; ღებავს დიდი/საშუალო/მცირე ზომის თავისუფალ ფორმატს (ფერით შევსება); აფერადებს გასაფერადებლებს/შემოსაზღვრულ სივრცეებს; ახდენს წერის იმიტირებას (მიბაძვას); ხატავს სხვადასხვა საწერი და სახატავი საშუალებებით; ზის წერისთვის კომფორტულ პოზაში; აერთებს წერტილებს და შემოხაზავს კონტურს; აფიქსირებს საწერ ფურცელს, ავლებს ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ხაზებს, ხატავს ჯვარს; გადმოხატავს წრეს/ოთხკუთხედს/სამკუთხედს და შემდეგ დამოუკიდებლად ხატავს; მოხაზავს ასოების მსგავს ფორმებს; იცავს ფურცელზე ზემოდან-ქვემოთ და მარცხნიდან-მარჯვნივ ორიენტაციას; საკუთარი სახელის/გვარის ასოებს თანმიმდევრულად ჯერ შემოხაზავს, შემდეგ აკოპირებს, დაბეჭდავს და დაწერს; დამოუკიდებლად წერს საკუთარ სახელსა და გვარს; რიცხვებს 0-დან 9-მდე ჯერ შემოხაზავს, შემდეგ აკოპირებს და ბოლოს დამოუკიდებლად წერს/ბეჭდავს; ანბანის ყველა ასოს ჯერ შემოხაზავს, შემდეგ აკოპირებს და დამოუკიდებლად წერს/ბეჭდავს.

ალტ.ქართ.დაწყ.13. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა სახის მარტივი ტექსტების (მოსაწვევი ბარათის, დღის რეჟიმის, სხვადასხვა ტიპის სიებისა და სხვ.) შედგენა და გაფორმება კომპოზიციური მახასიათებლების დაცვით (ფუნქციური წერის უნარი).	მოსწავლე: ამთლიანებს ასოებს სიტყვებად; აკოპირებს პირად ინფორმაციას (მაგ. სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომერი); დამოუკიდებლად წერს/ბეჭდავს პირად ინფორმაციას (მაგ. სახელი, მისამართი, ტელეფონის ნომერი); წერს ასოებს სიდიდის დაცვით და ფანქარზე ზეწოლის სწორი განაწილებით; წერს/ბეჭდავს ბაზისურ, კარგად ნაცნობ სიტყვებს; დამოუკიდებლად წერს/ბეჭდავს თავისთვის მნიშვნელოვან ბაზისურ სიტყვებს (მაგ. დედის სახელი, საყვარელი სათამაშო/საქმიანობა, ცხოველის სახელი); წერს გარკვეულ იდეებს/ადგენს სიებს, მაგ. გაკვეთილების ცხრილს, დავალების, საყიდლების, სასურველი აქტივობების ჩამონათვალს; გადაწერს/გადაბეჭდავს უცხო სიტყვებს; ავსებს მარტივ ფორმებს სახელის, გვარისა და მისამართის მითითებით; წერს/ბეჭდავს მარტივ წინადადებებს ძახილის ნიშნისა და კითხვის ნიშნების სწორი გამოყენებით; წერს მარტივ ტექსტურ შეტყობინებებს/უგზავნის სხვა პირს; იყენებს თანმიმდევრობის გამომხატველ სიტყვებს წერისას (მაგ. პირველი, შემდეგი, მომდევნო და ა.შ.); გამოხატავს/სხვებს უზიარებს საკუთარ გამოცდილებას წერილობით; წერისას ყურადღებას ამახვილებს დეტალებზე; წერს წერილს/კონვერტზე მისამართს/იმეილს; წერს გაკვეთილის მომზადების გეგმას; სურათების ქვეშ სწორად წერს სიტყვებს; წერს/ბეჭდავს მისალოც ბარათს; წერს/ბეჭდავს კვირის დღეებს/თვეებს/ თარიღს.

აქტივობები წერისთვის

ანბანის /ასოების წვნიანი. ალტ.ქართ.დაწყ.10,12,13

ასოების ცნობა და ასოებისაგან სიტყვების აწყობა, ხმოვნებისა და თანხმოვნების შესწავლა.

მასწავლებელი მაგიდაზე დგამს ქოთანს. მერხზე აწყობს ასოების ბარათებს, ან გამოჭრილ ფერად ასოებს; ის ეუბნება მოსწავლეებს, რომ ახლა შეისწავლიან ახალ თამაშს „ასოების წვნიანს“; მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეს, იპოვოს რომელიმე კონკრეტული ასო, მაგ.: „უ“ და ჩააგდოს ქოთანში; მასწავლებელი სთხოვს მეორე მოსწავლეს, იპოვოს ასო „ქ“ და ჩააგდოს ქოთანში; მესამე და მეოთხე მოსწავლეები ქოთანში ყრიან „დ “ და „ი“ ასოებს; შემდეგ მასწავლებელი ან რომელიმე მოსწავლე მოურევს ქოთანს და ამოალაგებს ასოებს : „ვნახოთ რა სიტყვა გამოვიდა“. პედაგოგი ეხმარება მოსწავლეებს სიტყვა ქუდის აწყობაში;

მოსწავლეთა მზაობის მიხედვით მასწავლებელმა შესაძლებელია „მოამზადოს“ ხმოვნების ან თანხმოვნების წვნიანი, შეადგინოს უფრო რთული ან მარტივი სიტყვები.

მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს ფურცლებს, რომლებზეც ნაცნობი სიტყვებია დაწერილი. იგი სთხოვს მოსწავლეებს, სიტყვებში ხმოვნები წითელი ფანქრით გააფერადონ, თანხმოვნები – ლურჯით. შესაძლებელია, კონკრეტული ასოებიც იყოს სამიზნედ გამოყენებული (მაგ., ახლად შესწავლილი ასოები დააწერეთ ფერად ბუშტებს – შესაბამისი ფერის მითითებით, მაგ.: დაწერეთ ასო ი წითელ ბუშტზე...).

შესაფუთი ქაღალდის კოლაჟები, ალტ.ქართ.დაწყ.12

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გამოჭრან ან დახიონ ფერადი შესაფუთი ფურცლები სხვადასხვა ზომის და ფორმის ნაწილებად და შემდეგ მიაკრან მუყაოს ფურცელს; მასწავლებელი წაახალისებს მოსწავლეებს, რომ მუყაოს მაქსიმალური ფართობი დაფარონ;

პედაგოგი ესაუბრება მოსწავლეებს მათი ნამუშევრების შესახებ: რატომ აარჩიეს კონკრეტული ფერი? კოლაჟზე რამე კონკრეტულია გამოსახული თუ არა და სხვა (შესაძლებელია აქტივობის ინტეგრირება ხელოვნებასთან).

არქეოლოგი, ალტ.ქართ.დაწყ.12

მასწავლებელი (წინასწარ, გაკვეთილის დაწყებამდე) ოთახში სხვადასხვა ადგილას განათავსებს ძაღლის საჭმელს, ყელსაბამს და თათის ანაბეჭდს პლასტილინში;

მასწავლებელი უკითხავს მოსწავლეებს წიგნს დინოზავრების შესახებ (მაგ., ადაპტირებული ნაწყვეტი გიორგი შატბერაშვილის მოთხრობიდან „სათაფლია“); წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი და მოსწავლეები საუბრობენ, თუ როგორ აღმოაჩინეს მეცნიერებმა ნაკვალევი, რომელი ცხოველის ნაკვალევი უნახავთ ბავშვებს და ა.შ. მასწავლებელი დებს მერხზე პლასტილინის ნაჭერს და სთხოვს მოსწავლეებს, დაადონ ხელი/თითი და დააკვირდნენ დატოვებულ ანაბეჭდს;

მოსწავლეები რბილ პლასტილინზე აწყობენ სხვადასხვა ნივთს (ფოთლები, გირჩა, ნიჟარა) და აკვირდებიან ანაბეჭდს;

მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ ოთახში ცოტა ხნის წინ იყო ერთი ცხოველი, მაგრამ ახლა აღარ არის და სთხოვს მოსწავლეებს წარმოიდგინონ, რომ ისინი არიან არქეოლოგები, დაათვალიერონ ოთახი და გამოიცნონ, რომელი ცხოველი იყო ოთახში. მოსწავლეები ეძებენ ნივთებს, საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი ეხმარება და მიანიშნებს მათ, სად უნდა ეძებონ; მოსწავლეები განიხილავენ, რომელი ცხოველის სტუმრობაზე მეტყველებს ნაპოვნი ნივთები.

ტექსტის ნიმუში

ტექსტის ნიმუში, რომელიც აღწერილი აქტივობების გარკვეულ კონტექსტში ინტეგრირებას უწყობს ხელს

შესავალი

განათლების სფეროში მოწინავე ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ კითხვის სწავლებისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეს შევთავაზოთ მისი ასაკისა და ინტერესის შესაბამისი საკითხავი მასალა. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ტექსტში აღწერილი ამბავი, ყოველდღიურობა და სოციალური გარემო გასაგები, ნაცნობი იყოს მოსწავლისთვის.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე ის, რომ წასაკითხი/მოსასმენი ტექსტი გარკვეულ პარამეტრებს აკმაყოფილებდეს. წინადადების სიგრძე არ აღემატებოდეს 6-8 სიტყვას. ტექსტის ლექსიკური ქსოვილი იყოს მაქსიმალურად მარტივი და 95% -ით ნაცნობი სიტყვებისგან შედგებოდეს. წინადადებაში მოცემული სიტყვების სიგრძეც შეზღუდული უნდა იყოს და შეძლებისდაგვარად ხშირად მეორდებოდეს. წარმოდგენილი რეკომენდაციები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მოსწავლეებისთვის, რომელთაც მძიმე ან ძალიან მძიმე ინტელექტუალური განვითარების დარღვევა აღენიშნებათ.

მოცემული მოთხრობა არ წარმოადგენს ლიტერატურული ღირებულების მქონე ნაწარმოებს. ის შექმნილია საგანგებოდ, მოსწავლეთა სასწავლო თავისებურებების გათვალისწინებით. ნაწარმოების ქარგა აგებულია მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებსა და ყოველდღიურ ყოფაზე დაყრდნობით. მნიშვნელოვანია, რომ თხრობა აგებულია ორი მთავარი პერსონაჟის (კატოსა და სანდროს) ურთიერთობებსა და ყოველდღიურ საქმიანობაზე. პერსონაჟების უცვლელობა ყოველ წარმოდგენილ ეპიზოდში განპირობებულია სურვილით, მოსწავლეებს გავუღვივოთ ინტერესი წასაკითხი ტექსტის მიმართ, შევუქმნათ ნაცნობი გარემო. საყურადღებოა, რომ წარმოდგენილი აქტივობების უმრავლესობა დაკავშირებულია მოთხრობასთან, რათა მოსწავლეებს შევთავაზოთ კონტექსტური გარემო.

კატო და სანდრო

(ოჯახი)

კატო შვიდი წლის გოგონაა. მას დიდი ლურჯი თვალები აქვს. კატოს გრძელი ყავისფერი თმები აქვს. კატო თბილისში ცხოვრობს, ორბელიანის ქუჩაზე. პატარა მწვანე აივნიან სახლში. კატოს დედას ნინო ჰქვია, მამას - გიორგი, ბებიას - ელენე, მაგრამ კატო ბებას ეძახის. კატოს პატარა დაიკოს ქეთო ჰქვია, ქეთო სამი წლისაა და ბაღში დადის. კატოს და ქეთოს უფროსი ძმა ნიკა მეშვიდე კასშია. ნიკა წყალბურთზე დადის, ის ძალიან კარგად ცურავს. მათ ოჯახში ზოლებიანი კატაც ცხოვრობს. კატას ფისოს ეძახიან. კატოს საუკეთესო მეგობარი სანდროც კატოს ეზოში ცხოვრობს, ლურჯ სახლში. სანდროსაც დიდი ოჯახი ჰყავს. დედა-ანა, მამა- ლევანი, უფროსი და -კესო და სულ პატარა ძმა - ლუკა. სანდროს დიდი ყავისფერი ძაღლი ბიმი ჰყავს. სანდრო და კატო ერთ კლასში სწავლობენ და ყოველდღე ერთად მიდიან სკოლაში.

(ჰიგიენა, აბაზანა, ფერები, მისალმების ჟესტი/ ღიმილი, ტანსაცმელი, სკოლის ნივთები)

სანდრო დგება დილას 8 საათზე და შედის აბაზანაში. აბაზანაში დიდი სარკეა, სარკის გვერდით პირსახოცები კიდია. მამას პირსახოცი დიდი და ლურჯია. დედას პირსახოცი ფუმფულა და ყვითელია. კესოს პირსახოცი რბილია და ვარდისფერი. სანდროს პირსახოცი მწვანეა სტაფილოსფერი ზოლებით. ყველაზე ქვევით ლუკას პირსახოცი კიდია. ლუკას პირსახოცი ფუმფულაა და დიდი

დათუნია ახატია. სარკის წინ ნიჟარაა, ნიჟარაზე საპონი დევს. სარკესთან ჭიქა დგას. ჭიქაში ხუთი კბილის ჯაგრისია. მამას ჯაგრისი ლურჯია. დედას ჯაგრისი ყვითელია. კესოს ჯაგრისი ვარდისფერია, სანდროს ჯაგრისი მწვანეა. ლუკას ჯაგრისი ყველაზე პატარაა. სანდრო ორი წუთი იხეხავს კბილებს, მერე იცვამს ტანსაცმელს:

წითელი მაისური, ლურჯი შარვალი, ფეხზე წინდები და ფეხსაცმელები. სანდრო ალაგებს ჩანთას: ქართულის წიგნი და რვეული, მათემატიკის წიგნი და რვეული, სახატავი რვეული, ფერადი ფანქრები, პასტა, საშლელი.

-რამე ხომ არ დამავიწყდა? - ფიქრობს სანდრო - კატოს უნდა ვკითხო.

კატოც ადრე დგება იბანს პირს, იხეხავს კბილებს. კატო იცვამს ყვითელ კაბას და ლურჯ ფეხსაცმელებს.

კატოც ალაგებს ჩანთას: ჯერ ქართულის წიგნი და რვეული, მერე მათემატიკის წიგნი და რვეული, სახატავი რვეული, ფერადი ფანქრები, პასტა, საშლელი.

-რამე ხომ არ დამავიწყდა? - ფიქრობს კატო - სანდროს უნდა ვკითხო.

კატო აივანზე გარბის. სანდროც აივანზე დგას და კატოს ხელს უქნევს და უღიმის.

-კატო, მე ჩანთა ჩავალაგე-ამბობს სანდრო.

-მეც, ქართულის წიგნი და რვეული, მათემატიკის წიგნი და რვეული, სახატავი რვეული, ფერადი ფანქრები, პასტა, საშლელი. დამავიწყდა რამე?

სანდრომ გაუღიმა -კატო, იცი რა დაგვავიწყდა? - სახაზავი.

კატომ და სანდრომ სახაზავიც ჩადეს ჩანთაში.

(სკოლა)

(თანხმობის ნიშნად თავის დაქნევა, დათვლა, ჭურჭელი, ოჯახი, სადილი)

სკოლაში გაკვეთილები მთავრდება. კატო და სანდრო სახლში ბრუნდებიან.

სადილის მერე ეზოში ჩამოხვალ?- ეკითხება სანდრო კატოს.

კი,- თავს უქნევს კატო.

სანდრო სახლში ადის თან კიბეებს ითვლის:

ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი....

კატოც სახლში ადის. კატო ჯერ ფეხზე იცვლის, მერე აბაზანაში ხელებს იბანს.

კატოს სახლში ბება ხვდება.

-კატო, მოდი სუფრა გავშალოთ -ამბობს ბება.

მაგიდაზე თეთრი სუფრაა გადაფარებული. კატო მაგიდაზე ექვს თეფშს დებს.

ერთი თეფში ბებას,

მეორე თეფში დედას,

მესამე თეფში მამას,

მეოთხე თეფში ნიკას,

მეხუთე თეფში ქეთოს და მეექვსე თეფში - მე.

მერე კატოს შვიდი ჩანგალი და კოვზი გამოაქვს;

ერთი კოვზი ბებას,

მეორე კოვზი დედას,

მესამე კოვზი მამას,

მეოთხე კოვზი ნიკას,

მეხუთე კოვზი ქეთოს და მეექვსე კოვზი - მე.

ბებას მოაქვს პური და მარილი.

კატოს მოაქვს ჭიქები.

ბება დიდ ლამაზ თეფშზე აწყობს ხორციან ღვეზელებს. ღვეზელს გემრიელი სუნი აქვს.

კატო მაგიდაზე დგამს ერთ ბოთლ ფორთოხლის წვენს.

ბება თეფშებზე ასხამს ცხელ ბულიონს.

ზარი ირეკება. კატო კარებს აღებს. დედა და მამა სამსახურიდან მოდიან და ქეთო ბაღიდან მოჰყავთ. ნიკა აუზზე იყო და ისიც სახლში ბრუნდება.

ყველანი ერთად სხდებიან საუფრასთან და სადილობენ.

-რა გემრიელი ღვეზელია, ბება -ამბობს ქეთო.

-ბულიონიც ძალიან გემრიელია - ამბობს ნიკა.

(ეზოში, აივანი, მცენარეები, ზმნები)

-კატო, კატოოო- იძახის სანდრო - ეზოში ჩამოხვალ?

კატო აივანზე გადის და სანდროს ხელს უქნევს.

კატოს აივანი სულ მწვანეა. აივნის ხის ჩუქურთმები მამამ მწვანედ შეღება. დედამ ხის იატაკზე დიდი თიხის ქოთნები დაალგა. ყველაზე დიდ ქოთანში წითელი ვარდი ჩარგო. უფრო პატარა თიხის ქოთანში - ვარდისფერი. ყველაზე პატარა ქოთანში კი თეთრი ვარდია. თიხის ქოთნები აივნის მოაჯირზეც არის. ყველა ქოთანში ლამაზი მწვანე მცენარეა. ერთ ქოთანში ბებამ მწვანილის თესლები დარგო. მალე მწვანილი ამოვა კატოს აივანზე.

კატო სანდროს უღიმის - მალე ჩამოვალ.

ვაი, ერთი ქოთანი ძირს გადმოვარდა და გატყდა.

- სანდრო, ქოთანი გავტეხე - ნერვიულობს/ წუხს კატო - რა ვქნა?

- მოიცა, ახლავე მოვალ, დაგეხმარები - ამბობს სანდრო.

- დედას საყვარელი ტიტებია, - ტირის კატო - დედას ეწყინება, ეს ტიტები ძალიან უყვარს.

- სხვა ქოთანში ჩავრგოთ - მოიფიქრა სანდრომ.

- ყველა ქოთანში ყვავილია, არ მაქვს სხვა ქოთანი - ისევ ტირის კატო.

- მაშინ ეზოში ჩავრგოთ - ამბობს სანდრო.

- ჰო, ეზოში ჩავრგოთ -უხარია კატოს.

სანდრომ და კატომ ტიტები მოაგროვეს. აიღეს ნიჩაბი და ეზოში ჩავიდნენ.

- სანდრო, სად დავრგოთ?

- ამ, ხის ძირას - ამბობს სანდრო

-არა, იმ ბუჩქის ძირას - ამბობს კატო - იქ უფრო ლამაზი იქნება.

-კარგი, - ეთანხმება სანდრო.

სანდრომ აიღო ნიჩაბი და ამოთხარა ორმო. კატომ ორმოში ტიტები ჩარგო. კატომ წყალი მოიტანა და ტიტები მორწყა.

-მორჩა, დავრგეთ -უხარია კატოს.

- ხო ლამაზია, აივნიდანაც კარგად ჩანს - ამბობს სანდრო.

- მოდი, ახლა ბურთით ვითამაშოთ - ამბობს კატო.

(მეტყველება, გამარჯობა, ცხოველები, ცხოველების ხმები)

კატოს ძალიან უყვარს ცხოველები. კატო თავის ზოლებიან კატას ფისოს ეძახის. ფისოს მზეზე წოლა უყვარს. ფისო სულ აივნის მოაჯირზე წევს და მზეზე თბება. კატო ფისოს ჯამში თბილ რძეს უსხამს. ფისო რძეს სვამს და მერე ჯამსაც ლოკავს.

მალე კატოს დაბადების დღეა.

-კატო, რა გაჩუქოთ დაბადების დღეზე - ეკითხება მამა კატოს.

- სპილო, -ამბობს კატო.

-სპილო? - უკვირს მამას - სპილო ძალიან დიდია, სახლში როგორ დაეტევა?

-მაშინ ჟირაფი - ამბობს ქეთო - ეზოში იცხოვროს და აივნიდან ვაჭმევთ.

- აქ ჟირაფი როგორ გაჩერდება - ამბობს ბება- თანაც ყველა ყვავილს შეჭამს.

- დიდი ძაღლი, - ამბობს კატო.

-არა, არა, არა, - ამბობს დედა, -კატა და ძაღლი ერთად სულ იჩხუბებენ.

- მაშინ ჩიტი - ამბობს ნიკა - სახლშიც დაეტევა და არც ფისოსთან იჩხუბებს.

კატოს დაბადების დღე დადგა. დედამ ტორტი გამოაცხო, ბებომ - ვაშლის ნამცხვარი. ნიკამ და მამამ ლიმონათები მოიტანეს. კატომ მეგობრებს დაუძახა.

პირველი სანდრო მოვიდა და კატოს საჩუქრად წიგნი მოუტანა, მეკობრეებზე. მერე სხვა სტუმრებიც მოვიდნენ და ყველამ საჩუქრები მოუტანა კატოს. კატოს მამამ დიდი ყუთი მოიტანა. მამამ ყუთიდან გალია ამოიღო. გალიაში დიდი თუთიყუში იჯდა.

-თუთიყუში, სანდრო, მამამ თუთიყუში მაჩუქა - უხარია კატოს.

-ვაა, თუთიყუში! -უხარია სანდროსაც.

- ქეთო, ნიკა, თუთიყუში! - არ ჩერდება კატო.

-კატო, რა დავარქვათ? -ეკითხება მამა.

-ჟაკი , მოდით ჟაკი დავარქვათ - ამბობს სანდრო.

მოდი - ეთანხმება კატო.

***

გალია ფანჯარასთან დადგეს. ჟაკი მოწყენილი იყო, ახალ სახლს ათვალიერებდა.

სანდრო და კატო ფერადი ფანქრებით ხატავდნენ. ნიკა აუზზე იყო. ქეთო ეზოში თამაშობდა. ბება სადილს ამზადებდა. ფისო აივანზე იწვა და თათს ილოკავდა. მიაუ, მიაუ - დაიკრუტუნა ფისომ. მიაუ, მიაუ -უცებ გაისმა ოთახში.

-ეს რა არის? - გაუკვირდა სანდროს - სხვა კატაა?

- სად არის? - იკითხა კატომ.

სანდრომ მაგიდის ქვეშ შეიხედა. კატომ კარადის უკან შეიხედა.

აქ არ არის. მიაუ, მიაუ - ისევ გაისმა ოთახში.

- უი, ჟაკი, ჟაკი ლაპარაკობს - დაიყვირა სანდრომ.

- ჟაკი ფისოს ხმას იმეორებს - გაუხარდა კატოს.

- მოდი ჟაკს გამარჯობის თქმა ვასწავლოთ - მოიფიქრა სანდრომ.

- მოდი - გაუხარდა კატოს.

სანდრომ და კატომ გალია მაგიდაზე დადგეს.

-ჟაკ, აბა თქვი გამარჯობა - თქვა სანდრომ.

- გამარჯობა - თქვა კატომ.

- გამარჯობა, ვინმეს რომ დაინახავ, უნდა უთხრა გამარჯობა - თქვა სანდრომ.

- გამარჯობა, გამარჯობა, გამარჯობა- უცებ თქვა ჟაკმა.

(პირველი და ბოლო ბგერების გამოთქმა)

სანდრო ყოველ დღე მოდის კატოსთან. ყველას ესალმება და ჟაკის გალიასთან მიდის.

- გამარჯობა, ჟაკ -ამბობს სანდრო.

- გამარჯობა, გამარჯობა, გამარჯობა - ამბობს ჟაკი.

-კატო, მოდი ჟაკს ჩვენი სახელები ვასწავლოთ - ამბობს სანდრო.

- მოდი, ჟაკ, აბა თქვი სანდრო. - ამბობს კატო.

- სანდრო, სანდრო, სანდრო - იმეორებენ/ამბობენ კატო და სანდრო -სანდრო, სანდრო, სანდრო...

-ანდრო -უცებ ამბობს ჟაკი.

- ანდრო კი არა, სანდრო - ბრაზობს სანდრო.

- სსსსსსსსანდრო, სსსსსსსანდრო - ასწავლის კატო.

-სსსსსსსანდრო - ამბობს ჟაკი.

- თქვა, თქვა! -უხარიათ სანდროს და კატოს.

- აბა, თქვი კატო, კატოოოო - ასწავლის კატო.

-კატ, კატ ამბობს - ჟაკი.

- კატოოო, კატოოოო - ამბობს სანდრო.

-კატოოოოოო, კატოოოო - იმეორებს ჟაკი.

ამ მონაკვეთის მიხედვით აქტივობებში შეიძლება ჩავამატოთ ახალი თამაში „შენ ხარ თუთიყუში“

მასწავლებელს გამოჰყავს ერთი მოსწავლე და ახურავს თუთიყუშიან ქუდს (შეიძლება იყოს თავზე დასამაგრებელი დახატული თუთიყუში ან მსგავსი რამ);

მოსწავლემ უნდა გაიმეორს ის სიტყვები, რომლებსაც კლასელები მორიგეობით ეუბნებიან;

შესაძლებელია მასწავლებელმა მოსწავლეებს სთხოვოს სიტყვების კედელზე მოცემული შესასწავლი სიტყვების წაკითხავა, „თუთიყუშს“ კი ამ სიტყვების გამეორება;

წარმოდგენილი აქტივობა დაეხმარება მოსწავლეებს ფონოლოგიური უნარის განვითარებაში.

(ღამე, ვარსკვლავები, ცხოველები, ზმნები, გრძნობები)

ღამეა. ბნელა. ცაზე მთვარეა და ვარსკვლავები. კატო და სანდრო აივანზე სხედან. კატოს კალთაში ფისო უწევს. კატო ფისოს ეფერება. ბიმი სანდროს ფეხებთან წევს. ბიმს კატები არ უყვარს, მაგრამ სანდროს უჯერებს და ფისოს არ უყეფს.

კატოს ვარსკვლავების ყურება უყვარს. სანდროს დიდი ბინოკლი აქვს და მთვარეს უყურებს. მთვარე ხან მრგვალია, ხან წვრილი. კატოს ვარსკვლავების დათვლა უნდა, მაგრამ იმდენია, ვერ ითვლის.

-სანდრო, დღე უფრო მოგწონს თუ ღამე? - ეკითხება კატო.

-დღე, დღისით მზეა და ფეხბურთს ვთამაშობ - ამბობს სანდრო.

- მე კიდევ ღამე- ამბობს კატო.

-რატომ?

-ღამე ცაზე ვარსვლავებია, მთვარეა და ყველაფერი ისმის.-ამბობს კატო.

-დღისით არ ისმის?- უკვირს სანდროს.

- ღამე უფრო ისმის... აი, დახუჭე თვალები და ნახავ - ამბობს კატო.

სანდრო ხუჭავს თვალებს.

- აი, მოისმინე, შორს ძაღლი ყეფს. ქუჩაში დიდმა მანქანამ ჩაიარა. კიდევ რა გესმის?

- დეიდა ნინო ტელეფონზე ლაპარაკობს. ქარი ფოთლებს აშრიალებს. მართალი ხარ, თვალებს რომ დახუჭავ, უფრო ბევრი რამ ისმის.- ამბობს სანდრო.

აქ შეიძლება გამოვიყენოთ აქტივობა: ,,რა გესმის?“ (ალტ.ქართ.დაწყ. 3, 9 კითხვა-ფონოლოგიური)

ეს სახალისო აქტივობა ეხმარება მოსწავლეებს ხმების გარჩევა-იდენტიფიცირებასა და მოსმენის უნარის ჩამოყალიბებაში.

(კატომ და სანდრომ წაიკითხეს მეკობრეების ამბავი და დაიწყეს განძის ძებნა.)

კატოს და სანდროს უყვართ წიგნების კითხვა. საღამოობით კატო მიდის სანდროსთან. კატოს თან მიაქვს მეკობრეების წიგნი. კატო და სანდრო ერთად სხედან დიდ მწვანე სავარძელში და მეკობრეების შესახებ წიგნს კითხულობენ. სანდრო თავს მეკობრეების კაპიტნად წარმოიდგენს. ის ცალ თვალს იხვევს და კოჭლობით დადის. მერე გალიიდან ჟაკი გამოჰყავს და მხარზე ისვამს. სანდრო ნამდვილ მეკობრეს ჰგავს. კატო სანდროს მთავარი დამხმარეა. სანდროს ძმა ლუკა კი პატარა მეზღვაური/მეკობრე.

-კატო, ყველა მეკობრეს აქვს დამარხული განძი -თქვა სანდრომ.

-კი, კუნძულზე ან გამოქვაბულში აქვთ დამალული - თქვა კატომ.

- ჩვენ უნდა ვიპოვოთ მეკობრეების განძი -გაუხარდა სანდროს.

-სად ვიპოვოთ?- გაუკვირდა კატოს.

-განძი ყველგან შეიძლება იყოს, ჩვენს ეზოშიც - გადაწყვიტა სანდრომ.

-ჩვენს ეზოში? - გაუკვირდა კატოს.

- იქნებ დიდი ხნის წინ ამ სახლის სარდაფში მეკობრეები იმალებოდნენ? -თქვა სანდრომ.

- კი... და განძი ალბათ ეზოში ჩამარხეს! - გაუხარდა კატოს.

- ხვალ ვეძებთ განძს! - დაიყვირა ორივემ.

მეორე დილას სანდრომ და კატომ ადრე გაიღვიძეს. სანდრომ ნიჩაბი წამოიღო და ბიმი წამოიყვანა. კატომ ფოცხი და ნიჩაბი ჩაიტანა ეზოში.

-კატო, სად ვეძებოთ?- ჰკითხა სანდრომ.

- მე რომ კაპიტანი ვყოფილიყავი - თქვა კატომ - განძს ყველაზე დიდი ხის ქვეშ დავმარხავდი.

- აი, ეს ნაძვი ყველაზე მაღალია - თქვა სანდრომ.

- ეს მუხა ალბათ 100 წლის არის - თქვა კატომ - მუხის ქვეშ იქნება.

სანდრომ და კატომ ნიჩბებით მიწის თხრა დაიწყეს. მთელი დილა თხარეს, ბიმიც ეხმარებოდათ. ბოლოს სანდროს ნიჩაბი რკინას მოხვდა და დაიწკარუნა.

-განძი, განძი! - დაიყვირეს კატომ და სანდრომ.

-მამა, დედა, განძი ვიპოვეთ! - დაიძახა სანდრომ.

ეზოში ნიკა, კესო ძია გიორგი და ძია ლევანიც ჩამოვიდნენ.

-აბა, რა იპოვეთ?-იკითხა ძია ლევანმა.

-აი, როგორი ხმაა, ნამდვილად განძია! - თქვა კატომ.

-მოდი ვნახოთ, - თქვა ძია გიორგიმ.

ძია გიორგი, ნიკა და ძია ლევანი კატოს და სანდროს დაეხმარნენ. დიდი ორმო ამოითხარა.

-ეს რა არის? - იკითხა კატომ.

- ეს წყლის მილია - გაეცინა ძია გიორგის.

- ჩვენი სახლის წყლის მილი - თქვა ძია ლევანმა. - ყოჩაღ რომ იპოვეთ, რამდენ ხანს ვეძებდი?!

ყველას გაეცინა. ძია ლევანმა კატოს და სანდროს მადლობა გადაუხადა დახმარებისთვის. ძია გიორგიმ ბავშვებს ნაყინი უყიდა.

- ბიმი სად არის? - იკითხა სანდრომ.

- ნახე, რაღაც იპოვა ორმოში - თქვა კატომ - ეს რა არის?

- ძვალი! - გაიცინა სანდრომ - ბიმმა თავისთვის განძი იპოვა!

(ცირკი; მაკდონალდსი; შიში; ფერები)

კვირა დღეა. კატოს მამას /ძია გიორგის კატო, ქეთო და სანდრო ცირკში მიჰყავს. ცირკამდე მაკდონალდსშიც უნდა შევიდნენ.

მაკდონალდსში ყველა თვითონ ირჩევს საჭმელს, კატოს ჰამბურგერი უყვარს, სანდროს - ჩიზბურგერი. ქეთოს აუცილებლად ჰეფიმილი უნდა.

-აბა, ვის როგორი ნაყინი უნდა? - ეკითხება მამა.

- მე შოკოლადის - ამბობს კატო.

- მეც - ამბობს სანდრო.

- მე მარწყვის - ამბობს ქეთო.

-კარგი, მეც მარწყვის - ამბობს მამა.

ყველანი მრგვალ წითელ მაგიდასთან სხდებიან. მაგიდის გარშემო ფერადი სკამებია. მხიარული მუსიკა ისმის.

-ქეთო, რა სურპრიზია „ჰეფიმილში“? - ეკითხება სანდრო.

-სათამაშო ცხენი - უხარია ქეთოს.

- ნამდვილს ჰგავს, -ამბობს კატო.

- ცირკში მალე წავალთ? - ღელავს ქეთო - ჯამბაზი უნდა ვნახო.

- შევჭამოთ და წავიდეთ -ამბობს მამა.

მამამ ცირკის ბილეთები სალაროში იყიდა.

კატო და სანდრო ცირკის კიბეებზე ხტუნვით/ასკინკილით ადიან. ქეთოს ცალ ხელში სათამაშო ცხენი უჭირავს, მეორე ხელს მამას ჰკიდებს.

აი, უკვე ცირკში შევიდნენ. კონტროლიორი ბილეთებს ამოწმებს. სანდრო, კატო, ქეთო და მამა ადგილებზე სხდებიან. რამხელა არენაა, ზედ წითელი ხავერდია გადაფარებული. ხან ლურჯი შუქი ანათებს, ხან ყვითელი, ხან თეთრი. ხმამაღალი მუსიკა ისმის.

არენაზე ჯერ აკრობატები გამოდიან. ძალიან მაღლა ხტებიან და სალტოებს აკეთებენ.

კატო და სანდრო ტაშს უკრავენ, ძალიან მოსწონთ.

- ჯამბაზი მალე გამოვა? - ღელავს ქეთო.

არენაზე ცხენი გამოჰყავთ. მხედარი ცხენს აჭენებს.

-ქეთო, ნახე შენს ცხენს ჰგავს -ამბობს მამა.

-კი, ჩემნაირია -უხარია ქეთოს.

არენაზე კაცები გამოდიან და დიდ გალიებს/ ღობეებს აყენებენ. ფარდა იწევა და სამი ლომი გამოდის. კატოს ცოტა ეშინია და სანდროს ხელს ჰკიდებს. ლომი დიდ პირს აღებს. ქეთო თვალებს ხუჭავს და მამას ეხუტება.

ნუ გეშინია, ამ რკინის ღობეს ვერ გადმოახტება - აწყნარებს სანდრო.

- ჯამბაზი მალე გამოვა? - ისევ ღელავს ქეთო.

ბოლოს არენაზე ჯამბაზი გამოდის. ჯამბაზი ძალიან სასაცილოა. მოკლე ყვითელი შარვალი აცვია და ზოლებიანი მაისური. ფეხზე - დიდი შავი ფეხსაცმელები. ყელზე მწვანე ბაფთა უკეთია. თმები სტაფილოსფერი და გაწეწელი აქვს, ცხვირი - დიდი და წითელი. თავზე მრგვალი ლურჯი ქუდი ახურავს.

- ჯამბაზი! ჯამბაზი! - უხარია ქეთოს.

ჯამბაზი ხან ტირის და ცრემლებით ყველას წუწავს, ხან იცინის და არენაზე კოტრიალობს.

ბავშვებს ძალიან მოსწონთ და ტაშს უკრავენ.

აქ შეიძლება აქტივობა „ჩემი ფერადი ტექსტი“ (მცირე ზომის მოსმენილი ტექსტის მიხედვით ნახატის გაფერადება)

ჯამბაზის სილუეტური ნახატი

ფერადი ფანქრები/ ფლომასტერები

აქტივობის მიმდინარეობა:

მასწავლებელი მოსწავლეებს მიმართავს თხოვნით, ყურადღებით მოუსმინონ ტექსტს და ტექსტის მიხედვით გააფერადონ ჯამბაზის სილუეტური ნახატი;

მასწავლებელი ნელა, გარკვევით უკითხავს მათ ტექსტს ჯამბაზზე.

მოსმენილის მიხედვით მოსწავლეები აფერადებენ ჯამბაზის სილუეტურ ნახატს.

(გზამკვლევი მასწავლებლებისთვის 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ქართული ენა და ლიტერატურა I-VI კლასები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი, თბილის 2011)

იდეები ტექსტისთვის:

პერსონაჟები: 2 ოჯახი, ერთში: გოგო დედა მამა, ბებია, და, ძმა;

მეორე: ბიჭი, დედა, მამა, ძმა, და

ერთს ჰყავს ძაღლი მეორეს - კატა;

სკოლის ნივთები

პირის დაბანა,

პირსახოცი და აბაზანა

ლოკაცია: 2 სახლი; ეზო

სკოლა,

სახლი დეტალიზებული ყველა ოთახი+ აივანი, ყვავილებით,

საავადმყოფო;

პოლიცია,

ზოოპარკი;

ცირკი;

კინო;

მაკდონალდსი:

ტყე;

მაღაზია;

ღამე, ვარსკვლავები

ემოცია: სიყვარული (დედა, ძაღლი); წყენა; გაბრაზება; სევდა; გაკვირვება; ზიზღი; შიში; ტირილი; დახმარება; სიკეთე; ტკივილი (თათი); სიხარული.

ფიზიკური აქტივობა : ხტუნაობა, ასვლა; ჩასვლა; მიაჭედა; დააკაკუნა; წერა; მიაწება; გატეხა/ დაამტვრია. ააწყო; დახატა; დაანგრია; დახია; დამალა; იპოვა; მანქანა მიდის მართავს; გააჭენა;

კოგნიტური სფერო: ჭურჭელი; ხილი ბოსტნეული; ტრანსპორტი; ზომა; ტანსაცმელი; ცხოველი; ფერები; ტექსტურა; დიდი-პატარა; მცენარეები;

მეტყველება: თუთიყუში ჟაკი კესო და სანდრო ასწავლიან ჟაკს ლაპარაკს;

ვასწავლოთ გამარჯობა და ა.შ პირველი და ბოლო ბგერა

კესოს ფისო აკეთებს მიაუ-მიაუს;

თამაში შენ ხარ თუთიყუში (ქუდი)

თითებით ლაპარაკი

კესო და სანდრო

დახატე, გააფერადეს მასწავლებელს დაუხატეს, მისცა სტიკერი

დავალების შესრულება;

ერთად კეთება შედეგზე ორიენტირებული;

კესომ და სანდრომ წაიკითხეს მეკობრეების ამბავი და დაიწყეს განძის ძებნა.

მხატვრული ტექსტის ადაპტაციისა და გამარტივების ნიმუში

რჩევები ტექსტის ადაპტირებისთვის:

მოკლე წინადადებები. მოსწავლეებს უჭირთ გრძელი 10-12 სიტყვიანი წინადადებების აღქმა, შინაარსის გაგება. სასურველია გრძელი წინადადებები შევამოკლოთ, ან ორ მოკლე წინადადებად ვაქციოთ.

მოკლე სიტყვები. კითხვის პროცესის გაიოლებისთვის მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს ტექსტში ხვდებოდეთ მოკლე, მარტივად წასაკითხი სიტყვები. გრძელი სიტყვის დასწავლა- დამახსოვრება გაცილებით რთულია, ვიდრე მოკლე, რამდენიმე ასო-ბგერისგან შედგენილი სიტყვის ხატის დამახსოვრება.

ნაცნობი სიტყვები. გაგება-გააზრების პროცესის ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს შევთავაზოთ მათთვის ნაცნობი ლექსიკური ერთეულებით შედგენილი ტექსტი. თუ მოსწავლეებისთვის სიტყვების მნიშვნელობა უცნობი იქნება, შესაბამისად, რთული იქნება ტექსტის შინაარსის გაგებაც. ტექსტში ნაცნობი სიტყვების ნახვა საგრძნობლად გააიოლებს ამოკითხვის პროცესსაც. სასურველია უცხო სიტყვები მოსწავლისთვის სინონიმით ან მსგავსი მნიშვნელობის მქონე სიტყვებით ჩავანაცვლოთ.

ხშირად გამეორებული სიტყვები. ტექსტში სიტყვების ხშირი გამეორება ხელს უწყობს სიტყვების ცნობას, დამახსოვრებასა და შესწავლას. ხშირ შემთხვევაში ტავტოლოგიის პრობლემაზე უფრო რთული მოსწავლეებისთვის სიტყვის ამოკითხვის პროცესია. ერთი და იმავე სიტყვის ნახვა ტექსტში მოსწავლეს უადვილებს კითხვის პროცესს და მეტ თავდაჯერებულობას მატებს.

ორი ღვთისნიერი ძმა

იყო ორი ძმა.(3) უფროსს ცოლ-შვილი ჰყავდა, უმცროსი კი უცოლო იყო. (7) ძმები გაიყარნენ და რაც კი ჰქონდათ, ყველაფერი შუაზე გაიყვეს.(9) გაყოფის შემდეგ ერთი ძმის ხორბლის შესანახი ორმო კალოს აქეთ იყო, მეორისა - იქით.(12) უფროსი ამოიღებდა თავისი ორმოდან ხორბალს, უმცროსი ძმის ორმოში ჩაყრიდა და იტყოდა: (11) მე ცოლშვილიანი ვარ, ჩემს ძმას კი არავინ ჰყავს. (8) ეს მისი იყოს, მან ჭამოსო. (5) უმცროსი ძმაც ამოიღებდა თავისი ორმოდან ხორბალს და უფროსი ძმის ორმოში ყრიდა: (11) - მე მარტოხელა ვარ და ჩემი სარჩო, სადაც ვიქნები, ადვილი საშოვნელია.(10) ჩემი ძმა კი ოჯახის პატრონია, მას უფრო მეტი სჭირდება და მისი იყოსო.(12)

(90 სიტყვა)

ადაპტირება

იყო ორი ძმა.(3) უფროსს ცოლ-შვილი ჰყავდა, უმცროსი კი უცოლო იყო. (7) უფროს ძმას ცოლ-შვილი ჰყავდა. (4) უმცროსს ცოლ-შვილი არ ჰყავდა.(4) ძმები გაიყარნენ და რაც კი ჰქონდათ, ყველაფერი შუაზე გაიყვეს.(9) ძმები ცალ-ცალკე დასახლდნენ. (3) ძმებმა ყველაფერი შუაზე გაიყვეს.(4) გაყოფის შემდეგ ერთი ძმის ხორბლის შესანახი ორმო კალოს აქეთ იყო, მეორისა - იქით.(12) ორივე ძმა ხორბალს ორმოში ინახავდა.(5) ერთი ძმის ორმო მინდვრის აქეთ იყო, მეორისა - იქით. (8) უფროსი ამოიღებდა თავისი ორმოდან ხორბალს, უმცროსი ძმის ორმოში ჩაყრიდა და იტყოდა: (11) უფროსი ძმა თავის ხორბალს ჩუმად ყრიდა უმცროსის ორმოში. (8) მე ცოლშვილიანი ვარ, ჩემს ძმას კი არავინ ჰყავს. (8) ეს მისი იყოს, მან ჭამოსო. (5) უმცროსი ძმაც ამოიღებდა თავისი ორმოდან ხორბალს და უფროსი ძმის

ორმოში ყრიდა: (11) უმცროსი ძმა თავის ხორბალს ყრიდა უფროსის ორმოში.(8) - მე მარტოხელა ვარ და ჩემი სარჩო, სადაც ვიქნები, ადვილი საშოვნელია.(10) ჩემი ძმა კი ოჯახის პატრონია, მას უფრო მეტი სჭირდება და მისი იყოსო.(12) -მე მარტო ვარ და ცოტა მჭირდება. (6) ჩემს ძმას ცოლ-შვილი ჰყავს(4) მას მეტი სჭირდება. (3) ეს ხორბალი მისი იყოსო. (4)

ადაპტირებული

იყო ორი ძმა.(3) უფროს ძმას ცოლ-შვილი ჰყავდა. (4) უმცროსს ცოლ-შვილი არ ჰყავდა.(4) ძმები ცალ-ცალკე დასახლდნენ. (3) ძმებმა ყველაფერი შუაზე გაიყვეს.(4) ორივე ძმა ხორბალს ორმოში ინახავდა.(5) ერთი ძმის ორმო მინდვრის აქეთ იყო, მეორისა- იქით. (8) უფროსი ძმა თავის ხორბალს უმცროსის ორმოში ჩუმად ყრიდა. (8) მე ცოლშვილიანი ვარ, ჩემს ძმას კი არავინ ჰყავს. (8) ეს მისი იყოს, მან ჭამოსო. (5) უმცროსი ძმა თავის ხორბალს ყრიდა უფროსის ორმოში.(8) -მე მარტო ვარ და ცოტა მჭირდება. (6) ჩემს ძმას ცოლ-შვილი ჰყავს.(4) მას მეტი სჭირდება. (3) ეს ხორბალი მისი იყოსო. (4)

(76 სიტყვა)

მათემატიკა

მათემატიკური შინაარსის სავალდებულო თემებში ინტეგრირების ნიმუშები

თემა: სახლსა და სკოლაში

<table>
<tr><td colspan="2">სამიზნე მათემატიკური ცნება: ლოგიკის უმარტივესი ელემენტები</td></tr>
<tr><td colspan="2">მკვიდრი წარმოდგენები:
ჩვენ ირგვლივ, სახლსა და სკოლაში არსებულ ყველა საგანს აქვს ფერი, ზომა, ფორმა და დანიშნულება;
ჩვენი გარემომცველი საგნები, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება დავაჯგუფოთ სხვადასხვა ნიშნით, მაგ., ფერით, ფორმით, ზომით და დანიშნულებით;
სახლსა თუ სკოლაში არსებული საგნების ნებისმიერ ორ ჯგუფში შეიძლება იყოს საგნების თანაბარი ან არათანაბარი რაოდენობა;
ჯგუფებში საგნების რაოდენობის შედარება შესაძლებელია დათვლის გარეშე (მაგ., დაწყვილებით);
ზოგჯერ სახლსა და სკოლაში არსებულ ნივთებს განალაგებენ ხოლმე გარკვეული წესით; ამ განლაგებაზე დაკვირვების შემდეგ ხშირად შესაძლებელია განლაგების წესის ამოცნობა.</td></tr>
<tr><td>საკითხები</td><td>შეფასების ინდიკატორები:</td></tr>
<tr><td>მსგავსი და განსხვავებული საგნები</td><td>მსგავსი/განსხვავებული საგნების იდენტიფიკაცია და განმასხვავებელ ნიშანზე მითითება</td></tr>
<tr><td>ფორმა, ფერი, ზომა, დანიშნულება - განმასხვავებელი ნიშნები</td><td>განასხვავოს საგნები ზომით, ამოიცნოს ერთნაირი ზომის საგნები;
განასხვავოს საგნები ფერით, შექმნას ერთი ფერის საგნების ჯგუფი; დაასახელოს იმავე ფერის მქონე სხვა საგნები;</td></tr>
<tr><td>რაოდენობა. თანაბარი და არათანაბარი რაოდენობა</td><td>საგანთა კლასიფიცირება ზომის და ფერის მიხედვით; მითითებული თვისების მქონე საგანთა ერთობლიობის შექმნა;</td></tr>
<tr><td>საგანთა რაოდენობის შედარება ერთობლიობებში. ცნებები: მეტი, ნაკლები, ტოლი</td><td>საგანთა ჯგუფის გამაერთიანებელი ნიშნის დასახელება;
საგანთა ჯგუფიდან მითითებული ნიშნის ობიექტების გამოყოფა.
საგანთა ჯგუფების შედარება (რაოდენობის თვალსაზრისით) დათვლის გარეშე;
უფრო დიდი, მცირე და ერთნაირი რაოდენობის ჯგუფების ამოცნობა, მითითება, შედგენა;
მეტობისა, ნაკლებობის და ტოლობის ნიშნების ადეკვატურად გამოყენება შედარების შედეგის გამოსახვის მიზნით.</td></tr>
</table>

საგანთა თვისებები

<table>
<tr><td colspan="2">ძირითადი მიზანი: მოსწავლემ შეძლოს პირადი მოხმარების ნივთების დახარისხება დანიშნულების, ზომის, ფერის მიხედვით</td></tr>
<tr><td>ძირითადი ცნებები</td><td>საკითხები</td></tr>
<tr><td>საგანთა თვისებები: ერთნაირი საგნები</td><td>მსგავსი საგნების იდენტიფიკაცია; გაგება, რომ საგანს აქვს ფორმა, ფერი, დანიშნულება</td></tr>
<tr><td>საგანთა თვისებები: განსხვავებული საგნები</td><td>ცნება – „განსხვავებულის“ გაგება და რეაგირება; განსხვავებული საგნის იდენტიფიკაცია, განმასხვავებელ ნიშანზე მითითება</td></tr>
<tr><td>ზომით განსხვავებული (დიდი, პატარა) და ერთნაირი ზომის საგნები</td><td>ზომის ცნება, ზომა, როგორც განმასხვავებელი ნიშანი; საგნების განსხვავება ზომით, ერთნაირი ზომის საგნების ამოცნობა</td></tr>
<tr><td>ფერით განსხვავებული საგნები</td><td>ფერის ცნება, ფერი, როგორც განმასხვავებელი ნიშანი; საგნების განსხვავება ფერით; ერთი ფერის საგნების ჯგუფის შექმნა; იმავე ფერის მქონე საგნის დასახელება</td></tr>
<tr><td>საგანთა ჯგუფის შედგენა მითითებული ნიშნით</td><td>საგანთა კლასიფიცირება ზომის და ფერის მიხედვით; შექმნას მითითებული თვისების მქონე საგანთა ერთობლიობა</td></tr>
<tr><td>საგანთა კლასიფიკაცია: საგანთა ჯგუფების შექმნა (ჯგუფის შესაფერისი ობიექტის დასახელება, დახატვა)</td><td>საგანთა ჯგუფების ფუნქციური ნიშნით შედარება (მაგ. ამ ყუთში ტანსაცმელია, იმ ყუთში – სასკოლო ნივთები); მითითებული საერთო ნიშნის მქონე ჯგუფის შედგენა, ამ ჯგუფის შესაბამისი და შეუსაბამო საგნების ამოცნობა</td></tr>
<tr><td colspan="2">ინდიკატორები:

ბავშვი აღიქვამს და გამოთქვამს მოსაზრებებს საგანთა ზომაზე, სიმაღლეზე, სიგრძესა და წონაზე;

შესაბამისად, იყენებს ზომის აღმნიშვნელ სიტყვებს (მაგ.: დიდი კენჭი, პატარა კენჭი);

საგანთა მიწოდებული წყვილიდან ახდენს დიდი ან პატარა, მძიმე ან მსუბუქი, გრძელი ან მოკლე საგნების დასახელებას;

ბავშვი აჯგუფებს საგნებს მითითებული ნიშნით – ზომის, ფორმისა და დანიშნულების მიხედვით;

ბავშვს შეუძლია მიუსადაგოს საგნები ერთმანეთს (მაგ.: მისალოცი ბარათი და კონვერტი);

ბავშვს შეუძლია ობიექტი მიაკუთვნოს რომელიმე კატეგორიას (მაგ.: ძაღლი, კატა და ძროხა ცხოველებია).</td></tr>
</table>

აქტივობათა ნიმუშები:

დაუწყვეთ მაგიდაზე 2-3 ერთნაირი ზომის და ერთი – მკვეთრად განსხვავებული ზომის საგანი. მოსწავლემ უნდა აირჩიოს მათგან ყველაზე დიდი. დაუსვით მოსწავლეს შეკითხვები: რომელია ერთნაირი ბურთები? რომელია განსხვავებული? რომელია პატარა? რომელია დიდი?

მიეცით მოსწავლეს დავალება ნახატზე გიჩვენოთ, რომელია დიდი საგანი და რომელი - პატარა.

მოსწავლემ უნდა უპასუხოს შეკითხვას – რომელს დასჭირდება უფრო დიდი ადგილი კარადაში?

„შემოხაზე ის, რისი ჭამაც შეიძლება“

სასკოლო ნივთები შემოხაზე ლურჯი ფანქრით, სათამაშოები – წითელი ფანქრით:

„რა ნივთებია სურათზე? სად უნდა შევინახოთ ტანსაცმელი? სად ვინახავთ ჭურჭელს?“

რაოდენობა

ძირითადი მიზანი: მოსწავლეს შეექმნას ელემენტარული წარმოდგენა ცნებაზე – რაოდენობა; შეძლოს მცირე რაოდენობის საგნების ერთობლიობების შედარება დაუთვლელად	
ძირითადი ცნებები	საკითხები
საგანთა ჯგუფების შედარება. ბევრი, ცოტა	რაოდენობა, როგორც საგანთა ერთობლიობის (ჯგუფის) მახასიათებელი; საგანთა ერთობლიობების შედარება (დათვლის გარეშე)
საგანთა ჯგუფების შედარება დაუთვლელად. ცნება – ამდენივე	რაოდენობრივად უფრო დიდი, მცირე და ერთნაირი რაოდენობის ჯგუფების ამოცნობა, მითითება, შედგენა
საგანთა ჯგუფების შედარების სტრატეგია – დაწყვილება. შედეგის ვერბალიზაცია.	პრობლემის გადაჭრის უნარის გამომუშავება, რაოდენობის შესადარებლად უმარტივესი სტრატეგიების შესწავლა
მეტობის და ნაკლებობის ნიშანი	საკომუნიკაციო (მათემატიკის ჭრილში) უნარების ჩამოყალიბება; მათემატიკური სიმბოლოების – მეტობისა და ნაკლებობის – წერილობითი აღნიშვნის სწავლა; შედარების შედეგის გამოსახვა
ტოლობის ნიშანი	საგანთა ჯგუფების შედარების სტრატეგიის გამოყენება, რეზულტატის ჩაწერა
საგანთა თანაბარი რაოდენობის ჯგუფების შექმნა	დაწყვილების შესწავლილი სტრატეგიის გამოყენება, თანაბარი რაოდენობის ჯგუფების შესაქმნელად
საგანთა არათანაბარი რაოდენობის ჯგუფების შექმნა	დაწყვილების შესწავლილი სტრატეგიის გამოყენება, მითითებულ რაოდენობაზე მეტი ან ნაკლები რაოდენობის ჯგუფის შესაქმნელად (საგანთა დათვლის გარეშე)

საგანთა განლაგებები; რიგის ცნება; რიგის აღწერა; ტერმინები; „ჯერ“, „შემდეგ“	„საგანთა რიგის“ ცნების ჩამოყალიბება
ინდიკატორები: ქმნის ტოლი რაოდენობის საგანთა მოწესრიგებულ ერთობლიობას მათი დაწყვილებით; საგანთა მოწესრიგებულ ერთობლიობაში ასახელებს მითითებული საგნის რიგს; მოცემული თანმიმდევრობით და მითითებულ პოზიციებზე განათავსებს საგნებს;	

აქტივობათა ნიმუშები:

მაგიდაზე მოწესრიგებულად (2 მწკრივად) განალაგეთ 2 სახის საგნები. მოსწავლემ უნდა უპასუხოს შეკითხვას - „რომელია უფრო ბევრი?“

მოსწავლემ მარჯვენა უჯრაში უნდა დასვას იმდენივე წერტილი, რამდენი საგანიცაა მარცხენა უჯრაში.

შესაძლებელია აჩვენოთ უკვე შესრულებული დავალების ნიმუშიც:

მასწავლებელმა დაფაზე უნდა მიაკრას მაგნიტები (4 ან 5 ცალი და განალაგოს თანმიმდევრულად). მოსწავლემ უნდა მიაკრას იმდენივე. პირველად მასწავლებელმა შეიძლება უჩვენოს, როგორ კეთდება ეს. მნიშვნელოვანია, რომ პირველი ჯგუფის ელემენტების პარალელურად განლაგდეს მაგნიტების მეორე ჯგუფი, რათა მოსწავლეებისათვის აშკარა იყოს შესაბამისობა. აქტივობა შეიძლება გაგრძელდეს ჯგუფური თამაშის სახით. კლასი დაიყოფა 2 ჯგუფად. ჯერ პირველი ჯგუფის მოსწავლეები გააკრავენ დაფაზე მაგნიტებს (ან შემოხაზავენ წრეებს, ან დახატავენ ვარსკვლავებს). მეორე ჯგუფის დავალება იქნება იმდენივე მაგნიტის მიკვრა (ან შესაბამისი ნახატის დახატვა).შემდგომ ჯგუფები გაცვლიან ფუნქციებს და გააგრძელებენ თამაშს.

წარუდგინეთ მოსწავლეს ორი სახის ობიექტები (თანაბარი რაოდენობის). გაამწკრივეთ ერთი სახის ობიექტები და სთხოვეთ, დაადოს ამ ობიექტებს მეორე სახის ობიექტები (ყველას სათითაოდ). მაგალითად, დადეთ 6 თეფში და 6 ჩანგალი და სთხოვეთ მოსწავლეს, თითოეულ თეფშს დაადოს თითო ჩანგალი.

წარუდგინეთ მოსწავლეს ორი სახის ობიექტები (მეორე სახის ობიექტი უნდა იყოს უფრო მეტი, ვიდრე პირველი). გაამწკრივეთ ერთი სახის ობიექტები და სთხოვეთ დაადოს ამ ობიექტებს მეორე სახის ობიექტები (ყველას სათითაოდ). მაგალითად, დადეთ 8 ჭიქა და 8-ზე მეტი საწრუპი ჩხირი და სთხოვეთ მოსწავლეს, ჩადოს თითოეულ ჭიქაში თითო საწრუპი.

წარუდგინეთ მოსწავლეს ობიექტების დასრულებული და დაუსრულებელი კომპლექტი, (მაგ: მაგიდის კომპლექტი, სადაც ზოგ ადგილას არის თეფში, ჭიქა, დანა, ჩანგალი, ხელსახოცი, ხოლო ზოგიერთ ადგილას საჭირო ნივთები აკლია) წარუდგინეთ მოსწავლეს საჭირო და არასაჭირო ნივთები და უთხარით: „ზოგიერთ ადამიანს აქვს ყველა საჭირო ნივთი, ზოგს კი აკლია, შეავსე საჭირო ნივთებით“. მასალად შეიძლება გამოიყენოთ სხვადასხვა ობიექტი, რომელთა იდენტიფიცირება მოსწავლეს შეუძლია. რეკომენდებულია ამ აქტივობების გამოყენება ფუნქციონალურ კონტექსტში (მაგ: მაგიდის გაშლისას).

მიაწოდეთ მოსწავლეს ლუწი რაოდენობის ობიექტები და სთხოვეთ, გაყოს ორ თანაბარ ნაწილად/ორ ჯგუფად.

მიაწოდეთ მოსწავლეს შესაბამისი რაოდენობის ობიექტები (იმ რაოდენობის, რომელიც თანაბრად გაიყოფა სასურველი რაოდენობის ჯგუფებად) და სთხოვეთ, გაყოს მაგ,: სამ ნაწილად/ დააჯგუფოს სამ ნაწილად.

წარუდგინეთ მოსწავლეს ერთი და იმავე ობიექტების მწკრივი და სთხოვეთ, გაჩვენოთ პირველი და ბოლო ობიექტი.

წარუდგინეთ მოსწავლეებს ამგვარი ნახატები. ნახატებზე მოცემულია საგნების ორი ჯგუფი, რომელთა რაოდენობები აშკარად განსხვავდება ერთმანეთისგან. მოსწავლემ უნდა უპასუხოს შეკითხვას - „რომელია მეტი/ნაკლები“? და ჩაწეროს შედეგი მეტობის/ნაკლებობის ნიშნის გამოყენებით. ბავშვები ადვილად იგებენ, რომ რომელი ჯგუფიც უფრო დიდია (ანუ, სადაც მეტი საგანია), ნიშანს იმ მხარეს აქვს „პირი დაღებული“.

თემა: ტყე

სამიზნე მათემატიკური ცნება: რიცხვები 1-დან 10-მდე
მკვიდრი წარმოდგენები: უხსოვარ დროს ადამიანები რაოდენობების აღსაწერად მხოლოდ ორ სიტყვას იყენებდნენ - „ბევრი“ და „ერთი“. ახლა საჭიროა მეტი სიზუსტე საგნების დათვლისას. შესაბამისად, აუცილებელია რიცხვების არსებობა; არსებობს ვითარებები, როცა საგნების ზუსტი რაოდენობის ცოდნა არ არის აუცილებელი. მაგალითად, სულ რამდენი ხეა ტყეში, რამდენი კურდღელი ბინადრობს, რამდენი მელია. თუმცა, არის სხვაგვარი ვითარებებიც, როცა საგანთა რაოდენობის ზუსტი ცოდნაა საჭირო. მაგალითად, ბოტანიკურ ბაღში ყველა ხე აღნუსხულია და ბოტანიკოსმა ზუსტად იცის ბაღში მათი რაოდენობა; საგანთა ყველა კონკრეტულ რაოდენობას შეესაბამება კონკრეტული რიცხვი (საგნებს შორის მოვიაზრებთ სულიერ და უსულო არსებებს, მაგალითად, თუნდაც ტყის ბინადრებს: ბაჭიებს, ჩიტებს, მელიებს, დათვებს და ასევე ხეებს, რკოს, ფოთლებს და სხვ.); რიცხვი იწერება ციფრების მეშვეობით; ზოგი რიცხვის ჩასაწერად საკმარისია 1 ციფრი, ზოგი რიცხვი კი ჩაიწერება 2 ან მეტი ციფრით; განსხვავებულ რიცხვებს აქვთ განსხვავებული სახელები და განსხვავებული აღნიშვნები; ორი სხვადასხვა რიცხვიდან ერთ-ერთი აუცილებლად მეტია მეორეზე; რიცხვების გათვალსაჩინოების მიზნით ხშირად იყენებენ რიცხვით ღერძს; რიცხვით ღერძზე დიდი რიცხვი უფრო მარჯვნივაა განლაგებული, ვიდრე პატარა რიცხვი.

საკითხები	შეფასების ინდიკატორები
რიცხვი და ციფრი	რიცხვის, როგორც რაოდენობის გამოსახვის საშუალების, გაცნობიერება;

ერთით მეტი/ ერთით ნაკლები რიცხვი, მომდევნო და წინა რიცხვი	დათვალოს საგნები, დაასახელოს და ჩაწეროს რიცხვები, ამოიცნოს ერთობლიობა, რომელშიც მითითებული რაოდენობის საგანია, შეისწავლოს მითითებული რიცხვის მიღების ყველა შესაძლო ხერხი;
რიცხვების რიგი, რიცხვითი ღერძი.	ნულის, როგორც გარკვეული „რაოდენობის“ შესატყვისი რიცხვის - გაცნობიერება;
საგნების ერთობლიობა და მისი სახელი (მაგ.ხუთეული, ათეული)	რიცხვის შესაბამისი საგანთა გროვის შექმნა. საგანთა გროვიდან შესაბამისი რაოდენობის საგანთა ჯგუფის გამოყოფა (საგანთა ერთობლიობის დაჯგუფება, მაგ., ხუთეულებად, ოთხეულებად); რიცხვებს შორის რაოდენობრივი მიმართებების ახსნა/მოდელზე ჩვენება/ (მაგ.,“რიცხვი 5 რიცხვ 3-ზე 2-ით მეტია“); მოცემულ რიცხვზე 1-ით მეტი და 1-ით ნაკლები რიცხვების დასახელება; რიცხვების რიგის გამოსახვა რაიმე მოდელზე (რიცხვითი ღერძი ან კიბე); მითითებული რიცხვის წინა და მომდევნო რიცხვების გამოსახვა რიცხვით ღერძზე, გამოტოვებული რიცხვის აღდგენა რიცხვების რიგში; რიცხვების შედარება და შედეგის ჩაწერა მათემატიკური სიმბოლოების გამოყენებით.

რიცხვები 0-დან 10-მდე

ძირითადი მიზანი: მოსწავლემ შეძლოს მის ირგვლივ არსებული საგნების დათვლა, მისთვის საჭირო რაოდენობის საგნის შეძენა, რიცხვების ამოცნობა ფულის კუპიურებზე, ავტობუსის ან მობილურის ნომრის იდენტიფიკაცია, საკუთარი ან მაგ., დედის ნომრის დამახსოვრება და ჩაწერა	
ძირითადი ცნებები	საკითხები
რიცხვები 0-დან 10-მდე, მომდევნო და წინა რიცხვები, რიცხვების რიგი, ციფრი	საგნების დათვლა და შედეგის დასახელება;
	მოცემული რიცხვის შესაბამისი საგნების ჯგუფის შექმნა და პირიქით, საგანთა ჯგუფისთვის რიცხვის შესაბამება;
	რაოდენობის ათეულამდე შევსება;
	მოცემული რიცხვის მომდევნო და წინა რიცხვების დასახელება;
	საგანთა ერთბლიობის დაჯგუფება, მაგ., ხუთეულებად, ოთხეულებად;

	რიცხვების შედარება და შედეგის ჩაწერა მათემატიკური სიმბოლოების გამოყენებით.
ინდიკატორები: ირჩევს და ქმნის მოცემული რიცხვის შესაბამისი რაოდენობის საგანთა ერთობლიობას და პირიქით – მოცემულ საგანთა ერთობლიობას შეუსაბამებს რიცხვს; კითხულობს და წერს რიცხვებს; გამოყოფს მითითებული რიცხვების შესაბამისი რაოდენობების ჯგუფებს გროვაში (მაგალითად, გამოყოფს სამეულს, ხუთეულს, ათეულს გროვაში).	

ციფრების დამახსოვრების მიზნით და მოტორიკის განსავითარებლად კარგია ამგვარი დავალებების შესრულება: მოსწავლემ უნდა გააფერადოს ციფრების შაბლონები. შაბლონი (ნიმუში) უნდა იყოს დიდი ზომის, სხვადასხვა ციფრის გამოსახულებით.

შესაძლებელია ასეთი ნიმუშების გამოყენებაც:

დაუწყვეთ მაგიდაზე რამდენიმე საგანი და ბარათები რიცხვებით. მოსწავლემ უნდა დათვალოს საგნები და აირჩიოს შესაბამისი ბარათი.

ამ დავალებაში მოსწავლემ უნდა დათვალოს საგნების რაოდენობა და შესაბამისი რიცხვი ჩაწეროს ცარიელ უჯრაში.

იმავე სტილის, ოდნავ გართულებული დავალებაა, როცა მოსწავლე ერთმანეთს შეუსაბამებს საგანთა გროვას და მის შესატყვის რიცხვს.

შედეგიანი იქნება, თუ მოსწავლეს დაათვლევინებთ საგნებს, რომელთა ყიდვაც უწევს მისი ოჯახის წევრებს რეგულარულად (მაგ., კარაქს, პურს, კვერცხს). ასეთ შემთხვევაში მისთვის თვლა იქნება არა განყენებული პროცედურა, არამედ ძალიან არსებითი, რომლის გამოყენება საჭიროა ყოველდღიურად.

ამ სავარჯიშოში მოსწავლემ მარცხენა უჯრაში უნდა დასვას იმდენი წერტილი, რამდენიც გაფერადებული ჭიამაიაა, მარჯვენა უჯრაში კი - გაუფერადებელი ჭიამაიების რაოდენობის შესატყვისი. ასეთი დავალების მრავალჯერადი შესრულებით მოსწავლე სწრაფად დაიმახსოვრებს ხუთის შედგენილობას (ანუ, 5 რომ შეიძლება წარმოვადგინოთ რამდენიმე განსხვავებული ხერხით).

ამ აქტივობისათვის შეიძლება სხვადასხვა ფერის ჩხირების გამოყენება. ამ შემთხვევაშიც მოსწავლეებმა ჩხირების ერთობლიობა უნდა დაყონ 5-5 ჩხირისაგან შემდგარ ერთობლიობებად. მასწავლებელმა თვითონ უნდა აიღოს რამდენიმე ჩხირი (მაგ., 2) და მოსწავლეს დაამატებინოს იმდენი, რომ გახდეს 5. ყოველ ჯერზე დაფაზე, გვერდიგვერდ უნდა დაიწეროს მასწავლებლის მიერ აღებული ჩხირებისა და მოსწავლის მიერ დამატებული ჩხირების რაოდენობა:

2 და 3

1 და 4

3 და 2.

მოსწავლემ არაერთგვაროვანი, შერეული გროვიდან უნდა გამოარჩიოს ცალკეული საგნები და დათვალოს მათი რაოდენობა. დათვლისას, შეცდომებისგან თავის დასაცავად, შეიძლება ფანქრით მონიშნოს უკვე გადათვლილი საგანი.

მიეცით მოსწავლეს მსგავსი ობიექტები (მაგ. ფანქრები) და კონტეინერები. სთხოვეთ ობიექტებისგან შეადგინოს ორი გროვა, რომლებშიც გარკვეული რაოდენობის (მაგ.: 10 ობიექტი) იქნება („ჩადე თითოეულ კონტეინერში 10 -10 ფანქარი“).

რიცხვების შედარების პროცედურას სასურველია წინ უსწრებდეს აქტივობა, სადაც მოსწავლემ რიცხვებთან ერთად უნდა შეადაროს ნახატზე მოცემული ამ რიცხვების შესაბამისი რაოდენობის საგნები.

ამგვარი დავალების შესრულება შედარებით მარტივია, რადგან ვიზუალურადაც ჩანს, სად არის უფრო მეტი საგანი. რიცხვების (საგნების გარეშე) შედარებაზე მასწავლებელი უნდა გადავიდეს მხოლოდ ამგვარი დავალებების მრავალჯერადი შესრულების შემდეგ.

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ შეძლოს რიცხვების ამოცნობა ფულის კუპიურებზე (საწყის ეტაპზე მხოლოდ 1, 2, 5 და 10-ლარიანი კუპიურები). იქვე უნდა განემარტოს, რომ რომელი რიცხვიც მეტია - იმით უფრო მეტი რამის შეძენაა შესაძლებელი.

მასწავლებელი, თითოეულ მოსწავლეს წარუდგენს ქვემოთ მოყვანილ სურათს ან მის ანალოგიურს. შესაძლოა პროექტორის (მონიტორის) საშუალებით მთელ კლასს დაანახოს ფასთა ჩამონათვალი. აღნიშნული ფაილის შესაბამისად მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: რა რიცხვებს ხედავენ? რა ღირს ვაშლი? რა ღირს ბანანი? რა არის კაკლის ფასი? რომელი პროდუქტის ფასია 3 ლარი?

მასწავლებელმა უნდა ასწავლოს მოსწავლეებს კალკულატორზე ციფრების მოძებნა. ამისათვის შესაძლოა გამოყენებულ იქნას რეალური კალკულატორი ან კალკულატორის მოდელი.

მასწავლებელმა უნდა ასწავლოს მოსწავლეებს მობილურზე ციფრების მოძებნა და დარეკვა მითითებულ ნომერზე. ამისათვის შესაძლოა გამოყენებულ იქნას რეალური მობილური. იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი ჩათვლის, რომ დასაწყისისთვის მობილურის მოდელი უფრო მოსახერხებელი იქნება, შეუძლია გამოიყენოს მობილურის ეკრანის სანიმუშო მოდელი.

თემა: მე და ადამიანები

სამიზნე ცნება: მოქმედებები	
მკვიდრი წარმოდგენები ჩვენი და ჩვენ გარშემო მყოფი ადამიანების ცხოვრებაში ხშირად კანონზომიერად და პერიოდულად იცვლება მოვლენები, მაგალითად, ჯერ ვიღვიძებთ, მერე ვწესრიგდებით, მერე ვსაუზმობთ, სამსახურში ან სკოლაში მივდივართ, მერე ვბრუნდებით და ვმეცადინეობთ და ა.შ. ჩვენ გარშემო მყოფ ადამიანებს თავიანთ საქმიანობაში ხშირად უწევთ მათემატიკური ოპერაციების შესრულება - შეკრება, გამოკლება, მოქმედებების მიახლოებითი მნიშვნელობის გამოთვლა და სხვა; შეკრების თვისებების ცოდნა მნიშვნელოვნად ამარტივებს ზეპირ გამოთვლებს, რომელთა შესრულება თითქმის ყოველდღე გვიწევს მაღაზიებში, კაფეებში, კონოთეატრებში და სხვაგან.	
საკითხები	შეფასების ინდიკატორები:

<table>
<tr><td>საგნების, ნახატების ან ფიგურების საშუალებით წარმოდგენილი პერიოდული მიმდევრობები;</td><td rowspan="4">მოცემულ მიმდევრობაში ავსებს რამდენიმე გამოტოვებულ პოზიციას;

ერთმანეთს ადარებს რამდენიმე (არაუმეტეს სამისა) მიმდევრობას და ასახელებს იმ მიმდევრობებს, რომლებიც განლაგების ერთსა და იმავე წესს ემორჩილება;

მოცემული წესის მიხედვით წარმოადგენს მიმდევრობას მხოლოდ ერთი ატრიბუტით (მაგ., ფერით ან ფორმით) განსხვავებული საგნების ან ნახატების/ფიგურების საშუალებით;

ამოწმებს, არის თუ არა დასახელებული რიცხვი მოცემული ტოლობის (მაგალითად, $\square + 7 = 10$) უცნობი კომპონენტის მნიშვნელობა;

შეადგენს რეალური ვითარების ამსახველ, შეკრების/გამოკლების ერთი მოქმედების შემცველ, ეკვივალენტურ მთელრიცხოვან გამოსახულებას. (მაგალითად, ფულადი მონეტების ორი ისეთი ერთობლიობისათვის, რომელიც ერთსა იმავე თანხას შეადგენს);

იყენებს შეკრების კომუტაციურობისა (გადანაცვლებადობის) და ასოციაციურობის (ჯუფთებადობის) თვისებებს რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობის გამოსათვლელად.</td></tr>
<tr><td>შეკრების/გამოკლების (არაუმეტეს ორი მოქმედებისა) შემცველი მთელრიცხოვანი გამოსახულებები და მათი ეკვივალენტობა;</td></tr>
<tr><td>შეკრების კომუტაციურობა (გადანაცვლებადობა) და ასოციაციურობა (ჯუფთებადობა) (არაფორმალურად და შესაბამისი ტერმინების გარეშე);</td></tr>
<tr><td>ერთი უცნობი კომპონენტისა და შეკრების/გამოკლების ერთი მოქმედების შემცველი მთელრიცხოვანი ტოლობები</td></tr>
</table>

თემა: სოფელი

<table>
<tr><td>სამიზნე ცნება: არითმეტიკული მოქმედებები რიცხვებზე</td></tr>
<tr><td>მკვიდრი წარმოდგენები:

საგნების რაოდენობა ჯგუფში ხშირად მუდმივი არ არის - ხან იზრდება, ხან იკლებს (მაგ., თუ გაზაფხულზე წიწილები გამოიჩეკებიან, მაშინ ფერმაში ქათმების რაოდენობა გაიზრდება);

თუ სამ საგანს მივუმატებთ 2 ისეთივე საგანს, გვექნება 5 საგანი, ყოველთვის, იმის მიუხედავად, თუ რა საგნებია ეს (იქნება ეს ვაშლები, წიწილები, სასოფლო იარაღები თუ სხვა). ასეთი ზოგადი ვითარებების აღსაწერად გამოიყენება ჩანაწერი 3+2=5;

ანალოგიური ვითარებაა მაშინაც, როცა საქმე სხვაობას ეხება: თუ გაქვს 5 საგანი და მათგან 3-ს მეგობარს მისცემ, დაგრჩება ყოველთვის 2, იმის მიუხედავად ეს საგნები ვაშლებია, კაკლები, წიწილები თუ ბაჭიები; ასეთი ზოგადი ვითარებების აღსაწერად გამოიყენება ჩანაწერი 5-3=2;

ზოგჯერ უშუალოდ გვიხდება ჩვენს ხელთ არსებული საგნების დათვლა, შეკრება და გამოკლება, ზოგჯერ კი მათ ვერ ვხედავთ და მათ შესახებ ამოცანაშია მოთხრობილი. ასეთ დროს, მნიშვნელოვანია ამოცანის პირობის ღრმად გააზრება - რა არის ცნობილი და რის გაგებას გვთხოვს ამოცანის ავტორი.</td></tr>
</table>

<table>
<tr><td>საკითხები</td><td rowspan="11">შეფასების ინდიკატორები:

ვითარების ამოცნობა, როცა შეკრების/გამოკლების ოპერაციებია განსახორციელებელი;

ჯამის და სხვაობის შესაბამისი მათემატიკური სიმბოლოებს ადეკვატურად გამოყენება; სიტუაციური მარტივი ამოცანის ამოხსნის ჩაწერა ჯამის ან სხვაობის შემცველი გამოსახულებების სახით;

შეკრების/გამოკლების რომელიმე სტრატეგიის გამოყენება და ჯამის/სხვაობის გამოთვლა;

მარტივი ტექსტური ამოცანის ამოხსნა; პირობისა და საძიებო სიდიდის ერთმანეთისგან გამიჯვნა (რა ვიცით? რა უნდა ვიპოვოთ?);

ჯამის/სხვაობის უცნობი კომპონენტის მოძებნა და შედეგის შემოწმება.</td></tr>
<tr><td>შეკრება. ნიშანი „პლუსი“. ჯამის ცნება</td></tr>
<tr><td>ჯამის შემცველი რიცხვითი გამოსახულების ჩაწერა</td></tr>
<tr><td>შეკრება რიცხვითი ღერძის გამოყენებით</td></tr>
<tr><td>გამოკლება. ნიშანი „მინუსი“</td></tr>
<tr><td>მინუსის შემცველი რიცხვითი გამოსახულების ჩაწერა</td></tr>
<tr><td>გამოკლება რიცხვითი ღერძის გამოყენებით</td></tr>
<tr><td>ამოცანები შეკრებაზე</td></tr>
<tr><td>ამოცანები გამოკლებაზე</td></tr>
<tr><td>ჯამის უცნობი კომპონენტის მოძებნა</td></tr>
</table>

თემა: დღესასწაულები

<table>
<tr><td>სამიზნე ცნება: გეომეტრიული ფიგურები</td></tr>
<tr><td>მკვიდრი წარმოდგენები:

გეომეტრიული ფიგურების შემჩნევა შეიძლება ჩვენ გარშემო არსებულ უამრავ საგანში, მათ შორის იმ საგნებში, რომელთაც ადამიანები დღესასწაულების დროს ვიყენებთ;

გეომეტრიული ფიგურების მეშვეობით შესაძლებელია არაერთი სადღესასწაულო მოსართავის თუ ატრიბუტის დამზადება;

გეომეტრიული ფიგურები ერთმანეთისგან განირჩევიან თვისობრივი და რაოდენობრივი ნიშნებით;

სადღესასწაულო აპლიკაციის ან სხვა სახის ნივთის დამზადებისას ხშირად საჭიროა არა ერთი, არამედ ორი ან უფრო მეტი გეომეტრიული ფიგურის კონფიგურაციის შექმნა;

სადღესასწაულო აპლიკაციის ან სხვა სახის ნივთის დამზადებისას ხშირად საჭიროა ფიგურის ზომების დადგენა;

თუ სხვას ასწავლით - სად მდებარეობს რაიმე ადგილი, თუნდა ის, სადაც რაიმე დღესასწაული აღინიშნება, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ინსტრუქციები ზუსტად და გასაგებად ჩამოაყალიბოთ.</td></tr>
</table>

საკითხები	შეფასების ინდიკატორები
ბრტყელი ფიგურები: წერტილი, მონაკვეთი, ტეხილი, მრუდი წირი	ადარებს და აჯგუფებს ბრტყელ ფიგურებს გეომეტრიული ატრიბუტების (მაგალითად, წვეროების/ გვერდების რაოდენობის) მიხედვით;
ფიგურის შიგა და გარე არეები, ფიგურის საზღვარი	განასხვავებს ფიგურის შიგა და გარე არეებს; უთითებს ფიგურის შიგნით, გარეთ და საზღვარზე მდებარე წერტილებს;
საერთო საზღვრის მქონე ფიგურები, მათი საერთო გვერდები და წვეროები	უთითებს საერთო საზღვრის მქონე ფიგურების საერთო გვერდებსა და წვეროებს;
ტოლი ფიგურები	განალაგებს ობიექტებს მითითებული წესის მიხედვით;
მანძილი: ადიციურობა მონაკვეთზე	აღწერს ობიექტის მდებარეობას მეორე ობიექტის მიმართ შესაბამისი ტერმინების გამოყენებით (მაგალითად, მარჯვნივ, მარცხნივ, ზემოთ, ქვემოთ);
სიგრძის საზომი არასტანდარტული ერთეულები	გასცემს და თავადაც ასრულებს მოძრაობის ორიენტაციის შემცველ მითითებებს.
სიბრტყეზე ორიენტაცია და ობიექტთა ურთიერთგანლაგება	

გეომეტრიული ფიგურები

ძირითადი მიზანი: მოსწავლემ შეძლოს გეომეტრიული ფიგურების მეშვეობით მისი გარემომცველი საგნების აღწერა. სიბრტყეზე ორიენტირება; ორიენტაციის შემცველი სიტყვების გამოყენება რაიმე ნაგებობის (მისი საცხოვრებელი სახლის, სკოლის) ან საგნის მდებარეობის აღსაწერად.	
ძირითადი ცნებები	საკითხები
სამკუთხედი, ოთხკუთხედი, წრე, წირი (მრუდი, სწორი), წერტილი	ძირითადი გეომეტრიული ფიგურების იდენტიფიკაცია, გამოსახვა, ფიგურების მოდელების ამოცნობა სხვადასხვა აპლიკაციებში
ფიგურის ელემენტები: გვერდი, წვერო	ფიგურის ელემენტების რიცხვებთან დაკავშირება
ორიენტირება სიბრტყეზე და სივრცეში: ზემოთ, ქვემოთ, შიგნით, გარეთ	საგანთა განლაგების აღწერა, ორიენტაციის შემცველი ინსტრუქციების შესრულება და გაცემა; გარემომცველი ყოფითი დანიშნულების საგნების მდებარეობის შესახებ შეკითხვებზე პასუხის სწორად გაცემა („თეფშები დევს კარადის ქვედა ნაწილში, ჭიქები – ზემოთ“, „გასაღები კარადის ზედა უჯრაშია“ და ა.შ.); სიტყვების – მარჯვნივ/მარცხნივ, ზემოთ/ქვემოთ, წინ/უკან – სწორად გამოყენება; ყოფითი დანიშნულების საგნების მითითებული წესის მიხედვით განლაგება;

	მოძრაობის ორიენტაციის შემცველი მითითებების სწორად გაცემა და შესრულება (მაგ, „სახლში რომ მივიდე, ჯერ პირდაპირ უნდა წავიდე და მერე შევუხვიო მარჯვნივ“.
ინდიკატორები: რომელიმე ხერხით (მაგალითად, აპლიკაციით ან ნახატის საშუალებით) ქმნის დასახელებული ფორმის ბრტყელი ფიგურის მოდელს ან გამოსახულებას; უთავსებს სხვადასხვა ბრტყელი ფიგურის მოდელებს ერთმანეთს ნიმუშზე მოცემული გამოსახულების (ნახატის) მისაღებად; სწორად პასუხობს კითხვებს ობიექტთა ურთიერთმდებარეობის (მარჯვნივ/მარცხნივ, ზემოთ/ქვემოთ, წინ/უკან) შესახებ.	

აქტივობათა ნიმუშები:

მასწავლებელმა უნდა აჩვენოს მოსწავლეებს ფერადი ქაღალდებისაგან გამოჭრილი გეომეტრიული ფიგურების მოდელები რიგრიგობით. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ ფიგურები და დაასახელონ. აქტივობისას შეიძლება შემდეგი შეკითხვების დასმა:

რომელ გეომეტრიულ ფიგურას ჰგავს შოკოლადის ფილა? ქვაბი? სარკე? ფანჯარა?

შეგვიძლია თუ არა სხვა გეომეტრიული ფიგურების აღმოჩენა ჩვენ ირგვლივ?

გვინახავს თუ არა სადმე ერთად თავმოყრილი გეომეტრიული ფიგურები? (მაგალითად, ხალიჩაზე ან საბანზე ორნამენტების სახით).

იმავე მიზნის მიღწევა შეიძლება, თუ მოსწავლეს წარვუდგენთ ქვემოთ წარმოდგენილ სურათს, ან მის ანალოგიურს. მოსწავლეებმა გეომეტრიულ ფიგურებს შორის უნდა იპოვონ და შემოხაზონ მოცემული საგნის მსგავსი.

მიეცით მოსწავლეებს გეომეტრიული ფიგურების წყვეტილ-წერტილოვანი კონტურები. მოსწავლეებმა უნდა დაასრულონ ფიგურის ნახაზები (შემოატარონ ფანქარი) და გააფერადონ. მასწავლებელმა მრავალჯერ უნდა გაუმეოროს - ეს სამკუთხედია, ეს - ოთხკუთხედი, ეს წრე. რა ფერია წრე? რა ფერია სამკუთხედი?

მასწავლებლის თხოვნით, მოსწავლეებმა უნდა აღწერონ ქვემოთ მოყვანილი სურათი.

სავარაუდოდ, მოსწავლეები იტყვიან, რომ ნახატზე გამოსახულია მინდორი, ყვავილები, მზე, ხე, სახლი. ამის შემდეგ მასწავლებელმა უნდა იკითხოს:

ხომ ვერ შენიშნა ვინმემ ნახატზე გეომეტრიული ფიგურები?

რომელ ფიგურას ჰგავს მზე?

კიდევ სად ვხედავთ წრეებს?

სახლის სახურავი რა ფიგურაა?

კიდევ სად არის სამკუთხედი?

ანალოგიურად უნდა იქნეს დამუშავებული მომდევნო ილუსტრაციაც:

ნახატებზე გამოსახული ერთ-ერთი ზღაპრის სიუჟეტის დეტალები. მოსწავლემ უნდა აღწეროს სურათები (აქცენტი კეთდება სიტყვებზე: ზემოთ, ქვემოთ, მარჯვნივ, მარცხნივ).

სთხოვეთ მოსწავლეს - ყველაზე ზემოთ მოთავსებული ყვავილები გააფერადოს წითლად, სულ ქვემოთ მოთავსებულები - ყვითლად, შუაში განლაგებული - ნებისმიერი ფერის ფანქრებით.

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ შეძლოს უშუალოდ მისი გარემოს (საკლასო ოთახის ან სახლის) აღწერა. ამ ტიპის აქტივობების მიზანია, რომ მან, საჭიროების შემთხვევაში, დამოუკიდებლად მიაგნოს სახლში საჭირო ნივთებს - საკვებს, წამალს და სხვა.

თემა: მთა და ბარი

სამიზნე ცნება: რიცხვები 100-მდე
მკვიდრი წარმოდგენები: მთაშიც და ბარშიც მოიძებნება საგნების ერთობლიობა, რომელთა რაოდენობაც 20-ს აჭარბებს (მაგ., მთაში, ფარაში ცხვრების რაოდენობა, ქალაქში სახლების რაოდენობა და ა.შ.); სულ 10 ციფრია საჭირო იმისთვის, რომ ჩაიწეროს ყველა რაოდენობის შესატყვისი რიცხვი. რიცხვის ჩანაწერში ციფრის მდებარეობას (ანუ პოზიციას) განსაკუთრებული (გადამწყვეტი) მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამიტომ რიცხვის ჩაწერის ამგვარ სისტემებს პოზიციურ სისტემებს უწოდებენ; მთასა თუ ბარში არსებული ბევრი საგნის (მაგ., ცხენების, ძროხების, ლობიოს მარცვლების, რკოს და ა.შ.) დათვლისას საგნებს ყოფენ ათეულებად. თუ მიიღეს, მაგალითად, 3 ათეული და კიდევ 6 რკო, მაშინ ამ რაოდენობას ჩაწერენ ასე: 36. მარცხნიდან პირველი ციფრი გვიჩვენებს, თუ რამდენი ათეული გვაქვს, მარჯვნიდან პირველი ციფრი კი – ათეულების გარდა, კიდევ რამდენი ცალი რკო მოგვრჩა. ქართული რიცხვითი სახელების სახელწოდებების მიხედვით ჩანს, რომ ჩვენი წინაპრები 20-20-ად აჯგუფებდნენ დასათვლელ საგნებს (ოცი, ორმ-ოცი, სამ-ოცი, ოთხმ-ოცი); ვინც იცის რიცხვების ჩაწერის პრინციპი, მას არ უჭირს რიცხვების შედარება. მაგ., აშკარაა, რომ 56 მეტია ვიდრე 49. 56-ში 5 ათეულია და კიდევ 6, ხოლო 49-ში არის სულ 4 ათეული და კიდევ 9. შესაბამისად, ის რიცხვია მეტი, რომელშიც უფრო მეტი ათეულია; მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ ციფრი 0-ის მნიშვნელობა რიცხვის ჩანაწერში. რიცხვი 50 შეესაბამება ისეთ რაოდენობა, რომელიც დაჯგუფდა ზუსტად 5 ათეულად და მეტი საგანი აღარ მორჩენილა.

საკითხები	შეფასების ინდიკატორები
ნატურალური რიცხვი (100-მდე)	კითხულობს “ერთნიშნა” და “ორნიშნა” რიცხვებს, ასახელებს მათ წინა და მომდევნო რიცხვებს; ნებისმიერი რიცხვიდან ითვლის ბიჯით წინ/უკან და გამოსახავს რიცხვებს სხვადასხვა მოდელის გამოყენებით; სხვადასხვა ხერხით ითვლის საგანთა ერთობლიობაში საგნების რაოდენობას და ადარებს მიღებულ შედეგებს ერთმანეთს;
რიცხვის ჩაწერის ათობითი პოზიციური სისტემა.	
თვლა, რიცხვების რიგი	
სათანრიგო ერთეული. ათეული და ერთეული.	

	ახდენს რიცხვის ათობითი პოზიციური სისტემით ჩაწერის დემონსტრირებას საგანთა ერთობლიობაში ათეულების ჯგუფების გამოყოფით; ორნიშნა რიცხვის ჩანაწერში უთითებს ათეულისა და ერთეულის თანრიგებს, ასახელებს ამ თანრიგებში მდგომი ციფრების მნიშვნელობას და განმარტავს ერთეულის თანრიგში 0-ის გამოყენების აზრს; იყენებს ამ ცოდნას რიცხვების შედარებისას.

ზომის ერთეულები

ძირითადი მიზანი: მოსწავლემ შეძლოს გარემომცველი ობიექტების, პირადი მოხმარების ცალკეული ნივთის (მაგ., მაგიდის, ფანჯრის მინის) გაზომვა; დროისა და მასის ერთეულების გამოყენება ფუნქციურ გარემოში ყოველდღიურ ცხოვრებაში.	
ძირითადი ცნებები	საკითხები
სიგრძე, სიგანე, მეტრი, სანტიმეტრი, სახაზავი	საგნების (ან ფიგურების) წრფივი ზომების შედარება; შედარების შედეგის შესაბამისი ტერმინებით – გრძელი, მოკლე, ტოლი – გამოხატვა; სიგრძის ერთეულების – მეტრი და სანტიმეტრი – ცოდნა და ადეკვატურად გამოყენება; სიგრძის საზომი ხელსაწყოს – სახაზავის – გამოყენება; რეალური ობიექტის (მაგალითად, საკლასო ოთახის, კარადის) წრფივი ზომის (სიგრძის, სიგანის ან სიმაღლის) დადგენა (მხოლოდ ერთ ერთეულში, მაგ., მხოლოდ მეტრებში).
დროის ერთეულები - წელი, თვე, კვირა, დღე, საათი, წუთი, კალენდარი, წელიწადის დროები, საათი	დროის ერთეულების – წელი, თვე, კვირა, დღე, საათი, წუთი – ცოდნა და ერთმანეთთან დაკავშირება (მაგ., კვირაში 7 დღეა, წელიწადში 12 თვეა და ა.შ., თვეების და კვირის დღეების სახელწოდებების ცოდნა); საათის (ელექტრონული ან მექანიკური) ცნობა; მითითებული აქტივობის მითითებულ დროს შესრულება (მაგ., წამლის დალევა კონკრეტულ დროს (მხოლოდ მთელი საათები (2 სთ, 4 სთ და ა.შ.); კალენდრის გამოყენება („რამდენი დღის მერე იქნება შაბათი“, „ხვალ რა დღეა“ და ა.შ.).
მასა, კილოგრამი, გრამი, აწონვა, სასწორი	მასის ერთეულების - კილოგრამი და გრამი – ცოდნა და ერთმანეთთან დაკავშირება;

	რომელიმე საკვები პროდუქტის ეტიკეტზე საგნის მასის ამოკითხვა; საგნის მასის დადგენა (უმარტივესი ხელსაწყოს გამოყენებით); მითითებული მასის პროდუქტის გამოყოფა საერთო მასიდან („3 კოვზი შაქარი“, „2 ჭიქა ფქვილი“, „ერთი კილოგრამი კარტოფილი“).
ინდიკატორები: მოსწავლე პოულობს გარემომცველ საგანთა წრფივ ზომებს (მაგ., სიგრძეს, სიგანეს) ან საგანთა შორის მანძილებს; მოსწავლე იყენებს დროსთან დაკავშირებულ ცნებებს და მათ შორის მიმართებებს ყოველდღიურ ცხოვრებაში; მოსწავლე იყენებს საგნის წონასთან (მასა) დაკავშირებულ ცნებებს და მათ შორის მიმართებებს რეალურ ვითარებაში.	

სანიმუშო აქტივობები:

მასწავლებელმა უნდა ასწავლოს მოსწავლეს სახაზავის გამოყენებით მართკუთხოვანი ფორმის მქონე (მართკუთხა პარალელეპიპედი) საგნების წრფივი ზომების (სიგრძე, სიგანე, სიმაღლე) გაგება. საგნებად შეიძლება შეირჩეს, მაგ., წიგნი, ფანჯარა, კარი, კარადა.

ელექტროსაათის დახმარებით მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს გარკვეულ დროს და სთხოვს მათ, დაუსახელონ - რა რიცხვია ნაჩვენები საათზე. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დაასახელებენ რიცხვს, მასწავლებელი რამდენჯერმე გაიმეორებს - მაგალითად -„ახლა 12 საათია”.

აქტივობის ჩატარებისას შესაძლოა გამოყენებულ იქნას პროექტორი და კომპიუტერის ელექტროსაათი.

ელექტრო საათზე მასწავლებლის მიერ ნაჩვენები დრო უნდა იყოს ისეთი რიცხვებით შედგენილი, რომლებიც უკვე ნასწავლი აქვთ მოსწავლეებს. მაგალითად, თუ 10-ზე დიდი რიცხვის ცნობა არ იცის მოსწავლემ, საათზე წარუდგინეთ შესაბამისი დრო, მაგალითად 03:00 საათი.

კლასში არსებული ისრებიანი საათის დახმარებით მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს გარკვეულ დროს. სთხოვს მოსწავლეებს დაუსახელონ, რა რიცხვთან არის გაჩერებული საათის პატარა შავი ისარი, რომელიც საათებს გვიჩვენებს; რომელ რიცხვთანაა გაჩერებული დიდი შავი ისარი, რომელიც წუთებს გვიჩვენებს.

ბუნებისმეტყველება

მოსწავლემ უნდა გამოავლინოს შესაბამისი ცოდნა, უნარი, დამოკიდებულება:

ცოცხალი ორგანიზმების კატეგორიზაცია;

ცხოველებისა და მცენარეების თვისებები;

ცხოველების კატეგორიზაცია;

მცენარეების კატეგორიზაცია;

მცენარეებისა და ცხოველების მსგავსება - განსხვავება, მათზე ზრუნვა;

ქოთნის ყვავილის მოვლა;

ადამიანის ნაწილების ფუნქციები და დანიშნულება;

შეგრძნების ორგანოები და მათი დანიშნულება;

საგანთა კლასიფიკაცია იმის მიხედვით, გრძნობის რომელი ორგანოს საშუალებით ხდება მისი ამა თუ იმ თვისების ამოცნობა (მაგ., მჟავე, თეთრი, ჩუმი, ცხელი, მძაფრი).

წელიწადის დროები, წელიწადის თვეები და მათი ამოცნობა;

კვირის დღეების - სამუშაო და უქმე დღეების გარჩევა;

დღე და ღამე, დღე-ღამის ხანგრძლივობა;

ამინდი და მისი ცვალებადობა სეზონებისა და თვეების მიხედვით;

ტანსაცმელი. მისი შერჩევა ამინდის შესაბამისად.

სასწავლო გარემოში არსებული მნიშვნელოვანი ობიექტების აღწერა და ამოცნობა;

ფეხით მოსიარულეთა გამაფრთხილებელი ნიშნების ცოდნა;

სკოლის ტერიტორიაზე ორიენტირება;

სასპორტო დარბაზის ან სპორტული მოედნის დანიშნულება, სპორტული აქტივობები;

თხევადი და მყარი ნივთიერებები, მათი გარჩევა/განსხვავება;

ჰიგიენის წესები და მათი დაცვა;

ქცევის წესები და მათი დაცვა;

უსაფრთხოების ნორმები და მათი დაცვა;

პირადი გარემოს მოწესრიგების მნიშვნელობა და წესები;

მარტივი ზომის ერთეულები და სამზარეულოში/სააბაზანოში მათი გამოყენება;

სინათლის და სითბოს გამომცემი ობიექტები და მათი ამოცნობა უშუალო გარემოში;

ბგერები, მათი ამოცნობა/განსხვავება და შესაბამისი რეაგირება;

ტრანსპორტში ქცევის წესები;

ხელსაწყოები, დანადგარები, აღჭურვილობა, რომელიც გამოიყენება სამზარეულოში და სხვა ოთახში. მათი გამოყენება. ჭურჭლის შერჩევა და დანიშნულებისამებრ გამოყენება;

საკუთარ და სხვათა ჯანმრთელობაზე ზრუნვა;

სახლის ოთახები, მათი დანიშნულება და იდენტიფიცირება, მოვლა-დასუფთავება;

სახლის ავეჯის და მოწყობილობების იდენტიფიცირება, მოვლა-დასუფთავება;

ტუალეტის სწორად და დამოუკიდებლად გამოყენება;

საკუთარი თავის დამოუკიდებლად მოწესრიგება-დასუფთავება

ტანსაცმლის მოვლა, დასუფთავება, შენახვა;

ტანსაცმლის შერჩევა - ამინდის/სეზონის მიხედვით;

ტანსაცმლის და ფეხსაცმლის ჩაცმა-გახდა;

თანატოლებთან ერთად თამაში ან ჯგუფური სამუშაოს შესრულება;

უსაფრთხოების წესების დაცვა;

უფროსებისათვის დახმარების გაწევა;

მზრუნველობითი დამოკიდებულების გამოვლენა მისი უშუალო გარემოს მიმართ:

მეგობრებზე, ახლობლებზე ზრუნვის გამოხატვა;

და სხვ.

შეფასების სარეკომენდაციო კრიტერიუმები

შესაძლებელია, სწავლების პროცესში მოსწავლისათვის კონკრეტული ცოდნის და უნარ-ჩვევის შეძენა სრულად ვერ მოხერხდეს. მაგრამ მოსწავლე შეფასდება მისაღწევი შედეგის შესაბამისად შერჩეული შეფასების კრიტერიუმებით შემდეგი ჩამონათვალიდან, რომელსაც მასწავლებელი მოსწავლის საჭიროების მიხედვით ირჩევს.

მოსწავლე:

განასხვავებს ცოცხალ და არაცოცხალ ობიექტებს;

აღწერს / ამოიცნობს ცხოველს ზომის, ფორმის, ფერის და სხეულის ზოგიერთი სხვა ნაწილის მიხედვით;

ამოიცნობს ცხოველებს გადაადგილების საშუალებების მიხედვით;

ამოიცნობს/აღწერს ცხოველთა საცხოვრებელ ადგილებს;

ცოცხალ სხეულებს აღწერს საერთო და განმასხვავებელი ნიშნების მიხედვით;

ამოიცნობს შინაურ ცხოველებს, ფერმის ცხოველებს, ზოოპარკის ცხოველებს, ცხოველებს, რომლებთანაც ადამიანი მეგობრობს და ა.შ.

ამოიცნობს/ასახელებს ადამიანის სხეულის ნაწილებს;

ამოიცნობს მცენარეთა ჯგუფებს და მათ მახასიათებლებს;

მოაწყობს (გააშენებს) კონტეინერში პატარა ბაღს;

ამოიცნობს და განასხვავებს შეგრძნების ორგანოებს;

ახასიათებს ნაცნობ სხეულებს ფერის, სუნის, ფორმის, გემოს მიხედვით;

სხეულების კონკრეტულ ნიშან-თვისებას აკავშირებს შეგრძნების შესაბამის ორგანოსთან (მაგ., ფერს და ფორმას აღიქვამს თვალი, გემოს - ენა, ხმაურს - ყური, სიცივეს – კანი, ვარდის სურნელს – ცხვირი);

აღწერს საკუთარ თავს, თანაკლასელებს, ადამიანებს თვალსაჩინო გარეგნული ნიშნების მიხედვით (მაგ., სიმაღლე, თმის ფერი, თვალის ფერი, კანის ფერი);

ამოიცნობს ცხოველს სხეულის ნაწილების (მაგ., თავი, კიდურები, კუდი, ყურები, ნისკარტი, ფრთები, ხორთუმი) მიხედვით;

ამოიცნობს მცენარეების ძირითად ნაწილებს (მაგ., ღერო, ფოთოლი, ყვავილი);

აწყობს ფრაგმენტებისგან მცენარეების, ცხოველებისა და ადამიანის მთლიანი სხეულის მოდელს;

აჯგუფებს ცოცხალი სხეულების სურათებს მცენარეებად და ცხოველებად;

პასუხობს შეკითხვებს, რა მნიშვნელობა აქვს ცხოველებსა და მცენარეებს ადამიანისთვის (მაგ., მცენარეების სხვადასხვა ნაწილის გამოყენება საკვებად, გარემოს მოსაწყობად);

ჩამოთვლის საკუთარ საჭიროებებს: საჭმლის მიღება, წყლის დალევა, ძილი, ტუალეტის საჭიროება და სხვა, ადარებს ცოცხალი სხეულის (მცენარისა და ცხოველის) ბაზისურ საჭიროებასთან;

ასახელებს სხვადასხვა სახეობის შინაური ცხოველის საჭიროებებს (საჭმელი, წყალი, ჰაერი, თავშესაფარი, ვარჯიში, სამედიცინო შემოწმება);

ასახელებს/ამოიცნობს შინაური ცხოველის ან ფრინველის მოვლის ეტაპებს (არ არის აუცილებელი თანმიმდევრულად დასახელება);

განასხვავებს ცხოველებს და ფრინველებს ერთი ნიშნით მაინც;

ასახელებს ცხოველების და ფრინველების მინიმუმ ორ საერთო ნიშან-თვისებას;

ახასიათებს/მასწავლებლის დახმარებით ჩამოთვლის ცხოველების და ფრინველების ძირითად განმასხვავებელს;

ასახელებს/მასწავლებლის დახმარებით ჩამოთვლის ცხოველების და ფრინველების საკვებს, საცხოვრებელ ადგილს და სხვ.

ამოიცნობს ცხოველების გადაადგილების საშუალებებს/ასახელებს ცხოველთა გადაადგილებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს;

ალაგებს ცხოველთა სურათებს მათი მოძრაობის ტემპის მიხედვით - სწრაფიდან ნელა მოძრავ ცხოველამდე;

განასხვავებს ცხოველებს ფორმის, ზომის, ფერის და სხვა მახასიათებლის მიხედვით;

ამოიცნობს ცხოველებს, რომლებიც ბინადრობენ: ხმელეთზე, წყალში, ხეებზე, მიწაში (განასხვავებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

ასახელებს ცოცხალ და არაცოცხალ ობიექტებს;

განმარტავს, რომ ზრდა და დამოუკიდებლად გადაადგილება არის ცოცხალი ორგანიზმების თვისება;

ცხოველის ან ფრინველის სურათებს ალაგებს ოჯახებად (მაგ. ძაღლი აჩენს ლეკვს, ქათამი დებს კვერცხს, რომლისგანაც იჩეკება წიწილა, ძროხა შობს ხბოს და ა.შ.);

საკუთარი ტერმინოლოგიით განმარტავს ობიექტის საჭიროებას (მაგ., სახლი/შენობა არაცოცხალი ობიექტია, მაგრამ საჭიროებს მოვლას, პერიოდულად შეკეთებას – საჭიროებს ზრუნვას);

ალაგებს ცოცხალი და არაცოცხალი ობიექტების სურათებს - ახდენს კლასიფიკაციას.

ჩამოთვლის/ამოიცნობს/ახასიათებს მცენარეებს და ცხოველებს;

ამოიცნობს სურათებში ან ვიდეოში ცხოველებს და ჩამოთვლის/ახასიათებს;

ჩამოთვლის ცხოველების სიცოცხლისათვის აუცილებელ პირობებს (მინიმუმ სამი მახასიათებელი);

ჩამოთვლის მცენარეების არსებობისათვის აუცილებელ პირობებს (მინიმუმ სამი მახასიათებელი).

ასახელებს/ სურათზე ამოიცნობს ადამიანის სხეულის იმ ნაწილებს, რომელიც მას მოძრაობის/გადაადგილების საშუალებას აძლევს (მაგ., უნდა დაასახელონ ფეხები. შესაძლოა ნაწილმა დაასახელოს ხელებიც - თუ ოჯახში პატარა ჰყავთ, რომელიც ცოცავს);

ამოიცნობს სხეულის ნაწილებს, რომელიც თამაშის, კვების, წერის პროცესისათვის არის საჭირო (უნდა დაასახელონ ხელები);

ამოიცნობს ადამიანის სახის ნაწილებს;

ამოიცნობს ადამიანის მთლიანი სხეულის ნაწილებს.

ამოიცნობს მცენარეს, რომელსაც შემოდგომაზე ფოთლები სცვივა;

ასახელებს/ სურათზე ამოიცნობს მცენარეს, რომელიც მარადმწვანეა;

ასახელებს/სურათზე ან სკოლის ეზოში ამოიცნობს სხვადასხვა კატეგორიის მცენარეს (მაგ., ხე, ბუჩქი, ბალახი, ყვავილი);

ჩამოთვლის/სურათზე ამოიცნობს ოთახის მცენარის მოვლისათვის საჭირო ქმედებებს;

დამოუკიდებლად ზრდის ჯეჯილს;

ჩამოთვლის/ამოიცნობს მცენარის ზრდისთვის აუცილებელ პირობებს (წყალი, ჰაერი, მზის სინათლე, ტემპერატურა);

დამოუკიდებლად ამოირჩევს საკლასო ოთახში ჯეჯილის ზრდისათვის საუკეთესო ადგილს;

ჩათესავს კონტეინერებში ადვილად გასახარებელ ბოსტნეულს (მაგ. სტაფილო, კარტოფილი და სხვა) და მიღებული გამოცდილების საფუძველზე უვლის დამოუკიდებლად/მასწავლებლის დახმარებით;

მასწავლებლის დახმარებით დარგავს ნერგს და დამოუკიდებლად უვლის მას (დროდადრო წყლის დასხმა, მიწის გაფხვიერება).

განასხვავებს დღისა და ღამის სურათებს;

ალაგებს თანმიმდევრულად დღის განმავლობაში განსახორციელებელ აქტივობებს:

აჯგუფებს წელიწადის ოთხი სხვადასხვა დროის ამსახველ სურათებს;

ამინდის სურათებს შეუსაბამებს ტანსაცმელს;

ამოიცნობს საოჯახო აღჭურვილობას (მაგ., ტელევიზორი, კომპიუტერი, კარადა, ბრა, საწოლი, სკამი, მაგიდა, მაცივარი, აბაზანა);

თოჯინას სახლის და თოჯინას ავეჯის გამოყენებით ახდენს შესაბამის ოთახში ავეჯის განთავსების იმიტაციას;

ამოიცნობს თუ რა სახის ავეჯი და მოწყობილობები აქვთ თავიანთ სახლებში;

დამოუკიდებლად აწესრიგებს საკუთარ ოთახს/ მაგიდას;

განათავსებს ნარჩენებს სათანადო ადგილას;

დამოუკიდებლად უვლის მცენარეს (წყლის დასხმა, მიწის ზედაპირის გაფხვიერება და სხვა);

მშობლის/მასწავლებლის ვიზუალურ/ვერბალურ ინსტრუქციებს განახორციელებს დამოუკიდებლად;

წმენდს მყარ ზედაპირს თხელი, ნაზი ნაჭრის ან ღრუბლის გამოყენებით;

უსაფრთხოების წესების დაცვით წმენდს მყარ ზედაპირს;

ფრთხილად გვის/წმენდს იატაკს;

ასუფთავებს საწოლის ზეწარს და აფარებს ლამაზად;

ასწორებს საბანს და აფარებს სუფთა გადასაფარებელს;

მტვერსასრუტის გამოყენებამდე ალაგებს ოთახში გაფანტულ ნივთებს და გამოყენების შემდეგ წმენდს მტვერს;

აერთებს მტვერსასრუტს დენში და რთავს მტვერსასრუტს;

ოთახის მტვერსასრუტით იღებს მტვერს მთელ ოთახში და ავეჯის ქვეშ;

გამორთავს მტვერსასრუტს წესის მიხედვით და ინახავს;

ასუფთავებს სააბაზანო ოთახს;

იცავს თანმიმდევრობას ოთახების დალაგების დროს;

გააღებს და ჩაკეტავს კარს, ფანჯრებს, გადასწევს და დახურავს ფარდებს;

უსაფრთხოების მიზნით ამოწმებს დენს, წყალს და გაზს;

ასახელებს/ამოიცნობს ტანსაცმლის სხვადასხვა სახეობას;

განასხვავებს საკუთარ და სხვის ტანსაცმელს;

ახარისხებს/აჯგუფებს ტანსაცმელს ფერის მიხედვით (შეუსაბამებს ერთმანეთს);

ჩამოკიდებს ტანსაცმელს შესაბამის საკიდზე;

აწყვილებს ტანსაცმელს (ხელთათმანები, წინდები) დამოუკიდებლად /მასწავლებლის დახმარებით და ინახავს კარადის შესაბამის ყუთში;

ფაქიზად კეცავს ტანსაცმელს ან პირსახოცებს დამოუკიდებლად/მასწავლებლის დახმარებით და განათავსებს კარადის შესაბამის ყუთში;

ამოიცნობს და მიუთითებს, რომ ტანსაცმელს სჭირდება დაკემსვა;

სისუფთავის დასადგენად ამოწმებს ტანსაცმლის საყელოს, მასწავლებლის რეკომენდაციით;

ამოწმებს ტანსაცმელზე იდაყვების და მუხლების ადგილების სისუფთავეს;

მასწავლებელთან ერთად/დამოუკიდებლად პოულობს ლაქებს ტანსაცმელზე;

ამოწმებს/ადგენს ტანსაცმლის სისუფთავის/ჭუჭყის სუნს;

ახარისხებს კალათაში მოთავსებულ გასარეცხ ტანსაცმელს ფერის მიხედვით;

რეცხავს სარეცხს ხელით და ფენს;

სამზარეულოში შესვლის და საკვების მიღების წინ იბანს ხელებს;

იცავს ჭურჭელს და სამზარეულოს აღჭურვილობას სუფთად;

აკვირდება მასწავლებლის ან მშობლის ქმედებებს სამზარეულოში და ახდენს იმიტაციას;

მასწავლებლის დახმარებით სამზარეულოში ირჩევს ხელსაწყოებს, აღჭურვილობას, ჭურჭელს. ფუნქციურად იყენებს ნივთებს, და უფროსს ეხმარება საკვების დამზადებაში;

ამოიცნობს/ამოირჩევს საჭირო ჭურჭელს, დავალების შესაბამისად;

დამოუკიდებლად ირჩევს კვების დროს გამოსაყენებელ აღჭურვილობას და იყენებს სწორად;

ხსნის სხვადასხვა სახის კონტეინერს, განათავსებს მშრალ ან თხევად საკვებს კონტეინერში და ინახავს სათანადო ადგილას (ან ამზადებს სამგზავროდ);

განარჩევს საკვებს შენახვის პირობების მიხედვით - რომელი საჭიროებს მაცივარში შენახვას და რომელი არა;

ეხმარება უფროსებს პროდუქტების შენახვაში: მალფუჭებად პროდუქტებს განათავსებს მაცივარში (მაგ., მაწონი, რძე, კარაქი, ყველი, კვერცხი და ა.შ.);

ეხმარება უფროსებს პროდუქტების შენახვაში: კარადაში ინახავს პროდუქტებს, რომელსაც არ სჭირდება განსაკუთრებული შენახვის პირობების შექმნა (მაგ., პური, ხორბალი, მარილი, შაქარი, ზეთი. და ა.შ.);

კონკრეტული დავალების/ინსტრუქციის შესასრულებლად იყენებს შესაბამის საზომ ერთეულებს (მაგ., სავსე ფინჯანი, სავსე ჩაის კოვზი, სავსე სუფრის კოვზი, სავსე ქილა/ბოთლი და სხვა);

ინსტრუქციის შესაბამისად საზომ ერთეულად იყენებს მთელის ნახევარს (მაგ., გაყავი შუაზე ბოთლში მოთავსებული წყალი, გაყავი შუაზე ფინჯანში მოთავსებული ბრინჯი, აიღე ნახევარი ჩაის კოვზი სოდა, გაყავი შუაზე ერთი პაკეტი ფქვილი და ა.შ);

მასწავლებლის დახმარებით აწყობს მაგიდას მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად (მაგ., მაგიდის გაწყობა ოთხ ადამიანზე - შესაბამისი მოწყობილობის წესების მიხედვით განლაგება);

ეხმარება მშობელს/უფროსს მაგიდის გაშლაში;

ხსნის ონკანს და კეტავს დამოუკიდებლად;

ონკანიდან წყალს ასხამს ჭიქაში;

დამოუკიდებლად ახერხებს ჭიქიდან წყლის დალევას;

დამოუკიდებლად ასხამს წყალს დოქიდან ჭიქაში;

ამზადებს სალათს, სენდვიჩს, რძიან შოკოლადს, წვენს სახალისო, თვალსაჩინო რეცეპტების გამოყენებით;

დამზადებულ საკვებს ფრთხილად და ზომიერად გადმოიღებს საკუთარ თეფშზე;

ხელით მიირთმევს მყარ საკვებს;

საწრუპით მიირთმევს სითხეს;

სათანადოდ იყენებს კოვზს;

ხსნის შეფუთულ საკვებს;

ღეჭავს დახურული პირით;

იყენებს ხელსახოცს პირის და ხელების გასაწმენდად;

იყენებს ჩანგალს დამოუკიდებლად;

იყენებს დანას წასასმელად;

იცავს მაგიდასთან ქცევის წესებს;

მიანიშნებს სველი/დასვრილი საფენის/ტანსაცმლის გამოცვლის საჭიროებაზე;

მინიმუმ 5 წუთის განმავლობაში ახერხებს უნიტაზზე ჯდომას ზედამხედველობის გარეშე;

ახერხებს შარდის ბუშტის კონტროლს მთელი დღის განმავლობაში;

ახერხებს კუჭის მოქმედების კონტროლს მთელი დღის განმავლობაში ;

გამოხატავს ტუალეტში წასვლის საჭიროებას;

სკოლის ტერიტორიაზე აგნებს ბავშვებისთვის და შესაბამისი სქესისთვის განკუთვნილ საჭირო ოთახს;

დამოუკიდებლად ახერხებს საჭირო ოთახის გამოყენებას:

ახერხებს ტუალეტის ჩარეცხვას;

იყენებს ტუალეტის ქაღალდს;

საჭირო ოთახის გამოყენების შემდეგ იბანს ხელებს;

ტუალეტის გამოყენების შემდეგ ისწორებს ტანსაცმელს;

იწესრიგებს გარეგნობას საჭირო ოთახის სარკეში;

გეგმავს განრიგს ტუალეტის საჭიროების დაკმაყოფილებისათვის;

იყენებს საჭირო ოთახს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში;

დამოუკიდებლად უშვებს და კეტავს წყალს;

არეგულირებს წყლის ტემპერატურას;

დამოუკიდებლად იბანს და იშრობს ხელებს;

დამოუკიდებლად იბანს და იმშრალებს პირს;

დამოუკიდებლად იხეხავს კბილებს;

დამოუკიდებლად ივარცხნის თმას;

დამოუკიდებლად ახერხებს ცხვირის მოწმენდას;

იყენებს სარკეს საკუთარი გარეგნობის შესამოწმებლად;

მონაწილეობას ღებულობს თავის და ტანის დაბანის პროცესში;

ამოიცნობს სასწავლო გარემოში მნიშვნელოვან ობიექტებს ან მათ სურათებს დამოუკიდებლად (მაგ., ბუფეტი, მოსასვენებელი ოთახი, სათამაშო ოთახი, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა და სხვა მნიშვნელოვანი საჭირო ობიექტები);

დამოუკიდებლად ორიენტირებს სკოლის ტერიტორიაზე;

ამოიცნობს სურათებზე შუქნიშნების ფერებს;

ხსნის შუქნიშნების ფერების დანიშნულებას/აკავშირებს შესაბამის ნახატებთან;

განსაზღვრავს საგნების ან ობიექტების მდებარეობას სივრცითი მიმართებების გამოყენებით (მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან, ზევით, ქვევით და ა. შ.);

ადეკვატურად რეაგირებს სასკოლო დარბაზში და სპორტულ მოედანზე მასწავლებლის მიერ გაცემულ ინსტრუქციებზე;

სპორტული თამაშების დროს აკეთებს არჩევანს;

მონაწილეობს გუნდურ თამაშში ინსტრუქციის შესაბამისად;

ამოიცნობს საგნებს/ობიექტებს, რომელთაც გასათბობად იყენებენ;

გასათბობად იყენებს მისთვის ხელმისწავდომ საგანს/ობიექტს;

ამოიცნობს საგნებს/ობიექტებს, რომლებიც სინათლეს გამოსცემენ;

ანთებს/აქრობს ოთახში შუქს;

ამოიცნობს სხეულებს, რომლებიც ხმას გამოსცემენ;

განასხვავებს სხეულებს ხმის მიხედვით;

ამოიცნობს წვიმის, ქარის, ზღვის, ტრანსპორტის, მშენებლობის ხმაურის ჩანაწერებს, მუსიკას;

მასწავლებელთან ერთად განიხილავს სხვადასხვა სახის ხმაურს, მათი მოსმენით გამოწვეულ ემოციებს;

ასახელებს/ აჩვენებს საკუთარ სახელსა და გვარს;

ასახელებს/ აჩვენებს საკუთარი ან ოჯახის წევრის ტელეფონის ნომერს;

ასახელებს/ აჩვენებს სახლის მისამართს;

დამოუკიდებლად კრეფს ოჯახის წევრის ტელეფონის ნომერს;

დაკარგვის ინსცენირების დროს ახორციელებს სწორ ქმედებებს;

სწორად ამოიცნობს საფრთხეებს და თავიდან იცილებს მათ;

ხანძრის/მიწისძვრის იმიტაციის დროს იცავს წესებს;

განსაზღვრავს ნივთს ან ნივთიერებას, რომელია საშიში პირის ღრუს ლორწოვანი გარსისათვის;

ცნობს ფეხით მოსიარულეთა გამაფრთხილებელ ნიშნებს;

ამოიცნობს/იცავს ავტომობილში და ავტობუსში უსაფრთხო ქცევის ძირითად წესებს;

იყენებს გასაღებს და ხსნის საკეტს;

ამოიცნობს მომწამვლელი ნივთიერების იარლიყს;

სიმულაციური თამაშის დროს იქცევა ადეკვატურად, მწერებთან და ცხოველებთან მიმართებაში;

რეკავს 112-ში გადაუდებელი შემთხვევების დროს;

თამაშობს მოსწავლესთან ერთად, ან პარალელურად;

საჭიროების შემთხვევაში კითხულობს თავაზიანად, ან იხდის მადლობას/ბოდიშს;

დამოუკიდებლად იცმევს/იხდის ტანსაცმელს;

 დამოუკიდებლად/მცირე დახმარებით იცვამს ფეხსაცმელს.

სარეკომენდაციო აქტივობები

ცოცხალი ორგანიზმების კატეგორიზაცია

(ცოცხალი სხეულების არსებითი ნიშან-თვისების მიხედვით აღწერა)

მასწავლებელი:

აჩვენებს მოსწავლეებს ნაცნობი მცენარეებისა და ცხოველების ილუსტრაციებს/ ვიდეომასალას. სთხოვს, ამოიცნონ ისინი გარეგნული ნიშნების/რაიმე მახასიათებლის მიხედვით.

მასწავლებელი აწვდის მოსწავლეებს ბარათებს მცენარეების და ცხოველების გამოსახულებით. ჯერ თავად გადადებს ერთ მცენარესა და ერთ ცხოველს ცალკე და შემდეგ მოსწავლეს სთხოვს, განაგრძოს ბარათების დაჯგუფება ცხოველებისა და მცენარეების ჯგუფების მიხედვით.

აჯილდოებს მოსწავლეებს წარმატებული მცდელობისათვის.

ცხოველთა სამყაროს კატეგორიზაცია

მასწავლებელი:

მასწავლებელი აწვდის მოსწავლეებს ბარათებს ცხოველების და ფრინველების გამოსახულებით. ჯერ თავად გადადებს ერთ ცხოველს ცალკე და ერთ ფრინველს ცალკე, შემდეგ მოსწავლეს სთხოვს, განაგრძოს ბარათების დაჯგუფება ცხოველებისა და ფრინველების კატეგორიების მიხედვით.

აწვდის მოსწავლეებს სათამაშო ცხოველებს, ცხოველთა ფოტოებს. სთხოვს, დაალაგონ ცალკე შინაური და ცალკე გარეული ცხოველები. თუ ვერ მოახერხებენ, მასწავლებელი ეკითხება თითოეულ სათამაშო ცხოველზე, ან ცხოველის სურათზე - ადამიანი უვლის ამ ცხოველს? სად ცხოვრებს ეს ცხოველი? ტყეში რომელი ცხოველი ცხოვრობს? და ა.შ.

შესაძლოა მოსწავლეებს მოატანინოს საკუთარი შინაური ცხოველის ფოტო. სთხოვს მოსწავლეებს, დახატონ/ამოიცნონ ფოტოებიდან შინაური ცხოველი (რომელიც ჰყავთ, ან რომელიც სურთ, რომ ჰყავდეთ).

დასვამს მოსწავლეებს იატაკზე (წრეზე). დაუწყობს ცხოველთა დიდ ფერად სურათებს და სთხოვს თითო მოსწავლემ აიღოს თითო ცხოველის სურათი. მოიფიქროს მის შესახებ ორ ან სამ სიტყვიანი წინადადება, დამოუკიდებლად, ან მასწავლებლის დახმარებით (მაგ: „ძროხა დიდია“, „ძროხა ყავისფერია“, „მე ვხედავ ძროხას“, „ბიჭი ცხენს მიაჭენებს“ და ა.შ).

სკოლის ეზოში, უსაფრთხოების ნორმების დაცვით, მოსწავლეებს აჩვენებს ნამდვილ ძაღლს, კატას ან კურდღელს.

ცოცხალი ორგანიზმების საარსებო საჭიროებების გაცნობიერება

მასწავლებელი:

უღებს მოსწავლეებს სურათებს და იყენებს, როგორც თვალსაჩინოებას, სადაც გამოხატულია დღის განმავლობაში მოსწავლის განმეორებადი მოქმედებები: ჭამა, დასვენება, ძილი, სისუფთავეზე ზრუნვა, ჰაერზე სეირნობა და სხვ. სთხოვს მოსწავლეებს, სურათები დაალაგონ თანმიმდევრობით (შეძლებისდაგვარად).

აჩვენებს ვიდეო რგოლს, სადაც გამოსახულია დღის მანძილზე ცხოველთა ქმედებები.

მოსწავლეებს ეკითხება: რომელი მოქმედებები არის მსგავსი? (ცხოველებიც ჭამენ საჭმელს, სვამენ წყალს, აქვთ ტუალეტის მოთხოვნილება, იძინებენ, როგორც ადამიანები). მოსწავლეს სთხოვს ამოიცნოს ვიდეოზე გამოსახული ცხოველთა ქმედებები და ამოარჩიოს „თვალსაჩინოებებიდან“ (მასწავლებლის წინასწარ გადაღებული სურათებიდან) შესაბამისი აქტივობის სურათი.

ეხმარება მოსწავლეებს შინაურ ცხოველთა საჭიროებების ამოცნობაში. სთხოვს მოსწავლეებს, ამოიცნონ, რა არის საჭირო ცხოველისათვის და რა უნდა მოიმოქმედონ შინაური ცხოვლის მოსავლელად? (მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომ მათ სჭირდებათ სივრცე, თავშესაფარი, საჭმელი, წყალი, ჰაერი და რეგულარული სამედიცინო შემოწმება).

უსვამს მოსწავლეებს შეკითხვებს: „რატომ არის ცხოველი ცოცხალი არსება?“ (მოსწავლე ვერბალურად ან არავერბალურად გამოხატავს, რომ მას შეუძლია მოძრაობა და იზრდება). „რა სჭირდება ცხოველს იმისთვის, რომ გაიზარდოს?“ (მოსწავლე პასუხობს ისევ, ვერბალურად, ან არავერბალურად – საჭმელი, წყალი).

მოსწავლეებს თუ გაუჭირდებათ ამოცნობა, მასწავლებელი მიმართავს მათ დამატებითი მიმანიშნებელი კითხვებით და აჯილდოებს წარმატებულ მცდელობას.

შინაური ცხოველის მოვლა-გამოკვება

მასწავლებელი:

აჩვენებს მოსწავლეებს მოკლე ვიდეოს, სადაც ჩანს ცხოველთა საარსებო საჭიროებები ან/და აწვდის მათ ფოტოსურათებს, სადაც გამოხატულია მათი საარსებო საჭიროებების დაკმაყოფილების

ამსახველი მომენტები, ასევე, მოვლის და დასუფთავების პროცესი. შესაძლებელია წაიყვანოს ზოოპარკში ან ფერმაში და აჩვენოს, როგორ უვლიან (აჭმევენ, უსუფთავებენ გარემოს და ა.შ) ცხოველებს.

აწვდის ფოტოსურათებს, სადაც აღწერილია ცხოველთა მოვლის ცალკეული ეტაპი. მოსწავლემ უნდა დაალაგოს ეტაპები თანმიმდევრულად.

მოჰყავს საკლასო ოთახში რომელიმე შინაური ცხოველი ან ფრინველი (კურდღელი, ჩიტი, თევზი და ა.შ). აძლევს მოსწავლეებს მათ მოვლაში მონაწილეობის მიღების საშუალებას, დააწესებს მორიგეობას.

მორიგეს აძლევს ინსტრუქციას, სიტყვიერად, ან სურათებს - ფრაგმენტების სახით დალაგებულს. სთხოვს დღის განმავლობაში ცხოველის/ფრინველის მოვლის მიზნით შეასრულოს აქტივობები: გამოკვებოს ცხოველი/ფრინველი საჭირო რაოდენობის საკვებით, უზრუნველყოს სასმელი წყლით, დაასუფთაოს გალია. ეს ხელს უწყობს მოსწავლეს მზრუნველობითი დამოკიდებულების გამომუშავებაში.

ცხოველთა საერთო და განმასხვავებელი ნიშნების ამოცნობა

მასწავლებელი:

წერს დაფაზე სიტყვებს: „მსგავსი“, „განსხვავებული“. განმარტავს თითოეულ მათგანს. აჩვენებს მოსწავლეებს ცხოველების, ფრინველების და მწერების სურათებს (სპილო, ჩიტი, კალია).

ეკითხება მოსწავლეებს: რით ჰგვანან ისინი ერთმანეთს? (მაგ: ისინი მოძრაობენ, სჭირდებათ საკვები და წყალი და სხვ.).

ეკითხება მოსწავლეებს: რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან? (მაგ: ისინი სხვადასხვა ზომის და ფორმის არიან, სხვადასხვა რაოდენობის ფეხები აქვთ, განსხვავებულად გადაადგილდებიან, აქვთ სხვადასხვა ფერი, ცხოვრობენ სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვანაირად აქვთ სხეული დაფარული).

ცხოველების გადაადგილების საშუალებების ამოცნობა

მასწავლებელი:

უხსნის მოსწავლეებს, რომ ცხოველები სხვადასხვანაირად გადაადგილდებიან: მაგ: კურდღელი დახტის, თევზი დაცურავს და ა.შ.. ზოგიერთი ცხოველი ნელა მოძრაობს, ზოგი ჩქარა.

ეხმარება მოსწავლეებს სხვადასხვა ცხოველის სურათების გამოჭრაში. განიხილავს მათთან, ერთად როგორ გადაადგილდება სხვადასხვა ცხოველი. მაგ.: რომელი მათგანი დადის, დახტის, რომელი დაცურავს, დაცოცავს, სრიალებს.

აძლევს მოსწავლეებს საშუალებას, თავად განახორციელონ ზოგიერთი ცხოველის მოძრაობა/სთხოვს მოსწავლეებს ვიდეოფილმის ცქერის შემდეგ გაიმეორონ სხვადასხვა ცხოველის მოძრაობა და ახსნან, რომელ ცხოველს განასახიერებენ.

აძლევს მოსწავლეებს არჩევანის თავისუფლებას (თვითონ ირჩევენ მათთვის საინტერესო ცხოველს) და სთხოვს ახსნან, რამდენად სწრაფად გადაადგილდება კონკრეტული ცხოველი.

სთხოვს მოსწავლეებს დაალაგონ ორი ან სამი ცხოველის სურათი (თვალსაჩინოება) თანმიმდევრულად – უფრო სწრაფად მოძრავი ცხოველიდან უფრო ნელა მოძრავი ცხოველისკენ.

ცხოველების ამოცნობა ზომის, ფორმის, ფერის და სხეულის ზოგიერთი სხვა ნაწილის მიხედვით

მასწავლებელი:

სათამაშო ცხოველებს განათავსებს ყუთში. სთხოვს მოსწავლეებს, გამოიცნონ ცხოველი, რომელსაც აღწერს (მაგ. ეს ცხოველი დიდია, მას უყვარს თაფლი, მას დიდი თათები აქვს და დაბაჯბაჯებს, ის ყავისფერია და ტყეში, ბუნაგში ცხოვრობს.

სასურველია ინფორმაციის დამატება ან მოკლება, მოსწავლეების შესაძლებლობების გათვალისწინებით). მოსწავლე პასუხობს ვერბალურად ან არავერბალურად – მიუთითებს თვალსაჩინოებაზე (ცხოველების სურათების გროვიდან ერთ-ერთზე).

მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, თავად შეაფასონ საკუთარი პასუხი. ამოიღებს ყუთიდან კონკრეტულ სათამაშო ცხოველს, რომელიც დაახასიათა, რათა მოსწავლეებმა თავად დაადგინონ, სწორად გამოიცნეს თუ არა ცხოველი.

მოსწავლეებს აძლევს სურათებს ან ყუთში ჩალაგებულ სათამაშო ცხოველებს და სთხოვს ამოიცნონ, რომელი ცხოველია ადამიანის მეგობარი, რომელია შინაური, რომელი ცხოველი ცხოვრობს ტყეში და ა.შ.

ცხოველთა საცხოვრებელი ადგილების ამოცნობა

მასწავლებელი:

უხსნის მოსწავლეებს, რომ სხვადასხვა ცხოველი სხვადასხვა ადგილას ცხოვრობს. აჩვენებს მოსწავლეებს შესაბამის ფოტო სურათებს ან იყენებს ვიდეომასალას.

ასახელებს ცხოველებს, რომლებიც ცხოვრობენ ხეზე, წყალში, უხსნის, რომ ზოგიც მიწაში ცხოვრობს. მოტანილი აქვს ცხოველთა სურათები და ალაგებს იმის მიხედვით, რომელი სად ცხოვრობს.

აჩვენებს მოკლე ვიდეოფილმს, სადაც ჩანს სხვადასხვა ცხოველის საცხოვრებელი.

დაურიგებს მოსწავლეებს სათამაშო ცხოველებს და მათი შესაბამისი საცხოვრებელი ადგილების სურათებს. ეხმარება მოსწავლეებს საცხოვრებელი ადგილების სურათები დააწყვილონ სათამაშო ცხოველებთან.

ცოცხალი და არაცოცხალი ობიექტების განსხვავება

მასწავლებელი:

აჩვენებს მოსწავლეს ბარათებს ცოცხალი და არაცოცხალი ობიექტების გამოსახულებით, სთხოვს დაასახელონ ბარათზე გამოსახული ობიექტები.

უხსნის მახასიათებლებს, რომელთა მიხედვითაც ორგანიზმები იყოფა ცოცხალ და არაცოცხალ ობიექტებად, აჩვენებს ვიდეოფილმს ან სურათებს:

ცოცხალი ორგანიზმები იზრდებიან (მაგალითად დიდი ადამიანი და პატარა ბავშვი, პატარა ლეკვი და ძაღლი, დიდი მცენარე და პატარა მცენარე და ა.შ.);

ცოცხალ ორგანიზმს შეუძლია დამოუკიდებლად გადაადგილება (ჩიტი, ძაღლი, მწერი, ადამიანი და სხვ.);

იმისთვის, რომ იცოცხლოს და გაიზარდოს, ცოცხალ ორგანიზმს ესაჭიროება საკვები, წყალი და საცხოვრებელი ადგილი;

ცოცხალ ორგანიზმებს ჰყავთ შვილები/შთამომავლობა: აჩვენებს სურათებს: მაგ., ძაღლს ჰყავს ლეკვი, კვერცხისგან ჩნდება წიწილა და სხვ.;

აჩვენებს ვიდეოფილმს, რომელშიც ჩანს არაცოცხალი ობიექტები (მაგ., სახლი, მთა, მდინარე, გზა და სხვ.), უხსნის, რომ არაცოცხალ ობიექტებსაც ესაჭიროებათ მოვლის საშუალებები (მაგ., სახლს სჭირდება შეკეთება, გზას გაწმენდა/შეკეთება, მდინარეს მოფრთხილება და სუფთად შენახვა და სხვ.).

წერს ბარათზე სიტყვებს „ცოცხალი“ და „არაცოცხალი“, აწვდის მოსწავლეს ბარათებს სხვადასხვა ობიექტის გამოსახულებით და სთხოვს, დაალაგონ შესაბამისი კატეგორიის ქვეშ.

მცენარეთა კატეგორიზაცია (მცენარეთა ჯგუფების და მათი მახასიათებლების ამოცნობა)

მასწავლებელი:

სთხოვს მოსწავლეებს სახლიდან ოთახის მცენარეების მოტანას (ვისაც აქვს) და თანაკლასელებისათვის ჩვენებას (შესაძლოა მინდვრის ყვავილების მოტანაც).

ურიგებს მოსწავლეებს სხვადასხვა სეზონზე გადაღებულ სურათებს და სთხოვს ამოიცნონ რომელი სურათი რომელ სეზონს შეესაბამება. ეხმარება მოსწავლეებს კედელზე გაკრულ სეზონების ნახატებს (თვალსაჩინოებას) შეუსაბამონ მცენარეების სხვადასხვა სეზონზე გადაღებული სურათები.

მოსწავლეებთან ერთად განიხილავს საკითხს, რომ ზოგიერთ მცენარეს შემოდგომაზე სცვივა ფოთოლი, ზოგი კი მარადმწვანეა. აჩვენებს ვიდეო ფილმს ან სურათებს, სადაც მოსწავლე ამ განსხვავებას აღიქვამს.

შემოდგომაზე გაკვეთილს ატარებს ბუნებაში, რათა მოსწავლეებმა ამოიცნონ მცენარეები, რომელთა ფოთოლცვენაც იწყება/დაიწყო. სთხოვს, დაახარისხონ ისინი ერთი რომელიმე ნიშნით. მოსწავლეებს თუ გაუჭირდებათ დახარისხება, მასწავლებელი ეხმარება დამატებითი ქმედებებით: ურიგებს მოსწავლეებს სხვადასხვა მცენარის ფოთოლს და უსვამს შეკითხვას: ყველა მცენარის ფოთოლს აქვს თუ არა ერთნაირი ფორმა, ერთნაირი ზომა და ა.შ.

აჩვენებს მცენარეთა ღეროებს და ეკითხება: მცენარეების ღეროები განსხვავდება თუ არა სიმაღლის მიხედვით.

მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, მოაგროვონ ყვავილები. უსვამს შეკითხვას: ერთნაირი ფერის არის თუ არა სხვადასხვა მცენარის ყვავილები.

აჩვენებს მოსწავლეებს მცენარეთა ნაყოფებს და სთხოვს ამოიცნონ, განსხვავდება თუ არა ნაყოფები: ფერით, ფორმით ან ზომით.

სთხოვს ორი მცენარე აირჩიონ, რომელთა ნაყოფები ერთი რომელიმე ნიშნით განსხვავდება (მაგ., ფერი, ფორმა, ზომა).

ზამთარში მიჰყავს მოსწავლეები ექსკურსიაზე, სადაც მარადმწვანე ხეებთან ერთად ფოთლოვანი ხეებიც არის. მოსწავლეებს ეხმარება ამოიცნონ ფოთოლგაცვენილი და წიწვოვანი მცენარეები.

სთხოვს მოსწავლეებს, ფანჯრიდან ეზოს დათვალიერებისას, ამოიცნონ სხვადასხვა კატეგორიის მცენარეები.

კონტეინერში პატარა ბაღის გაშენება

მასწავლებელი:

ურიგებს მოსწავლეებს პლასტმასის თეფშებს, მასზე მოთავსებული ბამბის თხელი ფენით და სთხოვს დაასხან წყალი. შემდეგ სველ ბამბაზე გაანაწილონ წინასწარ დარიგებული ხორბლის მარცვლები.

სთხოვს მოსწავლეებს გამზადებული თეფშები დაალაგონ ოთახის სხვადასხვა ადგილას - ერთი ფანჯარაზე, ერთი ოთახის ბნელ და ცივ ადგილას, ერთი რადიატორთან, ან მზის სხივებით გამთბარ ადგილას, ერთიც დადონ ცივ ადგილას.

უხსნის მოსწავლეებს მცენარეთა ზრდისათვის აუცილებელი პირობებს (წყალი, ჰაერი, მზის სინათლე, ტემპერატურა). მოსწავლეებს ურიგებს ოთახის მცენარის თესლებს და პატარა კონტეინერებს. ეხმარება მოსწავლეებს, რომ დათესონ მარცვალი საკუთარ კონტეინერში და განათავსონ მცენარისთვის იდეალურ ადგილას - ფანჯრის რაფაზე. ეხმარება მოსწავლეებს მათ მოვლაში (პერიოდული წყლის დასხმა). ზოგიერთ მცენარეს მოათავსებენ სიბნელეში (კარადაში), ძალიან სიცხეში ან სიცივეში. გარკვეული პერიოდის შემდეგ აჩვენებს მოსწავლეებს შედეგებს და განიხილავს მიზეზებს.

ზოგიერთი ხილი და ბოსტნეული ადვილი გასახარებელია, მაგ: სტაფილო, კარტოფილი, ავოკადო. ამისთვის საჭიროა მხოლოდ კონტეინერი, წყალი და კბილის ჩხირები. დარგავს აღნიშნულ მცენარეებს მოსწავლეებთან ერთად საკლასო ოთახში და ეხმარება მოსწავლეებს, დააკვირდნენ მათ ზრდას კვირიდან კვირამდე.

შეარჩევს მცენარის დასარგავად სათანადო ზომის კონტეინერს - პლასტმასის, ხის, კერამიკის კონტეინერს, ან თუნდაც რძის ან ყავის ქილას. მასწავლებელელი შეავსებს კონტეინერს მესამედი სტერილური მიწით. ჩარგავს ნერგს მოსწავლეებთან ერთად და ეხმარება მათ ნერგის მოვლაში (დროდადრო წყლის დასხმა, მიწის გაფხვიერება).

საკლასო ოთახში განათავსებს ოთახის სხვა მცენარეებსაც და გამოყოფს მორიგეებს, რომლებიც ოთახის მცენარის მოვლაზე (მორწყვა, სინათლეში მოთავსება და სხვ.) იქნებიან პასუხისმგებლები.

ადამიანის სხეულის ნაწილების ამოცნობა

მასწავლებელი:

სთხოვს მოსწავლეებს, ითამაშონ ერთად „სხეულის ნაწილების გამოცნობანა“. (მოსწავლეს, შესაძლოა თავდაპირველად უფრო გაუადვილდეს სხვა ადამიანის სხეულის ნაწილის მითითება, ვიდრე საკუთარი სხეულის ნაწილის).

აწვდის მოსწავლეებს სარკეს, უსახელებს სხეულის რომელიმე ნაწილს და სთხოვს სარკეზე დაადონ თითი დასახელებულ სხეულის ნაწილს.

აწვდის მოსწავლეს გამოჭრილ სახეს და ცალ-ცალკე გამოჭრილი სახის ნაწილებს (ცხვირი, ტუჩები, თვალები, ყურები). სთხოვს მოსწავლეს დადოს გამოჭრილი თვალსაჩინოება სახეზე, შესაბამის ადგილას.

თუ მოსწავლეებს გაუჭირდებათ წინა აქტივობის შესრულება, სახეზე ხატავს სახის ნაწილებს, რაც მოსწავლეებს დაეხმარებათ გამოჭრილი თვალსაჩინოების სათანადოდ მოთავსებაში.

ადამიანის/ბავშვის სხეულის დახატულ სილუეტს აკრავს დაფაზე. აწოდებს მოსწავლეს სხეულის ნაწილების ბარათებს და სთხოვს მიაკრას ისინი სილუეტზე შესაბამის ადგილას.

სთხოვს მოსწავლეებს, თითოეული ნაწილის მოთავსებისას იპოვოს ის ნაწილი საკუთარ სხეულზე და დაასახელოს. (ბარათებს შესაძლოა ილუსტრაციასთან ერთად ეწეროს სხეულის ნაწილის სახელი).

განალაგებს მოსწავლეებს წრეზე და უხსენის თამაშის ინსტრუქციას: თითოეული მოსწავლე თანმიმდევრულად დაასახელებს სხეულის რომელიმე ნაწილს და განასახიერებს რაიმე მოქმედებას სხეულის ამ ნაწილის გამოყენებით. (მაგ: ერთი მოსწავლე ასახელებს სიტყვას „ფეხი“ და სწევს ფეხს მაღლა. სხვა მოსწავლეები იმეორებენ მოსწავლის მოქმედებას).

ეხმარება მოსწავლეებს სხეულის ნაწილების დასახელებაში და მოქმედებების მოფიქრებაში. (შესაძლებელია თითოეულ მათგანს მიაწოდოს ბარათი სხეულის რომელიმე ნაწილის გამოსახულებით).

შეგრძნების ორგანოების ამოცნობა

მასწავლებელი:

აძლევს მოსწავლეს შოკოლადის ფილას და ეკითხება: ტკბილია? მოსწავლე პასუხობს ვერბალურად ან ანიშნებს არავერბალურად (აქნევს თავს). ეკითხება, რის საშუალებით შეიგრძნო? მოსწავლე პასუხობს ვერბალურად ან აჩვენებს შეგრძნების კონკრეტულ ორგანოს.

მოსწავლეს აწვდის მისთვის ნაცნობ სხვადასხვა საგანს და სთხოვს აარჩიოს ერთი მათგანი. უსვამს შეკითხვას: „რა ფერია ის?“ „როგორია? რბილია, მაგარია, პრიალაა?“ „რით დაინახე მისი ფერი?„ თუ მოსწავლე ვერ შეძლებს შეგრძნების ორგანოს დასახელებას, მასწავლებელი უსვამს დამატებით შეკითხვებს „თვალით დაინახე რომ წითელია, თუ ყურით?„

აძლევს მოსწავლეს ყუთს, რომელშიც ყრია სხვადასხვა საგანი. სთხოვს დახუჭოს თვალები და ამოიღოს ერთი საგანი, ხელის შეხებით აღწეროს როგორია ეს საგანი, რბილია, მაგარია, პრიალაა, ხორკლიანი თუ ა.შ. სთხოვს აღწეროს როგორი ზომისაა ეს საგანი - დიდია თუ პატარა. სთხოვს აღწეროს, როგორი ფორმისაა. ეკითხება – სხეულის რომელი ნაწილის გამოყენებით ამოიცნო საგანი.

ასმენინებს მოსწავლეებს აუდიომასალას (მაგ., ცხოველების ხმები, წვიმის, მუსიკის ხმები, ზარის ხმა) და სთხოვს, ამოიცნონ, რის ხმა ესმით. ეკითხება მოსწავლეს „რით გაიგონე ხმა?“. თუ თავს ვერ გაართმევს მოსწავლე, მასწავლებელი სთავაზობს ვარიანტებს „ყურით? თვალით?“ და ა.შ.

ჭრის სხვადასხვა საკვებს (ვაშლი, ლიმონი, შოკოლადი, მწნილი) პატარა ნაჭრებად, სთხოვს მოსწავლეებს დახუჭონ თვალები, გასინჯონ რომელიმე საკვები და დაასახელონ როგორი გემო აქვს. უსვამს მოსწავლეს შეკითხვას - სხეულის რომელი ნაწილის (შეგრძნების რომელი ორგანოს) გამოყენებით გამოიცნო საჭმლის გემო.

კეთებით მიღებული გამოცდილების კარგად გააზრება ხდება შემდეგი აქტივობებით: მოსწავლეებს ურიგებს თვალსაჩინოებებს (შეგრძნების ორგანოების ფოტოებს (თვალი, ყური, ცხვირი, ენა და ხელის მტევანი). სთხოვს მორიგეობით ამოირჩიოს, შეგრძნების რომელი ორგანო დაეხმარება გაიგოს: ნამცხვარი გემრიელია? თოვლი ცივია? ვარდს სასიამოვნო სურნელი აქვს? ვაშლი წითელი და მრგვალია? ზარი დაირეკა? მოსწავლე ამოარჩევს თვალსაჩინოებიდან შეგრძნების კონკრეტული ორგანოს გამოსახულებას და აწვდის მას.

მოსწავლეს სთხოვს საკუთარ/თანაკლასელის სხეულზე ან სურათზე ამოიცნოს შეგრძნების თითოეული ორგანო და დაასახელოს ვერბალურად ან არავერბალურად (მიუთითოს თვალსაჩინოების შესაბამის გამოსახულებაზე).

მიღებული გამოცდილების (უკვე გააზრებულის) განსამტკიცებლად სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ მათთვის ნაცნობი სხეულები (თითომ თითო) და აღწერონ მინიმუმ ერთი ნიშნით მისი თვისება. დაასახელონ/ამოიცნონ ნახატზე შეგრძნების შესაბამისი ორგანო, რომლის საშუალებითაც შეიძლება დადგინდეს აღნიშნული თვისება. ეს აქტივობა მოსწავლემ თუ ვერ შეძლო, მასწავლებელი აწვდის

რაიმე სხეულს (აბსტრაქტული აზროვნების „განსავითებლად“) და ეხმარება დამატებითი შეკითხვებით.

წელიწადის თვეების დასახელება/ამოცნობა

მასწავლებელი:

ამზადებს ბარათებს, რომლებზეც ჩამოწერილი იქნება წელიწადის თვეები და ურიგებს მოსწავლეებს. სთხოვს მათ, ასწიონ ის ბარათი, რომელზეც გამოსახულია მიმდინარე თვე. აძლევს მოსწავლეებს კალენდარს და სთხოვს შემოხაზონ (მომდინარე თვე).

აძლევს მოსწავლეებს კალენდარს, შემოუხაზავს მიმდინარე თვეს და სთხოვს, მოძებნონ რომელი იყო წინა თვე და რომელი იქნება მომდევნო თვე.

ასწავლის მოსწავლეებს რომელ თვეშია მათი დაბადების დღე. სთხოვს მათ, გაიხსენონ თითოეული თვე რითია მნიშვნელოვანი (მაგ., აძლევს მოსწავლეს კალენდარს, მოუნიშნავს მიმდინარე თვეს და სთხოვს გაიხსენონ, იყო თუ არა ამ თვეში რაიმე დღესასწაული - თავისი დაბადების დღე, მშობლის ან და-ძმის დაბადების დღე და სხვა).

მიმდინარე თვეში არსებულ დღესასწაულებთან დაკავშირებით ატარებს პატარა ღონისძიებას, მოამზადებს თვალსაჩინოებას მოსწავლეებთან ერთად, რაც მათ დაეხმარება დღესასწაულის არსის გაცნობიერებაში. (მაგ., საჩუქრების დამზადება დედის დღესთან ან 8 მარტთან დაკავშირებით და ა.შ).

ყოველი დღის დასაწყისში აღნიშნავს, რა თვეა ახლა. ეხმარება მოსწავლეებს, დააჯგუფონ „თვეების თვალსაჩინოებები“ (ბარათები თვეების წარწერით) სეზონების მიხედვით.

დღისა და ღამის ამოცნობის/განსხვავება

მასწავლებელი:

მოსწავლეებს დაულაგებს სურათებს, სადაც გამოსახულია მზის ჩრდილში ეზოში მოთამაშე ბავშვები. აძლევს მათ მთვარიან და ვარსკვლავიან სურათებს. ეხმარება მოსწავლეებს ამოიცნონ დღისა და ღამის ამსახველი სურათები და დაალაგონ ორ ჯგუფად „დღე“, „ღამე“. თუ მოსწავლეს უჭირს ამოცნობა, მასწავლებელი საჭიროების შესაბამისად ეხმარება დამატებითი შეკითხვებით.

აძლევს მოსწავლეს თვალსაჩინოებას (მაგ:, ბავშვის ლოგინიდან ადგომა, პირის დაბანა, საუზმის მირთმევა, სკოლაში წასვლა, საწოლის სურათი, სადაც ბავშვს სძინავს და სხვა), სთხოვს დაალაგოს თანმიმდევრულად.

დაალაგებს თვალსაჩინოებებს, რომლებზეც გამოსახულია დღის მანძილზე განხორციელებული აქტივობები (ბავშვის ლოგინიდან ადგომა, პირის დაბანა, საუზმის მირთმევა, სკოლაში წასვლა) და ღამის (საწოლის სურათი, სადაც ბავშვს სძინავს და სხვა) აქტივობები. ეხმარება მოსწავლეს ჩამოთვალოს ღამის აქტივობები (ძილის წინ კბილების გახეხვა, საძინებელ ოთახში საწოლის მომზადება, დაძინება).

იმავე პროცესს (აქტივობების თანმიმდევრულად განხორციელებას) განიხილავს სკოლის აქტივობებში: აკრავს დაფაზე ან კედელზე მიმდინარე დღეს განსახორციელებელ აქტივობებს და ყოველი აქტივობის დასაწყისში მიუთითებს მოსწავლეს, რომელი აქტივობა იწყება. აქტივობის დასასრულს ჩამოხსნის უკვე დასრულებული აქტივობის შესაბამის ბარათს. მას შედეგ, რაც ყველა ბარათი ჩამოიხსნება, მოსწავლე მიხვდება, რომ გაკვეთილები დასრულდა. ასეთი აქტივობებით ეჩვევა თანმიმდევრობის დაცვას – გამოუმუშავდება შესაბამისი უნარი და დამოკიდებულება.

კვირის დღეების თანმიმდევრულად დასახელება

მასწავლებელი:

ამზადებს ბარათებს, რომელზეც ჩამოწერილი იქნება კვირის დღეები. ყოველი დღის დასაწყისში აღნიშნავს, რა დღეა დღეს და სთხოვს მოსწავლეებს ასწიონ ის ბარათი, რომელზეც გამოსახულია კვირის შესაბამისი დღე.

სთხოვს მოსწავლეებს დაასახელონ კვირის მიმდინარე დღე. აძლევს მათ კალენდარს და სთხოვს შემოხაზონ კვირის მიმდინარე დღე, ჩამოთვალონ კვირის სხვა დღეებიც.

იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეძლონ შაბათ - კვირის ცნების გაგება, ყოველ ორშაბათ დღეს სთხოვს მათ, მოყვნენ რას აკეთებდნენ შაბათ-კვირას.

განიხილავს მოსწავლეებთან ცნებებს „დღეს“, “გუშინ“, „ხვალ“. მოჰყავს რაც შეიძლება მეტი მაგალითი: „დღეს ორშაბათია“, „გუშინ კვირა იყო“, „ხვალ სამშაბათი იქნება“ და ა. შ.

აწოდებს მოსწავლეებს ორი სახის ბარათს: ერთზე გამოსახული იქნება კვირის დღე, მეორეზე დახატული იქნება აქტივობა. ეხმარება მათ კვირის დღისა და აქტივობის დაწყვილებაში. მაგ., „დღეს ჩვენ ჩავდივართ ბიბლიოთეკაში“, „გუშინ მაკდონალდში ვიყავით“, „ხვალ წავალთ ექსკურსიაზე“ და ა. შ.

მზის, მთვარის, ვარსკვლავების ამოცნობა

მასწავლებელი:

ურიგებს მოსწავლეებს მზის, მთვარის და ვარსკვლავების სურათებს. ეხმარება მათ, ამოიცნონ მზე, მთვარე, ვარსკვლავები და სასურველი ფერებით გააფერადონ.

მოამზადებს გლობუსს და ფარანს. მოსწავლეებს რთავს სახალისო აქტივობაში – დედამიწა ტრიალებს. მოსწავლეები მორიგეობით ატრიალებენ გლობუსს. მასწავლებელს უჭირავს ფარანი უძრავად (არ არის იმის მითითება საჭირო, რომ მზეც მოძრაობს). მოსწავლეები მორიგეობით აკვირდებიან, როგორ ნათდება და ბნელდება გლობუსის ერთი მხარე პერიოდულად – სადაც მასწავლებლის მიერ დამიზნებული ფარანი ანათებს (ოთახში მაქსიმალურად შეზღუდული უნდა იყოს განათების ხარისხი). უხსნის მოსწავლეებს, რომ „მზე - ფარანი“ დედამიწას ანათებს – დღეა, არ ანათებს – ღამეა და მხოლოდ მაშინ ვხედავთ ვარსკვლავებს, მთვარეს.

აჩვენებს მოსწავლეებს სათანადო ვიდეოებს და ესაუბრება.

ამინდის ამოცნობა

მასწავლებელი:

აჩვენებს მოსწავლეებს სხვადასხვა ამინდის ამსახველ ვიდეო ან ფოტო მასალას: მზიანი ამინდია, ქარიანი ამინდია, წვიმიანი ამინდია, მოღრუბლულია, თოვს, ცხელა, თბილა, სიგრილეა, ცივა, ყინავს.

სთხოვს მოსწავლეებს გაიხედონ ფანჯარაში, ეხმარება, აღწერონ როგორი ამინდია დღეს.

მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა ტიპის სახალისო სავარჯიშოს:

მაგ.:, ამზადებს ბარათებს, სთხოვს, ამოიცნონ და ერთმანეთს შეუსაბამონ ამინდის მახასიათებელი ნიშნები: როგორი ტემპერატურა შეიძლება იყოს, თუ ფანჯრის მიღმა მოცემული/კონკრეტული პეიზაჟი ჩანს.

ამოიცნოს, კალენდარზე რომელი თვე შეიძლება რომ იყოს?

ამზადებს პლაკატს, რომელზეც მოსწავლეები შეძლებენ მიმდინარე დღეს არსებული ამინდის შესაბამისი ბარათის დამაგრებას (მასწავლებლის მიერ წინასწარ გამზადებული ბარათების გამოყენებით).

შესრულების ხარისხის მიხედვით პედაგოგი გამოავლენს ბავშვის წარმოდგენებს, მის უნარს, ფანტაზიას, რასაც ყველა შშმ მოსწავლე ვერ გადმოსცემს სიტყვების საშუალებით.

ამინდის შესაბამისი ქმედების განხორციელება

მასწავლებელი:

სთხოვს მოსწავლეების მშობლებს, გამოატანონ მოსწავლეებს სხვადასხვა სეზონის შესაბამისი ტანსაცმელი და აქსესუარები (ქოლგა, მზის სათვალე, მზის ქუდი).

ეკითხება მოსწავლეებს, „როგორი ამინდია ზამთარში? „ცივა თუ ცხელა?“ ეხმარება განსაზღვრონ, როგორი ტანსაცმელი უნდა ჩაიცვან, მაგალითად, ზამთარში.

იგივე აქტივობა შესაძლებელია განხორციელდეს თოჯინას გამოყენებით ან ნახატი თოჯინას და დახატული ტანსაცმელების გამოყენებით.

აძლევს მოსწავლეებს ამინდის გამომსახველ ბარათებს და ტანსაცმლის ბარათებს. ეხმარება მათ, დააწყვილონ ტანსაცმელი შესაბამის ამინდთან.

როგორი ამინდია კვირის მანძილზე?

ამზადებს ბარათებს და სთხოვს მოსწავლეებს ამინდის გამომსახველი აპლიკაცია ჩააკრან ცხრილის შესაბამის გრაფაში – როგორი ამინდია კვირის მიმდინარე დღეს.

წელიწადის დროების ამოცნობა

მასწავლებელი:

ამზადებს მოსწავლეებთან ერთად წელიწადის დროებთან დაკავშირებულ აპლიკაციებს (წინასწარ მოიმარაგებს სხვადასხვა მასალას – დიდი პლაკატი, ბამბა, მწვანე და ყვითელი ფოთლები, ყვავილები).

ასახელებს წელიწადის თითოეულ დროს და ეხმარება მოსწავლეებს, დაამზადონ პლაკატი, რომელზეც გამოსახული იქნება წელიწადის დროსთან დაკავშირებული აქტივობები.

ასახელებს „ზამთარს“ და ეკითხება მოსწავლეებს, რა ხდება ზამთარში? მოსწავლეთა სავარაუდო პასუხები - ახალი წელია, შეიძლება მოთოვოს. ეხმარება მოსწავლეებს ნაძვის ხის დამზადებაში და იყენებს ბამბას თოვლის იმიტაციისთვის.

ასახელებს „შემოდგომას“ და ეკითხება მოსწავლეებს: რა ხდება შემოდგომაზე? მოსწავლეთა სავარაუდო პასუხები – ხეებს ფოთლები სცვივა, ვიღებთ მოსავალს. ეხმარება მოსწავლეებს, დააკრან პლაკატზე ხეები, რომელსაც სცვივა ფოთლები ან დაამზადონ მოსავლის აღების გამომსახველი აქტივობები.

აკრავს თეთრ პლაკატზე ხის გამოსახულებას, ასახელებს წელიწადის დროს და ეხმარება მოსწავლეს, დააკრას ხეს წელიწადის დროის შესაბამისი აქსესუარები (ზამთარში – ბამბა, თოვლის იმიტაციისთვის, გაზაფხულზე – ახლად გაშლილი კვირტები, ზაფხულში მწვანე ფოთლები, შემოდგომაზე – ყვითელი ფოთლები, რომლებიც სცვივა).

ქმნის სურათებს და მათი გამოყენებით ახდენს იმიტაციას, რომ მოსწავლე აღებს ფანჯარას (ასწევს ფარდას). გამოჩნდება „ფანჯრის მიღმა“ გამოსახულება – სურათის სახით. მოცემული სურათების გამოყენებით მასწავლებელი აძლევს დავალებას:

გამოიცნოს როგორი ამინდია;

წელიწადის რა დროა და ა.შ.;

თუ მოსწავლე ვერ ახერხებს დვალების შესრულებას, ეხმარება დამატებითი შეკითხვებით;

წაახალისებს წარმატებულ მცდელობებს.

როდესაც მოსწავლე გაუმკლავდება ამ დავალებას, მასწავლებელი აძლევს კალენდარს და მიუთითებს კონკრეტულ რიცხვს. სთხოვს „ფანჯრის გაღებამდე“ ივარაუდოს, როგორი ამინდი იქნება (წელიწადის რა დროა) – გადმოსცეს ვერბალურად ან არავერბალურად - თვალსაჩინოებების გამოყენებით.

მოსწავლეს აჩვენებს ტემპერატურას გარეთ და აძლევს დავალებას, ფანჯრის გაღებამდე ივარაუდოს, როგორი ამინდი იქნება.

დავალებების შესრულება გაავარჯიშებს მოსწავლეებს, რომ „ფანჯრის მიღმა“ პეიზაჟის, კალენდრის მაჩვენებლის ან თერმომეტრის ჩვენების მიხედვით ივარაუდოს წელიწადის დრო/ამინდი.

საცხოვრებელი გარემოს ობიექტების იდენტიფიცირება

მასწავლებელი:

ურიგებს ყველა მოსწავლეს ოთახის აღჭურვილობის გამომსახველ თითო ბარათს (შესაძლებელია ავეჯის მაღაზიიდან ავეჯის და აღჭურვილობების ამსახველი ფერადი სურათების მოტანა და მუყაოზე ოთახის აღჭურვილობის გამომსახველი სურათების დაკვრა).

მოსწავლეებს სთხოვს დაასახელონ – რა არის სურათზე გამოსახული (მაგ:, ტელევიზორი, კომპიუტერი, კარადა, ბრა, საწოლი, სკამი, მაგიდა, მაცივარი, აბაზანა).

ეხმარება მოსწავლეებს მოათავსონ ნივთები შესაბამისი ოთახის ამსახველ ბარათებთან (ტელევიზორი, კომპიუტერი, მაგიდა – მისაღებ ოთახში; საწოლი, კარადა, ბრა – საძინებელ ოთახში და ა.შ).

შესაძლებელია თოჯინას სახლის და თოჯინას ავეჯის გამოყენებით დაეხმაროს მოსწავლეებს მოათავსონ ავეჯი შესაბამის ოთახში.

მოსწავლეებთან ერთად განიხილავს, თუ რა სახის ავეჯი და მოწყობილობები აქვთ თავიანთ სახლებში.

თითოეული მოსწავლისთვის, მოსწავლეებთან ერთად ამზადებს სახლის ფორმის წიგნს. ეხმარება მოსწავლეებს ოთახების დასახელებაში: მისაღები ოთახი, სამზარეულო, საძინებელი, სასადილო ოთხი, აბაზანა-ტუალეტი. აკრავს წიგნში ყველა ოთახის ამსახველ სურათს ცალ-ცალკე და ასათაურებს გვერდებს.

სთხოვს მოსწავლეებს, მიაკუთვნონ ბარათები შესაბამის ოთახებს. ურიგებს თვალსაჩინოებებს: მაგ: კბილის ჯაგრისი, ტაფა, სავარძელი, საწოლი, კარადა, ნიჟარა, აბაზანა. ეხმარება მათ ახსნაში - რომელი ნივთი როგორ, რატომ, რანაირად უკავშირდება ამა თუ იმ ოთახს.

საკუთარი გარემოს (სახლში თუ სკოლაში) მოწესრიგება

მასწავლებელი:

ეხმარება მოსწავლეებს მონაწილეობა მიიღონ საკლასო ოთახის/საკუთარი ოთახის დალაგების პროცესში: სათამაშოების ალაგება, სკამების მაგიდასთან დალაგება, მაგიდაზე მტვრის გადაწმენდა, დაფის გაწმენდა, იატაკის მოწმენდა, ქაღალდის ხელსახოცების გადაყრა, საწმენდი ღრუბლის გარეცხვა, საკუთარი მერხის ორგანიზება, მოწესრიგება, დასუფთავება, მცენარეების მოვლა. საკლასო ოთახის სანაგვე ყუთის დაცლა. ფანქრის სათლელის გასუფთავება, სადილის, ხელოვნების გაკვეთილის და სხვა აქტივობების შემდეგ ნარჩენებისაგან სამუშაო ადგილის გასუფთავება.

ამზადებს აქტივობების ცხრილს, სადაც ბავშვის სახელის ან ფოტოს გვერდით მიკრული იქნება იმ აქტივობის ამსახველი ბარათი, რომელიც იმ დღეს უნდა შეასრულოს მოსწავლემ.

მყარი ზედაპირის გაწმენდა

მასწავლებელი:

გაწმენდას იწყებს რაიმე პატარა ნივთით, როგორიცაა დიდი მართკუთხა ლანგარი (ისეთი, როგორიც კაფეებში აქვთ).

აჩვენებს ბავშვს წმენდის მოდელს, რომლითაც ის შეძლებს გაწმინდოს გასაწმენდი ობიექტის მთლიანი ფართობი. ყველაზე გავრცელებული მოდელი დასაწყისისთვის შემდეგია - სასურველია ისეთი თხელი ნაჭრის გამოყენება, რომ ბავშვმა შეძლოს ნაჭრიდან ზედაპირის შეგრძნება.

როცა ის უკვე წარმატებით გაიმეორებს აღნიშნულ მოდელს თხელი ნაჭრის გამოყენებით, გადადის ღრუბლით წმენდაზე (უფრო რთულია ზედაპირის შეგრძნება სქელი დრეკადი ღრუბლით წმენდისას).

ეხმარება ბავშვს, დასწავლილი მოდელის გამოყენებაში, სხვა საგნების, უფრო დიდი ობიექტების გასაწმენდად, როგორებიცაა: მაგიდის ზედაპირი, მაგიდა, სახლის ავეჯზე მტვრის გადაწმენდა.

საწმენდი საშუალებების გამოყენებით დასუფთავების სწავლების მიზნით ირჩევს ბოთლს სასხურებელი თავსახურით („სპრეი“).

ასწავლის ბავშვს, როგორ დაუმიზნოს ბოთლის მისასხმელი ტუჩი გასაწმენდ ობიექტს. შემდეგ, ასწავლის ბავშვს, როგორ მიასხუროს საკმარისი რაოდენობის სითხე.

ღუმელის კარების გასაწმენდად, შესაძლოა, საკმარისი იყოს ერთხელ მისხურება, მისაღების, შუშის მაგიდის გაწმენდას, შესაძლოა დასჭირდეს სამჯერ მისხურება.

ასწავლის მიასხას მარცხნივ, შუაში და მარჯვნივ.

აძლევს მოსწავლეს სარკის/შუშის საწმენდ საშუალებას და ტილოს. აჩვენებს მოსწავლეს ადგილებს, სადაც უნდა მიასხას სითხე და როგორ შეიძლება მისასხურებლის გამოყენება (გაწმინდოს სარკე ან შუშა მარცხენა მხრიდან მარჯვენა მიმართულებით, გაწმენდა უნდა დაიწყოს სარკის ზედა ნაწილიდან და ბოლოს გაწმინდოს ქვედა ნაწილი).

თუ ბავშვს უჭირს გასაწმენდ ობიექტზე ბოთლის მისასხმელი ტუჩის დამიზნება, ასწავლის - დაასხას სითხე ნაჭერს და შემდეგ გაწმინდოს.

ასწავლის ბავშვს, რომ გაწმენდის შემდეგ ყოველთვის უნდა დაიბანოს ხელები, რომ თავიდან აიცილოს ქიმიური მოწამვლის საშიშროება.

იატაკის დაგვა ან/და მოწმენდა

მასწავლებელი:

იატაკის მოწმენდის/დაგვის სწავლებას იწყებს პატარა ტერიტორიებიდან, როგორიცაა პატარა ხალიჩა.

აჩვენებს ბავშვს დაგვის/მოწმენდის მოდელს.

სთხოვს, გაიმეოროს. თუ ვერ ახერხებს, თავად ეხმარება მოსწავლეს, რათა შეძლოს ობიექტის მთლიანი ფართობის დაგვა/გაწმენდა.

შემდეგ ეტაპზე სთხოვს, დამოუკიდებლად შეეცადოს იმავე ქმედებების განხორციელება.

საწოლის გასწორება

მასწავლებელი:

აჩვენებს მოსწავლეს საწოლის გასწორების მაგალითს და შემდეგ ასწავლის საწოლის გასწორებას საკუთარი საწოლის მაგალითზე. ეხმარება მოსწავლეს ქმედებების განხორციელებაში. შემდეგ სთხოვს ინსტრუქციის შესაბამისად განახორციელოს.

იყენებს შემდეგ საფეხურებს ინსტრუქციის მიცემისას:

აიღეთ საწოლიდან საბანი და ბალიში, დადეთ სხვა ადგილას;

გადაფერთხეთ ზეწარი და გადააკარით ლეიბს;

დადეთ საბანი საწოლზე და გაასწორეთ;

გადააკარით საწოლს გადასაფარებელი;

დადეთ ბალიშები საწოლის თავში.

მტვერსასრუტის უსაფრთხოდ გამოყენება

მასწავლებელი:

ყრის იატაკზე პატარა ნაწილებად დაჭრილ ქაღალდებს და ეუბნება მოსწავლეს, რომ ისინი ერთად აიღებენ ნაგავს მტვერსასრუტის დახმარებით. ამისთვის პირველ რიგში იატაკიდან უნდა ალაგდეს ზედმეტი ნივთები: ფეხსაცმელები, სათამაშოები, ტანსაცმელი და ა.შ.

აჩვენებს მოდელს - მიჰყვება შემდეგ საფეხურებს:

აერთებს მტვერსასრუტს დენში;

ჩართავს მტვერსასრუტის ღილაკს;

ოთახის მტვერსასრუტით მტვერის აღებას იწყებს კუთხეებიდან და შემდეგ გადადის ოთახის შუა ნაწილში;

მტვერსასრუტით გამოწმენდს მტვერს ავეჯის ქვეშ;

გამორთავს მტვერსასრუტის ღილაკს;

გამორთავს მტვერსასრუტს ელექტროქსელიდან.

ეხმარება მოსწავლეს გაიმეოროს ქმედებები, თანმიმდევრულად.

ასწავლის მოსწავლეს მტვერსასრუტის ჭიქის (ან ჩანთის) მტვრისაგან გაწმენდას ან პაკეტის გამოცვლას.

აჩვენებს მტვერსასრუტის შენახვისათვის გამოყოფილ ადგილს და აზუსტებს – სად ინახავენ მტვერსასრუტს სახლში.

სახლის დალაგებისას აქტივობების თანმიმდევრობის დაცვა

მასწავლებელი:

განიხილავს მოსწავლეებთან ერთად სხვადასხვა ოთახის დალაგების თანმიმდევრობას: სააბაზანო, საძინებელი, სამზარეულო, მისაღები ოთახი.

აძლევს მოსწავლეებს საშულებას, თავად გადაწყვიტონ რომელი აქტივობა სრულდება პირველად და რომელი შემდეგ. უსვამს მოსწავლეებს შემდეგ კითხვებს:

მტვერი მტვერსასრუტის გამოყენების წინ უნდა დაიწმინდოს, თუ შემდეგ?

ჯერ უნიტაზი უნდა გაიწმინდოს თუ სააბაზანოს იატაკი მოიწმინდოს?

ჯერ იატაკზე დაყრილი ზედმეტი ნივთები უნდა დალაგდეს, თუ ჯერ მტვერსასრუტი უნდა გამოვიყენოთ?

მოსწავლეები პასუხობენ ვერბალურად, ან არავერბალურად (თვალსაჩინოებების თანმიმდევრული დალაგებით აჩვენებს მასწავლებელს თავის გადაწყვეტილებას).

თუ მოსწავლეებს უჭირთ თანმიმდევრობის განსაზღვრა, აჩვენებს მათ რეალურ მაგალითს, თუ რატომ უნდა გაკეთდეს ესა თუ ის აქტივობა პირველ რიგში.

სახლის მოვლის რუტინის გამომუშავება

მასწავლებელი:

დაყოფს სახლის მოვლის აქტივობებს „ყოველდღიურ“ და „პერიოდულ“ აქტივობებად. მაგალითად, „ყოველდღიური“ აქტივობებია: ოთახის დალაგება, საწოლის გასწორება, ტანსაცმლის მილაგება, თეფშების გარეცხვა, ნაგვის მოგროვება და გატანა. „პერიოდული“ აქტივობებია: სააბაზანოს, მისაღების და საძინებელი ოთახების დალაგება, სახლისთვის აუცილებელი ნივთების, საშულებების მოგროვება.

მშობელთან ერთად გეგმავს სახლის მოვლის პროცესს, რომელშიც ბავშვი მიიღებს მონაწილეობას სახლის დალაგებისას.

გეგმავს აქტივობებს, რომელშიც მოსწავლეები მიიღებენ მონაწილეობას საკლასო ოთახის დალაგებისას, გამოყოფს „მორიგეებს“, რომლებიც სხვა მოსწავლეებს მისცემენ დავალებას, ვინ რა უნდა გააკეთოს.

სახლის მოვლასთან დაკავშირებული ძირითადი აქტივობების განხორციელება

მასწავლებელი:

მოდელირებით აჩვენებს კარების გაღება-ჩაკეტვა, სთხოვს იმიტაციას. შემდეგ აძლევს ვერბალურ ინსტრუქციას და აკვირდება მოსწავლის ქმედებებს, აძლევს მიმართულებას. შედეგი მიიღწევა, როდესაც დამოუკიდებლად განახორციელებს კარების გაღება-ჩაკეტვას.

ახდენს ფანჯრების გაღება-ჩაკეტვის მოდელირებას, სთხოვს იმიტაციას. შემდეგ აძლევს ვერბალურ ინსტრუქციას და აკვირდება მოსწავლის ქმედებებს, აძლევს მიმართულებას. შედეგი მიიღწევა, როდესაც დამოუკიდებლად განახორციელებს ფანჯრების გაღება-ჩაკეტვას.

ახდენს ფარდების გადაწევა-დახურვის მოდელირებას, სთხოვს იმიტაციას. შემდეგ აძლევს ვერბალურ ინსტრუქციას და აკვირდება მოსწავლის ქმედებებს, აძლევს მიმართულებას. შედეგი მიიღწევა, როდესაც დამოუკიდებლად განახორციელებს ფარდების გადაწევა-დახურვას.

დენის, გაზის, წყლის შემოწმების მოდელირება. საკლასო ოთახში გაითამაშებს სიტუაციურ ამოცანას - მოსწავლეს ეუბნება, რომ სახლიდან უნდა გავიდეს. ეკითხება, რას გააკეთებს გასვლის წინ? შემდეგ აძლევს ვერბალურ ინსტრუქციას და აკვირდება მოსწავლის ქმედებებს, აძლევს მიმართულებას. შედეგი მიიღწევა, როდესაც დამოუკიდებლად განახორციელებს სახლის უსაფრთხოდ დატოვების პროცესს.

ტანსაცმლის მოვლა-გამოყენება

მასწავლებელი:

ამზადებს მოსწავლეებისათვის ტანსაცმელების სურათებს:

აჩვენებს მოსწავლეებს სურათებს და ეხმარება ამოიცნონ სხვადასხვა დასახელების ტანსაცმელი – შარვალი, მაისური, ჯემპრი, პერანგი, კაბა, წინდები, ქუდი, ხელთათმანები, შარფი და ა.შ.

სთხოვს, დაახარისხონ ტანსაცმელი ფერების მიხედვით.

ეხმარება, დააწყვილონ ტანსაცმელი (ხელთათმანები, წინდები).

სთხოვს, განასხვაონ საკუთარი და სხვისი ტანსაცმელი.

უხსნის, რომ სუფთა ტანსაცმელი, ასევე, პირსახოცი, ცხვირსახოცი მოსწავლემ უნდა შეინახოს კარადაში - ჩამოკიდოს საკიდზე ან დაალაგოს კარადის უჯრაში.

ეხმარება ამოიცნონ დასაკემსი (გასაკერი) ტანსაცმელი.

იატაკზე აწყობს დიდი ზომის ტანსაცმელებს და მოსწავლეების ჯგუფს სთხოვს, მოძებნონ და ჩაიცვან შარვალი, მაისური... აჯილდოებს იმ მოსწავლეს, რომელიც სწრაფად და შეუცდომლად მოახერხებს ჩაცმას. ამავე დროს, აღნიშნავს ყველა მოსწავლის წარმატებას.

ტანსაცმლის საკიდზე განთავსება

მასწავლებელი:

ეხმარება მოსწავლეს, ტანსაცმელი დაიჭიროს სწორი მხრიდან;

სთხოვს, საკიდი დაიჭიროს არადომინანტურ ხელში;

ეხმარება მოსწავლეს, მოჰკიდოს ტანსაცმლის საყელოს დომინანტური ხელი;

სთხოვს მოსწავლეს, შეაცუროს საკიდი ტანსაცმლის საყელოს ღია ნაწილში;

ეხმარება, მოათავსოს საკიდის ერთი მხარე ტანსაცმლის მხრის ნაწილის ქვეშ;

სთხოვს, შეაცუროს საკიდის მეორე მხარე საყელოს ღია ნაწილში;

სთხოვს მოსწავლეს, გაასწოროს ტანსაცმელი საკიდზე;

ეხმარება მოსწავლეს, დაკიდოს საკიდი კარადაში.

წინდების დაკეცვა

მასწავლებელი:

სთხოვს მიადოს ერთი წინდა მეორეს – თითები თითებთან და ქუსლი ქუსლთან;

აჩვენებს, როგორ გადაკეცოს წინდა თითებიდან წინდის ღია ნაწილის მიმართულებით;

ეხმარება, გააფართოოს წინდის თავი (ღია ნაწილი), რომელიც გადაკეცილი მხარის საწინააღმდეგო მხარესაა;

სთხოვს, ჩაკეცოს დაკეცილი წინდა წინდის ღია (გაფართოებულ) ნაწილში.

სუფთა და ჭუჭყიანი ტანსაცმლის გარჩევა, ჭუჭყიანის დახარისხება

მასწავლებელი:

აჩვენებს მოსწავლეს ჭუჭყიანი ტანსაცმლის ამოცნობის გზებს: საყელოს შემოწმება, სახელოს შემოწმება, მუხლების ადგილების დათვალიერება, ტანსაცმლის სისუფთავის სუნის ამოცნობა და სხვა.

მოსწავლეებს უხსნის და აჩვენებს, რომ ტანსაცმელს ესაჭიროება (სარეცხ მანქანაში ან ხელით) გარეცხვა.

ასწავლის მოსწავლეებს, რომ ჭუჭყიანი ტანსაცმელი მოაგროვონ ერთ კალათაში.

ასრულებს დავალების იმიტაციას - ტანსაცმლის ზოგიერთ ნახატზე შესაბამის ადგილებს „დაალაქავებს“ და სთხოვს მოსწავლეებს, დალაქავებული „ტანსაცმელი“ მოაგროვონ ცალე კალათაში, დანარჩენი დაკეცონ სურათზე მითითებული თანმიმდევრობით და ჩაალაგონ კარადის ყუთში.

აჩვენებს მოსწავლეებს როგორ უნდა დაახარისხონ გასარეცხი ტანსაცმელი ფერის მიხედვით (ღია ფერის ერთად, მუქი ფერის ერთად. თეთრი ტანსაცმელი ცალკე).

წარუდგენს მოსწავლეებს პრაქტიკულ დავალებას: „ტანსაცმლის გროვა“ (ნახატების გროვა, რომელთაც ლაქები აქვს და მოსწავლეებმა ჩაყარეს კალათაში) მასწავლებლის დახმარებით უნდა დაახარისხონ ფერის მიხედვით.

ეხმარება მოსწავლეებს ხელით რეცხვაში ან სარეცხი მანქანის გამოყენებაში და აძლევს დავალებას, გარეცხილი სარეცხი დაამაგროს შესაბამისი სამაგრით. აჯილდოებს ყოველ წარმატებულ მცდელობას.

ნიჟარაში ტანსაცმლის ხელით გარეცხვა

მასწავლებელი:

აძლევს მოსწავლეებს დავალებას:

(საჭიროებისას ეხმარება აქტივობების შესრულებაში)

მოიმარაგეთ გასარეცხი ტანსაცმელი, სარეცხი საშუალებები;

დააგუბეთ ნიჟარაში ნელ-თბილი წყალი;

ჩაყარეთ წყალში სარეცხი საშუალება;

ჩადეთ წყალში გასარეცხი ტანსაცმელი;

გაავლეთ ტანსაცმელი ქაფიან წყალში;

გაუშვით ნიჟარიდან წყალი;

გადაავლეთ ტანსაცმელს დამატებითი წყალი;

გაფინეთ ტანსაცმელი გასაშრობად.

წინდების გახდა

მასწავლებელი:

ახდენს პროცესის დემონსტრირებას. ჯდება იატაკზე, ასახელებს მოსწავლის სახელს და ამბობს: „ ნინო, გაიხადე წინდა“. აჯილდოებს ყველა მცდელობას.

ჩაჰყოფს წინდაში ხელის ცერა თითებს ორივე მხრიდან და ჩასწევს წინდას ქუსლიდან, შემდეგ კი წაიღებს წინდას ფეხის თითების წვერებისკენ და გაიძრობს მას. სთხოვს მოსწავლეს გაიმეოროს, თუ მოსწავლე ვერ ახერხებს, მასწავლებელი ჰკიდებს ხელს ხელზე და ფიზიკურად ეხმარება გახდაში.

დაბალყელიანი წინდის შემთხვევაში, ჰკიდებს ხელს წინდის წვერს, გაქაჩავს მას საწინააღმდეგო მიმართულებით და გაიძრობს. სთხოვს მოსწავლეს გაიმეოროს აქტივობა, თუ მოსწავლე ვერ ახერხებს, ისევ ჰკიდებს ხელს ხელზე და ფიზიკურად ეხმარება გახდაში.

ფეხსაცმლის გახდა

მასწავლებელი:

ახდენს პროცესის დემონსტრირებას. ჯდება იატაკზე, ასახელებს მოსწავლის სახელს და ამბობს: „ ნინო, გაიხადე ფეხსაცმელი“. აჯილდოებს ყველა მცდელობას.

ხსნის ფეხსაცმლის შესაკრავს (ფხრიწი, თასმა), ჩასწევს ფეხსაცმელს ქუსლისკენ ორივე ხელის გამოყენებით, შემდეგ კი გააცურებს ფეხსაცმელს თითებისკენ და გაიხდის. სთხოვს მოსწავლეს გაიმეოროს აქტივობა, თუ მოსწავლე ვერ ახერხებს, მასწავლებელი ჰკიდებს ხელს ხელზე და ფიზიკურად ეხმარება გახდაში.

წინდის ჩაცმა

მასწავლებელი:

ჯდება იატაკზე მოსწავლესთან ერთად და აძლევს ბავშვს დიდი ზომის წყვილ წინდას და სთხოვს ჩაიცვას. ფიზიკურად ეხმარება საჭიროების შემთხვევაში.

ა) აიღებს წინდას და გაასწორებს

ბ) ჩაყოფს ფეხის თითებს წინდაში.

გ) ამოაცურებს წინდას ფეხზე-კოჭის მიმართულებით.

დ) გაასწორებს (მოირგებს) წინდის ქუსლს.

ე) გაიმეორებს იმავე პროცდურას მეორე წინდის ჩაცმის დროს.

(თანდათან ამცირებს წინდის ზომას, სანამ მოსწავლე დამოუკიდებლად არ შეძლებს შესაბამისი ზომის წინდის ჩაცმას).

ვ) დააწყობს სხვადასხვა წყვილ წინდებს იატაკზე, სთხოვს მოსწავლეს დააწყვილოს წინდები და ჩაიცვას. წარმატებული მცდელობისას აჯილდოებს.

ფეხსაცმლის ჩაცმა

მასწავლებელი:

ჯდება იატაკზე მოსწავლესთან ერთად, აძლევს ბავშვს დიდი ზომის ფეხსაცმელს და სთხოვს ჩაიცვას. ფიზიკურად ეხმარება საჭიროების შემთხვევაში.

ა) მასწავლებელი დებს ფეხსაცმელს მოსწავლის წინ იატაკზე.

ბ) იღებს ერთ ცალ ფეხსაცმელს - წყვილიდან.

გ) გახსნის ფეხსაცმლის თასმებს ისე, რომ მაქსიმალურად გააფართოოს ფეხსაცმლის ღია ნაწილი.

დ) ამოსწევს ფეხსაცმლის ენას.

ე) ჩაჰყოფს ფეხს ფეხსაცმელში

ვ) დაწოლითი მოძრაობით იცმევს ფეხსაცმელს ხელების დახმარებით.

აურევს სხვადასხვა მოსწავლის ფეხსაცმელებს ერთმანეთში და აძლევს კლასს ინსტრუქციას - მოძებნონ თავიანთი ფეხსაცმელი და ჩაიცვან, აიწიონ ხელი, როდესაც დაასრულებენ ჩაცმას. აჯილდოებს წარმატებულ მცდელობას.

ტანსაცმლის წაღმა და უკუღმა მხარის გარჩევა

მასწავლებელი:

დააწყობს ტანსაცმელს მაგიდაზე, ასახელებს მოსწავლის სახელს და ამბობს: „ნინო, მაჩვენე შარვლის წინა მხარე“. თუ მოსწავლე ვერ მოახერხებს ჩვენებას 10 წამის განმავლობაში, მაშინ ეხმარება შემდეგნაირად:

ა) ახდენს ტანსაცმლის წინა მხარის დემონსტრირებას: აჩვენენებს მოსწავლეს, რომ შარვლებს, პერანგებს ღილები აქვთ წინა მხარეს.

ბ) ჰკიდებს მოსწავლეს ხელს ხელზე და დაადებინებს ხელს ტანსაცმლის წინა მხარეზე.

განაგრძობს მცდელობას, სანამ მოსწავლე არ შეძლებს ტანსაცმის წინა მხარის ჩვენებას 10 წამის განმავლობაში. შემდეგ კი აგრძელებს იმავე აქტივობებს ტანსაცმლის უკანა მხარეზე:

ა) ახდენს ტანსაცმლის უკანა მხარის დემონსტრირებას: აჩვენებს მოსწავლეს, რომ ტანსაცმელს იალიყი აქვს უკანა მხარეს.

მასწავლებელი განაგრძობს მცდელობას, სანამ მოსწავლე არ შეძლებს ტანსაცმის უკანა მხარის ჩვენებას 10 წამის განმავლობაში.

ელვა შესაკრავის გახსნა და შეკვრა

მასწავლებელი:

ახდენს ელვა შესაკრავის გახსნ-შეკვრის დემონსტრირებას.

დადებს ჟაკეტს მაგიდაზე, ასახელებს მოსწავლის სახელს და ამბობს: „ნინო, გახსენი ელვა შესაკრავი“.

ეხმარება მოსწავლეს შემდეგი პროცედურების გავლისას:

ა) ელვა შესაკრავის ჩამოწევა ცერისა და საჩვენებელი თითის გამოყენებით.

ბ) ელვა შესაკრავის ჩამოწევისას ჟაკეტის ზედა ნაწილის მეორე ხელით დაფიქსირება.

გ) ელვა შესაკრავის დაბოლოებების განცალკევება.

განაგრძობს მცდელობას, სანამ მოსწავლე არ შეძლებს ინსტრუქციის დამოუკიდებლად შესრულებას.

ჩააცმევს მოსწავლეს ჯაკეტს და სთხოვს შეიკრას. ეხმარება მას შემდეგი პროცედურების შესრულებისას:

ა) ჟაკეტის ქვედა ნაწილის დაფიქსირება ერთი ხელით, ხოლო მეორე ხელით ელვა შესაკრავის ჩამკეტის დაჭერა.

ბ) ელვა შესაკრავის ჩამკეტის აცურება ბოლომდე და ჩაკეტვა.

სკოლაში მოსვლისას და სკოლიდან წასვლისას ყოველ ჯერზე ავარჯიშებს მოსწავლებს ქურთუკის და ჟაკეტის ელვა შესაკრავის გახსნასა და შეკვრაში.

ადაპტაცია:

იყენებს დიდი ზომის თოკის ყულფს, იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ვერ ჰკიდებს ხელს ელვა შესაკრავის ჩამკეტს. მას წამოაცმევს ჩამკეტზე, რათა მოსწავლემ გაუყაროს თითი ან მოკიდოს ხელი და ისე გამოიყენოს ელვა შესაკრავის გასახსნელად/ შესაკრავად.

ღილების გახსნა და შეკვრა

მასწავლებელი:

დასაწყისში იყენებს დიდი ზომის ღილებს, შემდეგ კი თანდათან ამცირებს ღილების ზომას, რათა მოსწავლეებს გაუადვილდეთ ღილების გახსნა და შეკვრა.

დგას მოსწავლის წინ და ეხმარება მას ფიზიკურად ღილების გახსნაში. ეხმარება მოსწავლეს შემდეგი პროცედურების შესრულებაში:

ა) ჰკიდებს მარჯვენა ხელს ღილს

ბ) ჰკიდებს მარცხენა ხელს ღილის გასაყრელ ჭრილს

გ) გამოაცურებს ღილს ჭრილიდან.

სთხოვს მოსწავლეს გაიმეოროს აქტივობა სხვა ღილების გახსნის მიზნით.

ფიზიკურად ეხმარება მოსწავლეს ღილების შეკვრაში, შემდეგი პროცედურების შესრულებისას:

ა) ჰკიდებს მარჯვენა ხელს ღილს

ბ) ჰკიდებს მარცხენა ხელს ღილის გასაყრელ ჭრილს

გ) მიაქვს ღილი ჭრილთან და შეაცურებს მას ჭრილში.

ქურთუკის საკიდზე დაკიდება

მასწავლებელი:

გამოართმევს მოსწავლეს ქურთუკს და ახდენს საკიდზე დაკიდების დემონსტრირებას:

ა) ჰკიდებს ორივე ხელს ქურთუკის საყელოს.

ბ) შეატრიალებს ქურთუკს ისე, რომ ქურთუკის შიდა მხარე მოხვდეს კედლის მხარეს.

გ) დაკიდებს ქურთუკს საკიდზე.

ფიზიკურად ეხმარება მოსწავლეს ამ საფეხურების განხორციელებისას და აძლევს მას საშუალებას შეასრულოს დამოუკიდებლად ის ბიჯი, რომლის შესრულებაც მას შეუძლია. მას შემდეგ, რაც მოსწავლე შეძლებს დამოუკიდებლად ამოცანის შესრულებას, წყვეტს ფიზიკურ და ვერბალურ დახმარებას და აჯილდოებს მას.

ქურთუკის გახდა

მასწავლებელი:

აჩვენებს ქურთუკის გახდის პროცესს. სთხოვს მოსწავლეს, გაიხადოს ქურთუკი. თუ მოსწავლე ვერ შეასრულებს ინსტრუქციას, ეხმარება მას ქურთუკის გახდაში. დატოვებს მხოლოდ ერთ სახელოს გაუხდელს და სთხოვს მოსწავლეს, გაიხადოს ქურთუკი. თუ მოსწავლე ისევ ვერ მოახერხებს ინსტრუქციის შესრულებას, ფიზიკურად ეხმარება მას - ჰკიდებს ხელს ხელზე და ეხმარება ხელის სახელოდან გამოყოფაში. როდესაც მოსწავლე შეძლებს ერთი სახელოდან ხელის გამოყოფას, ჩააცმევს მას ქურთუკს ისე, რომ ერთი ხელი არ ჰქონდეს ქურთუკის სახელოში გაყოფილი და სთხოვს გაიხადოს ქურთუკი. თუ მოსწავლე ვერ მოახერხებს ქურთუკის გახდას, ფიზიკურად ეხმარება მას ქურთუკის მხრებიდან მოხსნაში.

როდესაც მოსწავლე შეძლებს დამოუკიდებლად ქურთუკის მხრებდან მოხსნას და ერთი ხელის გამოყოფას სახელოდან, აცმევს მას ქურთუკს (ამ შემთხვევაში მოსწავლეს ორივე ხელი აქვს გაყოფილი სახელოებში) და სთხოვს გაიხადოს ქურთუკი. ამცირებს დახმარებას ეტაპობრივად.

აჩვენებს ქურთუკის ჩაცმის პროცესს.

უჭირავს მოსწავლის ქურთუკი და სთხოვს მას ჩაიცვას. თუ მოსწავლე ვერ ახერხებს აქტივობის შესრულებას, ჩააცმევს მოსწავლეს ქურთუკს, დატოვებს ხმოლოდ ერთ სახელოს ჩაუცმელს და სთხოვს ჩაიცას. თუ მოსწავლე ისევ ვერ მოახერხებს ინსტრუქციის შესრულებას, ფიზიკურად ეხმარება მას - ჰკიდებს ხელს ხელზე და ეხმარება ხელის სახელოში გაყრაში. როდესაც მოსწავლე შეძლებს ერთ სახელოში ხელის გაყრას, ჩააცმევს მას ქურთუკს ისე, რომ ერთი ხელი არ ჰქონდეს ქურთუკის სახელოში გაყოფილი და სთხოვს ჩაიცვას ქურთუკი. თუ მოსწავლე ვერ მოახერხებს ქურთუკის ჩაცმას, ფიზიკურად ეხმარება მას ქურთუკის მხრებიდან მოხსნაში.

როდესაც მოსწავლე შეძლებს დამოუკიდებლად ქურთუკის სახელოებში ხელების გაყრას, იჭერს ქურთუკს საკიდით და სთხოვს მოსწავლეს ჩაიცვას ის. შესაძლოა დაეხმაროს მოსწავლეს იმის მითითებით, თუ სახელოში რომელი ხელის გაყრაა უმჯობესი თავდაპირველად. თანდათან ამცირებს ვერბალურ დახმარებას.

ტანსაცმლის სწორი თანმიმდევრობით ჩაცმა

მასწავლებელი:

აწვდის მოსწავლეს ტანსაცმელს იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც მან უნდა ჩაიცვას და სთხოვს ჩაიცვას მიწოდებული ტანსაცმელი.

ულაგებს მოსწავლეს ტანსაცმელს წინ და სთხოვს ჩაიცვას, აძლევს ვერბალურ მითითებებს:

ჩაიცვას საცვლები;

ჩაიცვას მაისური;

ჩაიცვას წინდები;

ჩაიცვას კაბა/ პულოვერი / პერანგი;

შეიკრას პერანგი;

ჩაცივას შარვალი/ქვედაბოლო;

შეიკრას შარვალი/ქვედაბოლო;

ჩაიცვას ფეხსაცმელი;

ჩაიცვას ქურთუკი/ჟაკეტი.

ჭურჭლის დანიშნულებისამებრ გამოყენება

მასწავლებელი:

შეიყვანს მოსწავლეებს სკოლის სამზარეულოში და აჩვენებს სხვადასხვა ხელსაწყოებისა და ჭურჭლის გამოყენებას.

აძლევს მოსწავლეებს საშუალებას, მიიღონ მონაწილეობა საჭმლის მომზადებაში და თავად გადაწყვიტონ, რა დროს რომელი ხელსაწყო ან ჭურჭელი დასჭირდებათ.

ამზადებს აქტივობის ბარათებს, სხვადასხვა ჭურჭლის და ხელსაწყოს გამოყენებით და ურიგებს მოსწავლეებს. ასახელებს აქტივობას და სთხოვს მოსწავლეებს, აჩვენონ ის ხელსაწყო ან ჭურჭელი, რომელიც ამ აქტივობის განხორციელებისას დასჭირდებათ. (მაგ., „რა დაგვჭირდება კარტოფილის შესაწვავად?“ - მოსწავლემ უნდა გვაჩვენოს ტაფა და დანა. „რომელი ჭურჭელი დაგვჭირდება იმისთვის, რომ მივირთვათ წვნიანი?“ - მოსწავლემ უნდა გვაჩვენოს ღრმა თეფში, სუფრის კოვზი.

ცდილობს ყოველდღიურად ჩართოს მოსწავლეები საჭმლის მომზადების პროცესში, კვებისას კი აძლევს მათ საშუალებას, თავად გადაწყვიტონ, რომელ საჭმელს რომელი საშუალებით მიირთმევს (ჩანგლით, დიდი კოვზით, ჩაის კოვზით და ა.შ).

შეჰყავს მოსწავლეები სკოლის სამზარეულოში და აჩვენებს, როგორ იყენებს სხვადასხვა ნივთს, თან უხსნის რა რისთვის გამოიყენება:

ტოსტერი;

ბოსტნეულის საფცქვნელი;

ბლენდერი;

მიქსერი;

მიკროტალღური ღუმელი;

მაცივარი;

ელექტრო ჩაიდანი.

სთხოვს მშობლებს, სახლის პირობებში მაქსიმალურად ჩართონ ბავშვები საჭმლის მომზადების პროცესში, მისცენ არჩევანი, რომელი ჭურჭელი გამოიყენონ ამა თუ იმ აქტივობის შესრულებისას.

ჰიგიენის წესების დაცვა

მასწავლებელი:

უხსნის მოსწავლეებს ხელების დაბანის აუცილებლობის შესახებ, განსაკუთრებით, სამზარეულოში შესვლის წინ (სადაც საკვები მზადდება).

შეჰყავს მოსწავლეები სკოლის სამზარეულოში საკვების მოსამზადებლად და უხსნის პირადი ჰიგიენის დაცვის აუცილებლობის შესახებ. სთხოვს თითოეულს:

იმუშაოს სუფთა ხელებით;

კოვზი, რომლითაც ურევს კერძს, არ ჩაიდოს პირში, მოარიდოს თმა საკვებს - საჭმლის მომზადებისას შეიკრას (უმჯობესია თავსაბურავის გამოყენება).

დაიბანოს ხელები ყველა იმ შემთხვევის შემდეგ, როდესაც რაიმე ჭუჭყიან ნივთთან ექნება შეხება.

აკრავს ხელსაბან ნიჟარასთან ცხრილს, სადაც ჩამოწერილი იქნება ბავშვების სახელები, ან მათი ფოტოები. ყოველ ჯერზე, როდესაც მოსწავლეს დამოუკიდებლად გაახსენდება ხელების დაბანა, საჭმლის მიღებამდე ან საკვების მომზადების წინ, აკრავს ღიმილს ან სხვა წამახალისებელს, ბავშვის სახელის/ფოტოს გასწვრივ.

უხსნის მოსწავლეებს, რომ თუ დანა-ჩანგალი, ჭურჭლის ტილო ან თეფში დავარდება ძირს, ის აუცილებლად უნდა გაირეცხოს, სანამ გამოიყენებს.

უხსნის მოსწავლეებს, რომ ხელების დაბანა აუცილებელია ასევე საჭმლის დამთავრების შემდეგაც.

საჭმლის მომზადებისას მარტივი ზომის ერთეულების გამოყენება

მასწავლებელი:

წარუდგენს მოსწავლეს სხვადასხვა სახეობის ჭურჭელს: ფინჯანი, ბოთლი, ჩაის კოვზი, სუფრის კოვზი. განათავსებს დიდ კონტეინერში წყალს, სხვა კონტეინერში ყრის უმ ბრინჯს, შაქარს ან ფქვილს. აძლევს მოსწავლეებს სხვადასხვა ინსტრუქციას და ეხმარება კონტეინერებიდან, ინსტრუქციის შესაბამისად, საჭირო რაოდენობის პროდუქტის ამოღებაში: „ამოიღე ნახევარი ბოთლი წყალი“, „ამოიღე ერთი ჩაის კოვზი შაქარი“, „ ამოიღე ერთი სუფრის კოვზი ბრინჯი“, „გაყავი ფქვილი შუაზე“ და ა.შ.

იყენებს, შესაძლებლობის შესაბამისად, მაქსიმალურად მეტ „საზომ“ ტერმინს აქტივობების შესრულებისას.

კონტეინერების დანიშნულებისამებრ გამოყენება

მასწავლებელი:

წარუდგენს მოსწავლეს სხვადასხვა სახის კონტეინერს: ქილები, პლასტმასის კონტეინერები, ბოთლები, პაკეტები. წაახალისებს მოსწავლეებს კონტეინერების გახსნის სისწრაფისათვის. აწყობს შეჯიბრს, აცხადებს - „ვინც პირველი გახსნის ბოთლის სახურავს, ის მიიღებს პრიზს“.

აძლევს მოსწავლეებს საშუალებას, მიიღონ მონაწილეობა თავიანთი ლანჩის მომზადებაში. ურიგებს კონტეინერებს და სთხოვს - გახსნან ცარიელი კონტეინერები, მოათავსონ მასში ლანჩი და დაახურონ თავი.

ურიგებს ბოთლებს და სთხოვს, მოხსნან სახურავი, აავსონ წყლით და დაახურონ. აუცილებელია, რომ მოსწავლეს ჰქონდეს, როგორც ცარიელი, ისე სავსე კონტეინერის გახსნა/დახურვის საშუალება.

სუფრის გაწყობა-ალაგება

მასწავლებელი:

სთხოვს მოსწავლეებს დააწყონ მაგიდაზე ჭურჭელი. მოდელირების შემდგომ აძლევს მოსწავლეებს ვერბალურ ინსტრუქციებს:

დადონ თეფში მაგიდაზე;

დაადონ ფინჯანი ლანგარს;

დადონ ჩანგალი თეფშის მარცხნივ ;

დადონ დანა თეფშის მარჯვნივ;

დადონ კოვზი დანის გვერდით (მარჯვნივ).

(არ არის აუცილებელი მოსწავლეს შეეძლოს მარჯვენა და მარცხენას გარჩევა, მოდელირებით უნდა ისწავლოს, სად დადოს დანა და სად- ჩანგალი).

აძლევს მოსწავლეს დავალებას, რომ გააწყოს მაგიდა. ეხმარება ვერბალურად და ფიზიკურად. ნელ-ნელა ამცირებს დახმარებას (თავდაპირველად ფიზიკურს, შემდეგ კი ვერბალურს).

აძლევს მოსწავლეს ჭილობს, რომელზეც შემოხაზული იქნება ადგილი დანა-ჩანგლისთვის, თეფშისა და ჭიქისთვის. სთხოვს გაშალოს მაგიდა 4 მეგობრისთვის და დააწყოს ჭურჭელი შესაბამის ადგილას.

მას შემდეგ, რაც მოსწავლე გააუმჯობესებს დაწყვილების უნარს, შლის რომელიმე ნაწილს და აძლევს მოსწავლეს საშუალებას, თავად გადაწყვიტოს, რა დადოს ამ ადგილას (მაგ., წაშლის ჭილობზე ადგილს, რომელიც განკუთვნილია ჭიქის ან კოვზის დასადებად და ა.შ).

სთხოვს მშობლებს, მისცენ ბავშვებს სახლში მაგიდის გაშლაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.

სასადილოში, სადილის დასრულების შემდეგ, აჩვენებს მოსწავლეებს, როგორ ალაგებს მაგიდას: ქაღალდის ხელსახოცებს და საჭმლის ნარჩენებს ყრის ნაგვის ურნაში, თეფშებს ალაგებს ნიჟარაში ან ჭურჭლის სარეცხ მანქანაში.

მოქმედებების შესრულებისას თან ახმოვანებს აქტივობებს, უხსნის ბავშვს, რას ყრის სანაგვე ურნაში და რას აწყობს ნიჟარაში/სარეცხ მანქანაში.

სთხოვს გაიმეოროს იგივე აქტივობა და მიალაგოს საკუთარი ადგილი მაგიდაზე საუზმის/სადილის/ვახშმის დასრულების შემდეგ.

ღვრის მაგიდაზე მცირე რაოდენობის წყალს და აჩვენებს მოსწავლეს, როგორ წმენდს მას ტილოს გამოყენებით ხელის მარცხენა მხრიდან მარჯვენა მხარეს მოძრაობით.

სთხოვს გაიმეოროს იგივე.

თუ მოსწავლე ვერ ახერხებს აქტივობის დამოუკიდებლად შესრულებას, ჰკიდებს ხელს და ფიზიკურად ეხმარება აქტივობის შესრულებაში. მცდელობა წარმატებულად ჩაითვლება, თუ მოსწავლე ჯერ მხოლოდ ვერბალური/არავერბალური დახმარებით, შემდეგ კი დამოუკიდებლად შეძლებს დაღვრილი სითხის გამშრალებას.

შენიშვნა: თუ სითხე წებოვანია, მაგ.: წვენი, აჩვენებს მოსწავლეს როგორ რეცხავს ტილოს და გადაწმენდს მაგიდას/იატაკს ხელმეორედ, რათა დასვრილი ადგილი აღარ იყოს წებოვანი.

მყარი საკვების ხელით მირთმევა

მასწავლებელი:

მყარი საკვების ხელით მირთმევის უნარის გამოსამუშავებლად ავარჯიშებს მოსწავლეს - აწყობს კრეკერს მყარ ზედაპირზე და სთხოვს შეჭამოს ის. მოსწავლეს თუ გაუჭირდება, მოჰკიდებს ხელზე ხელს, მიატანინებს საკვებთან და ეხმარება მიიტანოს კრეკერი პირთან. ელოდება დაახლოებით 5 წამი, სანამ მოსწავლე გააღებს პირს და ჩაიდებს კრეკერს პირში. აჯილდოებს მას და ნელ-ნელა ამცირებს ფიზიკურ დახმარებას.

მას შემდეგ, რაც მოსწავლე წარმატებით შეასრულებს ამოცანას მინიმალური ფიზიკური დახმარების პირობებში, მუშაობს ამოცანის შესრულებაზე ვერბალური ინსტრუქციის პირობებში.

ავარჯიშებს მოსწავლეებს ისეთი ინსტრუქციების შესრულებაში, როგორიცაა: „ აიღე“, „ჩაიდე პირში“. თუ მოსწავლეს უჭირს კრეკერის ზომის საკვების ხელში აღება, იწყებს ვარჯიშს მცირე ზომის საკვებით: ქიშმიში, „ემ ემ დენსი“ და ა.შ.

მოსწავლეს სთხოვს ჭამის პროცესში პირის დახურვას. თუ მას ღეჭვისას პირი არ ექნება დახურული, ეუბნება: „დახურე პირი და ისე დაღეჭე“. თუ მოსწავლე ვერ შეასრულებს ინსტრუქციას, ახდენს დახურული პირით ღეჭვის მოდელირებას, რათა მოსწავლემ დახურული პირით ღეჭოს.

თუ მოსწავლე მაინც ვერ ხურავს პირს ღეჭვისას, ისევ აძლევს ინსტრუქციას - დახუროს პირი და ფიზიკურადაც ეხმარება პირის დახურვაში. შემდეგ აძლევს სარკეს, რათა მოსწავლეს ჰქონდეს შესაძლებლობა, დაინახოს საკუთარი ტუჩები. ახდენს აქტივობის გენერალიზაციას ჯგუფური სადილის დროს.

ონკანიდან ჭიქაში წყლის დამოუკიდებლად დასხმა

მასწავლებელი:

აჩვენებს მოსწავლეს, როგორ გახსნას და დახუროს ონკანი. სთხოვს, გაიმეოროს იგივე მოქმედება. თუ მოსწავლე ვერ ასრულებს აქტივობას, მოჰკიდებს ხელს და ფიზიკურად დაეხმარება მას ონკანის გახსნასა და დახურვაში. მცდელობა წარმატებულად ჩაითვლება, როდესაც მოსწავლე დამოუკიდებლად (ვერბალური და ფიზიკური დახმარების გარეშე) შეძლებს ოკანის გახსნას და დახურვას.

მას შემდეგ, რაც მოსწავლე დამოუკიდებლად შეძლებს ონკანის გახსნას და დახურვას, აჩვენებს, როგორ ასხამს ჭიქაში წყალს ონკანიდან. სთხოვს გაიმეოროს იგივე აქტივობა.

თუ მოსწავლე ვერ ასრულებს აქტივობას, დაუდგება მას ზურგიდან, მოჰკიდებს ხელზე ხელს და დაეხმარება ჭიქის წყალთან, შემდეგ კი პირთან მიტანაში.

მცდელობა წარმატებულად ჩაითვლება, როდესაც მოსწავლე დამოუკიდებლად, ვერბალური და ფიზიკური დახმარების გარეშე, მოახერხებს ონკანიდან წყლის ჭიქაში ჩასხმას და ჭიქიდან დალევას.

დოქიდან სითხის ჭიქაში ჩასხმა

მასწავლებელი:

ასწავლის წყლის დოქიდან დასხმას. მუშაობას იწყებს პატარა ზომის დოქით და შემდეგ გადადის სტანდარტული ზომის დოქზე.

დადებს დოქს და ჭიქას მაგიდაზე მოსწავლის წინ. თავდაპირველად წყლის ნაცვლად იყენებს უმ ბრინჯს, ან წიწიბურას. ახდენს დოქიდან ჭიქაში წყლის/ბრინჯის გადასხმის მოდელირებას ჯერ ორი ხელით.

როდესაც მოსწავლე გაიწაფება ორი ხელით დოქიდან ჭიქაში წყლის ჩასხმაში, შედეგ გადადის ერთი ხელით დასხმის უნარის გამომუშავებაზე (ასაკით პატარა ბავშვებისთვის შესაძლოა ძნელი აღმოჩნდეს ერთი ხელით დასხმა. მოზრდილ ბავშვთან საჭიროა დოქიდან ჭიქაში ერთი ხელით დასხმაზე მუშაობა).

მიმართავს მოსწავლეებს:

აიღეთ დოქი ერთ ხელში და ჭიქა მეორე ხელში.

მიიტანეთ დოქის პირი ჭიქასთან.

ჩამოასხით სითხე ჭიქაში ისე, რომ სითხე არ გადმოვიდეს ჭიქიდან.

სთხოვს მოსწავლეს ნაბიჯ-ნაბიჯ გაიმეოროს იგივე მოქმედებები უნარის განმტკიცების მიზნით.

ჭიქიდან წყლის დამოუკიდებლად დალევა

მასწავლებელი:

ჯდება მაგიდასთან მოსწავლის გვერდით. დადგამს მაგიდაზე ფინჯანს, რომლის სამი მეოთხედი იქნება შევსებული სითხით. ჭიქიდან წყლის დალევის მოდელირება: იღებს ჭიქას ორივე ხელით, მოსვამს და დადგამს მაგიდაზე.

ავარჯიშებს მოსწავლეს ცარიელი ჭიქის პირთან მიტანაში ისე, რომ ჭიქა ხელში ეჭიროს სწორი პოზიციით.

ასხამს ჭიქაში სითხეს და სთხოვს მოსწავლეს დალიოს, საჭიროების შემთხვევაში ეხმარება ფიზიკურად. აჯილდოებს წარმატებულ მცდელობას. ფიზიკურ დახმარებას ამცირებს ნელ-ნელა, სანამ მოსწავლე არ შეძლებს ამოცანის დამოუკიდებლად შესრულებას.

სითხის საწრუპით დალევა

აწვდის მოსწავლეს ჭიქას ფერადი წვენით და აძლევს გამჭირვალე საწრუპ ჩხირს. (შესაძლებელია საწრუპის გადაჭრა დიაგონალურად, თუ მოსწავლეს უჭირს მისი ჩვეულებრივი წესით გამოყენება).

ავარჯიშებს მოსწავლეებს საპნის ბუშტების გაბერვაში და სასტვენში ჩაბერვაში, ეს აქტივობები ხელს შეუწყობს საწრუპით სითხის დალევის უნარის განვითარებას.

აჩვენებს მოსწავლეს ტუჩების პოზას, რომელიც საჭიროა მოწრუპვისთვის და სთხოვს გაიმეოროს. იყენებს სარკეს, რათა მოსწავლემ დაინახოს საკუთარი ტუჩების პოზიცია.

დებს საწრუპს ჭიქაში და აჩვენებს მოსწავლეს, როგორ წრუპავს წვენს. ამახვილებს ყურადღებას წვენზე, რომელიც ამოდის საწრუპში. სთხოვს მოსწავლეს – გაიმეოროს.

თუ მოსწავლეს უჭირს ამ დავალების შესრულება, ასხამს საწრუპში წვენს, გაუკეთებს საწრუპს ქვედა ნაწილზე საცობს, ჩაუდებს მოსწავლეს საწრუპს პირში და სთხოვს ამოწრუპოს წვენი, ნელ-ნელა აძრობს საცობს, რათა მოსწავლეს გაუადვილდეს წვენის ამოტანა (თანდათანობით უშვებს ჰაერს საწრუპში, საწრუპზე ქვევიდან მიმაგრებული საცობის ნელ-ნელა მოხსნით, რაც ეხმარება მოსწავლეს წვენის მაღლა ატანაში).

იწყებს ვარჯიშს მოკლე საწრუპით და თანდათან ზრდის მის სიგრძეს.

კოვზის დამოუკიდებლად გამოყენება

მასწავლებელი:

ახდენს თეფშიდან კოვზით საჭმლის ამოღების (კოვზის ავსების) დემონსტრირებას. იყენებს ბავშვისთვის საყვარელ საჭმელს. თუ მოსწავლეს ესაჭიროება დახმარება კოვზის შესაბამისი რაოდენობის საჭმლით შევსებაში, ახდენს მოდელირებას – თუ რა რაოდენობის საჭმელი უნდა აიღოს, მაგალითად, ჩაის კოვზით. ხელი ხელზე მეთოდით აჩვენებს ან აძლევს ვერბალურ ინსტრუქციას, იმის შესახებ, თუ როგორ ამოიღოს კოვზით საჭმელი და როგორ ჩააბრუნოს უკან, რომ მიიღოს სასურველი რაოდენობა. აჯილდოებს წარმატებულ მცდელობას.

ახდენს კოვზის პირთან მიტანის და პირში ჩადების დემონსტრირებას.

ა) პირის გაღებისა და საჭმლით სავსე კოვზის პირში ჩადების დემონსტრირება. აჯილდოებს ბავშვის მხრიდან პირის გაღების და კოვზის პირში ჩადების წარმატებულ იმიტაციას.

ბ) კოვზს უკეთებს რაიმე ნიშანს, რათა მოსწავლემ შეძლოს განსაზღვროს, რა სიღრმეზე უნდა ჩაიდოს კოვზი პირში (კოვზს აცმევს რეზინს, რომელიც მოიხსნება მას შემდეგ, რაც მოსწავლე შეძლებს კოვზის პირში სწორად ჩადებას. თუ დასაწყისში მოსწავლეს გაუჭირდება კოვზის დამოუკიდებლად ავსება და პირში ჩადება, აძლევს მას წინასწარ ავსებულ კოვზს).

ჩანგლის დამოუკიდებლად გამოყენება

მასწავლებელი:

მოდელირებით აჩვენებს ჩანგლის გამოყენებას. აჯილდოებს მოსწავლეს, თუ ის შეეცდება იმიტირებას. თუ მოსწავლე ვერ შეძლებს ჩანგლის გამოყენების იმიტაციას, აძლევს საშუალებას, ივარჯიშოს ცარიელი ჩანგლის ხელში დაჭერაში.

ფიზიკურად ეხმარება მოსწავლეს, რომ შეძლოს ჩანგლით მყარი საკვების ლუკმის აღება და ჩანგლის პირთან მიტანა.

ფიზიკურად ეხმარება მოსწავლეს საჭმლის სამი მეოთხედის ჩანგლით მირთმევისას, შემდეგ კი აძლევს საშუალებას, დამოუკიდებლად დაასრულოს საკვები.

ამცირებს ფიზიკურ დახმარებას: ეხმარება მოსწავლეს ჩანგლით საჭმლის აღებაში, შემდეგ კი აძლევს საშუალებას, დამოუკიდებლად მიიტანოს ჩანგალი პირთან და ჩაიდოს პირში საკვები.

განაგრძობს მოსწავლის ვარჯიშს მანამ, სანამ ის დამოუკიდებლად არ შეძლებს ჩანგლით ჭამას.

დანით პურზე კარაქის დამოუკიდებლად გადასმა

მასწავლებელი:

აწყობს მოსწავლის წინ პურს და კარაქს. მოდელირებით უჩვენებს პურზე კარაქის წასმას. იყენებს ნაკლებად მჭრელ დანას და სთხოვს მოსწავლეს გაიმეოროს.

თუ მოსწავლე ვერ ახერხებს პურზე კარაქის გადასმას:

ა) ათავსებს მოსწავლის ხელში დანას;

ბ) ფიზიკურად ეხმარება მოსწავლეს მოახდინოს კარაქის ჩამოჭრა დანის საშუალებით;

გ) ფიზიკურად ეხმარება მოსწავლეს კარაქის პურზე წასმაში - წინ და უკან მოძრაობების (მინიმუმ ორჯერ) განხორციელებით;

შემდეგ უშვებს მოსწავლეს ხელს და აძლევს საშუალებას, თავად დაასრულოს კარაქის პურზე გადასმა.

დახურული პირით ღეჭვა

მასწავლებელი:

აკვირდება მოსწავლის ჭამის პროცესს. თუ მას ღეჭვისას პირი არ ექნება დახურული, ეუბნება: „დახურე პირი და ისე დაღეჭე“. თუ მოსწავლე ვერ შეასრულებს ინსტრუქციას, ახდენს დახურული პირით ღეჭვის მოდელირებას.

თუ მოსწავლე არ ხურავს პირს ღეჭვისას, აძლევს ინსტრუქციას - დახუროს პირი და ფიზიკურად ეხმარება პირის დახურვაში. აძლევს სარკეს, რათა მოსწავლეს ჰქონდეს შესაძლებლობა დაინახოს საკუთარი ტუჩები.

ახდენს აქტივობის გენერალიზებას ჯგუფური სადილის დროს.

შეფუთვის გახსნა

მასწავლებელი:

უდებს მოსწავლეს შეფუთულ ნივთს (კანფეტი, სენდვიჩი) მაგიდაზე. ახდენს შეფუთული საკვების გახსნის დემონსტრირებას: ჯერ ხსნის შეფუთვის ბოლო ნაწილებს, შემდეგ აცალკევებს მიწებებულ ნაწილებს და ბოლოს იღებს შეფუთვიდან საკვებს. სთხოვს მოსწავლეს გაიმეოროს იგივე.

თუ მოსწავლე ვერ შეძლებს შეფუთვის გახსნას, ტოვებს საკვებს შეფუთვაში და ისე სთხოვს ხელახლა შეასრულოს დავალება. განაგრძობს მცდელობას მანამ, სანამ მოსწავლე არ მოახერხებს შეფუთვიდან საკვების ამოღებას.

ახდენს შეფუთული საკვების გახსნის მოდელირებას და შემდეგ ფიზიკურად ეხმარება მოსწავლეს, რომ შეძლოს შეფუთული საკვების გახსნა.

ნელ-ნელა ამცირებს ფიზიკურ დახმარებას, ეხმარება მხოლოდ აქტივობის დასაწყისში და აძლევს საშუალებას დამოუკიდებლად შეძლოს შეფუთული საკვების გახსნა.

კლასში მოსწავლეების წასახალისებლად იყენებს შეფუთულ ჯილდოებს და სთხოვს მოსწავლეებს გახსნან შეფუთული ჯილდო. შიგადაშიგ ცვლის შეფუთვის ზომას.

პირის და ხელების გასაწმენდად ხელსახოცის გამოყენება

მასწავლებელი:

საკვების მიღების შემდეგ, ხელსახოცის გამოყენებით, ახდენს ხელების და პირის გაწმენდის მოდელირებას. სთხოვს მოსწავლეს გაიმეოროს იგივე.

თუ მოსწავლე 5 წამის განმავლობაში არ ახდენს რეაგირებას:

ა) აწოდებს მას ხელსახოცს;

ბ) ათავსებს ხელსახოცს მოსწავლის ხელში და ფიზიკურად ეხმარება ხელების და პირის გაწმენდაში;

იყენებს სარკეს, რათა მოსწავლემ შეძლოს გასუფთავებული სახის დანახვა.

მაგიდასთან ქცევის წესების გამოვლენა (დამოუკიდებლად)

მასწავლებელი:

სადილის პროცესში ეხმარება მოსწავლეებს მარილის, პილპილის, საწებელას საჭირო რაოდენობით გამოყენებაში.

განიხილავს მოსწავლეებთან ერთად, როგორ მოითხოვონ ზრდილობიანად სუფრასთან დამხმარება.

გაითამაშებს როლებს სადილის დროს: სთხოვს მოსწავლეს, მიაწოდოს საჭმლის თეფში, ხელსახოცი. შემდეგ კი სთხოვს მოსწავლეს, თვითონ მოითხოვოს რაიმე ნივთის მიწოდება.

სადილის დროს აჩვენებს მოსწავლეს, თეფშზე რა რაოდენობის საკვების გადმოღებაა რეკომენდებული. (მაგ: ორი ღრმა კოვზი წვნიანი, სალათი და ა.შ.)

სადილის დროს აკვირდება და ასწავლის მოსწავლეებს, რომ პირში ჩაიდონ ერთი საშუალო ლუკმის ზომის საკვები, დაღეჭონ დახურული პირით, მოიწმინდონ პირი ხელსახოცით, ჩაიდონ თითო ჯერზე მხოლოდ თითო ლუკმა.

სადილის დროს ასწავლის, რა სახის თემებზე შეუძლიათ ისაუბრონ. ასწავლის მოსწავლეებს სად უნდა დააწყონ დანა-ჩანგალი, როდესაც არ იყენებენ ან სადილის დამთავრების შემდეგ. ასწავლის მოსწავლეებს, რა შეუძლიათ მიირთვან ხელით და რა ჩანგლით.

სადილის დროს იღებს ვიდეოს და შემდეგ აჩვენებს მოსწავლეებს თავიანთ კვების პროცესს. განიხილავს და აჯილდოებს კარგ მანერებს, მიუთითებს, რა არის გამოსასწორებელი.

(ყველა ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობა ხორციელდება მცირე ჯგუფებში და სამ სხვადასხვა სიტუაციაში: სამზარეულოს მაგიდასთან, კაფეში და რესტორანში).

საკვების სათანადო ადგილას განთავსება

მასწავლებელი:

წაიყვანს მოსწავლეებს სუპერმარკეტში და დაათვალიერებინებს მაცივრებს. თან აუხსნის, რომელი საკვები ინახება მაცივარში.

მიდის დახლებთან მოსწავლეებთან ერთად და აჩვენებს მშრალ საკვებს, რომელსაც არ სჭირდება მაცივარი: პური, ხორბალი, მარილი, შაქარი, ზეთი. ეკითხება, სად ინახავენ ამ პროდუქტს სახლში.

ურიგებს მოსწავლეებს ბარათებს სხვადასხვა საკვების გამოსახულებით. აძლევს მაცივრის და კარადის ფოტოებს და სთხოვს დააჯგუფონ თვალსაჩინოება ორ კატეგორიად: საკვები, რომელიც ინახება მაცივარში და საკვები, რომელიც ინახება კარადაში.

მიჰყავს მოსწავლეები სკოლის მაცივართან, ურიგებს მაგნიტურ ბარათებს საკვების გამოსახულებით და სთხოვს, რომ მიაკრან მაცივარს მხოლოდ ის საკვები, რომელსაც მაცივარში შენახვა ესაჭიროება.

აძლევს მოსწავლეებს საშუალებას, დაეხმარონ ბუფეტის მომსახურე პერსონალს საკვების დახარისხებაში ბაზრიდან მოსვლის შემდეგ. მოსწავლეები, უფროსის დახმარებით, განსაზღვრავენ, რომელი საკვები შეინახება მაცივარში და რომელი კარადაში. თავად ინახავენ საკვებს შესაბამის ადგილას.

მარტივი კერძის მომზადება (რომელსაც ღუმელის გამოყენება არ სჭირდება)

მასწავლებელი:

მოსწავლეებს აძლევს საშუალებას თავად მოამზადონ მარტივი კერძები სკოლის ბუფეტში (კვირაში ერთხელ მაინც).

აჩვენებს როგორ მზადდება სალათი, სენდვიჩი, რძიანი შოკოლადი, წვენი. ეხმარება მათ გაიმეორონ იგივე მოქმედებები.

აძლევს სახალისო, თვალსაჩინო რეცეპტებს.

საუზმის დროს დადებს მაგიდაზე ფუნთუშებით/ორცხობილებით ან რაიმე მყარი საკვებით სავსე თეფშს. სთხოვს მოსწავლეს, გადაიღოს თეფშზე ერთი ან ორი ცალი ფუნთუშა. თუ მოსწავლე დააპირებს უფრო მეტის აღებას, იღებს თეფშს და ეუბნება: „მეტი არა“.

მცდელობა წარმატებულად ჩაითვლება, როდესაც მოსწავლე შეძლებს საკუთარ თეფშზე ერთი ან ორი (მცირე რაოდენობით) ფუნთუშას/ორცხობილას გადაღებას.

დადგამს მაგიდაზე დიდი ზომის ღრმა ჯამს, ნახევრად მყარი საკვებით. აჩვენებს მოსწავლეს, როგორ უნდა გადმოიღოს ჯამიდან საკვები საკუთარ თეფშზე, კოვზის გამოყენებით. სთხოვს გაიმეოროს იგივე.

როდესაც მოსწავლე დააპირებს დასაშვებზე მეტი რაოდენობის საკვების გადაღებას საკუთარ თეფშზე, იღებს თეფშს და ეუბნება: „მეტი არა“.

მცდელობა წარმატებულად ჩაითვლება, როდესაც მოსწავლე შეძლებს საკუთარ თეფშზე 2-3 ჩამჩა საკვების გადმოღებას ისე, რომ არ დაეღვაროს.

სველი/დასვრილი საფენის/ტანსაცმლის გამოცვლის საჭიროებაზე მინიშნება

მასწავლებელი:

ამოწმებს საცვალს/შარვალს ყოველდღე ერთსა და იმავე დროს. ყოველ ჯერზე, როდესაც მოსწავლე იქნება სველი, ასახელებს მის სახელს და ამბობს: „შენ სველი ხარ“.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ვერ მეტყველებს, ასწავლის მას რაიმე ბუნებრივ ჟესტს, რომლითაც მიანიშნებს გამოცვლის საჭიროებაზე.

წარუდგენს ჟესტს, როდესაც მოსწავლე იქნება სველი და სთხოვს გაიმეოროს.

5 წუთის განმავლობაში ზედამხედველობის გარეშე უნიტაზზე ჯდომა

მასწავლებელი:

დასვამს მოსწავლეს უნიტაზზე მკაცრად განსაზღვრული გრაფიკით, ყოველდღე, დღის განმავლობაში გარკვეული პერიოდულობით. პირველ დღეს დარჩება მოსწავლესთან ერთად 4,5 წუთის განმავლობაში, შემდეგ დღეს 4 წუთის განმავლობაში, მომდევნო დღეს 3 წუთის განმავლობაში. განაგრძობს დროის შემცირებას მანამ, სანამ მოსწავლე არ შეძლებს დამოუკიდებლად ჯდომას უნიტაზზე 5 წუთის განმავლობაში.

თუ მოსწავლე აპროტესტებს უნიტაზზე ჯდომას, ყურადღებას არ აქცევს ამ ქცევას.

თუ მოსწავლე განაგრძობს პროტესტს, ჩაკიდებს ხელს და ეუბნება “შენ უკვე დიდი ბიჭი/გოგო ხარ და უნიტაზზე უნდა დაჯდე“.

აჯილდოებს მოსწავლეს ყოველი წარმატებული მცდელობის შემდეგ.

შარდის ბუშტის კონტროლი დღის განმავლობაში

მასწავლებელი:

დასვამს მოსწავლეს ყოველ საათში ერთხელ 5 წუთის განმავლობაში უნიტაზზე და გაიმეორებს აღნიშნულ პროცედურას საათობრივად.

თუ მოსწავლე ჩაისველებს, არაფერს არ ეუბნება, გარდა შემდეგი წინადადებისა: ასახელებს მის სახელს და ეუბნება: „შენ სველი ხარ“. უცვლის ტანსაცმელს ყოველგვარი თვალით კონტაქტის და მიმიკების გარეშე.

აჯილდოებს მოსწავლეს იმ შემთხვევაში, თუ ის საათობრივი შემოწმებისას იქნება მშრალი.

როდესაც მოსწავლე შეძლებს ტუალეტის საჭიროებისამებრ გამოყენებას, აჯილდოებს ორმაგად/უფრო ძლიერი განმამტკიცებლის გამოყენებით, ვიდრე ამას მშრალი საფენების შემთხვევაში აკეთებდა.

დღის განმავლობაში კუჭის მოქმედების კონტროლი

მასწავლებელი:

აწარმოებს მოსწავლის კუჭის მოქმედების კონტროლს 5 დღის განმავლობაში - თუ რა დროს და რამდენჯერ ხდება კუჭის მოქმედება.

მას შემდეგ, რაც განსაზღვრავს კუჭის მოქმედების ციკლს, შეიყვანს ხოლმე მოსწავლეს ტუალეტში და დასვამს უნიტაზზე იმ დროს, როდესაც მას უწევს კუჭის მოქმედება. აჯილდოებს მოსწავლეს ტუალეტის წარმატებულად გამოყენების შემთხვევაში.

თუ მოსწავლე ვერ გააკონტროლებს კუჭის მოქმედებას, ასახელებს მის სახელს და ეუბნება: “შენ შარვალი დასვარე, წადი ტუალეტში“. წაიყვანს მოსწავლეს ტუალეტში და დასვამს უნიტაზზე. თუ მოსწავლე შეძლებს კუჭის მოქმედების პროცედურის დასრულებას ტუალეტში, მყისიერად აჯილდოებს.

თუ მოსწავლეს არ აქვს კუჭის მოქმედება 24 საათის განმავლობაში, ამატებს მის საკვებს ხილს და ისეთ საკვებს, რომელიც ხელს შეუწყობს კუჭის მოქმედების სიხშირის გაზრდას, სანამ არ მიაღწევს კუჭის მოქმედებას, 24 საათში ერთხელ სიხშირით.

მოსწავლის მიერ ტუალეტში წასვლის საჭიროება

მასწავლებელი:

მას შემდეგ, რაც მოსწავლე დაასრულებს კუჭის მოქმედებას ან გაათავისუფლებს შარდის ბუშტს, ასახელებს მის სახელს და ეუბნება: „შენ ახლა ...“

იმეორებს ზემოთ აღწერილ პროცედურას მანამ, სანამ მოსწავლე ვერ შეძლებს საჭიროების დასახელებას.

უსვამს შკითხვებს:

ა) რა გააკეთე შენ ახლა?

ბ) ტუალეტში წასვლა ... სთვის გინდა თუ ...?

აჯილდოებს მოსწავლეს, თუ ის შეძლებს სწორად დაასახელოს საკუთარი საჭიროება.

სკოლის ტერიტორიაზე ბავშვებისთვის და სქესის შესაფერისი საჭირო ოთახის მიგნება

მასწავლებელი:

წაიყვანს მთელ კლასს (ჯგუფად) საჭირო ოთახში. მოიტანს საჭირო ოთახზე მიკრულ ნიშნებს საკლასო ოთახში და განიხილავს, რომელი რას აღნიშნავს.

არჩევს მოსწავლეებიდან ერთ-ერთ ლიდერს და ავალებს იპოვოს საჭირო ოთახი დახმარების გარეშე. თუ გაუჭირდება, სხვა მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, რომ დაეხმარონ.

აგზავნის მოსწავლეებს საჭირო ოთახში დამოუკიდებლად და აკონტროლებს, რამდენ წუთს ატარებს მოსწავლე საჭირო ოთახში, რათა დარწმუნდეს, რომ ის იქ არ თამაშობს.

ეხმარება მოსწავლეებს, განსაზღვრონ საკუთარი სქესი. იყენებს სიტყვებს და სურათ-ბარათებს, რათა მოსწავლეებს ასწავლოს საჭირო ოთახის კარზე მიკრული ნიშნების ამოცნობა (ბიჭები, გოგონები):

ა) აძლევს მოსწავლეებს ინსტრუქციას დააწყვილონ სიტყვა და ბარათი.

ბ) უსახელებს მოსწავლეს სიტყვას და სთხოვს აჩვენოს შესაბამისი ბარათი.

გ) სთხოვს მოსწავლეებს წაიკითხონ სიტყვები.

დ)სთხოვს მოსწავლეებს დააწყვილონ სიტყვები/სიმბოლოები სკოლის ტერიტორიაზე არსებულ საჭირო ოთახის კარზე მიკრულ ნიშნებთან.

ე) სთხოვს მოსწავლეებს ამოიკითხონ საჭირო ოთახის კარზე მიკრული ნიშნები.

ტუალეტის ჩარეცხვა

მასწავლებელი:

მას შემდეგ, რაც მოსწავლე მოითავებს ტუალეტის საჭიროებებს და გაისწორებს ტანსაცმელს, ასახელებს მოსწავლის სახელს და ეუბნება: “ჩარეცხე ტუალეტი“.

აჩვენებს მოსწავლეს ტუალეტის ჩარეცხვის პროცედურას და სთხოვს, რომ გაიმეოროს. საჭიროების შემთხვევაში მოჰკიდებს მოსწავლეს ერთ ხელზე ხელს და ეხმარება აქტივობის შესრულებაში ფიზიკურად.

ნელ-ნელა ამცირებს ფიზიკურ დახმარებას იმ მხრივ, რომ ჩარეცხვის დროს სულ უფრო ნაკლებ ძალას ატანს მოსწავლის ხელს. ცდილობს, რომ მოსწავლემ თითქმის დამოუკიდებლად შეძლოს ტუალეტის ჩარეცხვა.

ინსტრუქციებს აწოდებს შემდეგი სქემით:

ა) ტუალეტის გამოყენების შემდეგ აძლევს ინსტრუქციას, ჩარეცხოს ტუალეტი.

ბ) ელოდება 10 წამი ტუალეტის გამოყენების შემდეგ და ეუბნება, ჩარეცხოს ტუალეტი (თუ ის არ ახორციელებს ამ ქცევას).

გ) ელოდება კიდევ 10 წამი ტუალეტის გამოყენების შემდეგ და მიუთითებს ტუალეტის ჩარეცხვის ღილაკზე.

დ) ელოდება 30 წამი და ამოწმებს, ჩარეცხა თუ არა მოსწავლემ ტუალეტი.

კიდებს ტუალეტის კარებზე შიგნიდან სურათს, რომელზეც გამოსახული იქნება ტუალეტის ჩარეცხვის თითოეული საფეხური თანმიმდევრულად.

მიუთითებს მოსწავლეს შესაბამის საფეხურზე, მისი პრაქტიკულად განხორციელების დროს.

აჯილდოებს მოსწავლის ყველა მცდელობას-დამოუკიდებლად ჩარეცხოს ტუალეტი. (ამ ჩვევას სჭირდება განზოგადება, ამიტომ სთხოვს მშობლებს, გააკონტროლონ რეცხავს თუ არა მოსწავლე ტუალეტს გამოყენების შემდეგ სახლშიც).

ტუალეტის გამოყენების შემდეგ ტანსაცმლის გასწორება

მასწავლებელი:

ტუალეტის საჭიროებების დაკმაყოფილების შემდეგ ასახელებს მოსწავლის სახელს და ეუბნება: „გაისწორე შარვალი“. თუ მოსწავლეს არ შეუძლია ამ აქტივობის განხორციელება, დგება მოსწავლესთან ზურგის მხრიდან, ჰკიდებს ხელებზე ხელებს და ფიზიკურად ეხმარება შარვლის და საცვლის გასწორებაში.

აქტივობას განახორციელებს შემდეგი თანმიმდევრობის დაცვით:

ა) დაიხრება;

ბ) მოჰკიდეთ შარვლის წელს ორივე ხელს – ორივე მხრიდან.

გ) ამოსწევს შარვალს მუხლებამდე.

დ) ამოსწევს შარვალს ბარძაყებამდე.

ე) ამოსწევს შარვალს წელამდე.

ვ) ასწორებს შარვალს.

ტუალეტის ქაღალდის გამოყენება

მასწავლებელი:

ტუალეტის საჭიროებების დაკმაყოფილების შემდეგ აძლევს მოსწავლეს ინსტრუქციას, გამოიყენოს ტუალეტის ქაღალდი.

ეხმარება ფიზიკურად, თუ მოსწავლე ვერ ახერხებს აქტივობის განხორციელებას - ეხმარება საჭირო რაოდენობის ქაღალდის მოხევაში, გაწმენდაში, შემდეგ ქაღალდის უნიტაზში ჩაგდებასა და უნიტაზის ჩარეცხვაში.

საჭირო ოთახის გამოყენების შემდეგ ხელების დაბანა

მასწავლებელი:

საჭირო ოთახის გამოყენების შემდეგ მიიყვანს მოსწავლეს ნიჟარასთან, დაასახელებს მის სახელს და ეუბნება: „დაიბანე ხელები“.

ეხმარება ფიზიკურად, თუ მოსწავლე ვერ ახერხებს აქტივობის განხორციელებას:

ა) ჰკიდებს ხელს და ეხმარება გახსნას ონკანი;

ბ) მიუშვერს მოსწავლის ხელებს წყალს;

გ) ეხმარება მოსწავლეს, აიღოს საპონი (ან გამოიყენოს ჩამოსასხმელი საპონი);

დ) ეხმარება მოსწავლეს ხელების გასაპვნაში;

ე) ეხმარება მოსწავლეს ჩადოს საპონი სასაპნეში;

ვ) ეხმარება მოსწავლეს ხელების წყლის ნაკადის ქვეშ მოთავსებაში, ხელების ერთმანეთზე გადასმაში და საპნის ჩამობანაში.

თანდათანობით ამცირებს ფიზიკურ დახმარებას, სანამ მოსწავლე დამოუკიდებლად არ შეძლებს ხელების დაბანას.

საჭირო ოთახის დამოუკიდებლად გამოყენება

მასწავლებელი:

შეიყვანს მოსწავლეს საჭირო ოთახში, როდესაც ის მიანიშნებს საჭიროებაზე, ან როდესაც მას ეს უწევს გრაფიკით განსაზღვრულ დროს.

მიიყვანს საჭირო ოთახის შესასვლელთან, დაასახელებს მის სახელს და ეუბნება: "შედი საჭირო ოთახში".

თუ მოსწავლე არ ახორციელებს აქტივობას, ეხმარება ფიზიკურად, საჭირო ოთახის გამოყენების ყველა საფეხურზე.

ნელ-ნელა ამცირებს დახმარებას მანამ, სანამ მოსწავლე დამოუკიდებლად არ შეძლებს საჭირო ოთახის გამოყენების ყველა საფეხურის შესრულებას.

აჯილდოებს საჭირო ოთახის დამოუკიდებლად გამოყენების ნებისმიერ მცდელობას.

სარკეში საკუთრი გარეგნობის მოწესრიგება ტუალეტიდან გამოსვლის წინ

მასწავლებელი:

განიხილავს მოსწავლეებთან ერთად, თუ რატომაა საჭირო საკუთარი გარეგნობის შემოწმება სარკეში, საჭირო ოთახიდან გამოსვლის წინ.

ეუბნება მოსწავლეებს, რომ ეს არის ადგილი, სადაც მათ უნდა გაისწორონ თმა, შეისწორონ ტანსაცმელი, დაიბანონ ხელები.

შეჰყავს მოსწავლეები საჭირო ოთახში და ახსენებს, რომ ჩაიხედონ სარკეში და შეამოწმონ, როგორ გამოიყურებიან.

აკრავს საჭირო ოთახიდან გამოსასვლელ გარეთა კარზე იმ აქტივობების ჩამონათვალს (ან სურათ-ბარათებს), რომელიც მოსწავლეებმა უნდა შეასრულონ: თმების გასწორება-დავარცხნა, ხელების დაბანა, ტანსაცმლის შესწორება.

შეაქვს საკლასო ოთახში პატარა სარკე და აძლევს მოსწავლეებს საშუალებას, შეამოწმონ თავიანთი გარეგნობა. საჭიროების შემთხვევაში ეხმარება ვერბალურად და ფიზიკურად.

საკუთარი გარეგნობის შესამოწმებლად სარკის გამოყენება

მასწავლებელი:

ჰკიდებს საკლასო ოთახში სარკეს, აძლევს მოსწავლეებს ინსტრუქციას, შეამოწმონ თავიანთი გარეგნობა სარკეში.

ეკითხება:

ა) „შეამოწმე სუფთა გაქვს თუ არა სახე/ცხვირი“;

ბ) „ დავარცხნილი გაქვს თმა?“;

გ) „შეამოწმე შეკრული გაქვს თუ არა ღილები“;

დ) „შეამოწმე სუფთა გაქვს თუ არა ხელები“ და სხვა.

საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში საჭირო ოთახის გამოყენება

მასწავლებელი:

გაიყვანს მოსწავლეს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას. ეხმარება იპოვოს მისთვის შესაფერისი საჭირო ოთახი (ბიჭები/გოგონები/ქალები/კაცები).

ეხმარება ისწავლოს რიგის დაკავება, საჭირო ოთახის წინ.

ასწავლის, შესვლის შემდეგ დახუროს საჭირო ოთახის კარი, ჩარეცხოს ტუალეტი და დაიბანოს ხელები.

აძლევს მოსწავლეს საშუალებას, დამოუკიდებლად განახორციელოს ზემოთ აღწერილი აქტივობები, საჭიროების შემთხვევაში აძლევს მხოლოდ ვერბალურ ინსტრუქციებს.

ტუალეტის საჭიროების დაკმაყოფილების განრიგის დაგეგმვა

მასწავლებელი:

განიხილავს მოსწავლეებთან ერთად, თუ რატომაა საჭირო ტუალეტის საჭიროებების დაკმაყოფილების დაგეგმვა. უხსნის, რომ საჭირო ოთახში უნდა შევიდნენ სახლიდან გამოსვლის წინ, სადმე გამგზავრების წინ, გაკვეთილებს შორის შესვენებებზე და ა.შ.

მოსწავლეებთან ერთად ჩამოწერს საჭირო ოთახში შესვლისთვის შესაბამის დროებს და ხშირად განიხილავს მათთან ერთად.

დაინიშნავს დროს, რათა განსაზღვროს, ასწრებს თუ არა მოსწავლე საჭირო ოთახის გამოყენებას მანამ, სანამ გაკვეთილის შესვლის მანიშნებელი ზარი დაირეკება.

დამოუკიდებლად წყლის მოშვება-დაკეტვა

მასწავლებელი:

ეუბნება მოსწავლეს მივიდეს ნიჟარასთან. ასახელებს მოსწავლის სახელს და ეუბნება: „მოუშვი წყალი“. თუ მოსწავლე ვერ მოახერხებს წყლის მოშვებას, ჰკიდებს ხელს ხელზე და ეხმარება წყლის მოშვებაში - ფიზიკურად. აჯილდოებს მოსწავლეს წარმატებული მცდელობისათვის.

თანდათან ამცირებს ფიზიკურ დახმარებას მანამ, სანამ მოსწავლე არ შეძლებს ამოცანის დამოუკიდებლად შესრულებას.

როდესაც მოსწავლე შეძლებს დამოუკიდელად წყლის მოშვებას, იმეორებს იმავე პროცედურებს წყლის დაკეტვასთან დაკავშირებით.

აჯილდოებს ამოცანის დამოუკიდებლად შესრულების ყველა მცდელობას.

დამოუკიდებლად წყლის ტემპერატურის დარეგულირება

მასწავლებელი:

ნიჟარაში ამაგრებს წყლის დასაგუბებელ საცობს. უშვებს ცივ წყალს და როდესაც ნიჟარას ოდნავ დაფარავს წყალი, ჩააყოფინებს მოსწავლეს ხელს წყალში. უხსნის, რომ ეს წყალი ცივია და ზოგადად ხელის ან ტანის დაბანისას გვჭირდება თბილი წყალი.

გაუშვებს წყალს ნიჟარიდან, მოუშვებს ცხელ წყალს და დაამატებს ცივი წყლის ნაკადს ისე, რომ მივიღოთ თბილი წყალი. ჩააყოფინებს მოსწავლეს ხელს წყალში და ეუბნება, რომ ეს წყალი არის თბილი.

ნიჟარაში დაამატებს ცხელ წყალს ისეთ დონეზე, რომ მოსწავლეს ხელი არ დაეწვას და უხსნის, რომ ეს ცხელი წყალია.

უსვამს მოსწავლეს შეკითხვებს: „ როგორი წყლით უფრო სასიამოვნოა ხელის დაბანა?“

მიიყვანს მოსწავლეს ონკანთან და სთხოვს მოუშვას წყალი ისე, რომ მიიღოს თბილი წყალი (ეხმარება მოსწავლეს საჭიროების შემთხვევაში).

თუ მოსწავლეს გაუჭირდება ცხელი და ცივი წყლის ონკანის გარჩევა, აკრავს წითელ ნიშანს ცხელი წყლის მომშვებს და ლურჯს - ცივი წყლის მომშვებს (ზოგადად ეს ფერები გამოიყენება ცივი და ცხელი წყლის აღსანიშნავად ონკანზე).

დამოუკიდებლად ხელების დაბანა და გაშრობა

მასწავლებელი:

უჩვენებს ხელების დაბანის პროცესს. მიიყვანს მოსწავლეს ნიჟარასთან. დაასახელებს მოსწავლის სახელს და ეუბნება: „დაიბანე ხელები“. თუ მოსწავლე ვერ მოახერხებს, მოჰკიდებს ხელს ხელზე და ეხმარება ხელების დაბანაში ფიზიკურად. აჯილდოებს მოსწავლის წარმატებულ მცდელობას.

ხელების დაბანის პროცედურის სწავლებისას ყურადღებას ამახვილებს შემდეგ ეტაპებზე:

მოუშვას ორივე - ცივი და ცხელი წყლის ონკანი ისე, რომ მიიღოს თბილი წყალი.

დაისველოს ხელები - შეუშვიროს ორივე ხელი წყალს.

აიღოს საპონი და გაისაპნოს ხელები, ან ჩამოასხას თხევადი საპონი და დაისხას ხელებზე.

გაუსვას ხელები ერთმანეთს ისე, რომ საპონი მოედოს ხელის ყველა ნაწილს, არ დაავიწყდეს ხელის ზედაპირები და ადგილი თითებს შორის.

შეუშვიროს ორივე ხელი გამდინარე წყალს და ჩამოიბანოს საპონი (მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ სრულიად მოიშოროს საპონი ხელებიდან).

დაკეტოს ონკანი.

გაიმშრალოს ხელები ნაჭრის ან ქაღალდის ხელსაწმენდით. ქაღალდის ხელსაწმენდის შემთხვევაში ასწავლის მოსწავლეს რა რაოდენობის ქაღალდი უნდა მოხიოს.

ჩამოჰკიდოს ნაჭრის ხელსახოცი საკიდზე ან ჩააგდოს ქაღალდის ხელსახოცი ნაგვის ურნაში.

უწევს მოსწავლეს ფიზიკურ და ვერბალურ დახმარებას იმ დოზით და იმ ეტაპზე, რა საჭიროებაც გამოვლინდება.

დამოუკიდებლად პირის დაბანა და გამშრალება

მასწავლებელი:

უჩვენებს პირის დაბანის პროცესს. მიიყვანს მოსწავლეს ნიჟარასთან. დაასახელებს მოსწავლის სახელს და ეუბნება: „დაიბანე პირი“.

თუ მოსწავლე ვერ მოახერხებს, მოჰკიდებს ხელს ხელზე და ეხმარება პირის დაბანაში ფიზიკურად. დააჯილდოებს ყოველ წარმატებულ მცდელობას.

პირი დაბანის პროცედურის სწავლებისას ყურადღება ამახვილებს შემდეგ ეტაპებზე:

მოამზადოს პირსახოცი და საპონი;

მოუშვას ცხელი და ცივი წყალი და დაარეგულიროს წყლის ტემპერატურა;

შეუშვიროს ხელები წყალს ისე, რომ ხელის გულებში დაუგუბდეს წყალი;

დაიხაროს ნიჟარისკენ;

ნაზად შეისხას წყალი სახეზე;

წაისვას საპონი სახეზე, ყურადღება მიაქციოს, რომ საპონი თვალებში არ ჩაუვიდეს;

გადაიბანოს საპნიანი ხელები;

შეუშვიროს ხელები წყალს ისე, რომ ხელის გულებში დაუგუბდეს წყალი;

ნაზად შეისხას წყალი სახეზე რამდენჯერმე, რათა მოიშოროს საპონი;

გაიმშრალოს სახე პირსახოცით.

უწევს მოსწავლეს ფიზიკურ და ვერბალურ დახმარებას იმ დოზით და იმ ეტაპზე როგორი საჭიროებაც გამოვლინდება.

დამოუკიდებლად კბილების გახეხვა

მასწავლებელი:

უჩვენებს კბილების გახეხვის პროცესს. მიიყვანს მოსწავლეს ნიჟარასთან. დაასახელებს მოსწავლის სახელს და ეუბნება: -„გაიხეხე კბილები“.

თუ მოსწავლე ვერ მოახერხებს, მოჰკიდებს ხელს ხელზე და ეხმარება კბილების გახეხვაში ფიზიკურად. აჯილდოებს ყოველ წარმატებულ მცდელობას.

კბილების გახეხვის პროცედურის სწავლებისას აგროვებს საჭირო ნივთებს: კბილის ჯაგრისი, კბილის პასტა და ჭიქა.

ყურადღებას ამახვილებს შემდეგ ნაბიჯებზე:

დააყენებს მოსწავლეს სარკის წინ, ნიჟარასთან;

ეუბნება მოსწავლეს, მოუშვას ცივი წყალი და დაიჭიროს კბილის ჯაგრისი ერთ ხელში;

შეუშვიროს კბილის ჯაგრისი წყლის ნაკადს;

მოაძროსს კბილის პასტას თავსახური და მოათავსოს კბილის პასტის მცირე რაოდენობა კბილის ჯაგრისზე;

ამოძრაოს კბილის ჯაგრისი ზემოთ-ქვემოთ და წრიული მოძრაობით ისე, რომ კბილის ჯაგრისი შეეხოს როგორც წინა, ისე უკანა კბილებს და ბოლოს გაიწმინდოს ენა;

აავსოს ჭიქა წყლით და გამოივლოს წყალი პირში რამდენჯერმე;

დაკეტოს ონკანი;

გაიმშრალოს პირი პირსახოცით.

უწევს მოსწავლეს ფიზიკურ და ვერბალურ დახმარებას იმ დოზით და იმ ეტაპზე როგორი საჭიროებაც გამოვლინდება.

დამოუკიდებლად თმის დავარცხნა

მასწავლებელი:

უჩვენებს თმის დავარცხნის პროცესს. მიიყვანს მოსწავლეს სარკესთან. დაასახელებს მოსწავლის სახელს და უბნება: -„დაივარცხნე თმა“. თუ მოსწავლე ვერ მოახერხებს, მოჰკიდებს ხელს ხელზე და ეხმარება თმის დავარცხნაში ფიზიკურად. აჯილდოებს ყოველ წარმატებულ მცდელობას.

თმის დავარცხნის პროცედურის სწავლებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ ეტაპებზე:

მოსწავლე დადგეს სარკის წინ;

დაიჭიროს სავარცხელი ერთ ხელში;

მიიტანოს თავთან ის ხელი, რომელშიც სავარცხელი უჭირავს;

ჩამოისვას სავარცხელი თავზე ერთ მხარეს რამდენჯერმე;

ჩამოისვას სავარცხელი თავზე მეორე მხარეს რამდენჯერმე;

ჩამოისვას სავარცხელი კეფაზე, კისრის მიმართულებით, რამდენჯერმე.

უწევს მოსწავლეს ფიზიკურ და ვერბალურ დახმარებას იმ დოზით და იმ ეტაპზე, როგორი საჭიროებაც გამოვლინდება.

დამოუკიდებლად ცხვირის მოწმენდა

მასწავლებელი:

აჩვენებს ცხვირის მოწმენდის პროცესს. როდესაც მოსწავლეს ცხვირი დაუსველდება, მიიყვანს მას სარკესთან. დაასახელებს მოსწავლის სახელს და ეუბნება: „მოიწმინდე ცხვირი“.

თუ მოსწავლე ვერ მოახერხებს, მოჰკიდებს ხელს ხელზე და ეხმარება ცხვირის მოწმენდაში ფიზიკურად. დააჯილდოებს ყოველ წარმატებულ მცდელობას.

ცხვირის მოწმენდის პროცედურის სწავლებისას ყურადღებას ამახვილებს შემდეგ ეტაპებზე:

მოსწავლემ ხელსახოცი უნდა შეინახოს ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილას;

სთხოვს მოსწავლეს ამოიღოს ხელსახოცი;

მიიტანოს ხელსახოცი ცხვირთან ისე, რომ ცხვირი დაიფაროს და ჩაბეროს მასში ჰაერი;

დაკეცოს ხელსახოცი.

აქტივობას ასრულებს სარკის წინ, რათა მოსწავლეს ჰქონდეს შესაძლებლობა, დააკვირდეს ცხვირის გასუფთავების პროცესს ვიზუალურად.

გაუწევს მოსწავლეს ფიზიკურ და ვერბალურ დახმარებას იმ დოზით და იმ ეტაპზე, როგორც ეს დასჭირდება.

თავის და ტანის დაბანის პროცესში მონაწილეობა

მასწავლებელი:

განიხილავს მოსწავლეებთან ერთად, რატომ არის თავისა და ტანის დაბანა აუცილებელი (რათა გამოვიყურებოდეთ კარგად, სუფთად და თავს კარგად ვგრძნობდეთ).

ახსენებს მოსწავლეებს სხეულის სხვადასხვა ნაწილის დასახელებას, რათა მათ შეძლონ ინსტრუქციის შესრულება ბანაობისას: „დაიბანე კისერი/სახე/ხელები/თავი და ა.შ.“

შეჰყავს მოსწავლე სააბაზანოში და სთხოვს შეასრულოს შემდეგი ინსტრუქციები: (ეხმარება ვერბალურად და ფიზიკურად საჭიროების შემთხვევაში)

მოუშვას თბილი და ცივი წყლის ონკანი, დაარეგულიროს ტემპერატურა;

გაიხადოს ტანსაცმელი;

დადგეს შხაპის ქვეშ;

დაასველოს ღრუბელი;

წაუსვას ღრუბელს საპონი;

დააბრუნოს საპონი სასაპნეში;

ეხმარება მოსწავლეს ღრუბლით დაიბანოს სხეულის სხვადასხვა ნაწილი, თან იმეორებს, სხეულის რომელ ნაწილს იბანს;

ეხმარება მოსწავლეს, დაისხას თავზე შამპუნი. ეუბნება, რომ დახუჭოს თვალები, რათა შამპუნი თვალებში არ ჩაუვიდეს;

ეხმარება მოსწავლეს წაისვას თავზე ხელები, რათა გადაინაწილოს შამპუნი;

ეხმარება მოსწავლეს ჩამოიბანოს თავიდან შამპუნი;

ეხმარება მოსწავლეს გადაივლოს წყალი ტანზე, უზრუნველყოფს, რომ საპონი მოიშოროს მთლიანად;

დაალაგოს ატრიბუტები თავის ადგილას: შამპუნი, ღრუბელი, საპონი;

დაკეტოს ონკანი;

ეხმარება მოსწავლეს გადმოვიდეს აბაზანიდან;

ეხმარება აიღოს პირსახოცი და გაიმშრალოს თავი და ტანი.

ამ ასაკის მოსწავლემ, შესაძლოა, დამოუკიდებლად ვერც შეძლოს ზემოთ აღწერილი აქტივობების განხორციელება, ამიტომ მასწავლებლი ეხმარება მას ფიზიკურად და ვერბალურად.

ამცირებს ფიზიკურ დახმარებას მაშინ, როდესაც მიხვდება, რომ რომელიმე ბიჯზე/ეტაპზე მოსწავლე შეძლებს აქტივობის დამოუკიდებლად განხორციელებას.

ქუჩაში დამოუკიდებლად ორიენტირება (ფეხით მოსიარულეთა გამაფრთხილებელი ნიშნების ამოცნობა)

მასწავლებელი:

მოსწავლეებს აჩვენებს მოსწავლეს სხვადასხვა პოსტერს, რომელზეც გამოსახულია გამაფრთხილებელი ნიშნები, აცნობს შუქნიშნის ფერებს და მათ დანიშნულებას.

არჩევს ადგილს, სადაც არ არის გადატვირთული მოძრაობა და დგას შუქნიშანი. გაჰყავს მოსწავლეები ქუჩაში და ეხმარება მათ ქუჩის უსაფრთხოდ გადაკვეთაში, იყენებს ვერბალურ, ფიზიკურ, ვიზუალურ მიმანიშნებლებს.

ეკითხება მოსწავლეებს: „რა მოხდებოდა ქალაქში/ქუჩაში, თუ არ იარსებებდა გამაფრთხილებელი ნიშნები?“ (მნიშვნელოვანია ამ ყველაფრის პრაქტიკაში განხორციელება: „გაიხედე ორივე მხარეს, სანამ ქუჩაზე გადახვალ“, „იარე“, „გაჩერდი“).

უღებს მოსწავლეებს ფოტოებს, რომლებზეც ჩანს სხვადასხვა ფერზე მოსწავლეთა რეაქცია - მწვანეზე გადასვლა, წითელზე შეჩერება. ამზადებს ამ ფოტოების გამოყენებით წიგნაკს და რეგულარულად ამეორებინებს მოსწავლეებს წესებს, ფოტოების დათვალიერებასთან ერთად.

საკლასო ოთახში დაბრუნების შემდეგ სთხოვს მოსწავლეს წინასწარ მომზადებული თვალსაჩინოებიდან აირჩიოს ერთი კონკრეტული ფერი (მაგ., შუქნიშანი კრძალავს ქუჩაში გადასვლას). მოსწავლე ირჩევს შუქნიშნის წითელი ფერის „გააქტიურებულ“ მდგომარეობას).

თუ ამას ვერ მოახერხებს მოსწავლე, აჩვენებს ქუჩაში მოსწავლეებისათვის გადაღებულ სურათებს (ან წიგნაკს), საიდანაც მოსწავლე ამოარჩევს იმ კონკრეტული შემთხვევის ამსახველ ფოტოს. თუ მაინც ვერ მოახერხებს, მასწავლებელი თვითონ ირჩევს სათანადო ფოტოსურათს.

ამის შემდეგ ისევ იმეორებს დავალებას და აჯილდოებს მოსწავლეს წარმატებული მცდელობისათვის.

იმეორებს იმავე დავალებას დანარჩენი ორი ფერის აღსაქმელად.

სკოლის ტერიტორიაზე დამოუკიდებლად ორიენტირება

მასწავლებელი:

ურიგებს მოსწავლეებს სურათებს, სადაც არეულად არის სასკოლო გარემოსა და ოჯახური გარემოს ობიექტები. სთხოვს დაალაგონ, მხოლოდ სასკოლო გარემოს ამსახველი სურათები.

მოსწავლეებს ახსენებს სივრცით მიმართებებს (მარჯვენა, მარცხენა, ზევით, ქვევით) და სთხოვს ამოიცნონ თავიანთი მერხის მარცხნივ/მარჯვნივ, წინ/უკან მდებარე სხეულები ან დაასახელონ იქ მსხდომი მოსწავლეები. ეხმარება მოსწავლეებს მიმანიშნებელი კითხვებით.

თუ მაინც ვერ ახერხებს მოსწავლე, მასწავლებელი თავად ასახელებს/ამოიცნობს მითითებულს და ამის შემდეგ კვლავ იმეორებს დავალებას, სანამ მოსწავლე ვერ შეძლებს გაუმკლავდეს დავალებას.

გაიყვანს მოსწავლეებს დერეფანში და სთხოვს „იპოვონ,“ სად არის მათთვის მნიშვნელოვანი ობიექტები (მაგ., ბუფეტი, სველი წერტილი, მოსასვენებელი ოთახი, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა და სხვა). იქვე, დამატებითი შეკითხვებით, ახდენს სივრცითი მიმართებების

განმტკიცებას (მაგ., ბუფეტის მარჯვნივ რა არის? სპორტული დარბაზი შენგან მარჯვნივ არის თუ მარცხნივ? და სხვა).

მიღებული გამოცდილების განსამტკიცებლად სთხოვს მოსწავლეებს, მონიშნონ წინასწარ მომზადებულ სურათებზე კონკრეტული საგნის ზევით/ქვევით მდებარე სხეულები/ობიექტები.

თუ მაინც გაუჭირდება მოსწავლეს, ჯერ განამტკიცებს ერთ კონკრეტულ სივრცით მიმართებას (მაგ., რა დევს ... მარჯვნივ?) და მხოლოდ ამის შემდეგ გადადის სხვაზე.

სასპორტო დარბაზში მოსწავლის ჩართულობა

მასწავლებელი:

გეგმავს ღონისძიებებს და გასართობ თამაშებს, რომელშიც ეტლში მყოფი მოსწავლეც შეძლებს მონაწილეობის მიღებას. (მაგ., წრეში მსხდომი მოსწავლეები ერთმანეთს გადასცემენ ბურთს ისე, რომ ძირს არ დავარდეს. ერთი მოსწავლე, რომელსაც შეუძლია სირბილი, ცდილობს ძირს დავარდნილი ბურთი აიღოს და ჩაენაცვლოს ერთ-ერთს, წრეში მსხდომთაგან - ვისაც ბურთი დაუვარდა).

კონკრეტული მოსწავლისათვის შეარჩევს შესაბამისად ადაპტირებულ სასპორტო ინვენტარს (ეს უზრუნველყოფს ფიზიკური შეზღუდულობის მქონე მოსწავლეების ეფექტურ ჩართულობას).

მიმართავს მოსწავლეს წარმატებისკენ და უქმნის განწყობას - “შენ ამას შეძლებ”, “შენ ეს გამოგივა”, რაც უვითარებს საკუთარი თავის რწმენას (შექებით, მხარდაჭერით და წახალისებით). ეს დაეხმარება მოსწავლეს მოტივაციის გაზრდაშიც.

განიხილავს ამა თუ იმ ვარჯიშის შესრულებისას ბავშვების მიერ დაშვებულ შეცდომებს - გამოსწორების მიზნით (არ ასახელებს კონკრეტულ მოსწავლეს და არ აძლევს შენიშვნას, რადგან ეს დააქვეითებს მოტივაციას და გაუქრობს ვარჯიშის შესრულების ხარისხის გაუმჯობესების სურვილს).

საუბრის დროს ცდილობს, რომ მოსწავლის დონეზე, მის პირისპირ დაჯდეს და ისე მიმართოთ მას.

ასწავლის მოსწავლეს სასპორტო ოთახის კედელზე დამაგრებული მოაჯირების გამოყენებას, დამატებითი დახმარების მიზნით.

ითვალისწინებს, რომ ბავშვს შესაძლოა გაცილებით მეტი დრო დასჭირდეს სასპორტო დარბაზში შესასვლელად და გაკვეთილისათვის მოსამზადებლად.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად შეარჩევს სავარჯიშოს/ აქტივობას შემდეგი ელემენტების გათვალისწინებით:

რაციონალური, ოპერატიული საწყისი მდგომარეობა, სხეულის წონასწორობა და მდგომარეობა სივრცეში;

ფიზიკური მოქმედების ხანგრძლივობა (დამოკიდებულია მოსწავლის შესაძლებლობებზე);

მოძრაობის ტრაექტორია (მოძრაობის ფორმები, მიმართულება, ამპლიტუდა);

დროის ერთეული და მოქმედების შესრულების განმეორების სიხშირე (დამოკიდებულია მოსწავლის სწრაფ-ძალისმიერი მოქმედებების შესრულებაზე);

ფიზიკური მოქმედების პროცესში სხვადასხვა კუნთთა ჯგუფის თანმიმდევრული დატვირთვა;

სამოძრაო აპარატზე მოძრაობის სისტემატური შენაცვლება (მისაწვდომი ვარჯიშების გამოყენებით);

თანმიმდევრობითი, შეწყობილი და შეთანხმებული მოძრაობა დროის ერთეულში;

დაძაბვის და მოდუნების ფაზების ხანგრძლივობის რაციონალური შეთანხმება.

სპორტულ მოედანზე მოსწავლის ჩართულობა

მასწავლებელი:

ასწავლის მოსწავლეს არჩევანის გაკეთებას, გადაწყვეტილების მიღებას, საკუთარი თავისა და ინტერესების დაცვას. ასახელებს გუნდურ თამაშს და დეტალურად ხსნის ან ნახატების თანმიმდევრობით აჩვენებს მოსწავლეს თამაშის პირობებს და ეტაპებს, ნახატებითვე აჩვენებს მონაწილეების როლებს, თანაც თითოეულ მოსწავლეს აძლევს არჩევანის თავისუფლებას.

უხსნის მოსწავლეებს, როგორ ქცევას ელის მათგან. მაგ., გუნდური ასპარეზობის ან თამაშის დროს უხსნის, რა დანიშნულება აქვს ამ ინვენტარს და როგორ უნდა გამოიყენონ ის. მომზადებული აქვს შესაბამისი სურათები, რაც უფრო თვალსაჩინოს გახდის ინვენტარის დანიშნულებას.

უხსნის მოსწავლეებს (აჩვენებს სურათებით, რათა უფრო გასაგები იყოს), თუ რა ტიპის მოძრავ თამაშებს, სავარჯიშოებსა თუ სპორტულ ასპარეზობას უნდა დაეთმოს დრო სპორტის კონკრეტულ გაკვეთილზე.

ზრუნავს, რომ მოსწავლემ მართებულად გაიგოს მასწავლებლის მოთხოვნა და დავალება (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს პრობლემა, ფიზიკური აქტივობის შესრულებასთან ერთად, ხშირად, დავალებების, დირექტივების და რჩევების აღქმაშიც აქვთ).

ყოველთვის, უმნიშვნელო წარმატების შემთხვევაშიც კი, აქებს მოსწავლეს და ეუბნება, თუ რა გააკეთა მან კარგად და რატომ დაიმსახურა მისმა ქცევამ მოწონება.

ყოველთვის ყურადღებას ამახვილებს სხეულის კუნთების განვითარებაზე, ეხმარება ბავშვს მოძრაობაში, გადაადგილებაში და ბალანსის უნარის განვითარებაში.

ასწავლის, თუ როგორ გამოიყენოს ინვალიდის ეტლი ან დაიცვას წონასწორობა (თამაშის მეშვეობით და თამაშის დროს მოსწავლეები ადვილად იძენენ ცოდნას, სწავლობენ ურთიერთობებს, ისვენებენ და გამოხატავენ თავიანთ გრძნობებს - ყველა ბავშვს უნდა, რომ იმხიარულოს და ითამაშოს).

სითბოს გამომცემი ობიექტების ამოცნობა

მასწავლებელი:

გაიყვანს ეზოში მოსწავლეებს მზიან ამინდში და დააყენებს ისე, რომ მზის სხივები ხვდებოდეს მათ. ეკითხება თითოეულს, „რა იგრძნეს მზეში დადგომის შემდეგ?“ (მოსწავლეებმა უნდა თქვან, რომ მზემ ისინი გაათბო). აჯილდოებს ყოველ წარმატებულ მცდელობას.

დადებს მზეში ცივ წყლიან ჭიქას და გარკვეული დროის შემდეგ შეამოწმებინებს მოსწავლეებს წყლის ტემპერატურას (მოსწავლეებს უსვამს შეკითხვებს, რათა მივიდნენ პასუხამდე, რომ მზემ წყალი გაათბო). აჯილდოებს ყოველ წარმატებულ მცდელობას.

მოსწავლეებს მზიანი ადგილიდან გადაიყვანს ჩრდილში და ეკითხება, ისევ ისე ათბობს თუ არა მზე (მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ, რომ მზეში უფრო თბილოდა).

უხსნის მოსწავლეებს, რომ მზე გამოსცემს სითბოს და საღამოთი, მზის ჩასვლის შემდეგ, ისე აღარ თბილა. ამიტომაც, ზაფხულში, დღისით უფრო სასიამოვნოა ზღვაში ცურვა.

სიცივეში მოსწავლეებს მიიყვანს თბილ რადიატორებთან. სთხოვს, რომ ხელები დადონ რადიატორზე და ეკითხება, „რას გრძნობენ რადიატორზე ხელის დადებით?“ მოსწავლეები იგრძნობენ, რომ ხელი

გათბა და შესაბამისად, პასუხი უნდა იყოს, რომ „რადიატორი თურმე ხელს ათბობს“. აჯილდოებს წარმატებულ მცდელობას.

უხსნის მოსწავლეებს, რომ ოთახის გასათბობად იყენებენ რადიატორს, ბუხარს, კონდენციონერს და ა.შ.

სთხოვს, მოსწავლეებს (ვისაც რა გამოცდილება აქვს), ამოიცნოს ნახატებიდან, რითი შეიძლება გათბობა.

ეკითხება მოსწავლეებს: „თუ სცივათ და ოთახში მზე ანათებს, სად დადგებიან?“ მოსწავლეებს თუ მაინც არ ექნებათ პასუხი, მასწავლებელი მიიყვანს ოთახის მზიან ადგილას და აჩვენებს, რომ აქ უფრო თბილა.

თუ მზე არ ანათებს და მოსწავლეს სცივათ, აჩვენებს მათ, რომ რადიატორთან ახლოს მისვლით, ან მასზე ხელის დადებით შეიძლება გათბობა.

სინათლის გამომცემი ობიექტების ამოცნობა

მასწავლებელი:

ოთახში ჩამოაფარებს მუქ ფარდებს და აჩვენებს მოსწავლეებს ნახატებს, სთხოვს ამოიცნონ ნახატები (არა აქვს მნიშვნელობა, რისი ნახატი იქნება). შემდეგ აანთებს ნათურას და აძლევს მოსწავლეებს იმავე ნახატებს. სთხოვს უპასუხონ, როდის უფრო კარგად შეძლეს ამოცნობა? შემდეგ აანთებს მაგიდის ნათურას და იმავე შეკითხვას გაუმეორებს - უკეთ შეძლეს თუ არა ამოცნობა?

მოსწავლეებს უხსნის: „მათ უკეთ იმიტომ დაინახეს, რომ ნათურა ანათებს“. აჩვენებს მოსწავლეებს სინათლის გამომცემ სხვა ობიექტსაც - აანთებს სანთელს. სანთელი როგორც კი ჩაქრება, ნაკლები იქნება განათება.

გადასწევს საკლასო ოთახის ფარდებს (მნიშვნელოვანია, რომ მზიანი დღე იყოს), სთხოვს მოსწავლეს იმავე სურათებზე დაკვირვებას და მათ ამოცნობას. უსვამს შეკითხვას, რამ გაუადვილა სურათების ამოცნობა? მოსწავლე უნდა მიიყვანოს პასუხამდე, რომ ოთახის განათება მზის „დამსახურებაა“.

ურიგებს მოსწავლეებს წინასწარ მომზადებულ სურათებს და სთხოვს ამოიცნოს ის, რომელიც ანათებს (სურათებს შორის არის: ფარანი, სანთელი, ნათურა, მზე და სხვა მანათობელი ობიექტები. ასევე, ის ობიექტები, რომლებიც არ ანათებენ). აჯილდოებს მოსწავლეების ყოველ წარმატებულ მცდელობას.

უხსნის მოსწავლეებს, რომ მზე ანათებს, გარდა იმისა, რომ გვათბობს. ნათურაც ანათებს, სანთელიც და ა.შ. ღამით ოთახში თუ შუქს არ აანთებს, ის ვერაფერს დაინახავს. სინათლე საჭიროა, რომ დავინახოთ.

შუქის ანთების ან მაგიდის ნათურის ჩართვის დემონსტრირება. სთხოვს მოსწავლეს გაიმეოროს. წაახალისებს/აჯილდოებს წარმატებულ მცდელობას.

ხმაურის უარყოფითი როლის გაცნობიერება

მასწავლებელი:

მოსწავლეს მიიყვანს მუსიკალურ ინსტრუმენტთან (მაგ., პიანინო, გიტარა, დასარტყამი ინსტრუმენტი და ა.შ), უხსნის, რა არის და თავად ჩვენებს, რომ მუსიკალური ინსტრუმენტი ხმას გამოსცემს. სთხოვს

მოსწავლეს, გაიმეოროს. რამდენჯერმე გაამეორებინებს და ყოველ ჯერზე წაახალისებს წარმატებულ მცდელობას.

აჩვენებს მოსწავლეს პატარა ზანზალაკს (ზარს) და აჩვენებს, რომ ის ხმას გამოსცემს. სთხოვს მოსწავლეს, გაიმეოროს და აჯილდოებს წარმატებულ მცდელობას.

ასმენინებს მოსწავლეებს სხვადასხვა ტიპის ტრანსპორტის სიგნალს, დამუხრუჭების ხმას და სხვა ტიპის ხმაურის აუდიოჩანაწერს. სთხოვს ამოიცნოს. განიხილავს მოსწავლეებთან, რომ ტრანსპორტის სიგნალი მის მოახლოებაზე მეტყველებს, დამუხრუჭების ხმა კი გაზრდილ საფრთხეზე მიუთითებს. ასწავლის მოსწავლეებს, რომ ყოველთვის ყურადღებით და სიფრთხილის დაცვით იარონ ქუჩაში, თუნდაც, უფროსთან ერთად მოძრაობის დროს.

ასმენინებს მოსწავლეებს მუსიკალურ ნაწარმოებს და ეკითხება, რას გრძნობს (მოსწავლე თუ ვერ პასუხობს, ეხმარება - სასიამოვნოა, გვამშვიდებს, თრგუნავს უარყოფით განწყობას და ა.შ). აძლევს მითითებას, რომ ხშირად უსმინონ მუსიკას, რაც მათზე დადებითად იმოქმედებს.

უხსნის მოსწავლეებს ხმაურის უარყოფითი გავლენის შესახებ: იწვევს დაღლილობას, თავის ტკივილს, ხასიათის დაძაბვას და სხვა. აძლევს რჩევას, რომ მაქსიმალურად განერიდონ ხმაურს, რითაც მოიპოვებენ სიმშვიდეს.

ასწავლის მოსწავლეს ადეკვატურ რეაქციებს სხვადასხვა შემთხვევაში (მაგ., როგორ უნდა მოიქცეს: კაკუნის დროს, კარებზე ზარის დროს, ტელეფონის ზარის დროს, ძაღლის ყეფის ან სხვა ცხოველის ხმის გაგების შემთხვევაში და სხვ).

ათამაშებს მოსწავლეებს წინასწარ მომზადებული „ძაფიანი ასანთის კოლოფების ტელეფონით“, ბგერის გავრცელების სადემონსტრაციოდ (აუცილებელი არ არის მოსწავლე მოვლენის არსს ჩასწვდეს, მთავარია ითამაშოს და „იგრძნოს“).

საკუთარი სახელისა და გვარის დასახელება/ ჩვენება

მასწავლებელი:

იწერს მოსწავლის სახელსა და გვარს ხმის ჩამწერზე. უკეთებს მოსწავლეს ყურსასმენებს და დღის განმავლობაში რამდენჯერმე ასმენინებს თავის სახელს და გვარს.

დგება მოსწავლის პირისპირ, ასახელებს მის სახელს და ეკითხება: „რა გქვია?“. ჩართავს ხმის ჩამწერს და იწერს მოსწავლის პასუხს. აჯილდოებს სწორი პასუხის შემთხვევაში.

იმავე აქტივობებს იმეორებს გვარის შესასწავლად.

ხმის ჩამწერის გარეშე ეკითხება მოსწავლეს სახელს და საჭიროების შემთხვევაში კარნახობს სახელის პირველ ბგერას. ამცირებს დახმარების დოზას (კარნახს) და იმეორებს აქტივობას მანამ, სანამ მოსწავლე არ შეძლებს საკუთარი სახელის სრულად დასახელებას.

სკოლაში, 5 დღის განმავლობაში რამდენჯერმე, სხვადასხვა ადამიანი ეკითხება მოსწავლეს: რა ჰქვია მას. თავდაპირველად ეკითხება ერთი და იგივე ადამიანი (სასურველია), შემდეგ კი სხვადასხვა. ყველა მათგანი აჯილდოებს სწორი პასუხისთვის და საჭიროების შემთხვევაში კარნახობს პირველ ბგერას.

ადაპტაცია: იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არ შეუძლია მეტყველება, მას ასწავლის საკუთარი სახელის და გვარის ამოცნობას საკომუნიკაციო ბარათზე, ასევე, ჯიბიდან შესაბამისი ბარათის ამოღებას და ჩვენებას.

თამაშობს შემდეგი სახის თამაშს: ასახელებს რომელიმე მოსწავლის სახელს და აძლევს კონკრეტულ დავალებას (მაგ., „თუ შენი სახელია ნინო, დაუკარი ტაში“).

საკუთარი ან ოჯახის წევრის ტელეფონის ნომრის დასახელება/ჩვენება

მასწავლებელი:

აჩვენებს მოსწავლეს რვეულში ჩაწერილ ოჯახის წევრის ტელეფონის ნომერს და უხსნის, რომ ადამიანები იყენებენ ტელეფონს, რათა დაურეკონ ახლობლებს შესაბამის ტელეფონის ნომერზე. აკეთებს ტელეფონების პატარა წიგნაკს და სთხოვს მოსწავლეს, ამოიცნოს საკუთარი ოჯახის წევრის ტელეფონის ნომერი.

წერს ტელეფონის ნომერს დიდი ფორმატის ქაღალდზე და ხმამაღლა უსახელებს მოსწავლეს ნომერს, თან მიუთითებს რიცხვზე და სთხოვს გაიმეოროს. მოსწავლის მიერ ტელეფონის ნომრის უკეთ დამახსოვრების მიზნით, აჯგუფებს ნომერში შემავალ ციფრებს სამნიშნა რიცხვებად და ისე ასწავლის (მაგ: ნაცვლად 5 88 10 11 12, ასწავლის 588 101 112).

აფარებს ტელეფონის ნომერში შემავალი რიცხვების ერთ ჯგუფს ხელს და სთხოვს მოსწავლეს, დაასახელოს დამალული რიცხვის ჯგუფი. მაგალითად აჩვენებს ... 101 112 და სთხოვს გამოიცნოს პირველი ჯგუფი - 588. შემდეგ უმალავს მეორე ჯგუფს 588 .... 112 და სთხოვს გამოიცნოს 101. თუ მოსწავლე ვერ მოახერხებს დამალული რიცხვის გამოცნობას, გამოაჩენს და სთხოვს თავიდან ბოლომდე გაიმეოროს ტელეფონის ნომერი. იმეორებს აქტივობას მანამ, სანამ მოსწავლე ვერ შეძლებს სრული ნომრის დასახელებას.

სთხოვს მოსწავლეს, ამოარჩიოს წინასწარ გამზადებული ციფრთა გროვიდან ციფრები (რომელიც შედის მისი ოჯახის წევრის ნომერში) და ააწყოს ტელეფონის ნომერი.

ესაუბრება მოსწავლეებს ოჯახის წევრის ტელეფონის ნომრის ცოდნის აუცილებლობის შესახებ, იმ შემთხვევისათვის, თუ დაიკარგებიან. ასევე, უხსნის, ვის შეიძლება გაუზიაროს ტელეფონის ნომერი.

თამაშობს შემდეგი სახის თამაშს: ასახელებს რომელიმე მოსწავლის სახელს და აძლევს კონკრეტულ დავალებას. მაგ., „თუ შენი ტელეფონის ნომერია ... , დაუკარი ტაში“.

სასურველია: მასწავლებელმა და სხვა ადამიანებმა სხვადასხვა გარემოებაში ჰკითხონ მოსწავლეს ოჯახის წევრის ტელეფონის ნომერი და დააჯილდოონ სწორი პასუხის შემთხვევაში.

ადაპტაცია: იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არ შეუძლია მეტყველება, მას ასწავლის საკუთარი ოჯახის წევრის ტელეფონის ნომრის ამოცნობას საკომუნიკაციო ბარათზე, ასევე, ჯიბიდან შესაბამისი ბარათის ამოღებას და ჩვენებას.

სახლის მისამართის დასახელება/ჩვენება

მასწავლებელი:

უხსნის მოსწავლეებს საკუთარი სახლის მისამართის ცოდნის მნიშვნელობას. აჩვენებს მოსწავლეებს სახლებზე დაწერილ სხვადასხვა ქუჩის დასახელებებს და ნომრებს.

წერს მოსწავლის სახლის მისამართს დიდი ფორმატის ქაღალდზე და სთხოვს მოსწავლეს, მასთან ერთად გაიმეოროს ქუჩის სახელი, ნომერი და ქალაქი, პარალელურად მიუთითებს დაწერილ სიტყვებზე.

მალავს ქაღალდზე დაწერილ ქალაქის სახელს, ასახელებს მოსწავლის სახელს და ეკითხება: „რომელ ქალაქში ცხოვრობ?“ იმავეს იმეორებს ქუჩის დასახელების და ქუჩის ნომრის ამოცნობის შემთხვევაში.

უხსნის მოსწავლეებს, ვის შეიძლება გაუზიარონ სახლის მისამართი.

იყენებს დიდი ზომის რუკას, რომელზეც გამოსახული იქნება სკოლა და სკოლასთან მიმართებაში სხვადასხვა მოსწავლის სახლების განლაგება. ამაგრებს ჭიკარტებს სახლების ადგილას და წერს მოსწავლეების მისამართებს.

თამაშობს შემდეგი სახის თამაშს: ასახელებს რომელიმე მოსწავლის სახელს და აძლევს კონკრეტულ დავალებას. მაგ., „თუ შენი სახლის მისამართია ... , დაუკარი ტაში“.

სასურველია: მასწავლებელმა და სხვა ადამიანებმა სხვადასხვა გარემოებაში ჰკითხონ მოსწავლეს სახლის მისამართი და სწორი პასუხის შემთხვევაში დააჯილდოონ.

ადაპტაცია: იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არ შეუძლია მეტყველება, მას ასწავლის საკუთარი სახლის მისამართის ამოცნობას საკომუნიკაციო ბარათზე, ასევე, ჯიბიდან შესაბამისი ბარათის ამოღებას და ჩვენებას.

ოჯახის წევრის ტელეფონის ნომრის აკრეფა

მასწავლებელი:

წერს მოსწავლის ოჯახის წევრის ტელეფონის ნომერს ბარათზე.

აძლევს მოსწავლეს ტელეფონს და ეხმარება ნომრის აკრეფაში ფიზიკურად.

აძლევს მოსწავლეს ბარათს, რომელზეც დაწერილი იქნება ტელეფონის ნომერი და სთხოვს, ტელეფონის კლავიატურაზე აკრიფოს ბარათზე დაწერილი რიცხვების შესაბამისი ციფრები, თანმიმდევრობის დაცვით. სთხოვს ხმამაღლა დაასახელოს ციფრები.

უხსნის მოსწავლეებს, რომ თუ ზარის განხორციელება ვერ ხერხდება, შესაძლოა ადამიანს გამორთული აქვს ტელეფონი, ან საუბრობს სხვასთან, ან დაკავებულია და ვერ პასუხობს ტელეფონს. ასწავლის, რომ გაიმეოროს (სცადოს) დარეკვა მოგვიანებით.

„დაკარგვის შემთხვევაში ქცევის წესების“ ათვისება

მასწავლებელი:

ჩამოწერს იმ პროცედურების სიას, რომლებიც უნდა განახორციელოს ბავშვმა იმ შემთხვევაში, თუ დაიკარგება.

თითოეული პროცედურის დასახელებას მიაკრავს შესაბამის ბარათს, გამოსახულებით (თვალსაჩინოებას).

უხსნის მოსწავლეს, ვის შეიძლება მიმართოს დასახმარებლად.

პროცედურების თანმიმდევრობა:

მოძებნოს შესაბამისი მოზრდილი ადამიანი, ვისაც აცნობებს, რომ დაიკარგა.

უთხრას/აჩვენოს მას საკუთარი სახელი და გვარი, მისამართი და ოჯახის წევრის ტელეფონის ნომერი.

უთხრას/აჩვენოს მისამართი, სად შეიძლება იყვნენ მისი მშობლები.

განიხილავს ზემოთ აღწერილ პროცედურებს მანამ, სანამ ის კარგად ნაცნობი არ გახდება მოსწავლეებისათვის.

გაითამაშებს სცენას, სადაც ერთ-ერთი მოსწავლე ითამაშებს დაკარგულის, მეორე კი პოლიციელის როლს. როდესაც მოსწავლე „დაიკარგება," ეხმარება მას, მივიდეს პოლიციელთან და უთხრას ყველა საჭირო ინფორმაცია.

მოიწვევს ადგილობრივ პოლიციელს და გაითამაშებს სცენას მასთან ერთად.

წაიყვანს მოსწავლეებს სხვადასხვა ადგილას და გაითამაშებს დაკარგვის სცენას, რათა მოსწავლეებმა შეძლონ ნასწავლის სხვა სიტუაციაში გამოყენება.

მოსწავლის მიერ ძირითადი საფრთხეების ამოცნობა

მასწავლებელი:

უხსნის მოსწავლეებს, რა შეიძლება წარმოადგენდეს სახლის პირობებში ძირითადი საფრთხის წყაროს.

ამზადებს მათთან ერთად წიგნაკს, რომელშიც ჩაკრული იქნება ძირითადი საფრთხეების გამომსახველი ბარათები (ბასრი ნივთები, ასანთი, შუშები და ა.შ.).

განიხილავს მოსწავლეებთან ერთად, თუ რატომ არის ესა თუ ის ნივთი საფრთხის შემცველი.

დამალავს ბარათს, აღუწერს მოსწავლეს მასზე გამოხატულ ობიექტთან დაკავშირებულ საფრხეს და ეხმარება გამოიცნოს. სწორი პასუხის შემთხვევაში აჩვენებს ბარათს და აჯილდოებს.

აჩვენებს მოსწავლეს ბარათს და სთხოვს აღწეროს, რა სახის საფრთხე შეიძლება იყოს მასთან დაკავშირებული.

საკლასო ოთახში საფრთხის შემცველი სიტუაციების სიმულირებით აჩვენებს მოსწავლეებს, რა შეიძლება მოხდეს, მაგ., იმ შემთხვევაში, თუ ოთახში დატოვებენ იატაკზე დაყრილ სათამაშოებს (ან სხვა ნივთებს) და სინათლე ჩაქრება, მათ შეიძლება ფეხი გაუცურდეთ, დაეცნენ და რაიმე დაიზიანონ.

საფრთხის შემცველი სიტუაციებისაგან თავის არიდება

მასწავლებელი:

მოსწავლეებთან ერთად განიხილავს საფრთხის შემცველ სიტუაციებს. მაგ., ცხელი ღუმელი, უთო, ბასრი საგნები და ა.შ. უხსნის მათ, რა საფრთხე შეიძლება უკავშირდებოდეს ამ ნივთებს.

დღის განმავლობაში რამდენჯერმე უსახელებს მოსწავლეებს სხვადასხვა ნივთს და სთხოვს აღწერონ, რა საფრთხეს შეიცავს ის.

ჯილდოებს მოსწავლეს სწორი პასუხის შემთხვევაში, ასევე, საფრთხისგან თავის არიდების მცდელობის შემთხვევაში.

ხანძრის/მიწისძვრის შემთხვევაში დადგენილი წესების და პროცედურების ათვისება

მასწავლებელი:

აჩვენებს მოსწავლეებს სკოლის და საკლასო ოთახის კედლებზე გამოკრულ წესებს ხანძრის/მიწისძვრის შემთხვევაში მოქცევის შესახებ. საუბრობს მათთან, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ წესების ცოდნას და დაცვას.

განიხილავს შემდეგ საკითხებს:

ა) როგორი ხმა აქვს ხანძრის განგაშის სიგნალს?

ბ) რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ხანძრისას? (შენობის დატოვება);

გ) რა გზით შეგვიძლია დავტოვოთ შენობა ყველაზე სწრაფად? (ვიცოდეთ უახლოესი გასასვლელის ადგილმდებარეობა);

დ) რა უნდა გავაკეთოთ, სანამ ოთახს დავტოვებთ? (დავხუროთ ფანჯრები და ჩავაქროთ სინათლე);

განასახიერებს ხანძრის სცენას და ეხმარება მოსწავლეებს ქმედებების არჩევანის გაკეთებაში და მათი განხორციელების თანმიმდევრობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში.

მოსწავლეებთან ერთად შემოივლის სკოლის შენობას და აჩვენებს მათ გასასვლელებს, აკეთებს გასასვლელების სიას.

ხანძრის და მიწისძვრის სიმულაციას ახორციელებს რამდენჯერმე – გარკვეული პერიოდულობით, რათა მოხდეს განსახორციელებელი ქმედებების თანმიმდევრობის განმტკიცება.

საფრთხის შემცველი/აკრძალული ნივთების ამოცნობა

მასწავლებელი:

განიხილავს მოსწავლეებთან იმ ძირითად ნივთებს, რომელთა პირის ლორწოვან გარსთან შეხება საფრთხის შემცველია: ელექტროსადენები, ქიმიური ფანქრები, კალმები, წვეტიანი ან ტოქსიკური მასალისაგან დამზადებული ჯოხები, მყარი ნივთიერება, რომელიც შესაძლოა ჰგავდეს საკვებს, მაგრამ არ იყოს საკვები და ა.შ.

თამაშობს მოსწავლეებთან ერთად: ასახელებს ნივთს და ეუბნება მათ, რომ თქვან „დიახ“ ან ასწიონ ხელი (მათ, ვისაც უჭირს მეტყველება), იმ შემთხვევაში თუ დასახელებული ნივთის პირში ჩადება შეიძლება და თქვან „არა“ თუ არ შეიძლება. თანმიმდევრულად უსახელებს მოსწავლეებს სხვადასხვა საგანს/ნივთს და წაახალისებს, რომ განმარტონ: „დიახ, რადგან ის საჭმელია“ ან „არა, რადგან ის საჭმელი არ არის“.

ამზადებს ტომარა თოჯინას დიდი პირით. მოაგროვებს სხვადასხვა ნივთს და თამაშობს ზემოთ აღწერილ თამაშს. თუ ნივთი იქნება საკვები, აგდებს ტომარაში, თუ არა - გადადებს გვერდით.

ავტომობილში და ავტობუსში უსაფრთხო ქცევის ძირითადი წესების დაცვა

მასწავლებელი:

უხსნის მოსწავლეებს: ერთი ადგილიდან მეორეზე გადასაადგილებლად საჭიროა უსაფრთხოების გარკვეული წესების დაცვა.

უხსნის ავტომობილში უსაფრთხოდ მოქცევის ძირითად წესებს:

ა) ღვედის შეკვრა;

ბ) კარის დახურვა;

გ) ხელების დაწყობა ფანჯრისგან მოშორებით;

დ) ხელების დაწყობა მძღოლისგან მოშორებით.

უხსნის მოსწავლეებს ავტობუსში უსაფრთხოდ მოქცევის ძირითად წესებს:

ა) ავტობუსში ასვლა რიგის დაცვით;

ბ) ასვლისთანავე ადგილის დაკავება/დაჯდომა;

გ) ღვედის შეკვრა;

დ) ავტობუსის მოძრაობისას ჯდომა;

ე) ფეხების და ხელების დაწყობა კარისგან მოშორებით;

ვ) მძღოლთან უსარგებლო საუბრისათვის თავიდან არიდება.

უცხო ადამიანებთან სიფრთხილის გამოჩენა (არ ჩაუჯდეს მანქანაში უცნობს, არ გაჰყვეს უცნობ ადამიანს და ა.შ)

მასწავლებელი:

მოსწავლეებთან განიხილავს, რატომ უნდა უთხრან უარი უცხო ადამიანებს მანქანაში ჩაჯდომაზე. უხსნის, რომ უცხო ადამიანმა შესაძლოა ზიანი მიაყენოს მათ. ასწავლის მოსწავლეებს, რა შეიძლება უპასუხონ უცხოს, რომელიც მანქანაში ჩაჯდომას შესთავაზებს, ან შეეხება მათ.

მიჰყავს (შესაძლებლობის ფარგლებში) მოსწავლეები ისეთ ადგილას, სადაც ბევრი უცხო ადამიანი და მანქანა იქნება. განიხილავს შესაძლო საფრთხეებს.

ახდენს სიტუაციების სიმულირებას: მაგ., ეუბნება მოსწავლეს, რომ ის იქნება უცხო ადამიანის როლში. უახლოვდება მოსწავლეს და სთავაზობს მანქანაში ჩაჯდომას. სიტუაციას გაითამაშებს მანამ, სანამ მოსწავლე არ შეძლებს თქვას „არა, მე არ ჩავჯდები უცხო ადამიანთან ერთად მანქანაში“ ან უბრალოდ „ არა, არ ჩავჯდები“.

ცვალიან როლებს და ჩართავს სხვა მოსწავლეებსაც.

მოსწავლეებისთვის უცხო ადამიანს სთხოვს ვიდეოგადაღებაში მონაწილეობის მიღებას. გადაიღებს ვიდეოს, სადაც უცხო ადამიანი უახლოვდება ბავშვს და სთავაზობს მას მანქანაში ჩაჯდომას ან/და გაყოლას. ბავშვი უარს ეუბნება. აჩვენებს მოსწავლეებს ვიდეოს და განიხილავს სიტუაციას.

მეგობრებისა და „მეგობრული“ უცხოების განსხვავება (როგორ უნდა მოიქცეს უცნობებთან)

მასწავლებელი:

უხნის მოსწავლეს, რომ ყველა, ვინც მისი სახელი იცის, არ არის მეგობარი.

მოსწავლეს უხსნის განსხვავებას უცხოებისგან გამოვლენილ მისაღებ და მიუღებელ ქცევებს შორის.

უხსნის მოსწავლეს, თუ მას უცხო ადამიანი მიუახლოვდება, დაელაპარაკება აგრესიულად, შეეხება მას ან/და დააპირებს მის წაყვანას, მოსწავლემ უნდა:

ა) დაიყვიროს;

ბ)უთხრას უფროსს (მასწავლებელს, პოლიციელს, მშობელს, სკოლის წარმომადგენელს ან ვინმე სხვას);

გ) გაიქცეს.

გასაღების გამოყენება და საკეტის გახსნა

მასწავლებელი:

უხსნის მოსწავლეებს, რატომ არის საჭირო კარის ჩაკეტვა.

გასაღების გამოყენების დემონსტრირება - აჩვენებს, როგორ უნდა დაიჭირონ ხელში გასაღები, როგორ უნდა გაუკეთონ ის საკეტს და რომელი მიმართულებით უნდა გადაატრიალონ გაღებისა და დაკეტვის მიზნით.

ეხმარება მოსწავლეს ფიზიკურად გასაღების საკეტში მოთავსებასა და გადატრიალებაში.

მას შემდეგ, რაც მოსწავლე შეძლებს გასაღების საკეტში მოთავსებას და გადატრიალებას, ასწავლის მას სახელურის ჩამოწევას (არსებობს სახელურები, რომელსაც ესაჭიროება გვერდზე გადატრიალება, რათა კარი გაიხსნას.)

ავარჯიშებს მოსწავლეს სხვადასხვა სახის საკეტებზე.

მოსწავლის მიერ მომწამვლელი ნივთიერების იარლიყის ამოცნობა

მასწავლებელი:

აჩვენებს მოსწავლეს მომწამვლელი ნივთიერებების იარლიყებს და განიხილავს მათ მნიშვნელობას.

უხსნის მოსწავლეებს, რომ ამ ნივთიერებებმა შესაძლოა სერიოზულად დააზიანოს ისინი, თუ მას დალევენ, შეჭამენ, ან თუნდაც შეეხებიან.

განიხილავს ფაქტს, რომ მათ აუცილებლად უნდა უთხრან უფროსს, თუ შემთხვევით შეეხებიან ან დალევენ/შეჭამენ მომწამვლელ ნითიერებას.

უხსნის მოსწავლეებს, რომ ისინი შეიძლება მოიწამლონ იმ შემთხვევაშიც, თუ დალევენ/შეჭამენ რაიმეს ჭურჭლიდან, რომელსაც არ ექნება იარლიყი „საკვებად ვარგისი“.

თუ შესაძლებელია, შეურევს რომელიმე ორ ნივთიერებას, რათა მოხდეს ქიმიური რეაქცია (მაგ., სოდისა და მაწვნის, ან სოდისა და ძმრის ერთმანეთში არევა, ან სხვ.). უხსნის მოსწავლეებს, რომ მათ სხეულშიც მოხდება მსგავსი პროცესში (რეაქცია) და ისინი სერიოზულ დისკომფორტს იგრძნობენ იმ შემთხვევაში, თუ არასასურველი ნივთიერება მოხვდება მათ პირის ღრუში და შესაბამისად, ორგანიზმში.

ეკითხება მოსწავლეებს, რას ნიშნავს შემდეგი იარლიყები. ერთად განიხილავენ და უხსნის:

ა) „საზიანოა“;

ბ) „არ შეეხოთ“;

გ) „არ შეჭამოთ“;

დ) „საწამლავია“.

გარემოში გამაფრთხილებელი ნიშნების ამოცნობა

მასწავლებელი:

გაიყვანს მოსწავლეებს ქუჩაში და აჩვენებს სხვადასხვა გამაფრთხილებელი ნიშანს. უხსნის მათ მნიშვნელობას („სდექ“, „გასასვლელი არ არის“, „მაღალი ძაბვა“, „არ მიეყრდნოთ“ და სხვა).

უხსნის მოსწავლეებს, რატომ არის ეს ნიშნები გამოყენებული და რა შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ გამაფრთხილებელ ნიშნებს ყურადღებას არ მიაქცევენ.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან გამაფრთხილებელ ნიშნებს, სთხოვს მათ, ახლომდებარე ტერიტორიაზე აღმოაჩინონ მსგავსი ნიშნები. აჯილდოებს მას, ვინც დამოუკიდებლად შეძლებს ასეთი ნიშნის აღმოჩენას.

ამზადებს წიგნს, რომელშიც ჩაკრული იქნება სხვადასხვა გამაფრთხილებელი ნიშნები და სისტემატურად განიხილავს კლასში.

ქუჩის ცხოველებისა და მწერებისაგან თავის არიდება, ასევე საჭიროებისას დახმარების თხოვნა

მასწავლებელი:

უხსნის მოსწავლეებს, რატომ უნდა აარიდონ თავი მწერებს და ქუჩაში მცხოვრებ ცხოველებს. უხსნის, რა საფრთხე შეიძლება გამოიწვიოს მწერის/ცხოველის ნაკბენმა.

ასწავლის, რა უნდა მოიმოქმედონ იმ შემთხვევაში, თუ მწერი/ცხოველი უკბენთ:

უთხრან უფროს ადამიანს ამის შესახებ;

დაურეკონ მშობელს/ უფროს ადამიანს (ექიმს) და უთხრან მომხდარის შესახებ;

ჩამოიბანონ ნაკბენი ადგილი წყლით და საპნით;

დაიმახსოვრონ, როგორ გამოიყურება ცხოველი.

გაავარჯიშებს მოსწავლეებს დაკვირვების უნართან დაკავშირებით - აჩვენებს მათ ძაღლის სურათს, შემდეგ დამალავს სურათს და სთხოვს აღწერონ, რა დაინახეს. ჩამოწერს მათ პასუხებს დაფაზე. ისევ აჩვენებს სურათს და ეკითხება, რა დეტალების დამატება შეიძლება სიაზე.

იმეორებს აქტივობას რამდენჯერმე, სხვადასხვა სურათის გამოყენებით. უხსნის მოსწავლეებს, რატომ არის მნიშვნელოვანი იმ ცხოველის ზუსტი აღწერა, რომელმაც ადამიანს უკბინა.

უხსნის, როგორ აირიდონ თავიდან მწერის კბენა და როგორ მოიქცნენ იმ შემთხვევაში, თუ მაინც უკბენს.

ეკითხება, უკბენია თუ არა რომელიმე მათგანისთვის ფუტკარს.

ჩამოწერს ფუტკრის კბენის დროს განსახორციელებელ ქმედებებს/საფეხურებს:

უნდა უთხრან უფროსს მომხდარის შესახებ;

უნდა გადაისვან მყარი საგანი ნაკბენ ადგილას;

თუ მოახერხებენ, დაიდონ საკვებად გამოსაყენებელი სოდისა და წყლისაგან დამზადებული მასა ნაკბენ ადგილას.

ახდენს ფუტკრის კბენის შემდეგ განსახორციელებელი აქტივობის იმიტაციას - აძლევს მოსწავლეებს საკვებად გამოსაყენებელ სოდას და წყალს, ეხმარება ერთმანეთში არევით დაამზადონ მასა, შემდეგ კი დაიდონ იქ, სადაც ნაკბენი აქვთ, მაგალითად, მაჯაზე.

გადაუდებელი შემთხვევების დროს 112-ში დარეკვა

მასწავლებელი:

უხსნის მოსწავლეებს, რომ ზოგ შემთხვევაში საჭიროა მოვითხოვოთ დახმარება სხვა ადამიანებისაგან და სპეციალისტებისაგან.

ჩამოთვლის სიტუაციებს: ხანძარი, მიწისძვრა, წყალდიდობა, ადამიანის ცუდად გახდომა.

ასწავლის, როგორ აკრიფონ ტელეფონზე ნომერი 112.

უხსნის მოსწავლეს: 112-ში დარეკვისას თქვას საკუთარი სახელი, გვარი, ასაკი, მისამართი, სადაც დახმარება უნდა მოვიდეს და ახსნას, რატომ რეკავს.

გაითამაშებს სიტუაციას: ადამიანი გახდა ცუდად. სთხოვს რომელიმე მოსწავლეს, დარეკოს 112-ში და მიაწოდოს ინფორმაცია ამის შესახებ.

საკუთარ სახელზე რეაგირება

მასწავლებელი:

აძლევს მოსწავლეს მისთვის უცნობ ნივთს. პროცესში, როდესაც მოსწავლე ათვალიერებს ნივთს, მიმართავს მას სახელით. თუ მოსწავლე არ მოახდენს რეაგირებას 5 წამის განმავლობაში, ჰკიდებს მოსწავლეს ხელს სახეზე (ლოყებზე) და შემოატრიალებს მის თავს თავისკენ.

თანდათანობით ამცირებს ფიზიკურ დახმარებას მანამ, სანამ მოსწავლე დამოუკიდებლად არ შეძლებს საკუთარი სახელის გაგონების შემთხვევაში რეაგრებას.

ასახელებს მოსწავლის სახელს სხვადასხვა აქტივობის განხორციელებისას (მუსიკის მოსმენა, კლასელებთან თამაში, ხატვა).

დაწერს მოსწავლის სახელს ბარათზე და სახელით მიმართვის დროს აჩვენებს მას მის სახელს და სთხოვს შეასრულოს კონკრეტული აქტივობა. ყველა მოსწავლეს შეუძლია დაიმახსოვროს, როგორ გამოიყურება მისი სახელი.

მისალმებაზე რეაგირება და მისალმება

მასწავლებელი:

ასახელებს მოსწავლის სახელს და ამბობს: „ნინო, გამარჯობა, როგორ ხარ?“ თუ მოსწავლე 10 წამის განმავლობაში არ მოახდენს რეაგირებას, მასწავლებელი ჰკიდებს მას ხელს სახეზე (ლოყებზე) და ატრიალებინებს მოსწავლეს თავს მისკენ.

იმეორებს პირველ აქტივობას მანამ, სანამ მოსწავლე არ შეხედავს მას ფიზიკური დახმარების გარეშე. როდესაც მოსწავლე შეხედავს მას, სთხოვს თქვას „გამარჯობა“. თუ მოსწავლე არ რეაგირებს, შეტრიალდება და იმეორებს იმავე აქტივობას რამდენიმე წუთში (მაქსიმუმ 2 წუთში).

იმეორებს მეორე აქტივობას, იმ განსხვავებით, რომ სიტყვა: გამარჯობის“ ნაცვლად ამბობს საწყის მარცვლებს: „გამა...“

ესალმება ყველა მოსწავლეს სათითაოდ დილით და სთხოვს მათ იმავეს გაკეთებას.

როდესაც მოსწავლე შეძლებს მიესალმოს მასწავლებელს, შესაძლოა შემოიყვანოს დანარჩენი მოსწავლეები საკლასო ოთახში და სთხოვოს მათ, მიესალმონ ერთმანეთს.

ამეორებინებს აქტივობებს მოსწავლეს დღის ბოლოს.

ფრაზების “გთხოვთ“ და „მადლობა“ გამოყენება

მასწავლებელი:

იყენებს სიტყვებს „გთხოვთ“ და „მადლობა“ სხვადასხვა აქტივობის განხორციელებისას (საუზმისას, თამაშისას, მეცადინეობისას და ა.შ).

რთავს მოსწავლეებს როლურ თამაშებში და წაახალისებს ამ ფრაზების გამოყენებას.

სთხოვს მოსწავლეს გამოიყენოს სიტყვა „გთხოვთ“ და “მადლობა“ ყოველდღიურობაში, სხვადასხვა სიტუაციაში. აკვირდება და აჯილდოებს წარმატებულ მცდელობებს.

დამოუკიდებლად თამაში

მასწავლებელი:

აძლევს მოსწავლეს მისთვის საინტერესო სათამაშოებს და აკვირდება, შეუძლია თუ არა დაკავდეს სათამაშოებით (თამაშით) უფროსის ზედამხედველობის გარეშე.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე გამოავლენს შესაბამის ქცევას, მასწავლებელი აჯილდოებს მას.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე დამოუკიდებლად არ ერთვება თამაშში, იწყებს მასთან თამაშს, მოსწავლისთვის ყველაზე მეტად საინტერესო სათამაშოს გამოყენებით, 15 წუთის განმავლობაში.

ცდილობს გაზარდოს თამაშის დრო ისე, რომ თავად მინიმალურად იყოს ჩართული თამაშში. აგრძელებს აქტივობებს მანამ, სანამ მოსწავლე არ შეძლებს დამოუკიდებლად თამაშს.

თამაშის აქტივობების იმიტაცია

მასწავლებელი:

ჯდება იატაკზე ან მერხთან მოსწავლესთან ერთად და წამოიწყებს სათამაშოთი თამაშს, ასახელებს მოსწავლის სახელს და ამბობს: „ნინო, გააკეთე ასე“. დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მოსწავლეს იგივე სათამაშო აქვს ხელში და მზად არის აქტივობის დასაწყებად. თუ მოსწავლე იწყებს თამაშს, აჯილდოებს მას.

თუ მოსწავლე არ ახდენს თამაშის იმიტირებას, ჰკიდებს მას ხელზე ხელს და უწევს ფიზიკურ დახმარებას, ამეორებინებს სათამაშოს გამოყენებით იმავე მოძრაობას ფიზიკური დახმარებით.

თანდათან ანახევრებს ფიზიკურ დახმარებას და სთხოვს მოსწავლეს, გაიმეოროს მის მიერ განხორციელებული აქტივობები.

აგრძელებს აქტივობებს მანამ, სანამ მოსწავლე არ შეძლებს მისი მოძრაობების განმეორებას ვერბალური ინსტრუქციის პირობებში.

პარალელური თამაში

მასწავლებელი:

დასვამს მოსწავლეებს ერთმანეთთან ახლოს, ულაგებს წინ კუბიკებს, ასახელებს სახელს და სთხოვს ითამაშონ. თუ მოსწავლეები არ დაიწყებენ კუბიკებით თამაშს 10 წამის განმავლობაში, ახდენს მათთვის მოდელირებას. დაინიშნავს დროს - 15 წამს და აჯილდოებს იმ მოსწავლეს, რომელიც ამ დროის განმავლობაში წამოიწყებს კუბიკებით თამაშს.

იმეორებს პირველ აქტივობას, იმ განსხვავებით, რომ ზრდის დროს 30 წამიდან 6 წუთამდე.

აგრძელებს აქტივობის განმეორებას მანამ, სანამ მოსწავლეები არ შეძლებენ ერთმანეთის გვერდიგვერდ თამაშს 10 წუთის განმავლობაში.

სათამაშოს თანატოლისთვის გაზიარება

მასწავლებელი:

აწყვილებს მოსწავლეს ისეთ მოსწავლესთან, რომელსაც შეუძლია სათამაშოს გაზიარების მოდელირება. აძლევს მოდელ მოსწავლეს სათამაშოს და სთხოვს, მისცეს მეწყვილეს. აჯილდოებს მოდელ მოსწავლეს გაზიარებისთვის.

მას შემდეგ, რაც არამოდელი მოსწავლე დაათვალიერებს სათამაშოს 15 წამის განმავლობაში, სთხოვს მას დაუბრუნოს მოდელ მოსწავლეს სათამაშო. მასწავლებელი ასახელებს მის სახელს: „ნინო, მიეცი სათამაშო გიორგის“.

თუ მოსწავლე არ მოახდენს რეაგირებას 15 წამის განმავლობაში, მასწავლებელი, ვერბალურ ინსტრუქციასთან ერთად ჰკიდებს მოსწავლეს ხელს იმ ხელზე, რომელშიც მას სათამაშო უჭირავს და მიმართავს მოდელი მოსწავლისაკენ, რათა გადასცეს სათამაშო. მას შემდეგ, რაც მოდელი მოსწავლე დაათვალიერებს სათამაშოს 15 წამის განმავლობაში, ისევ სთხოვს დაუბრუნოს არამოდელ მოსწავლეს სათამაშო: „გიორგი, დაუბრუნე ნინოს სათამაშო“.

იმეორებს პირველ აქტივობას და ამცირებს ფიზიკურ დახმარებას მანამ, სანამ მოსწავლე არ შეძლებს დამოუკიდებლად გაუწოდის სათამაშო თანატოლს, ვერბალური ინსტრუქციის შემთხვევაში.

აქტივობის განმეორება შესაძლებელია გაკვეთილების განმავლობაში სხვადასხვა ნივთის (წიგნი, კალამი) გამოყენებით.

თანატოლებთან ურთიერთობის ინიციატივა

მასწავლებელი:

აკვირდება მოსწავლეს თავისუფალ დროს, სხვა (სამ ან ოთხ) მოსწავლესთან ერთად ყოფნისას. წაახალისებს მოსწავლეს, რომ მან შესთავაზოს სხვა მოსწავლეებს თავისი სათამაშო.

10 წამის განმავლობაში თუ მოსწავლე არ იჩენს ინიციატივას, მასწავლებელი ფიზიკურად ეხმარება მას: მოჰკიდებს ხელს იმ ხელზე, რომელშიც მოსწავლეს სათამაშო უჭირავს, მიიყვანს მოსწავლეს თანატოლთან და დაეხმარება სათამაშოს გაწვდენაში. ვერბალურად აჯილდოებს ორივე მოსწავლეს.

იმეორებს პირველ აქტივობას და აჯილდოებს მოსწავლეს იმ შემთხვევაში, თუ მისცემს სათამაშოს სხვებს მხოლოდ ვერბალური ინსტრუქციის პირობებში.

სთხოვს მოსწავლეს შესთავაზოს სათამაშო სხვა მოსწავლეს, ნებისმიერ თავისუფალ დროს. აკვირდება და აჯილდოებს მოსწავლეს მაშინვე, როგორც კი ის შესთავაზებს სათამაშოს სხვა მოსწავლეს.

თანამშრომლური (თანამშრომლობითი) თამაში

მასწავლებელი:

დასვამს მოსწავლეებს წრეზე თავისუფალი დროის განმავლობაში ისე, რომ მათ შეეძლოთ ერთმანეთის სახის დანახვა.

ა) აძლევს მოსწავლეებს ინსტრუქციას ერთად ითამაშონ სათამაშოს გამოყენებით.

ბ) ფიზიკურად ეხმარება მოსწავლეებს, სათანადო მოძრაობის განხორციელებაში და ახდენს სასურველი ქცევის მოდელირებას.

გ) აჯილდოებს მოსწავლეებს, რომლებიც ერთად ითამაშებენ.

დ) სთხოვს მოსწავლეებს, შეარჩიონ კონკრეტული სათამაშო შესაბამისი ყუთიდან და ითამაშონ ერთად.

ე) ტოვებს ტერიტორიას, შემოდის დაახლოებით 3-4 წუთის შემდეგ და აჯილდოებს იმ მოსწავლეებს, რომელებიც იმ მომენტში ერთად თამაშობენ.

ვ) თანდათანობით ზრდის ჯილდოს მიწოდების შუალედს: 6 წთ., 8 წთ., 10 წთ., ერთად თამაშისთვის.

თანამშრომლობითი თამაში გულისხმობს შემდეგ კომპონენტებს:

ა) პოზიტიური რეპლიკები სხვა მოსწავლეების მიმართ;

ბ) სათამაშოების გაზიარება კლასელებისთვის ისე, რომ მოსწავლე თავადაც ეხებოდეს სათამაშოს რაიმე ნაწილს;

გ) სხვა მოსწავლეების (მუნიმუმ ოთხი მოსწავლის) თამაშში მოწვევა და სათამაშოს გაზიარების შეთავაზება.

სარეკომენდაციო თემები

ინტელექტუალური განვითარების მძიმე და ღრმა დარღვევების მქონე მოსწავლისათვის დაწყებით საფეხურზე მოცემულია სარეკომენდაციო თემები, რომლებიც ასახავს მათთვის ნაცნობ გარემოს და კონტექსტს. შესაძლებელია თემების შეცვლა (გამრავალფეროვნება) მოსწავლეთა საჭიროების მიხედვით.

ჩემი სახლი; ჩემი ეზო;

ჩემი სკოლა;

ქალაქი და სოფელი;

ტყე, ზღვა, მდინარე და სხვ.;

მე და ადამიანები ჩემ გარშემო.

სარეკომენდაციო თემებისა და ცნებების დამაკავშირებელი ცხრილი

ცხრილში მოცემულია თემები, რომელთა კონტექსტში უნდა განხორციელდეს ინტელექტუალური განვითარების მძიმე და ღრმა დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის დაწყებით საფეხურზე ელემენტარული ცოდნის გადაცემა და სასიცოცხლო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება. ასევე, მოცემული ცნებები, შეძლებისდაგვარად, თემების ფარგლებში უნდა დამუშავდეს.

სარეკომენდაციო თემები:	ცნებები
ჩემი სახლი, ჩემი ეზო	ცოცხალი და არაცოცხალი, მცენარეები (მორწყვა, მოვლა), შინაური და გარეული ცხოველები (საბინადროები, დიდი, პატარა, ცხოველებზე

ჩემი სკოლა	ზრუნვა), საძინებელი, სახლის მოვლა-დასუფთავება, ტანსაცმელი (სუფთა, ჭუჭყიანი), ჩაცმა-გახდა, სამზარეულო (დაკვირვება, აღწერა, ცივი, ცხელი, თხევადი, მყარი, სხეული, მძიმე, მსუბუქი, კვება, ჯანსაღი კვება, საკვების მომზადება, შენახვა, სუფრის გაწყობა, საზომი ერთეულები, საკუთარი თავის მოვლა-დასუფთავება, სხეულის ნაწილები, სითბო, სინათლე, ხმაური, ტრანსპორტი, მოძრაობა, (შუქნიშნები, მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან, ზევით, ქვევით), ამინდი (თოვლი, წვიმა, მზე, ღრუბელი, ქარი), კალენდარი, ტემპერატურა, ოჯახის წევრები (საკუთარი მისამართი, ტელეფონის ნომერი), მეგობრები, სპორტული აქტივობები, ფიზიკური აქტიურობა, თამაში, მავნე ჩვევა, შეგრძნების ორგანოები, სოციალიზაცია, უსაფრთხოება ტექნოლოგიების უსაფრთხოდ გამოყენება), ტუალეტი, პირადი ჰიგიენა, გარემოზე ზრუნვა
ქალაქი და სოფელი	
ტყე, ზღვა, მდინარე და სხვ.	
მე და ადამიანები ჩემ გარშემო	

სარეკომენდაციო თემების (საკითხების) და შეფასების ინდიკატორების დამაკავშირებელი ცხრილები

თითოეულ ცხრილში მოცემულია თემის დასახელება, თემის შესაბამისი საკითხები, რომლებიც აზუსტებს თემას. შეფასების ინდიკატორებში ნაჩვენებია, თუ როგორ რეალიზდება შედეგები კონკრეტულ თემაში და როგორი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე იმუშაოს მასწავლებელმა შესაბამის კონტექსტში.

ჩემი სახლი, ჩემი ეზო
სამზარეულო
ა) ჰიგიენის ნორმები
ბ) სუფრის გაშლა
გ) მარტივი საკვების მომზადება
საძინებელი ოთახი
ა) დალაგება/დასუფთავება
ბ) საწოლის მოწესრიგება
გ) კარადების დალაგება/მოწესრიგება
დ) ტანსაცმელი და მისი მოვლა
სააბაზანო
ა) პირადი ჰიგიენა
ბ) ტუალეტი
გ) თავის მოვლა

დ) დაბანა შინაური ცხოველები და მათი მოვლა ეზოს მცენარეები და მათი მოვლა
შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს: თხევადი და მყარი ნივთიერებების გარჩევა/განსახვავება (ალტ.ბუნ.დაწყ.1,2,4,5); ნივთიერებების/სხეულების ტემპერატურის მიხედვით განსხვავება (ალტ.ბუნ.დაწყ.1,2, 4,5,10); ჰიგიენის წესების, ქცევის წესების და უსაფრთხოების ნორმების დაცვა (ალტ.ბუნ.დაწყ.3,4,8,9); პირადი გარემოს მოწესრიგება (ალტ.ბუნ. დაწყ.2,3,4,8,9,10); მარტივი ზომის ერთეულების გამოყენება (ალტ.ბუნ.დაწყ.1,2,3,4,8,9,10); ხელსაწყოების, დანადგარების, აღჭურვილობისა და ჭურჭლის დანიშნულებისამებრ გამოყენება (ალტ.ბუნ.დაწყ.1,2,3,4,8,9,10); საკუთარ და სხვათა ჯანმრთელობაზე ზრუნვა (ალტ.ბუნ.დაწყ.I,2,4,8,10); სახლის, მისი ოთახებისა და მათი დანიშნულების იდენტიფიცირება, შესაბამისი ავეჯის და მოწყობილობების იდენტიფიცირება/გამოყენება (ალტ.ბუნ.დაწყ.2,5,6); ტუალეტის დამოუკიდებლად გამოყენება (ალტ.ბუნ.დაწყ.4,8,9): საკუთარი თავის დამოუკიდებლად მოწესრიგება-დასუფთავება (ალტ.ბუნ.დაწყ.4,5,8,9). ცოცხალი და არაცოცხალი ობიექტების განსხვავება (ალტ.ბუნ.დაწყ.1,2,3,5,8,9); ცოცხალი ორგანიზმების კატეგორიზაცია (ალტ.ბუნ.დაწყ.1,2,3,5,8,9); ცხოველთა სამყაროს კატეგორიზაცია (ალტ.ბუნ.დაწყ.1,2,3,5,8,9); შინაური ცხოველების მოვლა-კვება (ალტ.ბუნ.დაწყ.3,5,8,9); მცენარეთა მახასიათებლების მიხედვით დაჯგუფება (ალტ.ბუნ.დაწყ.1,2,3,4,5,9); საკუთარი ეზოს მოწესრიგება (ალტ.ბუნ.დაწყ.5,6,8,9); მცენარეთა მოვლა (ალტ.ბუნ.დაწყ.3,5,6,8,9).

მკვიდრი წარმოდგენები: ცხოველებსა და მცენარეებს ესაჭიროებათ: საკვები, წყალი, ჰაერი, სითბო, სინათლე, თავშესაფარი; ცხოველები და მცენარეები იზრდებიან (არიან - დიდი და პატარა); ცხოველებიც და მცენარეებიც არიან განსხვავებულები (მრავალფეროვანია); ადამიანები უვლიან მცენარეებსა და ცხოველებს; სახლი და სახლში არსებული ობიექტები გვეხმარება კომფორტის და სიმყუდროვის შენარჩუნებაში; ადამიანი უვლის და აწესრიგებს სახლს, ოთახებს, ტანსაცმელს; ადამიანები იცავენ ჰიგიენის წესებს; ყველა უვლის საკუთარ თავს, ამზადებს მარტივ საკვებს; აუცილებელია პირადი ჰიგიენის დაცვა, ტუალეტის გამოყენება, საკუთარი გარემოს მოწესრიგება; ბავშვები ეხმარებიან უფროსებს, ასევე, მათგანაც ღებულობენ დახმარებასა და მითითებებს; ადამიანები ზრუნავენ ერთმანეთსა და გარემოზე; ბავშვები იჩენენ ცნობისმოყვარეობას, სვამენ კითხვებს და ღებულობენ პასუხებს; ადამიანები აკვირდებიან მოვლენებს და პროცესებს, დაკვირვების შედეგად მიღებულ გამოცდილებას იყენებენ ცხოვრებაში.

ჩემი სკოლა 1. საკლასო ოთახი 2. ორიენტაცია სკოლის ტერიტორიაზე 3. საკლასო ოთახის ყვავილები 4. სასპორტო დარბაზი ან სპორტული მოედანი
შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს: სასწავლო გარემოში მნიშვნელოვანი ობიექტების ამოცნობა (ალტ.ბუნ.დაწყ.1,4,5,6); საკლასო ოთახში უშუალო გარემოს მოწესრიგება (ალტ.ბუნ.დაწყ.1,2,3,4,5,8,9); ქუჩაში (სკოლაში მისასვლელ-წამოსასვლელად) და სკოლის ტერიტორიაზე დამოუკიდებლად ორიენტირება (ალტ.ბუნ. დაწყ.4,5,6,8); სპორტულ აქტივობებში მონაწილეობა (ალტ.ბუნ. დაწყ.1,4,6,8,10); საკლასო ოთახის (ზოგადად, ქოთნის) ყვავილების მოვლა (ალტ.ბუნ.დაწყ.1,2,3,4,7,8,9.).
მკვიდრი წარმოდგენები:

ადამიანები უვლიან მცენარეებს; ადამიანს, ცხოველს, ტრანპორტს შეუძლია ნელი და სწრაფი მოძრაობა; ადამინები იყენებენ ტრანსპორტს; სკოლაში არსებული ობიექტები გვეხმარება სწავლის პროცესში, განვითარებაში; სპორტული აქტივობები საჭიროა ჯანმრთელობისათვის; ქუჩაში სიარულის დროს იცავენ მოძრაობის წესებს; ტრანსპორტით სარგებლობის დროს იცავენ უსაფრთხოების წესებს; ადამიანები ზრუნავენ ერთმანეთზე და გარემოზე; ბავშვები იჩენენ ცნობისმოყვარეობას, სვამენ კითხვებს და ღებულობენ პასუხებს; ადამიანები აკვირდებიან მოვლენებს და პროცესებს, დაკვირვების შედეგად ღებულობენ გამოცდილებას, რასაც იყენებენ ცხოვრებაში; ადამიანები ხასიათდებიან სახელით, გვარით, ასაკით, აქვთ მისამართი და სხვ.

მე და ადამიანები ჩემ გარშემო ჩემი ოჯახი და ოჯახის წევრების დახმარება ჩემი მეგობრები და მათთან ერთად თამაში-სწავლა ადამიანი და სხეულის ნაწილები
შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს: საკუთარი ოჯახის წევრების ამოცნობა/დასახელება (ალტ.ბუნ.დაწყ.2,3,4); სკუთარი თანაკლასელების, მეგობრების ამოცნობა/დასახელება (ალტ.ბუნ.დაწყ.2,3,4); ადამიანის სხეულის ნაწილების ამოცნობა/დასახელება (ალტ.ბუნ.დაწყ.2,4); შეგრძნების ორგანოების ამოცნობა და დანიშნულების მიხედვით გამოყენება (ალტ.ბუნ.დაწყ.1,2,3,6,7,8,9).
მკვიდრი წარმოდგენები: ადამიანები ერთად ცხოვრობენ და ზრუნავენ ერთმანეთზე (ოჯახის წევრები/ახლობლები); ადამიანები სხეულის სხვადასხვა ნაწილს სხვადასხვა დანიშნულებით იყენებენ (მაგ:, ფეხებს - გადასაადგილებლად, ხელებს – სახატავად/საწერად, საკვების დასამზადებლად, დასასუფთავებლად, გარემოს მოსაწესრიგრბლად, ტელეფონზე დასარეკად და ა.შ.);

ადამიანს შეგრძნების ორგანოები ეხმარება სითბოს, სიცივის, გემოს, ხმაურის, სუნის შეგრძნებაში, ასევე, გარესამყაროს ობიექტების დანახვაში;

სახლი და სახლში არსებული ობიექტები გვეხმარება კომფორტის და სიმყუდროვის შენარჩუნებაში;

ადამიანები იცავენ ჰიგიენის წესებს;

ყველა უვლის საკუთარ თავს, ამზადებს საკვებს;

აუცილებელია პირადი ჰიგიენის დაცვა, ტუალეტის გამოყენება, საკუთარი გარემოს მოწესრიგება;

ქუჩაში სიარულის დროს იცავენ მოძრაობის წესებს;

ადამიანები ზრუნავენ ერთმანეთსა და გარემოზე;

ადამიანები აკვირდებიან მოვლენებს და პროცესებს, დაკვირვების შედეგად ღებულობენ გამოცდილებას, რასაც იყენებენ ცხოვრებაში;

ადამიანები ხასიათდებიან სახელით, გვარით, ასაკით, აქვთ მისამართი და სხვ.

ქალაქი და სოფელი წელიწადის თვეები, კვირის დღეები, დღე და ღამე ამინდი სინათლე და სითბო ხმაური და ბგერები ტრანსპორტი ქუჩაში ორიენტაცია
შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს: წელიწადის დროების ამოცნობა (ალტ.ბუნ. დაწყ.1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8); სეზონების მიხედვით წელიწადის თვეების იდენტიფიცირება (ალტერნატიული ბუნ. I.1, I.2, I.3, I.4, I.5, I.6, I.7, I.8); კვირის სამუშაო და დასვენების დღეების ამოცნობა (ალტ.ბუნ. დაწყ.1, 4, 5, 6, 7, 8, 9.); სხვადასხვა ამინდის მახასიათებლების წელიწადის დროებთან დაკავშირება (ალტ.ბუნ. დაწყ.2, 4, 5, 6, 7, 9.); ამინდის მახასიათებლების შესაბამისად შერჩევა-გამოყენება (ალტ.ბუნ.დაწყ.1,4,6,7,8,9); უშუალო გარემოში სინათლის და სითბოს გამომცემი ობიექტების ამოცნობა (ალტ.ბუნ.დაწყ.1,2,4,5,10); ბგერების და ხმაურის განსხვავება, შესაბამისი რეაგირება (ალტ.ბუნ.დაწყ.1,2,3,4,5,7,9,10);

სატრანსპორტო საშუალების ამოცნობა და ტრანსპორტში ადეკვატური ქცევა (ალტ.ბუნ. დაწყ.2,4,5,6,10).
მკვიდრი წარმოდგენები: ადამიანს შეგრძნების ორგანოები ეხმარება სითბოს, სიცივის, გემოს, ხმაურის, სუნის შეგრძნებაში, ასევე გარესამყაროს ობიექტების დანახვაში; სითბოს და სინათლეს ბუნებრივად გვაძლევს მზე; ადამიანს თავადაც შეუძლია სითბოს და სინათლის „შექმნა“; ხმაურს და ბგერებს აქვს გამომწვევი მიზეზები; ადამიანს თავად შეუძლია იხმაუროს ან შეინარჩუნოს სიჩუმე/სიმშვიდე; ადამიანს, ცხოველს, ტრანპორტს შეუძლია ნელი და სწრაფი მოძრაობა; წელიწადის სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირი ამინდია, ტემპერატურაც განსხვავებულია; წელიწადის სხვადასხვა დროს სხვადასხვა ტანსაცმელს იცვამენ; ადამიანი ამინდის შესაბამისად იცვლის ტანსაცმელს; ქუჩაში სიარულის დროს იცავენ მოძრაობის წესებს; გარემოს გასანათებლად ანთებენ შუქს; სიმშვიდისა და სიწყნარისათვის დაბალ ხმაზე უსმენენ მუსიკას და საუბრობენ ხმადაბლა; ტრანსპორტით სარგებლობის დროს იცავენ უსაფრთხოების წესებს; ადამიანები აკვირდებიან მოვლენებს და პროცესებს, დაკვირვების შედეგად ღებულობენ გამოცდილებას, რასაც იყენებენ ცხოვრებაში.

ტყე. ზღვა, მდინარე და სხვ. გარეული ცხოველები მცენარეები ტყეში ზღვის ბინადარნი
შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს: გარეული ცხოველების ამოცნობა და კლასიფიკაცია (ალტ. ბუნ.დაწყ.2,3,4); ტყის მცენარეების კლასიფიკაცია (ალტ. ბუნ.დაწყ.1,2,3,4); ზღვის ბინადრების განსხვავება ხმელეთის ბინადრებისაგან (ალტ. ბუნ.დაწყ.2,3,4).
მკვიდრი წარმოდგენები:

ცხოველებსა და მცენარეებს ესაჭიროებათ: საკვები, წყალი, ჰაერი, სითბო, სინათლე, თავშესაფარი.

ცხოველები და მცენარეები იზრდებიან (არიან - დიდი და პატარა);

ცხოველებიც და მცენარეებიც არიან განსხვავებულები (მრავალფეროვანია);

წელიწადის სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირი ამინდია, ტემპერატურაც განსხვავებულია;

ადამიანები ზრუნავენ ერთმანეთზე და გარემოზე;

ბავშვები იჩენენ ცნობისმოყვარეობას, სვამენ კითხვებს და ღებულობენ პასუხებს;

ადამიანები აკვირდებიან მოვლენებს და პროცესებს, დაკვირვების შედეგად ღებულობენ გამოცდილებას, რასაც იყენებენ ცხოვრებაში;

ადამიანები ხასიათდებიან სახელით, გვარით, ასაკით, აქვთ მისამართი და სხვ.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

სარეკომენდაციო ნაწილში მოცემულია შეფასების სარეკომენდაციო კრიტერიუმები, რომლებიც შეირჩევა მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, კონკრეტული დავალებისა და შეფასების რუბრიკის ნიმუში, სარეკომენდაციო აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლისათვის აუცილებელი ცნებების მიწოდებას და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას, სარეკომენდაციო თემები, ანუ მოსწავლეთათვის ნაცნობი კონტექსტები, რომელთა ფარგლებშიც ხდება ცნებების დამუშავება და სარეკომენდაციო ინტეგრირებული აქტივობები, რამდენიმე საგნის ინტეგრირებულად სწავლების ნიმუშად.

შეფასების სარეკომენდაციო კრიტერიუმები

სწავლა-სწავლების პროცესში, შესაძლებელია, გონებრივი განვითარების მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლისათვის კონკრეტული ცოდნისა და უნარ-ჩვევის შეძენა სრულად ვერ მოხერხდეს, მაგრამ მოსწავლე შეფასდება მისაღწევი შედეგის შესაბამისად შერჩეულ შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით, რომელსაც მასწავლებელი მოსწავლის საჭიროების მიხედვით შეარჩევს (ქვემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს მოსწავლე ასრულებს დამოუკიდებლად ან მასწავლებლის დახმარებით).

მოსწავლე:

გარემოში/ ხელოვნების ნიმუშში/ ნამუშევარში ამოიცნობს/ ასახელებს/ განასხვავებს ფერებს;

გარემოში/ ხელოვნების ნიმუშში/ ნამუშევარში ამოიცნობს/ ასახელებს/ განასხვავებს მარტივ ფორმებს (სამკუთხედი, ოთხკუთხედი, წრე და სხვ.);

გარემოში/ ხელოვნების ნიმუშში/ ნამუშევარში ამოიცნობს/ ასახელებს ხაზებს;

აზავებს ფერებს (ორ ან მეტ ფერს ურევს ერთმანეთს და იღებს ახალ ფერს);

აკვირდება, ასახელებს/იყენებს ფერების შეზავებით/შერევით მიღებულ ფერებს ნამუშევარში;

ფერების/ ფორმების/ ხაზების გამოყენებით ქმნის მარტივ ნამუშევარს;

ასახავს ობიექტის ფორმას მარტივ ნამუშევარში;

ადეკვატურად შეარჩევს ობიექტის ფერს;

ნამუშევარს ატევს კონკრეტულ ჩარჩოში/ სასურათე სიბრტყეზე;

ცდილობს გამოსახულებები გაანაწილოს სასურათე სიბრტყეზე (მაგ., ყველა გამოსახულება სასურათე სიბრტყის ერთ ნაწილში არ იყოს თავმოყრილი, დანარჩენი ადგილი კი ცარიელი);

გარემოში/ ხელოვნების ნიმუშში/ ნამუშევარში ამოიცნობს/ ასახელებს რიტმის ელემენტებს (მაგ., განმეორებად ხაზებს, ფერებს, ფორმებს, გამოსახულებებს);

ქმნის ნამუშევარს რიტმის ელემენტების გამოყენებით (მაგ., მარტივი ორნამენტები განმეორებადი ხაზების, ფერების, ფორმების, გამოსახულებებისგან);

ნამუშევარში ასახავს/ამოიცნობს საგანთა თანაფარდობას (მაგ., დიდი და პატარა: დიდი სახლი - პატარა ადამიანი, დიდი ხე - პატარა ყვავილი და სხვ.);

სხვადასხვა მასალას, ტექნიკას, იარაღს აკვირდება/ ასახელებს/ განასხვავებს/ ამოიცნობს/ იყენებს თავისებურებების მიხედვით;

მასალით, ტექნიკით, იარაღით მუშაობით მიღებულ გამოცდილებას უსაფრთხოდ იყენებს ნამუშევარში;

ნამუშევრის შექმნისას ირჩევს და იყენებს ერთ ან რამდენიმე მასალას, ტექნიკას, იარაღს (მაგ., ხატავს საღებავებით, ფანქრებით, პასტელებით და ა.შ., ძერწავს თიხით, პლასტილინით, აკეთებს აპლიკაციას ფერადი ფურლებით, კოლაჟს სხვადასხვა მასალით (მაგ., ქსოვილით, ღილებით, ფოთლებით, ძაფებით, მუყაოთი და ა.შ.), ხევს, აქუცმაცებს, კუჭავს, ღუნავს, აწებებს, აკეთებს ანაბეჭდს და სხვ.);

სწორად იყენებს ფანქრებს/ პასტელს/ ფლომასტერებს/ ფუნჯებს/ გუაშის საღებავებს და სხვ (მაგ., ფანქარს არ ასველებს წყალში, არ ყოფს საღებავში, საღებავს ხატავს ფუნჯით, ფლომასტერს ხსნის ხუფს და ისე ხატავს და სხვ.);

ხატავს თითებით/ხელით სხვადასხვა ზომის ქაღალდზე;

ხატავს სხვადასხვა მასალის (ფანქარი/ცარცი/პასტელი/ფლომასტერი და სხვ.) და იარაღის (ფუნჯი/ ღრუბელი/ ჯაგრისი/ თითი/ ხელი და სხვ.) გამოყენებით;

ფერადი ქაღალდებით/ მუყაოთი/ ბუნებრივი მასალით ქმნის აპლიკაციას/კოლაჟს;

აწყობს მოზაიკას სხვადასხვა ხელოვნური და ბუნებრივი მასალით (მარცვლეული, ქაღალდის ნაჭრები/ნაკუწები და ა.შ.);

ქმნის პლასტილინისგან/ თიხისგან მარტივ ფორმებს/ გამოსახულებებს;

ამოიცნობს ხელოვნების ნიმუშის/ნამუშევარის შინაარსს, სიუჟეტს (მაგ., ამოიცნობს/ ასახელებს ადამიანებს, ცხოველებს, მცენარეებს, საგნებს, წელიწადის დროებს და სხვ.) აკავშირებს საკუთარ გამოცდილებასთან (მაგ., ნამუშევარზე გამოსახულია ზამთარი, თოვლი - მოსწავლე იხსენებს, რომ ზამთარში მოდის თოვლი, ან ციგით ისრიალა და ა.შ.);

ნამუშევრის საშუალებით/ ნამუშევარში გამოხატავს/გადმოსცემს/ ასახავს გარემოზე დაკვირვებისას მიღებულ შთაბეჭდილებებს;

გამოხატავს მოსაზრებას, დამოკიდებულებას საკუთარი/ სხვისი ნამუშევრის, ხელოვნების ნიმუშის მიმართ ვერბალურად და არავერბალურად (მაგ., მომწონს, არ მომწონს, შეძლებისდაგვარად ხსნის რატომ, მაგ., მხიარულია, ფერები მოსწონს, ნაცნობი/საყვარელი საგანია გამოსახული და სხვ.);

ასახელებს/ ამოიცნობს/ მიუთითებს მასალას და იარაღებს, რომლებიც გამოიყენა ნამუშევარში;

ადეკვატურად რეაგირებს ტერმინებზე, დარგობრივ ლექსიკაზე;

ნამუშევარზე საუბრისას იყენებს ელემენტარულ ტერმინებს;

თანამშრომლობს, ურთიერთობს მასწავლებელთან, კლასელებთან ნამუშევრის შექმნისას;

მონაწილეობს გუნდურ სამუშაოში;

ასრულებს მის წილ სამუშაოს გუნდში/ ჯგუფში/ წყვილში მუშაობისას;

უსმენს თანაკლასელებს, მასწავლებელს;

აცდის სხვებს აზრის გამოთქმას;

გამოხატავს ინტერესს სამუშაო პროცესის/ ნამუშევრის/ ხელოვნების ნიმუშის/ მასალის/ ტექნიკის/ იარაღის მიმართ;

სვამს მარტივ კითხვებს;

იჩენს ინიციატივას ნამუშევრის ტიპის, შინაარსის, მასალის, ტექნიკის, იარაღის არჩევისას;

ცდილობს მარტივი ამოცანის გადაჭრას დამოუკიდებლად/ სხვისი დახმარებით;

ალაგებს სამუშაო ადგილს;

უვლის, უფრთხილდება, არ აზიანებს საკუთარ/სხვის სამუშაო იარაღებსა და მასალას;

უფრთხილდება (არ აზიანებს) სხვის და საკუთარ ნამუშევრებს.

იცავს უსაფრთხოების წესებს;

მონაწილეობს საკლასო ან სასკოლო ზეიმში;

მონაწილეობს საკლასო გამოფენაში.

დავალებისა და შეფასების რუბრიკის ნიმუში, სადაც ნაჩვენებია ერთი დავალების ფარგლებში რომელი კონკრეტული ცოდნა და უნარ-ჩვევები შეიძლება შეფასდეს:

დავალება: სახლის და ხის გამოსახვა. ხაზების (სწორი, კლაკნილი, ტეხილი და სხვ.) და ფორმების (ოთხკუთხედი, სამკუთხედი, წრე და სხვ.) გამოყენება. გამოსახულებების გაფერადება (წითლად, ლურჯად, ყვითლად, მწვანედ და სხვ.). სურვილისამებრ სხვა გამოსახულებების მიხატვა და გაფერადება. მასალის არჩევა და გამოყენება (ფერადი ფანქრები, საღებავი და ფუნჯი). ნამუშევარში გამოსახულებების, ხაზების, ფორმების, ფერების ამოცნობა. ნამუშევრის აღწერა.

შეფასების რუბრიკა:

პრაქტიკული სამუშაო - ნამუშევარი (ნახატი)

შეფასების კრიტერიუმები	ვერ სრულდება	ნაწილობრივ სრულდება	სრულდება
დავალების პირობის შესრულება	ვერ ასრულებს დავალების პირობას	სჭირდება დახმარება	ასრულებს დავალების პირობას
ელემენტების (ხაზი, ფერი, ფორმა) გამოყენება	ვერ იყენებს	იყენებს, თუმცა სჭირდება დახმარება	იყენებს დამოუკიდებლად
ინიციატივის გამოჩენა	ვერ ირჩევს მასალას, არ გამოსახავს სხვა გამოსახულებებს	სჭირდება დახმარება მასალის არჩევანის გაკეთებაში/ დამატებით სხვა გამოსახულებების გამოსახვაში	ირჩევს მასალას, ან იყენებს ორივეს შეთავაზებულთაგან; დამოუკიდებლად გამოსახავს დამატებით სხვა გამოსახულებებს
მასალის გამოყენება	ვერ იყენებს	სჭირდება დახმარება ფანქრების/ საღებავის და ფუნჯის ხმარებისას	დამოუკიდებლად იყენებს ფანქრებს/საღებავს და ფუნჯს
ელემენტების (ხაზი, ფერი, ფორმა) ამოცნობა	ვერ ამოიცნობს	ამოიცნობს ზოგიერთ ელემენტს	ამოიცნობს ყველა ელემენტს
ნამუშევრის აღწერა (შინაარსი, სიუჟეტი, გამოსახულებები)	ვერ აღწერს	სჭირდება დახმარება	აღწერს დამოუკიდებლად

სარეკომენდაციო აქტივობები

აქტივობები ხაზით

მასწავლებელი:

უხატავს დაფაზე მაგ,. სწორ ხაზს. მოსწავლეებმა უნდა სცადონ და გაავლონ მსგავსი ხაზი სახატავ ფურცლებზე ან ხელებით და სხეულის მოძრაობით გამოსახონ და გაახმოვანონ;

წაახალისებს მოსწავლეებს, რომ იპოვონ მსგავსი ხაზები წინასწარ მომზადებულ თვალსაჩინოებაზე ან საკლასო ოთახში (მასწავლებელი წინასწარ უნდა დარწმუნდეს, რომ მსგავსი ხაზები არის კლასში: მაგ., მავთული, კაბელი, ნახატზე გამოსახული ხაზი, ხის ტოტი და ა.შ.); შეიძლება მოსწავლეებმა მოსინჯონ კიდეც ხაზები ხელით (მაგ., ჯოხი, მავთული, გაჭიმული ძაფი და სხვ.);

ურიგებს რბილ ფერად მავთულებს. უხსნის, რომ სწორი ხაზები შეიძლება გადავაქციოთ სხვადასხვაგვარ ხაზებად - კლაკნილ, ტეხილ, ან დაგრეხილ, დახვეულ/სპირალურ და ა.შ. (სხვადასხვა ტიპის ხაზების დასახელებების დამახსოვრება არ არის საჭირო, უბრალოდ მათში ხაზი უნდა

ამოიცნონ). აჩვენებს და ეხმარება მათაც. მიღებული ხაზები შეიძლება ჩაარჭონ პლასტილინისგან გაკეთებულ ბაზაში, ან მაგ., ქოთანში.

აჩვენებს და წაახალისებს მოსწავლეებს, გამოსახონ მაგ., სახლები, ხეები და ა.შ. სწორი ხაზებით სხვადასხვა მასალის და იარაღის გამოყენებით (ფერადი ფანქრებით, საღებავითა და ფუნჯით, სააღებავიანი თითებით, პლასტილინისგან გამოძერწილი ზოლებით, რბილი მავთულებით, ძაფებით, ფერადი ქაღალდის ზოლებით და ა.შ.);

ამის მსგავსად შესაძლებელია მოსწავლეებისთვის სხვა ტიპის ხაზების გაცნობაც და სხვადასხვა ნამუშევრის შექმნა მათი გამოყენებით;

ურიგებს წინასწარ მომზადებულ ფურცლებს, რომლებზეც გამოსახულია, მაგ., როგორ კვალს ტოვებს სხვადასხვა ცხოველი. მოსწავლეებმა უნდა დახატონ (წერტილების შეერთებით) სხვადასხვაგვარი ხაზი (ხაზების განსხვავება/ამოცნობა. სხვადასხვა ტიპის ხაზის დახატვა. შესაძლებელია ინტეგრირება ბუნებისმეტყველებასთან (მაგ., ცხოველების ამოცნობა).

აჩვენებს ზებრის და ცხენის ფოტოს ან ვიდეოს. ეკითხება რით განსხვავდებიან. შემდეგ ურიგებს 2-2 ცალ ამობეჭდილ კონტურულ გამოსახულებებს. მოსწავლეებმა ერთი გამოსახულება ცხენად უნდა გადააქიონ, მეორე კი ზებრად (მაგ., ცხენი გააფერადონ სასურველი ფერით ან მიახატონ ლაქები, ზებრას კი მიახატონ ზოლები/ხაზები). მასწავლებლის თხოვნით ერთ ადგილას უნდა დაალაგონ ზებრის გამოსახულებები და მეორე ადგილას ცხენის. ეკითხება რომელ ცხოველის გამოსახულებაში გამოიყენეს ხაზები, რა ფერის ხაზებია, სქელია თუ წვრილი, ფანქრით დახატეს თუ საღებავით და ა.შ.. რომელი ცხოველის გამოსახულებაში გამოიყენეს ფერი, რა ფერები გამოიყენეს და ა.შ. (ხაზების გამოსახვა/ამოცნობა. მასალის და იარაღის თავისებურებებზე დაკვირვება/გაცნობა. შესაძლებელია ინტეგრირება ბუნებისმეტყველებასთან).

ურიგებს ფერად ფურცლებს, მაკრატლებს და წებოს. მოსწავლეებმა უნდა აირჩიონ ერთი ფურცელი, რომელზეც დააწებებენ. დანარჩენ ფურცლებს დაჭრიან/დახევენ ზოლებად, ისე, რომ სხვადასხვა ფერის, სისქის, სიგრძის სწორი ხაზები მიიღონ. მათი გამოყენებით ქმნიან ნამუშევარს - სხვადასხვა გამოსახულებას (სახლი, ხე, ფიფქი, კიბე და სხვ.). აღწერენ რა გამოსახეს. ასახელებენ/ამოიცნობენ რა ფერის და ტიპის ხაზები (მოკლე, გრძელი, სქელი, წვრილი) გამოიყენეს.

ასოები/ ციფრები.

1 ვარიანტი. ეუბნება, რომ ხაზებით შეიძლება ასოების და ციფრების გამოსახვა. შეიძლება საკუთარი სახელი დავწეროთ და გავაფორმოთ. დამოუკიდებლად ან მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები სქელ ფურცლებზე ამ თხელ მუყაოზე მოხაზავენ საკუთარ სახელებს. შემოავლებენ კონტურებს ფლომასტერით, გააფერადებენ სასურველი ფერებით, ჩახატავენ გამოსახულებებს, ფორმებს, ხაზებს, კოპლებს, ჩააწებებენ წებოვან ფერად ლენტებს - გააფორმებენ სურვილის მიხედვით.

2 ვარიანტი. A4 ზომის თხელ მუყაოებზე მოხაზავს თითოეული მოსწავლის სახელის პირველ ასოს ორმაგი კონტურით. მოსწავლეები გამოჭრიან (დამოუკიდებლად ან დახმარებით). აირჩევენ სხვადასხვა ფერის ძაფებს და დაახვევენ გამოჭრილ ასოებზე. გამოფენენ.

მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება, რომ სწორი ხაზები შეიძლება გადავაქციოთ, მაგალითად, დაკლაკნილ ხაზად და გამოვსახოთ სხვადასხვა რამ (ხაზების გამოყენება, ამოცნობა, კავშირი სხვა საგნებთან (ბუნებისმეტყველება), ხელის მოტორიკის განვითარება).

რვაფეხა: ურიგებს ფერად ან თეთრ ფურცლებს. ეხმარება მოსწავლეებს ფანქრით, ფლომასტრით დახატონ რვაფეხა სწორი ხაზებით საცეცების ნაცვლად (მაგ., ქვემოთ მოცემული ნიმუში მსგავსად).

თმის ვარცხნილობა: ეუბნება, რომ ადამიანები დადიან სილამაზის სალონში და იჭრიან თმებს. სთხოვს გაიხსენონ, როგორ იჭრიან თმებს და ა.შ. ურიგებს თაბახის და ფერად ფურცლებს, მაკრატლებს, წებოს, ფერად წებოვან ლენტებს. მოსწავლეები ხატავენ ადამიანის სახეს ან საკუთარ პორტრეტს (მოხაზავენ წრეს ან ოვალს, მიახატავენ სახეს - თვალებს, წარბებს, ცხვირს, პირს ყურებს). გამოჭრიან ფერადი ფურცლებისგან თმებს - ზოლებს (სწორი, კლაკნილი ტეხილი) და დააწებებენ დახატულ სახეს. სურვილისამებრ, გაუკეთებენ თმის სამკაულს და ა.შ. საუბრობენ/აღწერენ ვინ გამოსახეს, როგორი თმები აქვს (რა ფერის, როგორი სიგრძის, სწორი თუ ხვეული, დავარცხნილი თუ აჩეჩილი და ა.შ.). შემდეგ შეუძლიათ მაკრატლით ან ხელით შეუსწორონ/შეაჭრან თმები. გაუკეთონ ახალი ვარცხნილობა. ისევ აღწერონ.

აჩვენებს მოსწავლეებს ვიდეოს, თუ როგორ ქსოვს ობობა ქსელს. ურიგებს ერთჯერად თეფშებს, რომლებიც შუაში ამოჭრილია მრგვალად ან სხვა ფორმაზე, გარშემო კი აქვს ნახვრეტები. ურიგებს ასევე ფერად ძაფებს. აჩვენებს, როგორ უნდა მოქსოვონ აბლაბუდა/ქსელი. მოსწავლეებმა უნდა აირჩიონ სასურველი ფერის ძაფები და მასწავლებლის დახმარებით გაუყარონ ძაფი საპირისპიროდ განლაგებულ ნახვრეტებში. (შერეული მასალის გამოყენება, მოტორული უნარების განვითარება, ყურადღების კონცენტრაცია, დაკვირვების უნარის განვითარება).

მონიშნავს თითოეული მოსწავლის ფურცელზე რამდენიმე წერტილს, ერთს ცენტრში და რამდენიმეს (5-6) გარშემო (ნახ. 1). დაფაზე იმავეს დახატავს და აჩვენებს მოსწავლეებს, როგორ უნდა შეაერთონ ცენტრში არსებული წერტილი გარშემო არსებულ წერტილებთან სწორი ხაზებით (ნახ. 2). შემდეგ კი დახატონ ობობას ქსელი (ნახ. 3) (ხაზების ხატვა).

აჩვენებს თვალსაჩინოებას, ან წინასწარ დამზადებულ ნიმუშს. ეუბნება, რომ ხაზების გამოსახვა პლასტილინითაც შეიძლება. ეხმარება მოსწავლეებს ფერადი პლასტილინისგან ზოლების/ხაზების დამზადებაში. მოსწავლეები ცდილობენ, გამოძერწონ სხვადასხვა ტიპის (სწორი, კლაკნილი, დახვეული და ა.შ.) ზოლები და შექმნან ნამუშევარი (ყვავილი/ყვავილები, ხეები, ცისარტყელა, ლოკოკინა, მზე და ა.შ.). (ხაზების გამოყენება ნამუშევარში, პლასტილისნის გამოყენება, მასალის თვისებების გაცნობა)

ხაზები ძაფებით და ტოტებით:

გაზაფხულის ყვავილებით, შემოდგომის ფოთლებით და სხვ. (ამ ხერხით შესაძლებელია საახალწლო დეკორაციების დამზადება – ნაძვისხის, ფიფქების ფორმა და ა.შ.)

ეუბნება მოსწავლეებს, რომ ხაზების გამოყენებით შეიძლება მათი სახელები დაწერონ ან გამოძერწონ. ეხმარება მოსწავლეებს, გამოსახაონ საკუთარი სახელები პლასტილინით/თიხით. მოსწავლეები ძერწავენ საკუთარი სახელის თითოეულ ასოს, შემდეგ მორთავენ, გააფორმებენ, გააფერადებენ. ცდილობენ, წაიკითხონ, შეადარონ დაწერილს. ამოიცნობენ ასოებში ხაზებს. აღწერენ, რა ფერებითა და ფორმებით გააფორმეს.

აქტივობები ფერით

მასწავლებელი:

უყვება/შეახსენებს ცისარტყელას შესახებ. აჩვენებს ცისარტყელას და მის ფერებს (წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი, იისფერი). გუაშის საღებავებით სახატავ ფურცლებზე ხატავენ ცისარტყელას შესაბამისი ფერებით და თანმიმდევრობით (მასწავლებლის დახმარებით). ასახელებენ/ამოიცნობენ ფერებს.

მოზაიკა ქაღალდის ნაკუწებისგან. ურიგებს ფურცლებს, რომლებზეც კონტურით დახატულია ცისარტყელა. მოსწავლეები შესაბამისი ფერის ქაღალდებს ანაკუწებენ და თვალსაჩინოების/მათ მიერ გამოსახული ცისარტყელას ფერების მიხედვით აკეთებენ მოზაიკას. გამოფენენ, ადარებენ დახატულ ცისარტყელას, ასახელებენ/ამოიცნობენ ფერებს.

ცისარტყელას ხიდი/ცისარტყელას კალათი. ეუბნება, რომ ცისარტყელა შეიძლება სხვადასხვა მასალით გამოვსახოთ. შეახსენებს დახატულ და მოზაიკის ტექნიკით შესრულებულ ცისარტყელებს. მოსწავლეები აირჩევენ ცისარტყელის ფერების ქაღალდებს და მათგან ჭრიან/ამოხევენ ზოლებს. ქაღალდზე ან მუყაოზე ხატავენ მდინარეს და ზედ გადებენ – დააწებებენ ხიდს ფერადი ზოლებისგან, ან დაამზადებენ კალათს.

მოზაიკის ფერადი ყვავილები/მზეები/წრეები. ურიგებს ფურცლებს, რომლებზეც დახატულია კონტურით ყვავილები/მზე/წრეები/ფოთლები/სხვ. ფერადი ქაღალდის ნაკუწებისგან მოსწავლეებმა უნდა გააკეთონ მოზაიკა.

მასწავლებელი ურიგებს ფურცლებს, რომლებზეც მოცემულია ხის კონტური. აჩვენებს თვალსაჩინოებას - ხე გაზაფხულზე (მაგ., ვარდისფერი ყვავილებით), ზაფხულში (მწვანე ფოთლებით, შეიძლება ხილითაც), შემოდგომით (წითელი და ყვითელი ფოთლებით) და ზამთარში (თეთრად დათოვლილი ტოტებით). ურიგებს მოსწავლეებს სხვადასხვა ფერის ფურცლებს (ზოგს მწვანეს, ზოგს ვარდისფერს, და ა.შ.). მათ უნდა დახიონ საშუალო ზომის ნაკუწებად (აჩვენებს როგორ). ეხმარება. ნაკუწები უნდა დააწებონ ფურცელზე ისე, რომ გამოვიდეს ხე, მაგ., ზაფხულში (მწვანე ფოთლებით), შემოდგომაზე (წითელი და ყვითელი ფერებით) და ა.შ. დასრულებისას უნდა გამოფინონ. დაასახელონ წელიწადის რომელ დრო გამოსახეს, ან უნდა გამოიცნონ კლასელებმა რომელი გამოსახეს. შეიძლება აღწერონ მუშაობის პროცესი, მაგ., დავხიე, წებო წავუსვი, დავაწებე, დაასახელონ ფერები და ა.შ. (მოზაიკა ქაღალდის ნაკუწებით). (შესაძლებელია ინტეგრირება ბუნებისმეტყველებასთან)

ფერადი ფორმები. ურიგებს რამდენიმე სახატავ ფურცელს თითოეულ მოსწავლეს, გუაშის საღებავებს, ფუნჯებს, მაკრატლებს. მოსწავლეები თითო ფურცელს ერთი რომელიმე ფერით შეღებავენ - თვითონ დაამზადებენ სხვადასხვა ფერის ფურცლებს. გაშრობის შემდეგ ამ ფურცლებზე დახატავენ სხვადასხვა ზომის ფორმებს (წრე, ოთხკუთხედი, გული, ყვავილი, ღრუბელი, სამკუთხედი და სხვ.). ამოჭრიან ან ამოხევენ. ერთნაირ ფორმებს დააწებებენ ერთმანეთზე ზომების მიხედვით. გახვრეტენ, გადააბამენ ერთმანეთზე. შეიძლება ჩამოიკიდოს კლასში, (ფორმების ამოცნობა, გამოყენება, დიდი და პატარა ზომის ფორმების ამოცნობა, ფერების ამოცნობა, გამოყენება, მოტორული უნარების განვითარება)

ფერი-ფერთან. ურიგებს მოსწავლეებს სახატავ ურცლებს, გუაშის საღებავებს, ფუნჯებს და ფერად ქაღალდებს ან ფერად წებოვან ლენტებს. სახატავ ფურცელს შემოავლებენ ჩარჩოს ფერადი ფურცლებისგან გამოჭრილი ზოლებით ან წებოვანი ლენტებით. ყოველი მოსწავლე აირჩევს რამდენიმე ფერის საღებავს და მასწავლებელი სახატავ ფურცელზე დაუდებს თითოეული ამ ფერის რამდენიმე მოზრდილ წვეთს. მოსწავლეებმა ფუნჯებით ან თითებით უნდა შეაერთონ ერთნაირი ფერები. უნდა შეეცადონ არ გასვარონ ჩარჩო. დასრულების შემდეგ გამოფენენ და გამოთქვამენ აზრს საკუთარ/კლასელის ნამუშევარზე (როგორ მოსწონთ, რა ფერები გამოიყენეს, ფუნჯით იმუშავეს თუ თითებით და ა.შ.)

მოსწავლეები ჩამოთვლიან/ასახელებენ/მიუთითებენ თვალსაჩინოებაზე მათ საყვარელ ხილსა და ბოსტნეულს. ძერწავენ პლასტილინით ან თიხით (თიხას ღებავენ სურვილისამებრ). აღწერენ, რა ფორმისაა და რა ფერის, რა მასალაში იმუშავეს.

ხე წელიწადის სხვადასხვა დროს. აჩვენებს თვალსაჩინოებას და ახსენებს, რომ წელიწადის სხვადასხვა დროს ხეები სხვადასხვაგვარია და სხვადასხვა ფერებით შეიძლება გამოვსახოთ. მოსწავლეები თვალსაჩინოებაზე ამოიცნობენ/ასახელებენ ფერებს, წელიწადის დროებს. ურიგებს მოსწავლეებს პლასტილინს (ერთი ფერის) ან თიხას და სხვადასხვა ფერის მოზრდილ მომცრო მძივებს. მოსწავლეები აირჩევენ, ვის რომელი წელიწადის დროს უნდა გამოსახოს ხე. მასწავლებლის დახმარებით ძერწავენ ხეს და ზედ აწებებენ შესაბამისი ფერის მძივებს.

აქტივობები ფორმით

მასწავლებელი:

დაფაზე ხატავს რამდენიმე მარტივ გეომეტრიულ ფორმას. ეუბნება მოსწავლეებს, რომ მათი საშუალებით სხვადასხვა საგნის გამოსახვა შეიძლება და აჩვენებს ნიმუშს/ნიმუშებს (სახლი, ყვავილი, მანქანა, ადამიანი და სხვ.). შემდეგ ფერადი ქაღალდებისგან წინასწარ დამზადებულ მარტივ გეომეტრიულ ფორმებს - მაგ., სამკუთხედი, ოთხკუთხედი, წრე და ა.შ. (რაოდენობა საკმარისი უნდა იყოს, რომ ყველა მოსწავლეს შეხვდეს რამდენიმე ცალი), დაურიგებს მოსწავლეებს. მოსწავლეები აკეთებენ აპლიკაციას ნიმუშის მიხედვით. ასახელებენ/მიუთითებენ/ამოიცნობენ რომელი ფორმები გამოიყენეს და რა გამოსახეს ნამუშევარში.

აჩვენებს მოსწავლეებს რომელიმე ცხოველის გამოსახულებას, რომელიც გეომეტრიული ფორმებითაა (მაგ., წრეებით, ოთხკუთხედებით, სამკუთხედებით და ა.შ.) შექმნილი. მიუთითებს სხვადასხვა ფორმას, მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ (ან მასწავლებელი ასახელებს ფორმას და მოსწავლეებმა უნდა მიუთითონ). ასევე უნდა დაასახელონ ან ამოიცნონ, მიუთითონ ფერი/ფერები, ხაზები. შემდეგ ურიგებს სახვადასხვა ფერის/ ან იმავე ფერის ქაღალდისგან გამოჭრილ გეომეტრიულ ფორმებს. ცხოველის გამოსახულების მიხედვით უნდა ააწყონ გამოსახულება. საკუთარ ნამუშევრებზე უნდა ამოიცნონ/დაასახელონ/ მიუთითონ ფორმები, ხაზები, ფერები.

ურიგებს სხვადასხვა ფერის ქაღალდისგან გამოჭრილ გეომეტრიულ ფორმებს და ამობეჭდილ კონტურულ გამოსახულებას (რაიმე ცხოველი ან მცენარე) იმავე ზომის ფორმებით. მოსწავლეებმა უნდა მიუსადაგონ ამოჭრილი ფორმები ფურცელზე გამოსახულს.

პლასტილინის ცხოველები. ურიგებს პლასტილინს, აჩვენებს როგორ შეიძლება გამოიძერწოს სხვადასხვა ფორმისგან ესა თუ ის ცხოველი. მოსწავლეები ძერწავენ მაგ., პინგვინს, დათვს და ა.შ. რისთვისაც ჯერ ამზადებენ ფორმებს - მრგვალი, მოგრძო, ბრტყელი, დიდი, პატარა და ა.შ. ან ერთიანად აძლევენ რაიმე სასურველ ფორმას.

ჭურჭელი. ურიგებს პლასტილინს/თიხას. აჩვენებს თვალსაჩინოებას ჭურჭლის - ქოთანი, ფიალა, ფინჯანი, დოქი, ჭიქა და სხვ. მოსწავლეები ძერწავენ, აძლევენ სასურველ ფორმას. აკეთებენ ანაბეჭდებს მაგ., ხის წკირით, ფანქრის წვერით. თიხისგან გამოძერწილ ჭურჭელს გაშრობის შემდეგ მოხატავენ მარტივი ორნამენტით ან გააფერადებენ.

ყვავილები ფერადი წრეებისგან. ურიგებს მოსწავლეებს ფერად ქაღალდებს, რომლებზეც სხვადასხვა ზომის წრეებია მოხაზული. მოსწავლეები ამოჭრიან ან ამოხევენ (დამოუკიდებლად, დახმარებით) სხვადასხვა ფერისა და ზომის წრეებს. ნიმუშის მიხედვით აწებებენ ერთმანეთზე. სახატავ ფურცელზე ქმნიან ყვავილების გამოსახულებებს. მიუხატავენ ან მიაწებებენ ქაღალდის ზოლების/ხაზების ღეროებს. გამოფენენ ნამუშევრებს. ასახელებენ/ამოიცნობენ ფერებს, ფორმას, ხაზს.

ეუბნება, რომ ზოგ ადამიანს სჭირდება სათვალე - წასაკითხად, საწერად, შორს ან ახლოს რაიმეს დასანახად, ან მზისგან დასაცავად და ა.შ. აჩვენებს, რომ სათვალე სხვადასხვა ფორმის შეიძლება იყოს: მრგვალი, ოთხკუთხა, ვარსკვლავის ან გულის ფორმის და ა.შ. ქაღალდზე/ მუყაოზე წინასწარ მოხაზული კონტურის მიხედვით გამოჭრიან სათვალის ფორმას და გააფორმებენ (მოხატავენ, დააწებებენ მძივებს და ა.შ.), ან პირიქით, ჯერ გააფორმებენ და მერე გამოჭრიან. გაიკეთებენ. აჩვენებენ ერთმანეთს როგორი გამოუვიდათ. ასახელებენ/ ამოიცნობენ/ მიუთიებენ რა ფორმისაა. რა ფერებისაა და ა.შ. ან ურიგებს ფურცლებს, რომლებზეც წინასწარ კონტურით მოხაზულა ადამიანის სახე. და მოსწავლეებმა უნდა მიახატონ სხვადასხვა ფორმის, ფერის, ზომის სათვალეები. აღწერონ.

აჩვენებს თვალსაჩინოებას, მაგ., ცნობილი მხატვრების რამდენიმე ნამუშევარს. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ/დაასახელონ ფორმები, ფერები.

ურიგებს ფერად და თეთრ ფურცლებს. მოსწავლეებმა უნდა დახატონ და შემდეგ გამოჭრან ნაცნობი ფორმები. ამ ფერადი ფორმებით უნდა შექმნან ნამუშევარი - როგორც მოისურვებენ, ისე უნდა დააწებონ, არ არის აუცილებელი რაიმე კონკრეტული გამოსახონ, უნდა ითამაშონ ფერადი ფორმებით. შეუძლიათ პასტელით ან ფლომასტერებით რაიმე მიახატონ კიდეც. უნდა ეცადონ ფურცლის სიბრტყეზე თანაბრად გაანაწილონ ფორმები. გამოფენენ. აღწერენ, ასახელებენ/ამოიცნობენ ფერებს, ფორმებს. გამოხატავენ დამოკიდებულებას.

შესაძლოა აჩვენოს ნიკო ფიროსმანის მიერ დახატული მატარებლები. ჰკითხოს თავად თუ უნახავთ მატარებელი, როგორია და ა.შ. დაფაზე ხატავს მატარებელს და მოსწავლეები მასთან ერთად იმეორებენ (ხატავენ, აკეთებენ აპლიკაციას) გეომეტრიული ფორმებით შექმნილ მატარებელს. გამოფენენ ნამუშევრებს. აღწერენ, ასახელებენ/ამოიცნობენ ფერებს და ფორმებს, შეიძლება შეადარონ ერთმანეთის და ფიროსმანის ნამუშევრებს. (შეიძლება ჩატარდეს მსგავსი აქტივობები სხვა სატრანსპორტო საშუალებების შესახებ)

ნიკო ფიროსმანი, ,,ბათუმი“, ,,კახეთის მატარებელი“:

მსგავსი აქტივობისას შეიძლება გამოსახონ იმდენი ვაგონი, რამდენი ასოც არის მათ სახელში და დააწერონ თითოეულ ვაგონს ეს ასოები სათანადო თანმიმდევრობით. ვაგონები შეიძლება ერთი ფერის იყოს, ასოები სხვადასხვა, ან პირიქით.

სათამაშო ლაბირინთი. ურიგებს ფერად ფურცლებს, რომლებზეც სწორი ხაზებია გავლებული და მშრალ წებოს. მოსწავლეებმა ფურცლები უნდა დაჭრან ზოლებად. უხსნის, რომ ამ ზოლებისგან შეიძლება სხვადასხვა ფორმის მიღება და აჩვენებს, როგორ კეთდება ეს. მოსწავლეები კეცავენ, მორკალავენ და ა.შ. დააწებებენ. მასწავლებელი ეხმარება საჭიროებისამებრ. მოსწავლეები ასახელებენ/ამოიცნობენ ფორმებს (მაგ., წრე, სამკუთხედი, ოთხკუთხედი, ყვავილი, სხვა ნებისმიერი ფორმა). მიღებულ ფორმებს მუყაოს დაბალგვერდებიან ყუთში ჩააწებებენ და სათამაშო ლაბირინთს შექმნიან. შეიძლება შიგნით პატარა ბურთი ჩააგდონ და ფორმებში გაამვრინონ.

ეუბნება, რომ თითოეული ფერის ქაღალდისგან უნდა გამოჭრან გარკვეული რაოდენობის ზოლები და მათი გადაკეცვით, დამრგვალებით და ა.შ. დაამზადონ სხვადასხვა გეომეტრიული ფორმები (მაგ., 3 ლურჯი ოთხკუთხედი, 3 წითელი წრე, 3 მწვანე სამკუთხედი და სხვ.). მათი გამოყენებით უნდა შექმნან ორნამენტი/რიტმი და დააწებონ ფერად ქაღალდზე.

ურიგებს თაბახის ფურცლებს, რომლებიც მოსწავლეებმა ზოლებად უნდა დაჭრან. ამ ზოლებისგან სხვადასხვა ფორმებს დაამზადებენ (გადაკეცავენ, დაამრგვალებენ, დააწებებენ, გადააბამენ ერთმანეთს და ა.შ.). ამ ფორმებისგან სხვადასხვა ნამუშევრებს შექმნიან (მაგ., ფიფქებს, საახალწლო

მოსართავ ჯაჭვს, ან დააწებებენ სახატავ ფურცელზე და გამოსახავენ ხეებს, ვარსკვლავებს, სახლებს და სხვ.). ასახელებენ/ამოიცნობენ ფორმებს. ცდილობენ აღწერონ რაც გამოსახეს.

დამზადებული ფორმების გამოყენებით გამოსახავენ რიტმს – ქმნიან ორნამენტს მათი განმეორებით/მონაცვლეობით. აწებებენ ფერად ფურცელზე.

ურიგებს ფერად ფურცლებს ან თხელ მუყაოს. აჩვენებს ნიმუშს, თუ როგორ შეიძლება გამოვსახოთ სხვადასხვა ფორმებით ქალაქი, სახლები. მოსწავლეები ჭრიან/ამოხევენ ზოლებს, სხვადასხვა ფორმებს, ქმნიან სახლებს/ქალაქს, აწებებენ მუყაოს ნაჭრებზე. ასახელებენ/ამოიცნობენ ფორმებს. უკავშირებენ ყოველდღიურ ცხოვრებას (ქუჩაში, ქალაქში, სოფელში მათ მიერ ნანახი სახლები/შენობები, სახურავები, ფანჯრები, კარებები და ა.შ.)

აჩვენებს თვალსაჩინოებას. ეხმარება სხვადასხვა მომარაგებული მასალისგან (მუყაოს ცილინდრები, საწრუპები, ფერადი ფურცლები, ფერადი წებოვანი ლენტები და სხვ.) შექმნან საკუთარი ნამუშევრები/ქანდაკებები (შეიძლება, ასევე, აჩვენოს ქანდაკების ნიმუშები და უთხრას, რომ ხელოვნების ამგვარ ნიმუშებს შესაძლოა შევხვდეთ ქუჩაში, მოედანზე, მუზეუმში და სხვ.). სურვილისამებრ მოხატონ საღებავებით. მოსწავლეები ასახელებენ/ამოიცნობენ ფორმებს, ხაზებს, ფერებს.

გაახსენებს სხვადასხვა მასალის ფერადი ფორმებისგან მათ მიერ შექმნილ ნამუშევრებს. ეუბნება, რომ სხვადასხვა ფორმისა და ხაზებისგან შესაძლებელია როგორც უძრავი, ისე მოძრავი ნამუშევრების/ქანდაკებების შექმნა. (შესაძლოა უთხრას, რომ ერთ-ერთი ხელოვანი – ალექსანდერ კალდერი, ქმნიდა ამგვარ ნამუშევრებს და აჩვენოს მისი რამდენიმე/რომელიმე მობილი). ურიგებს მომარაგებულ მასალას (ფერადი ფურცლები, ძაფები, რბილი ფერადი მავთულები და სხვ.). აჩვენებს თვალსაჩინოებას. მოსწავლეები გამოჭრიან ფერადი ფურცლებიდან სხვადასხვა ბრტყელ ფორმას, დაამზადებენ სხვადასხვა მოცულობით ფორმას (მაგ., კონუსი, ცილინდრი). საჭიროებისამებრ მასწავლებელი ეხმარება. ნიმუშების მიხედვით ხვრეტენ, ამაგრებენ, აბამენ, ჩამოკიდებენ ფორმებს ერთმანეთს - ქმნიან მოძრავ (მობილები) და უძრავ ქანდაკებებს. მობილებს მასწავლებელი დაკიდებს კლასში.

აქტივობები რიტმის გამოყენებით

მასწავლებელი:

აჩვენებს გარკვეული კანონზომიერებით დალაგებული ფორმების თანმიმდევრობას და სთხოვს იპოვონ ერთნაირი ფორმები, ერთნაირი ფერის ფორმები. ურიგებს ფერადი ქაღალდებისგან გამოჭრილ მსგავს ფორმებს. მოსწავლეები ქმნიან ორნამენტებს და აწებებენ ფერად ფურცლებზე. აღწერენ ნამუშევარს. ასახელებენ/ამოიცნობენ განმეორებად ფორმებს, ფერებს.

სამკაული.

აჩვენებს თვალსაჩინოებაზე, როგორი სამკაული – ყელსაბამი შეიძლება შექმნან ქაღალდის თეფშებით. ეხმარება მოსწავლეებს ერთ მხარეს გაჭრან და ამოჭრან შუაში ქაღალდის თეფშები (იხ. ნიმუში). მოსწავლეები ხაზების, წერტილების, ფერების, ფორმების მონაცვლეობით და განმეორებით მოხატავენ. თუ სურთ, მოირგებენ ყელზე და ამგვარად გამოფენენ ნამუშევრებს. აკვირდებიან ერთმანეთის სამკაულს და ასახელებენ/ამოიცნობენ ხაზებს, ფერებს რითაც შექმნეს ორნამენტი/რიტმი.

აჩვენებს როგორ შეიძლება შექმნან სხვანაირი სამკაული – ყელსაბამი ან სამაჯური ქაღალდის ყვავილებისა და დაჭრილი საწრუპი ჯოხებისგან (იხ. ნიმუში). მოსწავლეები გამოჭრიან ყვავილის ფორმებს, დაჭრიან საწრუპ ჯოხებს და გარკვეული თანმიმდევრობით ააგებენ ძაფზე.

საჩუქარი. აჩვენებს სხვადასხვაგვარი (ფორმებით, ხაზებით და ა.შ.) რიტმის ამსახველ თვალსაჩინოებას. ასევე გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს – სამკაულს. მოსწავლეები ცდილობენ ამოიცნონ, დაასახელონ რა ფორმები, ხაზები მეორდება და ა.შ. თიხისგან/ფერადი პლასტილინისგან ძერწავენ სხვადასხვა გეომეტრიულ და ბუნებაში არსებულ ფორმებს (ბურთები, კუბები, ცილინდრები, ვარსკვლავები, ყვავილები, ფოთლები და ა.შ.) – თითოეულს რამდენიმე ეგზემპლარად. გახვრეტენ ხის წკირით/წვრილი ფუნჯის წვერით. გააფორმებენ მძივებით, ბისერით და ა.შ. (თიხას გააშრობენ, მოხატავენ, შეღებავენ სხვადასხვა ფერით (მაგ., წითელი, ყვითელი, ლურჯი, მწვანე). მასწავლებლის დახმარებით აირჩევენ რაიმე კანონზომიერებას რიტმის გადმოსაცემად და იმ თანმიმდევრობით აასხამენ თოკზე/ძაფზე. გამოფენენ და აღწერენ ნამუშევრებს. ამბობენ, ვის უნდათ, რომ აჩუქონ.

ურიგებს მოსწავლეებს სახატავ ფურცლებს, რომლებზეც წინასწარ მოხაზულია მათი სახელი მოზრდილი ასოებით - ორმაგი კონტურით. მოსწავლეებმა წინასწარ მომარაგებული შესაბამისი ზომის ფერადი ქაღალდის სხვადასხვა ფორმები უნდა ჩააწებონ ასოებში - ანუ შეავსონ/მორთონ. ფორმები უნდა ჩააწებონ გარკვეული თანმინდევრობით/მონაცვლეობით, რომ მიიღონ რიტმი (ასოების გასაფორმებლად შეიძლება გამოიყენონ სხვადასხვა ფაქტურის მასალა, მაგ., ღილები, დეკორატიული ფერადი ბურთულები, დაჭრილი ფერადი საწრუპები, მარცვლები, სხვადასხვა ფორმის მაკარონი და სხვ.). დასრულების შემდეგ გამოფენენ ნამუშევრებს, ამოიკითხავენ საკუთარ/კლასელის სახელს. აღწერენ. მიუთითებენ, სად გამოსახეს რიტმი და რომელი ფორმების/მასალის გამოყენებით შექმნეს ის.

აჩვენებს სხვადასხვაგვარი ორნამენტის მქონე ტანსაცმელს/ქსოვილს/ ხალიჩებს/ ფარდაგებს და ა.შ. მოსწავლეები ამოიცნობენ/ასახელებენ ნაცნობ ფორმებს, ფერებს, რიტმის ელემენტებს. ქმნიან ,,ესკიზს“ ორნამენტებიანი ქსოვილისთვის (ხატავენ, აკეთებენ აპლიკაციას, ანაბეჭდს, იყენებენ ფერად პლასტილინს და ა.შ.). იყენებენ რიტმს. გამოფენენ. აღწერენ.

აჩვენებს, როგორ შეიძლება გამოვსახოთ ხაზებით, ფორმებით ადამიანი, ადამიანები, საკუთარი ან საყვარელი/ნაცნობი ადამიანის პორტრეტი. მოსწავლეები პასტელით, ფანქრებით, გუაშით ხატავენ ადამიანს/ადამიანებს. ,,ჩააცვამენ“ ტანსაცმელს, რომელსაც მოხატავენ რიტმის ელემენტებით (ყვავილები, ვარსკვლავები, წრეები, ლაქები, ხაზები და მათი მონაცვლეობა, განმეორებადობა). აღწერენ ნამუშევარს, ვინ გამოსახეს, რა სახასიათო ნიშნები მიუხატეს, როგორი ტანსაცმელი აცვიათ, მათსავე ტანსაცმელს ხომ არ ჰგავს, როგორ მოსწონთ ის, რაც დახატეს და ა.შ. ამოიცნობენ/ასახელებენ რიტმს.

აქტივობები ფორმატზე გამოსახულების განაწილებაზე

მასწავლებელი:

გაჰყავს მოსწავლეები ეზოში და აგროვებენ ფოთლებს (თუ შესაძლებელია) ან ურიგებს წინასწარ მომარაგებულ ფოთლებს, საღებავიან ერთჯერად თეფშებს A3 ზომის ქაღალდებს (შეიძლება ფერადიც). მოსწავლეები საღებავში ასველებენ ფოთლების ერთ მხარეს და აკეთებენ ანაბეჭდებს ფურცელზე. შეიძლება გარკვეული რიტმიც გამოიყენონ ფორმების, ფერებისდა მიხედვით (მასწავლებლის დახმარებით და მითითებით). უნდა ეცადონ, რომ ანაბეჭდები თანაბრად

გადაანაწილონ სასურათე სიბრტყეზე. თუ რომლიმე მოსწავლის ნამუშევარზე ბევრი თავისუფალი ადგილია, მასწავლებელი შორიდან დაანახებს და შესთავაზებს, უკეთესი ხომ არ იქნება ცარიელი ადგილიც შეავსონ.

ფოთლებიანი სუფრა. ერთობლივი ნამუშევარი. ერთ გრძელ რულონის ქაღალდზე მოსწავლეები აკეთებენ ფოთლების ანაბეჭდებს. ცდილობენ თანაბრად გაანაწილონ/დაფარონ ფურცლის სიბრტყე.

აქტივობები საგანთა თანაფარდობაზე

აჩვენებს მაღალი და დაბალი ადამიანის (მაგ., მოზრდილი და პატარა ბავშვის გამოსახულებას). ცდილობენ ამოიცნონ/მიუთითონ დიდი ვინ არის და პატარა ვინ (ან შეიძლება დადგეს რომელიმე მოსწავლის გვერდით (რომელიც შესამჩნევად მასზე დაბალია) და უნდა მიუთითონ/ დაასახელონ, რომელია დიდი და რომელი პატარა, რომელია მაღალი და რომელი დაბალი). შემდეგ უნდა დახატონ – გამოსახონ დიდი/მაღალი ადამიანი და მის გვერდით პატარა/დაბალი ადამიანი. ან მსგავსი აქტივობა ზომით დიდ და პატარა ნივთებზე, საგნებზე, ცხოველებზე, მცენარეებზე. მაგ.,

დიდი ქათამი და პატარა წიწილები – აპლიკაცია, ქაღალდის პლასტიკა:

დიდი და პატარა წრეები სხვადასხვა მასალით. მოსწავლეები ცდილობენ წრეები თანაბრად გაანაწილონ სასურათე სიბრტყეზე:

აჩვენებს თვალსაჩინოებას, სადაც გამოსახულია გვერდიგვერდ მაღალი და დაბალი შენობები. შესაძლოა ფანჯრიდანაც დაანახოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ურიგებს მასალას და მოსწავლეები გამოსახავენ მაღალ და დაბალ სახლებს.

ურიგებს სხვადასხვა ზომის ქაღალდის ზოლებს. მოსწავლეებმა უნდა აარჩიონ და მათი გამოყენებით შექმნან აპლიკაცია - მაღალი და დაბალი სახლი.

აქტივობები სხვადასხვა მასალით, ტექნიკით, იარაღით

მასწავლებელი:

აჩვენებს თვალსაჩინოებას (სხვადასხვა ფერის, ფორმის ყვავილების ფოტოები და მხატვრების მიერ შექმნილი ნატურმორტები). მოსწავლეები ასახელებენ/ამოიცნობენ ფერებს. იხსენებენ, თუ უნახავთ ასეთი ყვავილები, რა ჰქვია, რომელი მოსწონთ, სუნი თუ მოსწონთ მათი და ა.შ.

ვინსენტ ვან გოგი, მზესუმზირები:

ყვავილები. მოსწავლეები ხატავენ ყვავილებს. ცდილობენ ასახონ ფორმა (მაგ., ტიტის, იის, რომელიმე ფოთლის და ა.შ.) (კონკრეტული გამოსახულების შექმნა ფორმის, ფერის, ხაზის გამოყენებით; ფორმის, ფერის, ხაზის მოცნობა/განსხვავება/დასახელება; საღებავის გამოყენება)

ურიგებს ფერად ქაღალდებს, რომლებისგანაც ქმნიან (დახატავენ, გამოჭრიან, ამოხევენ) სხვადასხვა ფერის ყვავილებს, ღეროებს, ფოთლებს, ქოთნებს (მაგ მუყაოს ცილინდრებისგან, რომლებსაც გააფორმებენ მაგ., რიტმის გამოყენებით, ან სურვილისამებრ), აწებებენ ფურცლებზე - გამოდის ერთგვარი 3D ნატურმორტი. აღწერენ ნამუშევარს. ყურადღება მახვილდება ასევე გამოსახულების განაწილებაზე. (აპლიკაციის ტექნიკის გამოყენება (გამოჭრა, დაწებება), ფერების, ფორმების ამოცნობა/გამოყენება ნამუშევარში)

მზესუმზირა/ გვირილა. ურიგებს სხვადასხვა მასალას, მაგ., ნაირგვარი ფორმის მაკარონი, ყურის ჩხირები, რბილი მავთულები, სხვა მასწავლებლის ფანტაზიის მიხედვით. მოსწავლეები ქმნიან კოლაჟს - მზესუმზირას/ გვირილას შერეული მასალით (ბუნებრივი, ხელოვნური).

ურიგებს შესაბამის რესურსს და მოსწავლეები გამოსახავენ ბაბუაწვერას ანაბეჭდებით (სამზარეულოს ხელსახოცის რულონის ღეროთი), ან ტიტებს პლასტმასის ჩანგლებით:

აჩვენებს ნიმუშს, რომლის მიხედვითაც მოსწავლეები ქმნიან ნამუშევარს - ხეს, აპლიკაციითა და საღებავიანი თითის ანაბეჭდებით.

აჩვენებს მოსწავლეებს, როგორია რვაფეხა (ფოტო, ვიდეო), ან როგორ არის დახატული რვაფეხა, მაგ,:

აჩვენებს, როგორი რვაფეხები უნდა გააკეთონ. ურიგებს წინასწარ მომარაგებულ მუყაოს ცილინდრებს (შეიძლება სამზარეულოს ხელსახოცის, ან ტუალეტის ქაღალდის ღეროები). აჩვენებს, როგორ უნდა ჩაჭრან ერთ მხარეს, რომ საცეცები/ ფეხები გაუკეთონ. შეიძლება დაითვალონ რამდენი ფეხი აქვს (შეიძლება ყველამ რვა გააკეთოს/ მასწავლებელმა გააკეთებინოს, ან ვისაც რამდენი უნდა). შეღებონ, დაახატონ ან დააწებონ თვალები. (ქაღალდის პლასტიკა/მოდელირება). (შესაძლებელია ინტეგრირება ბუნებისმეტყველებასთან და მათემატიკასთან).

პლასტილინის/თიხის და მარცვლეულის მედალიონები. ურიგებს სხვადასხვაგვარ მარცვლეულს, თიხას და პლასტილინს. მოსწავლეები გამოძერწავენ სხვადასხვა ფორმის მედალიონებს როგორც თიხისგან, ისე პლასტილინისგან და გააფორმებენ მარცვლეულით. აღწერენ, როგორი ფორმის მედალიონი შექმნეს (მრგვალი, ოთხკუთხა, ფოთლის ფორმის და სხვ.) და რა გამოსახეს ზედ (ფიფქი, წრე, სახე, ხაზები, წერტილები და სხვ.) შემდგომ გაკვეთილზე აკვირდებიან ნამუშევრებს - აღმოაჩენენ, აღწერენ დაკვირვების შედეგებს (თიხის მედალიონები გამაგრდა და პლასტილინის ისევ რბილი დარჩა) (მასალის თავისებურებების გაცნობა, კონცენტრაციის, მოტორული უნარ-ჩვევების განვითარება).

აჩვენებს მოსწავლეებს, როგორ შეიძლება გააკეთონ ანაბეჭდები გაჭრილი ვაშლით, ლიმონით, ფორთოხლით, ბროკოლით, ბულგარული წიწაკით და ა.შ. ერთჯერად თეფშებზე უსხამს სხვადასხვა ფერის გუაშს (წითელი, მწვანე, ყვითელი, ნარინჯისფერი). ურიგებს გაჭრილ ხილს/ ბოსტნეულს/ ციტრუსს. მოსწავლეებმა თითოეული მათგანი უნდა ჩააწონ შესაბამისი/მსგავსი ფერის საღებავში და გააკეთონ ანაბეჭდი ფურცელზე. შესაძლებელია ჯერ ზოლად ერთი ხილის და ერთი ფერის რამდენიმე ანაბეჭდი გააკეთონ, შემდეგ მეორე ზოლად სხვა ხილის/ ბოსტნეულის/ ფერის და ა.შ. ან თავად მოსწავლეებს როგორც მოუნდებათ - ითამაშონ. ყურადღება უნდა მიაქციონ, რომ თანაბრად გადაანაწილონ ანაბეჭდები ფურცელზე და დაიცვან ფურცლის საზღვრები. შემდეგ უნდა ამოიცნონ/ მიუთითონ/ დაასახელონ, რომელი ანაბეჭდი რომელი ხილით/ ბოსტნეულით გააკეთეს და რა ფერია. გამოთქვან თავიანთი დამოკიდებულება, მოეწონათ თუ არა ეს აქტივობა. მოსწონთ თუ არა საკუთარი ნამუშევარი. რომელი ხილის ანაბეჭდი/ფორმა მოეწონათ ყველაზე მეტად.

აჩვენებს თვალსაჩინოებას, რომელზეც ჩანს, თუ სად იზრდება ბოსტნეული (მიწისქვეშ, მიწისზემოთ). მომარაგებული აქვს სტაფილო, ჭარხალი, ბროკოლი... გაჭრის სიგრძეზე. ურიგებს მოსწავლეებს. მოსწავლეების ფურცლებზე გაავლებს ჰორიზონტალურ ხაზს (ან სთხოვს მოსწავლეებს თვითონ გაავლონ). ერთჯერად თეფშებზე უსხამს გუაშს (შეიძლება ბოსტნეულის მსგავსი ფერის (ნარინჯისფერი, იისფერი, მწვანე) ან ნებისმიერი სხვა). აჩვენებს, როგორ უნდა გააკეთონ ანაბეჭდი, ისე, რომ ზოგი ბოსტნეული ხაზს ქვემოთ იყოს, ანუ მიწის ქვეშ, ზოგი ხაზს ზემოთ, ანუ მიწის ზემოთ. (შესაძლებელია ინტეგრირება ბუნებისმეტყველებასთან)

გაჰყავს ეზოში. წაახალისებს, რომ იპოვონ ფოთლები, ტოტები, ყვავილები... მოაგროვონ (შეიძლება ერთ საერთო ყუთში). ან შეიძლება სთხოვოს, რომ სხვადასხვა ფორმის ფოთლები სხვადასხვა ადგილას შეაგროვონ (თუ ეზოში არსებული ხეები იძლევა ამის საშუალებას, მაგ., ჭადარი, თუთა, ალვა, მუშმალა...). კლასში ურიგებს თითოეულ მოსწავლეს 2-3 ფოთოლს. ერთჯერად თეფშებზე უსხამს სხვადასხვა ფერის გუაშს და აჩვენებს, როგორ შეიძლება ჩააწონ ფოთლები საღებავში და ფურცელზე გააკეთონ ანაბეჭდები.

ერთჯერად თეფშებზე უსხამს გუაშის საღებავს. ბავშვები ხელს ჩააწობენ და გააკეთებენ ანაბეჭდებს ფურცელზე. ათვალიერებენ ნიმუშებს. აირჩევენ ნიმუშებზე, რომელ ცხოველად უნდათ გადააქციონ ხელის ანაბეჭდი და მასწავლებლის დახმარებით დაასრულებენ ნამუშევარს. მასწავლებელმა უნდა ურჩიოს, რომ ანაბეჭდის გაკეთების შემდეგ ნამუშევარს აცადონ გაშრობა და შემდეგ განაგრძონ მუშაობა (შესაძლებელია მასწავლებელს მომარაგებული ჰქონდეს სხვადასხვა დეკორატიული მასალა., მაგ., თვლები, ღილები, რბილი მავთულები, ძაფები და ა.შ. და მოსწავლეებმა დააწებონ ანაბეჭდზე).

აჩვენებს თვალსაჩინოებას. ეხმარება მოსწავლეებს და ერთობლივად ქმნიან სათამაშო ცხოველებს - გამოჭრიან, დააწებებენ, მოხატავენ, დაამატებენ სახასიათო დეტალებს. მოსწავლეები განასახიერებენ, მაგ., როგორ დარბის ზებრა, დადის სპილო და ა.შ.:

სხვადასხვა (ტრადიციული და არატრადიციული) მასალის, ტექნიკის, იარაღის გამოყენება ნამუშევარში (ერთი და იმავე ცხოველის გამოსახვა ბევრი ხერხით):

აჩვენებს რომელიმე ცხოველის ქანდაკებას/ გამოსახულებას. ამოიცნობენ რომელია. აღწერენ (მასწავლებლის დახმარებით) რამდენი ფეხი აქვთ. კუდი თუ აქვთ, თვალები, ცხვირი, რქები და ა.შ. პლასტილინით ძერწავენ ნანახ ცხოველს (ან მასწავლებელი უძერწავს რამდენიმე მარტივ ფორმას, მაგ., ცხვრის ტანი, თავი, ოთხი ფეხი ... და მოსწავლეები ააწყობენ მათგან ცხოველს).

ზღარბი პლასტილინის/თიხის/ცომისა და მაკარონებისგან:

ზღარბის დახატვა ჩანგლის გამოყენებით:

ზღარბის გამოჭრა ქაღალდისგან:

ზღარბი ქაღალდის აპლიკაციით, სხვადასხვა ფორმის ეკლებით (ოთხკუთხედი, სამკუთხედი):

ზღარბი ქაღალდის დაკეცვით:

ზღარბი ხელის ანაბეჭდებით:

ზღარბი ფოთლების კოლაჟით:

ზღარბი პლასტილინისა და ბუნებრივი ნაპოვნი მასალისგან (ცხენის წაბლის ჩენჩო, გირჩა, ხავსი, ბალახი, ჯოხები/ჩხირები:):

წელიწადის დროები. ახსენებს მოსწავლეებს, აჩვენებს თვალსაჩინოებას, როგორია წელიწადის სხვადასხვა დრო, რა ხდება, როგორი ამინდებია, რა აცვიათ ადამიანებს.

ქმნიან აპლიკაციას, კოლაჟს და გამოსახავენ ზამთრის ტანსაცმელს, ან საკუთარ პორტრეტს ზამთრის ტანსაცმლით:

ხელთათმანები. ეხმარება მოსწავლეებს, რომ ფურცელზე გაშლილ ხელს კონტური შემოავლონ, ან საღებავიანი ხელის ანაბეჭდი გააკეთონ. შემდეგ მოსწავლეები გააფორმებენ ხაზებით, წერტილებით, ფორმებით ან დააწებებენ სხვადასხვა მასალას (ღილებს, მძივებს და ა.შ.).

ზაფხულის ასოციაციები, მაგ.,: სანდლები, ქოლგა, მარაო, ნაყინი აპლიკაციით, კოლაჟით, პეპლები კოლაჟი შეღებილი მაკარონებით:

ურიგებს შესაბამის რესურსს და მოსწავლეები ნამუშევრისთვის ნაირფერ/ფერადოვან ფურცლებს ქმნიან საპნის ბუშტებით. შემდეგ შეიძლება გამოიყენონ ფონად და დახატონ ზედ რაიმე ან გამოჭრან რაიმე ფორმები (ფერების, ფორმების (წრეები/მრგვალი), არატრადიციული მასალის გამოყენება, თამაში ფერებით და მასალით)

დეკორატიული კვერცხები დღესასწაულისთვის 1. სახატავ ფურცლებს დაფერავენ წითელი, ლურჯი და ყვითელი ფერებით, ასევე, მათი შერევის შედეგად მიღებული ფერებით (მწვანე, იისფერი, ნარინჯისფერი). გაშრობის შემდეგ დახატავენ კვერცხის ფორმებს და გამოჭრიან. სხვა ფურცელზე დახატავენ ფონს და დააწებებენ ფერად კვერცხებს.

დეკორატიული კვერცხები დღესასწაულისთვის 2. ურიგებს თხელ მუყაოს. მოხაზავენ კვერცხის ფორმებს და გამოჭრიან. საღებავით, ფლომასტერებით, ფერადი პლასტილინით გააფორმებენ (დაახატავენ ყვავილებს, ორნამენტებს და ა.შ.)

გაჰყავს ეზოში/სკვერში/პარკში/ტყეში. მოსწავლეები აკვირდებიან გარემოს, აგროვებენ ფოთლებს, ყვავილებს, ბალახებს, ბუმბულებს, ტოტებს და ა.შ. კლასში მათგან ამზადებენ სახატავ ფუნჯებს. აკვირდებიან, როგორ კვალს ტოვებს თითოეული მათგანი. იყენებენ ნამუშევრების შექმნისას. (ბუნებაზე დაკვირვება, ბუნებრივი მასალის გამოყენება, პრაქტიკული უნარების გამომუშავება)

საინტერესო ფაქტურები (ფროტაჟი): აჩვენებს რა გამოვა, თუ მაგ., მონეტას ან რაიმე ფაქტურიანი ზედაპირის მქონე საგანს დადებენ ფურცლის ქვეშ და ზემოდან გადაუსვამენ ფანქარს. ურიგებს ამგვარ საგნებს (მონეტები, ბადე, მაქმანი და სხვ.). მოსწავლეები თვითონაც ცდილობენ გაიმეორონ. ერთ ფურცელზე სხვადასხვა ფაქტურებს გამოსახავენ და წარადგენენ. აკვირდებიან, ადარებენ როგორია ფანქრით გაკეთებული ანაბეჭდი და რეალური საგნის ზედაპირი - რას ხედავენ და რას გრძნობენ შეხებით.

სარეკომენდაციო თემები

ინტელექტუალური განვითარების მძიმე და ღრმა დარღვევების მქონე მოსწავლისათვის დაწყებით საფეხურზე მოცემულია სარეკომენდაციო თემები, რომელიც ასახავს მათთვის ნაცნობ გარემოს და კონტექსტს. შესაძლებელია თემების შეცვლა (გამრავალფეროვნება) მოსწავლეთა საჭიროების მიხედვით.

ჩემი სახლი, ჩემი ეზო;

ჩემი სკოლა;

ქალაქი და სოფელი;

სარეკომენდაციო თემები	ცნებები
ჩემი სახლი, ჩემი ეზო	სახვითი ხელოვნების ელემენტები:

ჩემი სკოლა	ხაზი (სქელი, წვრილი, გრძელი, მოკლე, კონტური და სხვ.), ფაქტურა; ფერი (მაგ., ყვითელი, წითელი, ლურჯი, ნარინჯისფერი, მწვანე, იისფერი, ცისფერი, ვარდისფერი, ყავისფერი, თეთრი, შავი, ნაცრისფერი და სხვ., ცისარტყელა);
მე და ადამიანები ჩემ გარშემო	
ქალაქი და სოფელი	ფორმა (მაგ., სამკუთხედი, ოთხკუთხედი, წრე და სხვ., ბრტყელი, მოცულობითი); ტექნიკა და პროცედურა (მაგ., ფერწერა, გრაფიკა, ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი, მოზაიკა, ანაბეჭდი და სხვა;.
ტყე, ზღვა, მდინარე და სხვ.	სახვითი ხელოვნების პრინციპები (მაგ., რიტმი, საგანთა თანაფარდობა (მაგ., შედარებით დიდი და შედარებით პატარა), სასურათე სიბრტყეზე/ ფორმატზე გამოსახულების განაწილება. ტექნიკა და პროცედურა (მაგ., ფერწერა, გრაფიკა, ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი, მოზაიკა, ანაბეჭდი, ქაღალდის პლასტიკა და სხვ.); სარეკომენდაციო მასალა და იარაღი (მაგ., ფანქარი, პასტელი, ფლომასტერი, გუაში, ფერადი ცარცები, ფერადი ქაღალდი, მუყაო, ქსოვილი, პლასტილინი, თიხა, ძაფი, თოკი, მავთული, სხვა მასალა (ტრადიციული და არატრადიციული, ბუნებრივი და ხელოვნური - მაგ: ღილები, მძივები, ძაფი, რბილი მავთული, ჯოხები, ფოთლები, გირჩები, მარცვლები და სხვ.), ფუნჯი, მაკრატელი, წებო და სხვ.).

ტყე, ზღვა, მდინარე და სხვ.;

მე და ადამიანები ჩემ გარშემო.

სარეკომენდაციო თემებისა და ცნებების დამაკავშირებელი ცხრილი

ცხრილში მოცემულია თემები, რომელთა კონტექსტში დაწყებით საფეხურზე ინტელექტუალური განვითარების მძიმე და ღრმა დარღვევების მქონე მოსწავლეებმა უნდა მიიღონ ელემენტარული ცოდნა და ჩამოუყალიბდეთ სასიცოცხლო უნარ-ჩვევები.

ასევე, მოცემული ცნებები, შეძლებისდაგვარად, თემების ფარგლებში უნდა დამუშავდეს.

სარეკომენდაციო თემების და შეფასების ინდიკატორების დამაკავშირებელი ცხრილები

თითოეულ ცხრილში მოცემულია თემის დასახელება, შეფასების ინდიკატორები, რომლებშიც ნაჩვენებია, თუ როგორ რეალიზდება შედეგები კონკრეტულ თემაში და რა უნდა შეძლოს მოსწავლემ დამოუკიდებლად ან/და ფიზიკური და ვერბალური დახმარებით, მკვიდრი წარმოდგენები, რომლებზეც უნდა იმუშაოს მასწავლებელმა შესაბამის კონტექსტში.

თემა: ჩემი სახლი, ჩემი ეზო
შეფასების ინდიკატორები: მოსწავლემ უნდა შეძლოს: სახლის, ოჯახის წევრების, ნაცნობი ნივთების, მცენარეების, შინაური ცხოველების, გამოსახვა ხაზებით, ფერებით, ფორმებთ და სხვადასხვა ტექნიკის, მასალის, იარაღის უსაფრთხო გამოყენებით (ალტ.ს.გ.დაწყ.1, 2); ნამუშევარში საკუთარი შთაბეჭდილების, დამოკიდებულების, გრძნობებისა და განწყობის მარტივად გადმოცემა (მაგ., საკუთარ სახლზე, ეზოზე, შინაურ ცხოველებზე, მცენარეებზე, ნივთებზე და სხვ.) (ალტ.ს.გ.დაწყ.1.); სახლის კონკრეტულ სივრცესთან ასოცირებული ნივთების, მასალის, იარაღის (მაგ., კბილის ჯაგრისის, ღრუბლის, ღილების და სხვ.) უსაფრთხო გამოყენება ნამუშევარში (ალტ.ს.გ.დაწყ.2.); თანამშრომლობა (თანაკლასელთან, მასწავლებელთან) ნამუშევრის შექმნისას (ალტ.ს.გ.დაწყ.3.); საკუთარი ნამუშევრების აღწერა მარტივად (ალტ.ს.გ.დაწყ.4.); საკუთარი ან ერთობლივი ნამუშევრის შესახებ აზრის, დამოკიდებულების გამოხატვა (ალტ.ს.გ.დაწყ.4.); ხაზების, ფერების, ფორმების ამოცნობა/განსხვავება ნამუშევარში (ალტ.ს.გ.დაწყ.3, 4); რიტმის ელემენტების, დიდი და პატარა გამოსახულებების, ამოცნობა/განსხვავება ნამუშევარში (ალტ.ს.გ.დაწყ.3, 4); ხელოვნების ნიმუშის/ ნამუშევრის შინაარსის, სიუჟეტის (სახლი, ეზო, სხვადასხვა ოთახი და სივრცეები, ნივთები, ადამიანები, საქმიანობა, ცხოველები, მცენარეები და სხვ.) ამოცნობა (ალტ.ს.გ.დაწყ. 6).
მკვიდრი წარმოდგენები: სახლის, ოჯახის წევრების, საყვარელი ნივთების, ნაცნობი ცხოველების, ეზოს მცენარეების გამოსახვა შეიძლება ხაზებით, ფერებით, ფორმებით, სხვადასხვა მასალით, ტექნიკით, იარაღით; ყოველდღიური ნივთებით, რომლებსაც სახლში ვიყენებთ, შეიძლება ნამუშევრის შექმნა; ეზოში ნაპოვნი სხვადასხვა მასალა შეგვიძლია გამოვიყენოთ ნამუშევარში; სამუშაო იარაღი და მასალა ფრთხილად უნდა გამოვიყენოთ; სახლშიც შეიძლება შევქმნათ ნამუშევარი (დავხატო, გამოვძერწო, გავაკეთო აპლიკაცია, კოლაჟი და სხვ.); ხელოვნების ნიმუშზე (ნახატზე, ქანდაკებაში და სხვ.) შეიძლება ამოვიცნოთ შინაური ცხოველები, ეზოს მცენარეები, ნაცნობი ნივთები და სხვ. ნამუშევარში/ ხელოვნების ნიმუშში შეგვიძლია ამოვიცნოთ განმეორებადი ელემენტები/ დიდი და პატარა გამოსახულებები; საკუთარი/სხვისი ნამუშევრის შესახებ შეგვიძლია გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდებულება (მომწონს, არ მომწონს).

თემა: ჩემი სკოლა
შეფასების ინდიკატორები: მოსწავლემ უნდა შეძლოს: სკოლის, სხვადასხვა ზომის შენობების, ყვავილების/მცენარეების გამოსახვა ხაზებით, ფერებით, ფორმებთ და სხვადასხვა ტექნიკის, მასალის, იარაღის უსაფრთხო გამოყენებით (ალტ.ს.გ.დაწყ.1, 2); ნამუშევარში საკუთარი შთაბეჭდილების, დამოკიდებულების, გრძნობებისა და განწყობის მარტივად გადმოცემა (მაგ., სკოლაზე, კლასზე, კლასელებზე, მასწავლებელზე, ექსკურსიებზე და სხვ.) (ალტ.ს.გ.დაწყ.1.); სკოლის, ეზოს, საკლასო ოთახის გალამაზება-გაფორმებაში მონაწილეობა, მუშაობისას მასალის, იარაღის უსაფრთხო გამოყენება (ალტ.ს.გ.დაწყ.2.); თანამშრომლობა (თანაკლასელთან, მასწავლებელთან) ნამუშევრის შექმნისას (ალტ.ს.გ.დაწყ.3.); საკუთარი ნამუშევრების აღწერა მარტივად (ალტ.ს.გ.დაწყ.4.); საკუთარი ან ერთობლივი ნამუშევრის შესახებ აზრის, დამოკიდებულების გამოხატვა (ალტ.ს.გ.დაწყ.4.); ხაზების, ფერების, ფორმების ამოცნობა, განსხვავება ნამუშევარში (ალტ.ს.გ.დაწყ.3, 4); რიტმის ელემენტების, დიდი და პატარა გამოსახულებების, ამოცნობა/განსხვავება ნამუშევარში (ალტ.ს.გ.დაწყ.4,6); ხელოვნების ნიმუშის/ ნამუშევრის შინაარსის, სიუჟეტის (ბავშვების, დიდების საქმიანობა, რომელიც სწავლის, ან ხელოვნებასთან დაკავშირებულ პროცესს ასახავს, ოთახის მცენარეები და სხვ.) ამოცნობა (ალტ.ს.გ.დაწყ.4, 6).
მკვიდრი წარმოდგენები: სკოლის, კლასელების, მასწავლებლის, სასკოლო ნივთების, ოთახის მცენარეების გამოსახვა შეიძლება ხაზებით, ფერებით, ფორმებით, სხვადასხვა მასალით, ტექნიკით, იარაღით; სკოლაში ვსწავლობთ, როგორ გამოვიყენთ უსაფრთხოდ სხვადასხვა მასალა, ტექნიკა, იარაღი ნამუშევრის შექმნისას; სკოლის ეზოში მოგროვილი სხვადასხვა მასალით (ფოთლები, ტოტები, ბალახები, კენჭები და სხვ.) შეგვიძლია კლასში ნამუშევარი შევქმნათ; სხვადასხვა საგნის გაკვეთილებზე შეგვიძლია გამოვიყენოთ ხელოვნების გაკვეთილზე მიღებული გამოცდილება; სკოლაში შეგვიძლია კლასელებთან ერთად შევქმნათ ნამუშევარი; ჩვენი ნამუშევრები შეგვიძლია გამოვფინოთ კლასში//სკოლის დერეფანში და წარვუდგინოთ მასწავლებელს, კლასელებს, სკოლელებს, მშობლებს; სკოლაში შეგვიძლია მონაწილეობა მივიღოთ ზეიმში, დღესასწაულში; შეგვიძლია მონაწილეობა მივიღოთ საკუთარი სამუშაო ადგილის, საკლასო ოთახის, სკოლის ეზოს მოწესრიგებასა და გალამაზებაში.

თემა: მე და ადამიანები ჩემ გარშემო
შეფასების ინდიკატორები: მოსწავლემ უნდა შეძლოს: საკუთარი თავის/ადამიანების, გამოსახვა ხაზებით, ფერებით, ფორმებით (ალტ.ს.გ.დაწყ.1.); შთაბეჭდილების, დამოკიდებულების, გრძნობების, განწყობილების მარტივად გადმოცემა ხაზებით, ფერებით, ფორმებით ნამუშევარში (ალტ.ს.გ.დაწყ.1.); ადამიანების გამოსახვა სხვადასხვა ტექნიკის (ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი, ანაბეჭდი და სხვ.), მასალის, იარაღის უსაფრთხო გამოყენებით (ალტ.ს.გ.დაწყ.2.); თანამშრომლობა (თანაკლასელთან, მასწავლებელთან) ნამუშევრის შექმნისას (ალტ.ს.გ.დაწყ.3.); საკუთარი ან ერთობლივი ნამუშევრის შესახებ აზრის, დამოკიდებულების გამოხატვა (ალტ.ს.გ.დაწყ.4.); ხაზების, ფერების, ფორმების ამოცნობა, განსხვავება ნამუშევარში (ალტ.ს.გ.დაწყ.4); ხელოვნების ნიმუშის/ ნამუშევრის შინაარსის, სიუჟეტის (ადამიანები, მათი საქმიანობა, პროფესია) ამოცნობა (ალტ.ს.გ.დაწყ.4,6); ხელოვნების ნიმუშში/ ნამუშევარში ადამიანების, მათი ტანსაცმლის და სხვ. ამოცნობა/განსხვავება (მაგ., დიდი-პატარა ან მაღალი-დაბალი, ტანსაცმლის ტიპი და ფერი და სხვ.); (ალტ.ს.გ.დაწყ.6); (სხვადასხვა დარგის) ხელოვნების ნიმუშების, ნამუშევრების განსხვავება სხვადასხვა გრძნობის ორგანოებზე ზემოქმედების მიხედვით (მაგ., მუსიკას ვუსმენთ და აღვიქვამთ ყურით; კინოს, თეატრს, ბალეტს, ანიმაციურ ფილმს ვუყურებთ და ვუსმენთ, აღვიქვამთ თვალით და ყურით; ნახატს ვუყურებთ და აღვიქვამთ თვალებით; ქანდაკებებს, შენობებს, სახლებს (არქიტექტურა) აღვიქვამთ თვალით და შეხებით, ვუყურებთ, ვეხებით, შეგვიძლია შემოვუაროთ გარშემო, ან შიგნით შევიდეთ; სამკაულს, ჭურჭელს, ტანსაცმელს (დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება) აღვიქვამთ თვალით და შეხებით, ვუყურებთ, ვეხებით, შეგვიძლია გამოვიყენოთ, გავიკეთოთ, ჩავიცვათ და ა.შ.) (ალტ.ს.გ.დაწყ.5.);
მკვიდრი წარმოდგენები: საკუთარი თავის, სხვა ადამიანების გამოსახვა შეიძლება ხაზებით, ფერებით, ფორმებით, სხვადასხვა მასალით, ტექნიკით, იარაღით; სხვადასხვა ფერის, ცისარტყელას ფერების გამოყენებით შეიძლება ჩემი და ჩემ გარშემო ადამიანების განსხვავებული ტანსაცმელი გამოვსახო; ხელოვნების გაკვეთილებზე ზოგჯერ სამუშაო იარაღად შეიძლება მხოლოდ საკუთარი ხელისგულები ან თითები გამოვიყენოთ (მაგ., დავხატოთ ან გავაფერადოთ საღებავიანი თითით, გავაკეთოთ ხელის გულის ანაბეჭდი და სხვ.); ხელოვნების ნიმუშში/ნამუშევარში შეგვიძლია ამოვიცნოთ ადამიანები (როგორები არიან - მაღალი-დაბალი, რა აცვიათ, რა ფერის თმა აქვთ და სხვ.)

გარემოს, საკუთარი/სხვისი ნამუშევრის, ხელოვნების ნიმუშის შესახებ შეგვიძლია სხვადასხვაგვარად გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდებულება, აზრი; (სხვადასხვა დარგის) ხელოვნების ნიმუშების აღქმა სხვადასხვა გრძნობის ორგანოებით შეგვიძლია.

თემა: ქალაქი და სოფელი
შეფასების ინდიკატორები მოსწავლემ უნდა შეძლოს: წელიწადის დროების, ამინდის, ტრანსპორტის გამოსახვა ხაზებით, ფერებით, ფორმებით (ალტ.ს.გ.დაწყ.1.); ნამუშევარში საკუთარი შთაბეჭდილების, დამოკიდებულების, გრძნობებისა და განწყობის მარტივად გადმოცემა (მაგ., საკუთარ ქალაქზე/სოფელზე, წელიწადის დროებზე, დღესასწაულებზე, დასვენებაზე, დღე-ღამეზე, ამინდზე, ტანსაცმელზე და სხვ.) (ალტ.ს.გ.დაწყ.1.); წელიწადის დროების გამოსახვა, სადღესასწაულო მოსართავების დამზადება სხვადასხვა ტექნიკის, მასალის, იარაღის უსაფრთხო გამოყენებით (ალტ.ს.გ.დაწყ.2.); თანამშრომლობა (თანაკლასელთან, მასწავლებელთან) ნამუშევრის შექმნისას (ალტ.ს.გ.დაწყ.3.); საკუთარი ან ერთობლივი ნამუშევრის შესახებ აზრის, დამოკიდებულების გამოხატვა (ალტ.ს.გ.დაწყ.4.); ხაზების, ფერების, ფორმების ამოცნობა, განსხვავება ნამუშევარში (ალტ.ს.გ.დაწყ.4); ხელოვნების ნიმუშის/ ნამუშევრის შინაარსის, სიუჟეტის (ქალაქი, სოფელი, ტრანსპორტი, წელიწადის დროები, დღესასწაულები, ამინდი, დღე და ღამე, ტანსაცმელი) ამოცნობა, დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან (ალტ.ს.გ.დაწყ.5,6). ხელოვნების ნიმუშების ამოცნობა/განსხვავება საკუთარ ქალაქში/სოფელში, დამოკიდებულების გამოხატვა (ალტ.ს.გ.დაწყ.5).
მკვიდრი წარმოდგენები: ქალაქი და სოფელი (სახლები, ტრანსპორტი და სხვ.) შეიძლება გამოვსახოთ ხაზებით, ფერებით, ფორმებით, სხვადასხვა მასალით, ტექნიკით, იარაღით; სხვადასხვა ფერებით, ხაზებით, ფორმებით, მასალით, ტექნიკით შეგვიძლია გადმოვცეთ როგორია ბუნება ქალაქში/სოფელში წელიწადის სხვადასხვა დროს, დღე და ღამე; ნამუშევარში შეგვიძლია გამოვსახოთ რას საქმიანობენ, როგორ აცვიათ ადამიანებს სხვადასხვა ამინდში, წელიწადის სხვადასხვა დროს.

თემა: ტყე, ზღვა, მდინარე და სხვ.
შეფასების ინდიკატორები

მოსწავლემ უნდა შეძლოს: ტყის და წყლის ბინადრების გამოსახვა ხაზების, ფერების, ფორმების, რიტმის, საგანთა თანაფარდობის გამოყენებით (ალტ.ს.გ.დაწყ.1.); შთაბეჭდილების, დამოკიდებულების, გრძნობების, განწყობილების მარტივად გადმოცემა ხაზებით, ფერებით, ფორმებით ნამუშევარში (ალტ.ს.გ.დაწყ.1.); ცხოველების, მცენარეების გამოსახვა სხვადასხვა ტექნიკის (ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი, ანაბეჭდი და სხვ.), მასალის, იარაღის უსაფრთხო გამოყენებით (ალტ.ს.გ.დაწყ.2.); ტყეში, მინდორში, ზღვის, ტბის, მდინარის სანაპიროზე შეგროვილი მასალით ნამუშევრების შექმნა (ალტ.ს.გ.დაწყ.2.); თანამშრომლობა (თანაკლასელთან, მასწავლებელთან) ნამუშევრის შექმნისას (ალტ.ს.გ.დაწყ.3.); საკუთარი ან ერთობლივი ნამუშევრის შესახებ აზრის, დამოკიდებულების გამოხატვა ელემენტარული ტერმინოლოგიის გამოყენებით (ალტ.ს.გ.დაწყ.4.); ხაზების, ფერების, ფორმების, რიტმის, ძირითადის, საპირისპირო წყვილების ამოცნობა/განსხვავება ნამუშევარში (ალტ.ს.გ.დაწყ.3, 4); ხელოვნების ნიმუშის/ ნამუშევრის შინაარსის, სიუჟეტის (ტყე, ზღვა, მდინარე, ცხოველები, მცენარეები) ამოცნობა (ალტ.ს.გ.დაწყ.4, 6).
მკვიდრი წარმოდგენები: ტყე, ზღვა, მდინარე და მათი ბინადრები შეიძლება ბევრნაირად გამოვსახოთ (ხაზებით, ფორმებით, ფერებით, მასალითა და ტექნიკით); ტყის მცენარეები სხვადასხვანაირი ხაზებით შეიძლება გამოვსახოთ; ხეები და მცენარეები სხვადასხვა ფორმით (გეომეტრიული, ბუნებაში არსებული) შეიძლება გამოვსახოთ; ტყე ბევრნაირი ფერით შეიძლება გამოვსახოთ; ტყე წელიწადის სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფერია; ტყეში ან ზღვის/მდინარის სანაპიროზე გატარებული შთაბეჭდილებები შეიძლება ნამუშევარში ავსახოთ; ტყეში ან ზღვის/მდინარის ნაპირზე შეგროვებული ბუნებრივი მასალით შესაძლებელია ნამუშევრების შევქმნათ.

მუსიკა

სარეკომენდაციო ნაწილში მოცემულია შეფასების სარეკომენდაციო კრიტერიუმები, რომლებიც შეირჩევა მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, კონკრეტული დავალებისა და შეფასების რუბრიკის ნიმუში, სარეკომენდაციო აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლისათვის აუცილებელი ცნებების მიწოდებას და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას, სარეკომენდაციო თემები, ანუ მოსწავლეთათვის ნაცნობი კონტექსტები, რომელთა ფარგლებშიც ხდება ცნებების დამუშავება და სარეკომენდაციო ინტეგრირებული აქტივობები, რამდენიმე საგნის ინტეგრირებულად სწავლების ნიმუშად.

შეფასების სარეკომენდაციო კრიტერიუმები

მოსწავლე:

გარემოში/აუდიო ჩანაწერში ამოიცნობს/ასახელებს ხმებს;

გარემოში/ აუდიო ჩანაწეში განასხვავებს ბგერის თვისებებს;

გარემოში/ აუდიო ჩანაწერში/ ცოცხლად დაკრულში ამოიცნობს რიტმულ ფიგურაციებს;

გარემოში/ აუდიო ჩანაწერში/ ცოცხლად დაკრულში განასხვავებს ტემპს;

ხმით/ხმაურით ამოიცნობს საგანს;

ხმით/ ხმაურით ამოიცნობს საგნის მონაცემებს (ზომას, მასას);

იმეორებს მოსმენილ რიტმულ ფიგურაციებს;

სხვადასხვა ხერხით (საგნებით, ხმით და ა.შ.) ბაძავს გარემოში არსებულ ხმებს;

რიტმული ფიგუერაციებით გადმოსცემს მოძრაობებს (სწრაფი/ნელი სიარული, სირბილი და ა.შ.)

რიტმით გადმოსცემს ემოციას (გაბრაზება, სიხარული, მოწყენა და ა.შ.);

ცდილობს რიტმული ფიგურაცია აუწყოს მელოდიას/ მუსიკალურ ფრაგმენტს;

ამოიცნობს/იმეორებს რიტმულ ფიგურაციათა თანმიმდევრობას;

რიტმული ფიგურაციებით/ტემპით გადმოსცემს სურათისგან/მუსიკალური კომპოზიციისგან მიღებულ საკუთარ შთაბეჭდილებას;

ამოიცნობს/იმეორებს ხმების/ბგერების თანმიმდევრობას;

ამოიცნობს სხვადასხვა მარტივ მელოდიას;

ჟესტით, მიმიკით, საცეკვაო ილეთით ასახავს კონკრეტულ ინტონაციას/მელოდიურ სვლას სიმღერაში;

ჟესტით/მიმიკით გადმოსცემს მელოდიის მოძრაობას (აღმავალი, დაღმავალი, ტალღოვანი და ა.შ)

სხვადასხვა შთაბეჭდილებას გადმოსცემს რაიმე ინტონაციით;

იყენებს სხვადასხვა განწყობის მელოდიას საკუთარი შთაბეჭდილების გადმოსაცემად (?);

გარემოში არსებულ ხმას/ხმებს, ხმაურს უსადაგებს რაიმე მუსიკალურ ფრაგმენტს;

რაიმე საგანს/ნახატს/ გარემოს უკავშირებს რაიმე მელოდიას/მუსიკალურ ფრაგმენტს;

რაიმე მუსიკალურ ფრაგმენტზე გაითამაშებს პატარა მარტივ პანტომიმის სკეტჩს;

სხვადასხვა ხმების ჩანაწერის მოსმენისას აღწერს თუ ვინ/რა გამოსცემს ხმას, როგორია იგი;

სხვადასხვა ადგილას ჩაწერილი ხმების მოსმენისას კითხვების დახმარებით აღწერს ადგილს (პარკია, ქუჩაა, მთავარი მოედანი, ეზო და ა.შ.), რა ხდება იმ ადგილას (სეირნობენ, თამაშობენ, მანქანები დადიან და ა.შ.)

იყენებს ხმებს, მუისკალურ ფრაგმენტებს გარემოზე დაკვირვებისას მიღებულ შთაბეჭდილებების გადმოსაცემად;

ადეკვატურად რეაგირებს ტერმინებზე, დარგობრივ ლექსიკაზე;

ნამუშევარზე საუბრისას იყენებს ელემენტარულ ტერმინებს;

თანამშრომლობს, ურთიერთობს მასწავლებელთან, კლასელებთან მუსიკალური პერფორმანსის შექმნისას;

მონაწილეობს გუნდურ სამუშაოში;

ასრულებს მის წილ სამუშაოს გუნდში/ ჯგუფში/ წყვილში მუშაობისას;

უსმენს თანაკლასელებს, მასწავლებელს;

აცდის სხვებს აზრის გამოთქმას;

გამოხატავს ინტერესს მოსმენის პროცესის მიმართ;

სვამს მარტივ კითხვებს;

მონაწილეობს საკლასო ან სასკოლო ზეიმში.

აქტივობები

ხმების ამოცნობა

მასწავლებელი ასმენინებს მოსწავლეს სხვადასხვა ხმებს, ხოლო მაგიდაზე დალაგებული სხვადასხვა სურათი (ცხოველის, საგნის). მოსწავლე ამოიცნობს ხმას და მიუთითებს ამ ხმის გამომცემი ცხოველის ან საგნის სურათს;

მასწავლებელი აწყობს მაგიდაზე საგნების ან ცხოველის სურათებს (სამზე მეტი არა) და ასმენინებს ამ სურათებზე გამოსახული საგნების ან ცხოველების ხმას. მოსწავლე ალაგებს სურათებს იმ თანმიმდევრობით რა თანმიმდევრობითაც გაიჟღერა სურათებზე გამოსახული საგნები/ცხოველების ხმები

მასწავლებელი ალაგებს სამ სურათს (მაგ., წარო, ნაკადული, მთის მდინარე) და გააჟღერებს ჩანაწერს რომელიმე მათგანის ხმით. მოსწავლე ამოიცნობს ხმას და მიუთითებს სათანადო სურათს;

მასწავლებელი ალაგებს მაგიდაზე სამსურათიან კომიქსს არეულად. შემდეგ აჟღერებს სწორი თანმიმდევრებით ამ სურათების სათანადო ხმებს. მოსწავლემ მოსმენილი ხმების მიხედვით ალაგებს სურათებს.

მასწავლებელი ალაგებს მაგიდაზე სხვადასხვა საგანს (მაგ., ქაღალდი, ჭიქა, ფანქარი) და აჟღერებს ჩანაწერს ამ საგნებიდან ერთ-ერთის მიერ გამოცემულ ხმას (მაგ., ქაღალდის დაჭმუჭვნის ხმა). მოსწავლემ უნდა ამოიცნოს საგანი და გამოსცეს ამ საგნით იგივე ხმა.

მასწავლებელი ალაგებს მაგიდაზე ორ/სამ საგანს და აჟღერებს ამ საგნების ხმებს გარკვეული თანმიმდევრობით. მოსწავლემ ამ საგნებით უნდა გამოსცეს ხმები იგივე თანმიმდევრობით.

მასწავლებელი აჟღერებს წვრილ ან ბოხ ხმას მოსწავლემ უნდა დაასახელოს ან ანიშნოს წინასწარ შეთანხმებული ჟესტით ბოხი თუ წვრილი არის ხმა.

მასწავლებელი გარკვეული თანმიმდევრობით ასმენინებს ხმამაღალ და ხმადაბალ ხმებს. მოსწავლე წინასწარ შეთანხმებული ჟესტებით აჩვენებს თუ რა თანმიმდევრობით გაიჟღერა ხმამაღალმა ან ხმადაბალმა ხმებმა.

მასწავლებელი ასმენინებს სხვადასხვა ხმის თანმიმდევრობას, მოსწავლე მიმიკით ან ჟესტით აჩვენებს სასიამოვნო თუ არასასიამოვნო ხმებმა გაიჟღერა.

აქტივობები რიტმზე

მასწავლებელი ტაშით ასრულებს რაიმე რიტმულ ფიგურაციას (მაგ., ორი სწრაფი და ერთი ნელი დარტყმა) რამდენჯერმე. შემდეგ სთხოვს მოსწავლეს გაიმეოროს ეს რიტმული ფიგურაცია.

მსწავლებელი სთავაზობს მოსწავლეს შემდეგ რიტმულ ფიგურაციას: ორი სწრაფი ტაში და ხმით გამოცემული გრძელი ბგერა. შემდეგ სთხოვს მოსწავლეს იგივე გაიმეოროს.

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეს რიტმულ ფიგურაციას: სამი თანაბარი სისწრაფის ტაში. შემდეგ სთხოვს ორ მოსწავლეს გაიმეორონ შემდეგი ხერხით: ერთი მოსწავლე სამჯერ არტყამს თასშ, ხოლო მეორე ფეხით გამოყოფს ყოველ პირველ ტაშს

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს შემდეგ რიტმულ ფიგურაციას: ტაში, ხმა, ბაკუნი) და სხოვს მოსწავლეს რამდნჯერმე გაიმეორეოს ეს რიტმული ფიგურაცია.

აქტივობები მუსიკის თანხლებით

სიმღერის მოსმენისას მისამღერის რაიმე ჟესტით/საცეკვაო ილეთით აღნიშვნა.

მასწავლებელი მაგიდაზე დებს რაიმე სურათს (ხალისიანი ფერებით) და ასმენინებს მოსწავლეს ორ მუსიკალურ ფრაგმენტს. მოსწავლე აწევს სურათს რაიმე ასეთივე ხალისიანი მუსიკალური ფრაგმენტის გაჟღერების დროს. შეიძლება გაკეთდეს პირქუში სურათი და პირქუში, სევდიანი ფრაგმენტის გაჟღერებისას სურათის აწევა

სარეკომედაციო ინტეგრირებული აქტივობები კონკრეტული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესაძენად

ფერების დანიშნულება:

მწვანე ფერი - ბუნებისმეტყველება,

ცისფერი - ხელოვნება,

სტაფილოსფერი - ქართული,

შინდისფერი - მათემატიკა.

ჩემი სახლი, ჩემი ეზო

მცენარეთა ჯგუფების და მათი მახასიათებლების ამოცნობა, ხაზების საშუალებით გამოსახულებების (მცენარეების) შექმნა/გამოსახვა/დახატვა, ხაზების ამოცნობა/ გამოყენება.

მასწავლებელი:

მოსწავლეებს აჩვენებს/უხსნის ხეების, ბუჩქების, ბალახოვანი მცენარეების სურათებს.

მოსწავლეებთან ერთად გადის ეზოში. აძლევს ინსტრუქციას და აგროვებინებს ბალახებს, ფოთლებს, ყვავილებს, გირჩებს, რკოებს (რასაც იპოვიან). შემდეგ ახარისხებინებს ყუთებში, რომლებსაც აწერია შესაბამისი სახელწოდებები. მასწავლებელი მოსწავლეებს შეახსენებს, თუ რატომ აწყობენ მცენარეებს სხვადახვა ყუთში. კლასში დაბრუნების შემდეგ შეგროვებული მასალით (საჭიროების მიხედვით) ქმნიან: ა). მსგავსი მასალის/ფერის კოლაჟს; ბ). მსგავსი ზომების მქონე საგნების კოლაჟს; გ). მსგავსი ფორმების მქონე საგნების კოლაჟს... და სხვ. მოსწავლეებს ეკითხება, რომელი მცენარისაგან მოაგროვეს გირჩი, რომელისაგან - რკო, რომელისაგან - ყვავილები, ფოთლები და ა.შ. ეხმარება მოსწავლეებს მცენარეების ამოცნობაში.

მოსწავლეებს ეხმარება, რომ ბუნებაში განასხვაონ მცენარეები - ხე, ბუჩქი, ბალახოვანი მცენარე და დაადგინონ შესაბამისობა მასწავლებლის მიერ მოტანილ თვალსაჩინოებასთან/ ნახატთან.

დაფაზე აჩვენებს, როგორ შეიძლება დახატონ ხაზები (მაგ., კლაკნილი, ტალღოვანი, ტეხილი, ზიგზაგი და ა.შ.).

ეუბნება, რომ ხაზი ბევრნაირია. ურიგებს სახატავ ფურცლებს, მოსწავლეები ხატავენ პასტილით ან ფერადი ფანქრებით მსგავს ხაზებს. სთხოვს ამოიცნონ გამოყენებული ხაზები - თავიანთი ფურცლით მიდიან დაფასთან და ადგენენ სხვადასხვანაირი ხაზების შესაბამისობას.

აჩვენებს ნიმუშს, მსგავსი ხაზებით როგორ შეიძლება სხვადასხვა ფორმის მცენარეების გამოსახვა.

სთხოვს მოსწავლეებს, დათვალიერებისას ამოიცნოს სხვადასხვა კატეგორიის მცენარე: რამდენია ხე, ბუჩქი, ბალახოვანი და ყვავილოვანი მცენარე.

სთხოვს მოსწავლეებს, დათვალონ ეზოში შეგროვებული ფოთლები, გირჩები/ რკოები და დააწყვილონ, იმის დასადგენად, რომელია მეტი (?).

ეხმარება მოსწავლეებს მოცემული ხაზებით შექმნას ჩაკეტილი ტეხილი (?).

დააკვირვებს შერჩეულ ფოტოებზე და სთხოვს მათ აღწერას სიტყვიერად- ზედსართავი სახელებისა და არის/აქვს ზმნების გამოყენებით. მაგალითად: ხე არის ლამაზი, ნაძვი არის მაღალი, ხეს აქვს ყვავილები, ბალახი არის მწვანე... საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი კითხვებს საშუალებით ეხმარება მოსწავლეებს. მაგ.: ნაძვი მაღალი? ხეს აქვს ყვავილები? ყვავილები ვარდისფერია? ფოთლები ყვითელია? გვირილა წითელია? ბუჩქი მაღალია? და სხვა.

აჩვენებს მოსწავლეებს რამდენიმე სურათს მცენარეების გამოსახულებით. სთხოვს მიუთითონ, რომელი არის სახლში და რომელი - ეზოში/გარეთ (მაგ., ქოთნის ყვავილი, ხე, ნაძვი, ბუჩქი, ყვავილი ლარნაკში, ყაყაჩოები მინდორში, ყვავილების კომპოზიცია კედელზე...). მასწავლებელი საჭიროების შემთხვევაში სვამს დამხმარე კითხვებს.

სთხოვს მოსწავლეებს, ამოირჩიონ დასახატად მცენარე (მაგ., ხე, ბუჩქი, ყვავილი) და ხაზების (კლაკნილი, მრუდი, ტალღოვანი, ტეხილი, სწორი, ზიგზაგი) გამოყენებით დახატონ.

განათავსებს კედელზე სამ ნახატს (ამოირჩევს წინასწარ მომზადებული თვალსაჩინოებებიდან თითო-თითოს: ხე, ბუჩქი, ბალახოვანი მცენარე) სთხოვს მოსწავლეებს, მათი შესრულებული ნამუშევრები გააკრან კატეგორიების მიხედვით (დახატული ხეები - თვალსაჩიოებაზე გამოსახული ხის ქვეშ, დახატული ბუჩქები - შესაბამისი თვალსაჩინოების ქვეშ და ა.შ. ათვალიერებენ ერთმანეთის ნამუშევრებს.

სთხოვს მოსწავლეებს მოიტანონ მათ მიერ აქტივობის დასაწყისში დახატული ხაზები და შეადარონ კედელზე გამოკრულ მათ მიერ დახატული ხეების, ყვავილების და ა.შ. გამოსახულებებს.

ჩემი სკოლა

საკლასო ოთახში არსებული საგნების/მასალის ამოცნობა/განსხვავება თვისების, დანიშნულების მიხედვით და მტვრევადი საგნების მოფრთხილება, სხვადასხვა მასალის, ტექნიკის და პროცედურის გამოყენება ნამუშევარში, მოცულობითი ფორმების შექმნა, ძერწვა პლასტილინით და თიხით.

მასწავლებელი:

ეხმარება მოსწავლეს, ამოიცნოს/დაასახელოს საკლასო ოთახში სხეულები, რომლებიც ადვილად იცვლიან ფორმას (მაგ., პლასტილინი, თიხა, ქაღალდი, ქსოვილი, სილიკონის სახაზავი და სხვ.).

აძლევს პლასტილინს, ქაღალდს, ქსოვილს, რბილ ფერად მავთულებს და სთხოვს მხოლოდ ხელების გამოყენებით შეუცვალონ ფორმა (მაგ., გამოძერწონ ახლადნასწავლი რამდენიმე ასო, სხვადასხვა ასოს შეერთებით შეადგინონ მოკლე სიტყვა (მიზნობრივად, მაგ., ია, უთო, ხე... დაჭმუჭნონ, დაკეცონ, მოღუნონ და ა.შ.).

სთხოვს ამოარჩიონ, მასალა, რომელიც ყველაზე მეტად მოეწონათ და მისი გამოყენებით შექმნან რაიმე გამოსახულება (თიხისაგან, პალსტილინისაგან, ქაღალდისაგან - ბურთი, მცენარე, ცხოველი, რბილი მავთულისაგან - ფოთოლი, ყვავილი და სხვ.).

აჩვენებს თვალსაჩინოებაზე ან წინასწარ მომარაგებული ჭურჭლის მაგალითზე (პლასტილინისგან გამოძერწილი და თიხისაგან დამზადებული ჭიქა / ფიალა) როგორი ჭურჭელი შეიძლება შექმნან პლასტილინისგან და თიხისგან.

აძლევს მოსწავლეებს პლასტილინს და ეხმარება მათ გამოძერწონ ფინჯანი, რომელსაც კარადაში შეინახავენ.

აძლევს მოსწავლეებს თიხას და სთხოვს გამოძერწონ ისევ ფინჯანი და შეინახონ კარადაში, პასტლინის ფინჯანთან ერთად - გასაშრობად (მინიმუმ ერთი დღე).

მეორე (შემდეგ) გაკვეთილზე დაურიგებს მოსწავლეებს თავიანთ ნამუშევრებს და სთხოვს, ხელით შეამოწმონ (გამოიყენონ შეგრძნების ორგანოები), რომელია რბილი და რომელი მაგარი. მასწავლებელი დამხმარე კითხვებს უსვამს მოსწავლეებს: მშრალია? მაგარია? რბილია? შეამოწმონ, რომელი იცვლის ფორმას ადვილად (შესაძლოა შეუცვალონ ფორმა - მოაძრონ ფინჯანს ყური, მიაწებონ მეორე მხარეს და ა.შ.). სთხოვს, ამოიცნონ, რომელი მასალისგან დამზადებული გამოსახულება არ იცვლის ფორმას ადვილად (უნდა ამოიცნონ, რომ თიხას ვერ უცვლიან ფორმას ადვილად). სთხოვს დააკვირდნენ, რა მოსდის, თუ მოინდომებენ მისთვის ფორმის შეცვლას (მაგ., მოატეხენ ყურს და ვეღარ მიაწებებენ). მიმანიშნებელი კითხვებით ეხმარება დასკვნის გამოტანაში - მშრალი თიხა იმტვრევა და ამიტომაც უნდა გაუფრთხილდნენ თიხის ჭურჭელს.

მე და ადამიანები ჩემ გარშემო

ადამიანის სხეულის ნაწილების ამოცნობა, სიტყვის ორთგრაფიული ხატისა და საგნის/ სურათის ამოცნობა-დაკავშირება, ადამიანის გამოსახულების შექმნა, კონტურის გამოყენება, სხვადასხვა მასალის და იარაღის (საღებავის, ფუნჯის, წებოს, ხელების) გამოყენება.

მასწავლებელი:

სთხოვს მოსწავლეებს, ითამაშონ ერთად „სხეულის ნაწილების გამოცნობანა“. (მოსწავლეს, შესაძლოა თავდაპირველად უფრო გაუადვილდეს სხვა ადამიანის/ თოჯინას სხეულის ნაწილის მითითება, ვიდრე საკუთარი სხეულის ნაწილის ამოცნობა. ამ მიზნით მასწავლებელი აჩვენებს თოჯინას, მიუთითებს მაგალითად, მის ხელზე და ამბობს - ხელი, რამდენჯერმე იმეორებს. კვლავ უთითებს საკუთარ ან სხვა მოსწავლის ხელზე და ისევ ამბობს ხმამაღლა- ხელი

აწვდის მოსწავლეებს სარკეს, უსახელებს სხეულის რომელიმე ნაწილს და სთხოვს, სარკეზე დაადონ თითი დასახელებულ სხეულის ნაწილს და გაიმეორონ ხმამაღლა სხეულის ნაწილის სახელწოდება.

დიდი ზომის ქაღალდს აფენს იატაკზე და აკეთებს ბავშვის კონტურს (მორიგეობით), ან ეხმარება მოსწავლეს კლასელის კონტურის შემოვლებაში (მარკერით, პასტელით). თითოეული მოსწავლე დიდი ზომის ფუნჯებით (ან ხელებით) აფერადებს საკუთარ გამოსახულებას სასურველი ფერის გუაშის საღებავებით.

სანამ ნამუშევრები გაშრება, აძლევს დავალებას ბუნებისმეტყველებიდან.

აჩვენებს მოსწავლეებს სხეულის ნაწილების გამოჭრილ გამოსახულებებს ან ხმამაღლა წარმოთქვამს სხეულის ნაწილს და სთხოვს მათ, ამოიცნონ (დაასახელონ ან მიანიშნონ საკუთარ სხეულზე).

საგნისა და სიტყვის ორთგრაფიული ხატის დაკავშირება-დასამახსოვრებლად მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ბარათს, რომელზეც გამოხატულია მაგ., თვალი, ცხვირი და ქვემოთ წერია სიტყვა ,,თვალი,“ ,,ცხვირი“. მასწავლებელი იმეორებს საგნის სახელწოდებას; მოსწავლეები მასთან ერთად იმეორებენ სიტყვას და ამავე დროს მიუთითებენ ბარათზე; აქტივობა მეორდება რამდენჯერმე; ბარათს მასწავლებელი აკრავს სიტყვების კედელზე, რომ მოსწავლეებმა უყურონ მეცადინეობების დროსაც.

შეგრძნების ორგანოების გამოყენებით (ხელის შეხებით) მოსწავლეები ამოწმებენ გაშრა თუ არა ნამუშევრები.

აწვდის თითოეულ მოსწავლეს გამოჭრილ თვალსაჩინოებას (რამდენი მოსწავლეც არის, სხეულის ნაწილების თვალსაჩინოების იმდენი კომპლექტი აქვს გამზადებული, წინასწარ) და სთხოვს მოსწავლეს საკუთარ გამოსახულებაზე მიაწებოს სათანადო ადგილას მშრალი წებოს გამოყენებით.

აწვდის მოსწავლეს გამოჭრილ სახეს და ცალ-ცალკე გამოჭრილი სახის ნაწილებს (ცხვირი, ტუჩები, თვალები, ყურები). სთხოვს მოსწავლეს, დადოს სახეზე შესაბამისი ნაწილი, შესაბამის ადგილას და დააწებოს. მასწავლებლი მოსწავლეებს ისევ დააკვირვებს დაწებებულ სახის ნაწილებზე და სთხოვს დააკავშირონ ერთმანეთთან სიტყვები: ცხვირი-სუნთქვა, ტუჩები-ღიმილი, ყურები-მოსმენა, თვალები-დანახვა.

გამოფენს დერეფანში მოსწავლეთა ნამუშევრებს და მოაწყობს „გალერეას“. მოსწავლეები სკოლის სხვა მოსწავლეებს დასვენებაზე აჩვენებენ თავიანთ ნამუშევრებს და შესაძლებლობის შესაბამისად (ზოგი ვერბალურად და ზოგიც არავერბალურად) წარადგენენ.

ქალაქი და სოფელი

ქუჩაში დამოუკიდებლად ორიენტირება, სივრცის აღქმა, სივრცეში ორიენტირება, ინსტრუქციის მოსმენა (ახლოს/შორს, მარჯვნივ/მარცხნივ, ქვევით/ზევით) და უსაფრთხოდ გადაადგილება, ფერების ამოცნობა/განსხვავება, ნამუშევარში ფორმების (ბრტყელი, მოცულობითი), ფერების, სხვადასხვა მასალის/ტექნიკის (ქაღალდის პლასტიკა/მოდელირება, აპლიკაცია) გამოყენება.

მასწავლებელი:

არჩევს ადგილს, სადაც არ არის გადატვირთული მოძრაობა და დგას შუქნიშანი. გაჰყავს მოსწავლეები ქუჩაში და ეხმარება მათ ქუჩის უსაფრთხო გადაკვეთაში, იყენებს ვერბალურ, ფიზიკურ, ვიზუალურ მიმანიშნებლებს. მოსწავლეებს აცნობს შუქნიშნის ფერებს (წითელი, ყვითელი, მწვანე) და მათ დანიშნულებას. უღებს მოსწავლეებს ფოტოებს, რომლრბზეც ჩანს სხვადასხვა ფერზე მოსწავლეთა რეაქცია - მწვანეზე გადასვლა, წითელზე შეჩერება, იყენებს შესაბამის ენობრივ ფორმებს: შეიძლება/არ შეიძლება.

მოსწავლეებთან ერთად ამზადებს სამ ცალ შუქნიშანს კლასში სიმულაციური თამაშისთვის: დაახლოებით (A3 ზომის ფორმატის) შავ მკვრივ ქაღალდს სიგრძეზე გაჭრიან, ერთ ნაწილზე შემოხაზავენ/დახატავენ სამ წრეს შუქნიშნის მსგავსად. ამოჭრიან. მეორე ნაწილზე, იმავე ადგილას, დახატავენ წრეებს - კვლავ შუქნიშნის მსგავსად. გუაშის საღებავებით (ფუნჯის გამოყენებით) გააფერადებენ ზედა წრეს წითლად, შუას - ყვითლად და ქვედას - მწვანედ. იმავე ტიპის ქაღალდზე დახატავენ ორ ცალ სახელურიანი წრის ფორმას, გამოჭრიან. მიღებული ნაწილებისგან ააწყობენ შუქნიშანს. დაამზადებენ 3 ცალ შუქნიშანს, ქვემოთ მოცემული გამოსახულების მსგავსად, რომლებზეც ,,აანთებენ“ სხვადასხვა ფერს.

სთხოვს მოსწავლეებს ამოიცნონ/დაასახელონ/მიუთითონ, რა ფორმისაა შუქნიშანი (ოთხკუთხედი), რა ფორმების ამოჭრილი (წრე/მრგვალი), რა ფერები გამოიყენეს, რა გამოიყენეს გასაფერადებლად (გუაში/საღებავი, ფუნჯი) და სხვ.

სთხოვს მოსწავლეს ერთობლივად დამზადებული ნამუშევრებიდან აირჩიოს ერთი კონკრეტული შუქნიშანი (მაგ., შუქნიშანი კრძალავს ქუჩაში გადასვლას, შესაბამისი ამკრძალავი ენობრივი ფორმის/კონსტრუქციის გამოყენება: არა/არ შეიძლება/აკრძალულია). მოსწავლე ირჩევს შუქნიშნის წითელი ფერის „გააქტიურებულ“ მდგომარეობას. თუ ამას ვერ ახერხებს მოსწავლე, აჩვენებს ქუჩაში მოსწავლეებისათვის გადაღებულ სურათებს, საიდანაც მოსწავლე ამოარჩევს თავად. თუ მაინც ვერ მოახერხებს, მასწავლებელი თვითონ ირჩევს სათანადო სურათს. ამის შემდეგ ისევ იმეორებს დავალებას და აჯილდოებს მოსწავლეს წარმატებული მცდელობისათვის.

იმეორებს იმავე დავალებას დანარჩენი ორი ფერის აღსაქმელად.

შენიშვნა: (შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის შუქნიშნების დამზადება ქაღალდის პლასტიკის გამოყენებით, მუყაოთი, ფერადი ქაღალდებით და სხვ. იხ. ქვემოთ მოცემული თვალსაჩინოება).

ტყე, ზღვა, მდინარე და სხვ

ტყის ცხოველების განსხვავება ზომის, ფორმის, ფერის და სხვა ნიშნით, ფორმების, ფერების, ხაზების ამოცნობა/განსხვავება, გამოყენება ნამუშევარში, მეორადი მასალითა და აპლიკაცის ტექნიკით ტყის ცხოველების ნიღბების დამზადება.

მასწავლებელი:

მოსწავლეებს აძლევს სურათებს ან ყუთში ჩალაგებულ სათამაშო ცხოველებს და ეხმარება ამოცნობაში. ერთად არკვევენ, რომელი ცხოველი ცხოვრობს ტყეში.

სთხოვს მოსწავლეებს ამოიცნონ ცხოველი, რომელსაც აღწერს (მაგ. ეს ცხოველი დიდია, მას დიდი თათები აქვს, დაბაჯბაჯებს, ის ყავისფერია, აქვს მრგვალი ყურები, მას უყვარს თაფლი და ტყეში, ბუნაგში ცხოვრობს. ან პატარაა, თეთრია, აქვს გრძელი ყურები, ფუმფულა და მრგვალი კუდი, გრძელი ფერხები, დახტის, უყვარს სტაფილო და ცხოვრობს ტყეში, სოროში). მოსწავლე პასუხობს ვერბალურად ან არავერბალურად – მიუთითებს თვალსაჩინოებაზე ცხოველების სურათების გროვიდან ერთ-ერთზე. თუ მოსწავლე ამას ვერ მოახერხებს, ეხმარება დამატებითი შეკითხვებით, ან აჩვენებს თვალსაჩინოებას/სათამაშო ცხოველს.

ურიგებს მოსწავლეებს ერთჯერად ქაღალდის თეფშებს, ეხმარება მოსწავლეებს, მათგან თითოეულისათვის საინტერესო ცხოველების ნიღბების დამზადებაში (მაგ., შუაზე გაჭრილი თეფშიდან ამოჭრიან თვალების ადგილებს, მიაწებებენ ცხოვლისთვის დამახსიათებელი და შესაფერისი ფორმის ყურებს, გააფერადებენ, მიახატავენ/მიაწებებენ ცხვირს, ულვაშებს, ზოლებს, კოპლებს და ა.შ. საჭიროების მიხედვით).

მოსწავლეებს ეხმარება მიაწებონ ნიღბებზე, ხელში დასაჭერად, საწრუპის ჩხირები ან ბრტყელი ჯოხები.

ეხმარება მოსწავლეებს ამოიცნონ/მიუთითონ/დაასახელონ გამოყენებული ფორმები, ფერები, ხაზები (მაგ., თვალი მრგვალია, ყური მრგვალია/გრძელია, ცხვირი შავია და ა.შ), მასალა, რომლითაც შექმნეს ნამუშევარი.

სთხოვს მოსწავლეებს სახეზე აიფარონ დამზადებული ნიღბები და განასახიერონ შესაბამისი ცხოველების მოძრაობები, ხმები და სხვ.

ფიზიკური აღზრდა

სარეომენდაციო აქტივობები სპორტული დარბაზისთვის

მასწავლებელი:

გეგმავს ღონისძიებებს და გასართობ თამაშებს, რომელშიც ეტლში მყოფი მოსწავლეც შეძლებს მონაწილეობის მიღებას. (მაგ., წრეში მსხდომი მოსწავლეები ერთმანეთს გადასცემენ ბურთს. ერთი მოსწავლე, რომელსაც შეუძლია სირბილი, ცდილობს ძირს დავარდნილი ბურთი აიღოს და ჩაენაცვლოს ერთ-ერთს, წრეში მსხდომთაგან - ვისაც ბურთი დაუვარდა).

კონკრეტული მოსწავლისათვის შეარჩევს შესაბამისად ადაპტირებულ სპორტულ ინვენტარს (ეს უზრუნველყოფს ფიზიკური შეზღუდულობის მქონე მოსწავლეების ეფექტურ ჩართულობას).

მიმართავს მოსწავლეს წარმატებისკენ და უქმნის განწყობას - “შენ ამას შეძლებ”, “შენ ეს გამოგივა”, რაც უვითარებს საკუთარი თავის რწმენას (შექებით, მხარდაჭერით და წახალისებით). ეს დაეხმარება მოსწავლეს მოტივაციის გაზრდაშიც.

განიხილავს ამა თუ იმ ვარჯიშის შესრულებისას ბავშვების მიერ დაშვებულ შეცდომებს - გამოსწორების მიზნით (არ ასახელებს კონკრეტულ მოსწავლეს და არ აძლევს შენიშვნას, რადგან ეს დააქვეითებს მოტივაციას და გაუქრობს ვარჯიშის შესრულების ხარისხის გაუმჯობესების სურვილს).

საუბრის დროს ცდილობს, რომ მოსწავლის დონეზე, მის პირისპირ დაჯდეს და ისე მიმართოთ მას.

ასწავლის მოსწავლეს სპორტულ დარბაზში კედელზე დამაგრებული მოაჯირების გამოყენებას, დამატებითი დახმარების მიზნით.

ითვალისწინებს, რომ ბავშვს შესაძლოა გაცილებით მეტი დრო დასჭირდეს სპორტულ დარბაზში შესასვლელად და გაკვეთილისათვის მოსამზადებლად.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად შეარჩევს სავარჯიშოს/აქტივობას შემდეგი ელემენტების გათვალისწინებით:

რაციონალური, ოპერატიული საწყისი მდგომარეობა, სხეულის წონასწორობა და მდგომარეობა სივრცეში;

ფიზიკური აქტივობის ხანგრძლოვობა (დამოკიდებულია მოსწავლის შესაძლებლობებზე);

მოძრაობის ტრაექტორია (მოძრაობის ფორმები, მიმართულება, ამპლიტუდა);

დროის ერთეული და მოქმედების შესრულების განმეორების სიხშირე (დამოკიდებულია მოსწავლის სწრაფ-ძალისმიერი მოქმედებების შესრულებაზე);

ფიზიკური აქტივობისას სხვადასხვა კუნთთა ჯგუფის თანმიმდევრული დატვირთვა;

სამოძრაო აპარატზე მოძრაობის სისტემატური შენაცვლება (მისაწვდომი ვარჯიშების გამოყენებით);

თანმიმდევრობითი შეწყობილი და შეთანხმებული მოძრაობა დროის ერთეულში;

დაძაბვის და მოდუნების ფაზების ხანგრძლივობის რაციონალური შეთანხმება.

სარეკომენდაციო აქტივობები სპორტული მოედნისთვის

მასწავლებელი:

ასწავლის მოსწავლეს არჩევანის გაკეთებას, გადაწყვეტილების მიღებას, საკუთარი თავისა და ინტერესების დაცვას. ასახელებს გუნდურ თამაშს და დეტალურად ხსნის ან ნახატების თანმიმდევრობით აჩვენებს მოსწავლეს თამაშის პირობებს და ეტაპებს, ნახატებითვე აჩვენებს მონაწილეების როლებს. თანაც, თითოეულ მოსწავლეს აძლევს არჩევანის თავისუფლებას.

უხსნის მოსწავლეებს, როგორ ქცევას ელის მათგან. მაგ. გუნდური ასპარეზობის ან თამაშის დროს უხსნის, თუ რა დანიშნულება აქვს ამ ინვენტარს და როგორ უნდა გამოიყენონ ის. მომზადებული აქვს შესაბამისი სურათები, რაც უფრო თავლსაჩინოს გახდის ინვენტარის დანიშნულებას.

უხსნის მოსწავლეებს (აჩვენებს სურათებით, რათა უფრო გასაგები იყოს), თუ რა ტიპის მოძრავ თამაშებს, სავარჯიშოებსა თუ სპორტულ ასპარეზობას უნდა დაეთმოს დრო ფიზიკური აღზრდის კონკრეტულ გაკვეთილზე.

ზრუნავს, რომ მოსწავლემ მართებულად გაიგოს მასწავლებლის მოთხოვნა და დავალება (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს პრობლემა, ფიზიკური აქტივობის შესრულებასთან ერთად, ხშირად, დავალებების, დირექტივების და რჩევების აღქმაშიც აქვთ).

ყოველთვის, უმნიშვნელო წარმატების შემთხვევაშიც კი, აქებს მოსწავლეს და ეუბნება, თუ რა გააკეთა მან კარგად და რატომ დაიმსახურა მისმა ქცევამ მოწონება.

ყოველთვის ყურადღებას ამახვილებს სხეულის განვითარებაზე, ეხმარება ბავშვს მოძრაობაში, გადაადგილებაში და ბალანსის უნარის განვითარებაში. ასწავლის, თუ როგორ გამოიყენოს ინვალიდის ეტლი ან დაიცვას წონასწორობა (თამაშის მეშვეობით და თამაშის დროს მოსწავლეები ადვილად იძენენ ცოდნას, სწავლობენ ურთიერთობებს, ისვენებენ და გამოხატავენ თავიანთ გრძნობებს - ყველა ბავშვს უნდა, რომ იმხიარულოს და ითამაშოს).